

# ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ଅଧ୍ୟୋତ୍ସାହିତ

3—4

୬୩୦୩୦୬୦  
1930

## შ ი ნ ა ს ა რ ს ი

გვ.

ლევან ახათიანი—მაიაკოვსკი . . . . .	3
ვლ. მაიაკოვსკი—„რისთვის ეიბრძოდით“ (თარგ. გრი— გოლ ცეცხლაძისა) . . . . .	9
სიმონ ჩიქოვანი—სამურზაყანოს კოლექტივის	11
ტიციან ტაბიძე—ოქროყანა . . . . .	14
რაფენ გვეტაძე—პრიგადელის დღიური . . . . .	15
ვახო გორგაძე—ბრიგადელს . . . . .	38
ი. ლისაშვილი—ჩვენი პასუხი . . . . .	39
სანდრო შანშიაშვილი—ყამირი . . . . .	40
ვაჩაბამ რუხაძე—საუბარი გულთან . . . . .	58
აზატ ვშტუნი—მოდი, ჩემო თვალის სინათლევ!	60
ი. მჭედლიშვილი—ჩემი სურვილი . . . . .	65
მარჯვან—ცოლგაზე . . . . .	67
ხიმონ ჩიქოვანი—ერთი თვე სვანეთში . . . . .	80

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

გრიგოლ რობაჭიძე—ღავით ქლდიაშვილი . . . . .	97
დ. კახრაძე—ეკატერინე გაბაშვილი . . . . .	109
შ. ლუდურიავა—ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია . . . . .	128
Z—მარჯვანიშვილის სახ. თეატრის გასტროლები . . . . .	138

## ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა ფ ი ა:

N.Y გ. ხ.—ვასილ ბარნოვი . . . . .	141
ქრონიკა	

# ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ଅବସରଣିକା

ଶ୍ରୀ. କ୍ଷେତ୍ରଚନ୍ଦ୍ରମାଳଙ୍କ ଶାର୍କିତନାଥ ଚିତ୍ରାନ୍ତଲାଗିପିଲିଙ୍କ ଫ୍ରେଣ୍ଟରିକ୍ଲଯିପ୍‌ସିଲିଙ୍କ  
ପରିବାଲତାବାଦୀର ଏମ୍ପାରିନ୍‌କାର୍ପରେଶନ୍

୧୯୮୭

ବୋଲିଭାରି ପ୍ରକାଶନ

୩—୪

୧୯୬୩—୧୯୬୪—୧୯୩୦

୩୩୦୪୦୬୦

პასუხისმგებელი რედაქტორი სიმონ ხუცძარი

სარედაქციო კოლეგია	ბ. ბუაჩიძე
	გ. კორელიშვილი
	ტიტიან თაბიძე
	ლეო ჭიათურა
	ნ. ასათიანი

## მაიაკოვსკი

მაიაკოვსკი დაიღუპა მისი პოეტური ნიჭის სრული გაფურჩქვნისა და დამწიფების პერიოდში. მისი ოსტატობის მრავალფეროვანი შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. ნუ შევეხებით იმ უაღრესად პირადი, ინტიმური ხასიათის მოტივებს, რომლებმაც გამოიწვიეს პოეტის თვითმევლელობა. ეს არის მეტად სათუთი, მეტად მტკიცნეული საკითხი. უბედურება ისეთივე მოულოდნელი, საბედისწერო და გამოუსწორებელი, როგორც დანტესის და მარტინოვის ორი გასრულა, რომელთაც დასცეს გასული საუკუნის რესული პოეზიის ორი გოლიათი—პუშკინი და ლერმონტოვი; როგორც მლელვარე ზღვის სტიქიონი და მათგრი ქარიშხალის ქროლვა, რომელთაც იმსხვერპლეს არა ნაკლებ მლელვარე და ბობოქარი პოეტები—შელლი და ბაირონი.

უდიდეს ენტუზიასტს და უპათეტიურესს ჩვენი ეპოქის პოეტებს შორის, რეინისა და თუჯისაგან ჩამოსხმულ სტრიქონებში, აქაიქ, მოეპოებოდა რბილი სახსრები, ლირიული ხმის დადაბლება. ეს იყო იშვიათი წუთები, როდესაც პოეტი უბრუნდებოდა თავის თავს, უპირადეს და უშინაგანეს განცდებს, საკუთარი ცხოვრებისა და ფიზიკური არსებობის საკითხებს. პირველი პოეტური ამბოხების შემდეგ განვლო საქმით წლებმა. დღევანდელი პოეტი, მიუხედავათ უდიდესი რევოლუციონური პათოსის და დაჯერებული ოპტიმიზმისა, დანანებით გრძნობდა, რომ „იგი უკვე აღარ იყო „ლამაზი, ოცდაორი წლის“ მაიაკოვსკი,—ახალგაზრდა, აჯანყებული და შეკვარებული ავტორი „შარვლიანი ღრუბლის“ და შესანიშნავი „ხერხემლის ფლეიტის“. ამ იშვიათი ლირიული ფალცეტების დროს იბადებოდა წინათგრძნობა, რომ „Вот и жизнь пройдет, как прошли Азорские острова“. მაგრამ ეს იყო მსწრაფლწარმავალი და აოადამახასიათებელი მომენტები უდიდესი ნოვატორისა და რევოლუციონური პოეტის შემოქმედებაში.

და აი, აზორის კუნძულებმაც გაიარეს...

მოსკოვის კრემატორიუმის სარეგისტრაციო წიგნით მთავრდება  
მაიაკოვსკის ფიზიკური ორსებობის უალრესად შინაარსიანი რესტორანის რია. იქ ლაპონიური და საქმიანი ჩანაწერი გვამცნობს, რომ კრემატორიუმის მუშაობის 942 დღეს, 1930 წლის 17 აპრილს, საღამოს 7 ს. და 35 წ. დასწევს მიცვალებული მაიაკოვსკი, ვლადიმერ ვლადიმერისძე, 36 წლისა.

მაიაკოვსკი უდიდესთაგანი იყო პოეტების იმ პირველ ათეულში, რომელთაც გააეყოს და აკეთებენ თანამედროვე რუსულ პოეზიას. მაიაკოვსკის პოეტური განვითარების გზა—ეს არის ისტორია რუსული ფუტურისტული პოეზიისა და ამავე დროს ისტორია უახლოესი დროს რუსული ლიტერატურისა. მაიაკოვსკის უშუალო გავლენის ქვეშ ალიზარდა მთელი თაობა პროლეტარული პოეტებისა, რომლებიც ლიტერატურაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გამოვიდენ. ეს იყო მეტრი, რომლის მიმართ ცდილობდენ გასწორებას ახალი რიგები დამწყები პოეტებისა; რომლის ყოველი ახალი წიგნი, პოემა, ლექსი, თავისი აქტუალური ხასიათით, თავისი სიცხველით და იდეურ ტევადობით, მუდამ დიდ რეზონანსს ნახულობდა თანამედროვე ლიტერატურაში. მაიაკოვსკის მნიშვნელობა, როგორც რევოლუციის პოეტისა, სცილდება ნაციონალურ რუსულ ლიტერატურის ფარგლებს. მისი გავლენა სხვა ერების უახლოესი დროის პოეზიაშე უდავოა. ამ მხრივ მაიაკოვსკის შეედრებიან მხოლოდ ისეთი პოეტები, როგორც უიტმენი და ვერხარენი.

მაიაკოვსკი დაიბადა 1894 წელს, სოფელ ბალდათში, ქუთაისის მახლობლად. მამამისი იქ ტყის გამგეთ იყო. სწავლობდა იგი ჯერ ქუთაისში. 1906 წელს გარდაიცვალა ტყის გამგე მაიაკოვსკი. მისი ოჯახი მიემგზავრება მოსკოვს. 1908 წელს თუთხმეტი წლის პოეტი მაიაკოვსკი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის პოეტი, შედის რ. სოცდემ. (ბოლშ.) პარტიაში. ეწევა პარტიულ პროპაგანდას მეწალეებსა და სტამბის მუშებში, ამას მოსდევს ბუტირების ციხე, სადაც მაიაკოვსკი ზის თერთმეტ თვეს. აქ იგი სწერს თავის პირველ ლექსებს—რევოლუციონურ თემაზე. ფორმით ბაძავს სიმბოლისტ პოეტებს. ძევლი ფორმა და ახალი თემა ერთმანეთს არ ეგუება, ამიტომ ლექსები გამოდის ძალიან ცუდი. გადის რამდენიმე ხანი. მაიაკოვსკი თავს ანებებს ლექსების წერას და იწყებს მხატვრობას. იგი შედის მოსკოვის სამხატვრო შეკოლაში. აქ ეცნობა და უმეგობრდება მხატვარ დავით ბურლიოვს. ეს არის ისტორიული შეხედრა. აქედან იწყება მაიაკოვსკის ლიტერატურული ბიოგრაფია და რუსული ფუტურიზმის ისტორია. ბურლიოვის გავლენით მაიაკოვსკი იწყებს ისევ ლექსების

წერას. მაგრამ არა ისე, როგორც სწერდენ სიმბოლისტები, მაშინ დელი პოეზიის ვენერალიტეტი: ბალმონტი, ბელი, ვიაჩესლავ უზარესებრ ნოვი, ბლოკი. ბურლიუკის საშუალებით მაიაკოვსკი ეცნობა ფაუსტურა ლოვდება ახალგაზრდა პოეტებს: ხლებნიკოვს, კრუნინის, ელენა გურის, კამენსკის.


ეს იყო დრო, როდესაც სიმბოლიზმი რუსულ პოეზიაში ამთავრებდა თავის ბრწყინვალე დღეებს. ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებაში უკანასკნელად გაიშალა დეკადენტური პოეზიის სურნელოვანი ყვავილი. მაგრამ რა დაშორებული იყო ეს პოეზია თანამედროვე ცხოვრების ვითარებასა და ჭირ-ვარამს! მისტიკიზმით, რელიგიური ექსტაზით, ავადმყოფური რომანტიზმით, არა-მიწიერი და არა ამ-ქვეყნიური ინტერესებით იყო გამსჭვალული ეს პოეზია. მთელი რუსული პოეზია, პუშკინისა და ტიუტევის შემდეგ, ჩათვლილი იყო „სამოქალაქო შარმანკათ“, ნეკრასოვის სამოქალაქო პოეზია-კი—საგაზეთო პუბლიკისტიკათ, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილ, კეშმარიტ პოეზიასთან. სიმბლისტების აზრით პოეზია წარმოადგენდა ჯადოქრობას, პოეტური ენა-ხიტყვების მაგის, მისაწვდომება და გასაგებს მხოლოდ „რჩეულთათვის“. სიმბოლისტებმა უდიდესი შრომა გასწიეს რუსული პოეტური ენის გასამდიდრებლად; პოეტური ტეხნიკა, ოსტატობა, მათ აიყვანეს ვანკოითარების ისეთ სიმაღლემდე, რომელიც არ ახსლვდა მანამდე რუსულ ლიტერატურას. მაგრამ მათი პოეზია დაშორებული იყო ხალხის, მასების ინტერესებს, არ უპასუხებდა იმ ტეიიკოლებს, რომელიც სტკიოდა და აწესებდა ხალხს. ამავე დროს გაუგებარი იყო მათი ენაც. საჭირო იყო პოეზიის ამ ჩინიდან გამოყვანა. ბლოკი და მაიაკოვსკი შეხვდენ ერთმანეთს, როგორც არა თანამედროვენი, როგორც დიამეტრალურად საწინააღმდეგო მსოფლმედრელობისა და სამყაროს წარმომადგენლები. მაიაკოვსკი მოვიდა რუსულ პოეზიაში, როგორც ათეისტი, როგორც მატერიალისტი, თაეხედი უარმყოფელი რელიგიური, ზნეობრივი, ყოფა-ცხოვრებითი ტრადიციებისა. მის შემოქმედებაში პირველად გაისმა ყრუ გუგუნი მომავალი სოციალური კატაკლიზმების.

1913 წელს გამოვიდა მომავალი ფუტურისტების პირველი წიგნი: „სილის გაწვნა საზოგადოებრივ გემოვნებას“. ამ წიგნში მოთავსებულ თავხედ ლიტერატურულ მანიფესტს ხელს აწერდენ მაიაკოვსკი, ხლებნიკოვი, ბურლიუკი, კრუნინისი. ეს ის ცნობილი მანიფესტია, სადაც მოთხოვნილი იყო „პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტიოს გადაგდება თანამედროვეობის ხომალდიდან“. პუშკინის სახით ფუტურისტებმა უარჲყეს ძელი ლიტერატურული ტრადიციები. ამ

კრებულში მოთავსებული იყო მაიკოვსკის პირველი ლექსები. ეს იყო ურბანისტული ლექსები, მათი თემა — ქალაქი, არა მისტიკოს-მეოცნების მზერით მოცემული, არამედ ქალაქი დინამიური, ქალაქური მეოცნების, აჯანყებული მასების, ცხოვრებისაგან შეურაცყოფილი ადამიანების. მეამბოხის და პროტესტანტის ხმა გაისმის მაიკოვსკის მთელ რიგ პოემებში, რომლებიც მან დასწერა ოქტომბრის რევოლუციამდე. ეს პოემებია: „ვლადიმირ მაიკოვსკი“, „მეტამეტე მოციქული“ (საცენტრო პირობების გამო წოდებული „შარვლიან ლრუბლათ“), „ადამიანი“. თეთი უინტიმურესი, უარყოფილ სიყვარულის ძეგლი, პოემა „ფლეიტა-ხერხემალიც“ ხასიათდება ამ სოციალური პროტესტით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაჩაღებული იმპერიალისტური ომის დროს დაწერილი პოემა „ომი და მსოფლიო“. ეს ანტიმილიტარისტული ნაწარმოები საოცარ დისონანს წარმოადგენს მაშინდელი რუსული ლიტერატურის ნაციონალისტურ ღალადისში. საერთო შოგინისტური აღტყინებისა და კანიბალური განწყობილების ატმოსფერაში ახალგაზრდა პოეტი ბედავს და თავის პოემაში ხატავს ომს, როგორც საზიზღარ სასაკლას, როგორც კაცობრიობის უდიდეს დანაშაულს. ეს პოემა დაბეჭდა მაქსიმ გორკიმ თავის „ლეტოპისში“, რომელიც ერთად-ერთი ომის საწინააღმდეგო უურნალი იყო იმ დროს.

მაიკოვსკიმ რევოლუციაში ნახა თავისი პათოსი. მეამბოხის, მოქადაგის და მებრძოლის სტიქიონი, რომელიც მანამდე ახასიათებდა პოეტს, ოქტომბრის რევოლუციაში პოულობს თავის გამოსავალს. რევოლუცია-ეს არის ადექვატური თემა მაიკოვსკის ლრმა და მრავალუროვანი პოეტური ტალანტის. რევოლუციის პირველ დღეებიდანვე იგი დგება მებრძოლთა რიგებში, როგორც სიტყვის ოსტატი. მაიკოვსკი მუშაობს „როსტაში“, აქ, მისივე სიტყვით, იგი აკეთებს „სამი ათას პლაკატს და ექსი ათას წარწერას“. თავის იარაღს, პოეტურ სიტყვას, იგი იყენებს რევოლუციის მტრების წინააღმდეგ. პოეზიისთვის ასეთი გამოყენებითი დანიშნულების მიცემა არ იყო დროებითი და შემთხვევითი მაიკოვსკისათვის. იგი პრინციპათ დაედო მთელ მის შემდეგ პოეტურ მუშაობას.

მაიკოვსკის პირველი დიდი ნაწარმოები რევოლუციის შემდეგ იყო პიესა „მისტერია-ბუფ“. აქ მიმოხილვის სახით მოცემულია თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციის ამბები. შემდეგ პოემა „150.000.000“. აქ ისტორიულ ფაქტებთან არა გვაქვს საქმე. პოემაში ავტორი გვიხატავს მომავალი მოებისა და რევოლუციების ფანტასტიურ სურათს და რევოლუციის გამარჯვებას.



1923 წელს მაიაკოვსკი გარშემო იქრიბავს მემარცხენობაზე და უფლებაზე ნების ყველა დარგის მუშავებს, მხატვრებს, პოეტებს, თეატრებს და სებს და აარსებს „ლეფს“. რედაქტორობს ამავე სახელწოდების ურნაოს, სადაც წამოყენებული იქნა მთელი რიგი იქტუალური პრობლემებისა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. 1924 წელს მაიაკოვსკი მოგზაურობს საბჭოთა კავშირის ქალაქებში და კითხულობს ლექციებს „ლეფს“ შესახებ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სწერს პოემა „ლენინ“-ს, სადაც მოცემულია ლენინის სახე არა ბიოგრაფიულად, არამედ სოციოლოგიურად. ამის შემდეგ მიემგზავრება საზღვარ გარეთ, ევროპას და ამერიკაში. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე სწერს პოემა „Хоровишо“-ს. ამ სინთეტიურ პოემაში, სადაც შეთავსებულია გეროიკული ეპოსი, ოდა, სატირა, ლირიკა,—სრული თავისი მრავალფეროვნებით გაიშალა მაიაკოვსკის პოეტური გენია.

უკანასკნელ წლებს ეკუთვნის: სატირიული პიესები „ბალინჯო“ და „აბანო“, სადაც გაქიცხულია თანამედროვე საბჭოთა სინამდვილის ბნელი და უკულმართი მხარეები; პანტომიმა „შოსკოვი ივანის“—1905 წლის შესახებ, დაწერილი მოსკოვის სახელმწიფო ცირკისთვის, და ბოლოს როგორც ანდერძი და გამოსათხოვარი სიტყვა, თანამედროვეებისადმი მიმართული „Во всем голос“.

მაიაკოვსკის, როგორც ნოვატორს—პოეტს და ახალი პერიოდის დამწყებს რუსულ ლიტერატურაში, ისეთივე მნიშვნელობა იქვს, როგორც თავის დროზე პქონდა პუშკინს. თუ ხლებნიკოვმა ახალი გზები გაუხსნა თანამედროვე რუსულ პოეზიას, მაიაკოვსკიმ პირველმა გაიარა ამ გზებზე, როგორც დიდმა ოსტატმა და ეპოქის პოეტმა. მაიაკოვსკი შესანიშნავი მაგალითია პოეტი-პუბლიცისტის, ტრიბუნის, მოქალაქის. მან ათვალწუნებულ „სამოქალაქო შარმაკის“ ხმებიდან მოვცა ჩენი დროის ზეიადი პოლიტონიური მუსიკა. მაიაკოვსკი მიჩნეულია „ძნელად გასაგებ“ პოეტად. ეს არის ბედი ყველა რეფორმატორის. მაიაკოვსკის „სიბნელე“ გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ მან დაარღვია ლომონოსოვს შემდეგ რუსულ პოეზიაში განმტკიცებული სილაბო-ტონური წყობილსიტყვაობა და შემოიტანა თავისუფალი ლექსი, როგორც შესაფერი ფორმა ეპოქის რიტმის გაღმოსაცემად. თანამედროვე დასავლეთ-ევროპიული „ვერსიფიკატორული ტეხნიკა მან შეუხამა რუსული სიტყვის დამახასიათებელ თავისებურობას,—ვინაიდან ცნობილია, რომ რუსული ხალხური



ლექსები, სიმღერები და ბილინები უფრო ეგუებიან თავისუფალი/  
ლექსის ფორმას. სიმბოლისტების „სიტყვის მაგიის“ ნაცელებრივი  
კოვსკიმ, ისე, როგორც ველემირ ხლებნიკოვმა, პოეზიის ენათ გა-  
მოიყენა ჩვეულებრივი, ხალხური სალაპარაკო ენა. ამით მან პოეზია  
ჩამოიყეანა მისტიურ, ასტრალურ სფეროებიდან—ძირის, მიწაზე, და  
გახდა იგი ხალხისათვის, მასებისთვის გასაგებ და ფართო მოხმარე-  
ბის საგნათ.

მაიაკოვსკისათვის მიუღებელი იყო თემა, რომელიც არ ეხებოდა  
ყოველდღიურ ცხოვრების მოვლენებს. მისთვის არ არსებობდა მა-  
რადიული თემები. ამიტომ გასაგებია მისი მიღრეკილება გაზეთი-  
საღმი, საღაც წინა რიგში დგას ყოველთვის პოლიტიკის, სამეურ-  
ნეო ცხოვრების და ყოფის აქტუალური პრობლემები. მაიაკოვსკის  
ყოველი ახალი ლექსი შეეხებოდა უცხოველეს და უსაჭირბოროტეს  
საკითხებს. ამით აისწნება მისი „მენესტრელობა“ და მისი დიდი  
პოპულიარობაც. მაგრამ ამ ფუნქციონალიზმს მაიაკოვსკიში არასო-  
დეს არ დაუჩრდილავს სიტყვის ხელოვანი. ის იყო სანიმუშო პოეტი,  
ჭკუა-მახვილი და უშესანიშნავესი ოსტატი თანამედროვე რუსული  
პოეტური სიტყვისა.

20/IV—30 წ.

— — : — —

## „რისთვის პიპჩოდით!“

ხმა გვესმის  
უაზრო და შეტად ცუდი.  
ყურებში გვიშვივის  
და იკუშშება გული.  
ამბობენ,  
რომ ახალგაზრდობა მოღუნდა,  
რომ მათ  
ნებისყოფა აქვთ მოღუნებული.  
კიდევ ამბობენ,  
ზოგიერთი ჩვენი ძამია,  
რომ დაიმსახურა  
ორდენი და ქება,  
ეხლა უცემრის ნამცხვარებს  
შაქარლამიანს  
და ეიტრინების წინ  
მოწყენილ პოზაში დგება.  
ამბობენ, რომ  
მშიერთათვის გულმოსაკლავად,  
დუქნების ფანჯრები მოუცავთ  
ბოთლების მესრებს,  
რომ ნეპმანები და გამგეები  
თერებიან ერთთავად  
და დეკემბერშიაც მიირთმევენ  
საზამთროებს და ნესვებს.

ხმა გვესმის  
სასირცეო და შემაზარები,  
რომ გადაპყოლიან  
თავდავიწყებას,—  
კომიკავშირელები  
ვით ლეიბ-ჰუსარები  
სვამენ,—  
და ატირებთ ესენინის ლექსები.

ბაგეთა მოლრეცილ  
გახევით,  
ჩვენამდე ხმა მოდის:  
— „რევოლუცია ვერ გამოდგა...  
რისთვის ეიბრძოდით?“...

და თავიანთ 18 წელს  
დაუმიზნებენ ნაგანს  
და— აღარ არის,  
ან ხლართში გაჰყონ  
კისერი იქნება.

მე როგორც პოეტი  
ვარ მეტად მწუხარე  
და როგორც მაიაკოვსკი  
მაგრად ვიგინები.

მე შენთვის  
ლექსებს კი არ ვმლავი,  
აქ საქმე არაა  
რითმებზე,—  
ვით მეგობართან  
ჩემთან იგრძენი თავი,  
მომეცი ნება  
ხელები დაგადო მხრებზე.

ჩვენ უნდა საქმეს  
ვეძლეოდეთ მთელი არსებით  
უნდა დასცინო წვრილმანებს  
და დათრგუნო ისა,  
დღეს კომუნისტვის  
ძვირფასია უფრო ლურსმნები,  
ვიდრე მარავალი თეზისები  
კომუნიზმისა.

განა დღეს  
ახალგაზირობას შეშვენის,  
რომ იგი თვრებოდეს,  
სვამდეს ლუდის შხამს?  
ჩვენ მომავალში  
შევსვამთ  
მთელ დედამიწის წვენს,  
გადავაბრუნებთ  
ქვეყანას როგორც ჯამს.  
თარგ. გრიგოლ ცეცხლაძისა..

## სამურზაბანოს პოლემიკითიშვილის

როცა შორდები:

„სი სოულ ჩელას“.

გრჩება დაბლობში მდგარი ენგური,  
 კავკასიონის მოყვება ჩრდილი  
 და სიმღერები ისმის მეგრული.

„სი სოულ ჩელა დო  
 სი სერგელა,

სი კისერი ელაფირი,  
 სი მინობაშ გეგაფირი“,  
 მოსჩანს შორით ისლი ხშირი  
 და ტყის იქით ვიღაც კივის.  
 ენგურს გახვალ რამ დაგტანჯოს  
 ფეხს ვერ წაერთ ბედის ლურსმანს.  
 სდგას მღუმარედ წინ სათანჯო  
 და შორს ისმის:

„სოულ ბუსკა  
 სო მეულას“.

კამეჩებივით წლებმა მრავალმა  
 აქ გაიარეს თვეების ცვენით;  
 შემდეგ უყივლა რიურაჟს მამალმა  
 და უამებს გაყენენ შერევაშიძენი.

უნდა ქვეყანას გრძნობით ახარო  
 ადგა გლეხი და სამურზაყანო,

„სი სოულ დო ტრაქტორი ხვალე  
 ჩაის დო კარტოფილს დოთასუნქ,  
 წოხოლ-წოხოლე ჩეიმი ჯარგვალი“.  
 ლობებს შემოქსნი მოსავლის შუქს.  
 მწირ ტყეს ეჭირა მიწა აყალო  
 გვიმრას ტყვეთ ყავდა სახნავი ბელტი,  
 შრომაშ შესცვალა სამურზაყანო,

ენგურით მოაქვს ჯანმრთელი ფერდი.  
გუშინ მე ვნახე  
კოლექციის წინ, გალის მაზრაში  
სამი ცხენენჯი ქალი მოვიდა.  
მათ მოიტანეს მზა თვალსაზრისი  
ზემო-ბარლების კოლექტივიდან.

შავები ეცვათ—ფეხზე წალები,  
ეჭირათ ქალებს ხელთ მათრახები.

მათრახე სწორი სხეული იდგნენ  
ეკრათ შხეფები გამოვლილ გზიდან,  
ქალები იდგნენ მდუმარე ვიღრე,  
ხმა არ მოისმა ხელმძღვანელიდან.  
მათ გადომლახეს

დიდი მანძილი

ეერ დასძლევს სივრცე ცხენოსან მეგრელს  
შავს ტანსაცმელში როგორც არწივნი  
ითხოვდენ რჩევას

და თუთის ნერგებს.

მათ თავმჯდომარე ჯოჯუა ნახეს  
დასცერდა სიის ასოებს ხლართულს,  
ყოველგვარის თქმას ურტყამდა მახვილს  
და სიხარულით მიმტერევდა ქართულს.

უნდა ჯოჯუას პრესას ახაროს  
— ადგა მთლიანათ სამურზაყანო,

წავიდნენ წლები თვალებ-დათხრილნი  
და ფეოდალსაც ეერ მიაქვს ძლევნი.  
ენგურის არხმა, ტალღამ ხალხისამ,  
წარსულში ჩაჰქლა შერვაშიძენი.

უკვი ვშორდები

„სი სოულ ჩელას

ვშორდებით მწირ ტყეს, გვიმბრას და ტირიფს,  
კოლექტივები გაშლილა ყველა  
და მხარეს აწევს მშრომელთა ჩრდილი.

აგერ მე ვხედავ კოლექტივს გაშლილს  
ორმოც ქალი ბარავს მიწას და  
ტრაქტორის მუხლი ხმაურობს მთაშიც

და გვიმრის ჯოგი მთლიანად გაწყდა.  
— აქ კარტოფილის არის ნაკვეთი,  
იქით კომბოსტო—გოგონა გვიხსნის;  
— თუ გვალვა იქნა, უშოვის საკვებს  
არხად გაშლილი ენგურის სისხლი.  
სამურზაყანო! მწირი ტყის ბუდე,  
მოკვდით თხემლებო და ტირიფებო,  
ოო, გადავლახოთ ღობეთა ზღუდე  
ამ დიდ ფართობზე შრომა შევკრიბოთ—  
გადაბრუნებულ მიწას და ფესვებს  
ესმის

ძახილი სახნისის, თესლის  
და ყოველ ჩვენ მტერს  
ბრაზით შევსებულს  
სინიდისივით დაახრჩობს გესლი.  
მიწას მდუმარეს და წლობით ზარმაცს,  
როგორც ბრმა თვალებს დათხრიან ბელტებს,  
ველარ დარეკა თავადის ზარმა  
გაწყდა თოკი და დაეცა ფერდზე.  
ბელტებს წავართვათ  
საზრდო საზრდოსი.

კოლექტურების განმტკიცდეს ძალა,  
ადგეს ქვეყანა, თესლი დასივდეს,  
თვითმოქმედების გონიერ ღალად.  
დღეს თვალწინ ვხედავ კოლექტივს გაშლილს.  
ორმოცი ქალი, ორმოც ოჯახის  
შრომას აერთებს ერთ მთლიან ხმაში  
და ქმნიან ერთად მეგრულ მოძახილს.  
გადაბრუნებულ მიწას და ფესვებს  
ესმის

ძახილი სახნისის თესლის  
და ყოველ ჩვენ მტერს  
ბრაზით შევსებულს  
სინიდისივით დაახრჩობს გესლი.

მარტი.  
სამურზაყანო.

— — —

## ო ძ რ ო უ ა ნ ა

თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟქაცი,  
გათენდი ისე, როგორც გათენდა  
ოქროყანაში, თუნდა ამ დიღას.  
ნუ დასწერ ლექსებს... იყავ ზარმაცი.  
ამ მზის ყუმბარას რა ხელი ტენდა  
ან ვებერითელა სიდან გაზრდილა?..  
რა ლექსი ზიდავს ამ სალადარეს,  
რა გულს არ დასწვავს და არ გადარევს!..

თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟქაცი,  
მაშინ ქოროლლის გქონდეს სიმაგრე.  
გადაყურებდე დაბლა მარაბდას.  
ნუ დასწერ ლექსებს, იყავ ზარმაცი...  
შენ რომ ხელი გერან, ისიც წაგაქცევს;  
ამას ტყვიების მეხი ლარავდა.  
მაგრამ მეხია თვითონ სასროლი,  
ცა გაუპია და დაჩქრინილა  
ტიტველა სოლი...

თუ პოეტი ხარ და ხარ ვაჟქაცი,  
ამლერდი ისე, როგორც ამლერდა  
უძოს ბულბული მაღალ ფალცეტით.  
ნუ დასწერ ლექსებს... იყავ ზარმაცი.  
ბევრი პოეტიდ თავს ასაღებდა  
ჩევნი ეპოქის, რომ იყოს ლირისი  
დღეს პოეტებში არ ვართ არც ერთი.

მაშ შევადედოთ ლექსის მაწონი,  
ოქროყანიდან ჩამოვყვეთ ვირებს,  
იქნებ არ იყოს ეს მოსაწონი,  
მაგრამ არავინ არც გაიკვირებს.

ოქროყანა  
1929 წ,

## ზრიშების დღის ღრმა

სიხარულის ერთი მიზანი.

დიდიხანია არ მინახავს სოფელი თავის შარებით და ორლო-  
ბებით.

დიდიხანია არ მისუნთქავს სოფელის სუფთა ჰაერი, არ აღვთრ-  
თოვანებულვარ მისი ლაუგარდოვანი სალამოებით და ბუნების ცე-  
რით.

დიდიხანია არ განმიცდია სოფლური ცხოვრება თავის უბრა-  
ლობით და მიამიტობით, რომელიც ასე მიმზიდებელია შეოთიან  
ქალაქიდან ჩასულ კაცისათვის და განსაკუთრებით იმისათვის, ვისაც  
ხამის შარვლიანი ბავშობა გაუტარებია მინდორში და ფეხშიშველი  
ურჩებინია ნახირში.

თუმცა ვერძნობ, რომ სოფელი ის მყუდრო სამყოფელი არა  
დღეს, როგორიც იყო სოფლის სიღუბქირზე თვალდახუჭულთა წარ-  
მოდგენაში, მაგრამ ეს როდი მანანებს. პირიქით, სწორედ ამიტომ  
უფრო მიმწევს გული ქალაქიდან.

თვით სოფლელებისათვის არც არაოდეს ყოფილი სოფელი სა-  
ვანე და განცხრომის წიაღი.

წელში ჯაფით მოკაულმა ყოველმა გლეხმა იცის ეს. ვიცი  
მეც.

და თუ სოფლის გახსენებაზე, უწინ მისი ბუნების ხილვის სურ-  
ეილმა შემიპყრო, ეს მხოლოდ თბილისის აღმასკომის კომუნალურ  
მეურნეობის განყოფილების ბრალია.

ეს იმის ბრალია, მთელი დღე ქალაქში კორიანტელი რომაა  
და მყუდრო ამინდშიაც კი გაძნელებულია სუნთქვა; სადაც ხეირია-  
ნად კაცს უჭირს თვალისგახელა და სილით სავსე პირში კბილებს  
წაწეა-წუწეი გააქვს.

პო, და, ამიტომაც მიხარია, რომ საბჭოთა მწერლების ფედე-  
რაცია საშუალებას მაძლევს, რამდენიმე კვირა მაინც დავტოვო თბი-  
ლისის მტკერიანი ქუჩები.

მართალია, ეს კორიანტელი ქალაქში მშენებლობის გაძლიერება  
ბის მაუწყებელია, მაგრამ უფრო კომუნალურ განყოფილებების დაწერა  
დევრობის ნიმუშს წარმოადგენს.

კომუნალურ განყოფილებას უკველად ეხერხება ქალაქში სი-  
სუფთავის დასაცავად „მთელი რიგი ღონისძიებების გამომუშავება“...  
მაგრამ, უჭირს მათი ცხოვრებაში გატარება, რადგან დაწერილის  
საქმეთ ქცევა არაა აღვილი, ძალა კი, როგორც სჩანს, კომუნალურმა  
განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ მოიკრიბა.

თუმცა კ. ოდილავაძე და შ. კილურაძე ორივე ენერგიული კა-  
ცია, მაგრამ...

რა დროს თვითკრიტიკა.

სოფლიდან რომ დავბრუნდები ალბათ „კომუნისტიში“ ისევ  
ხშირად დავსწერ:

„თბილისის აღმასკომშა გადასწყვეტა ქუჩებში სისუფთავის და-  
საცავად“...

„კომუნალური განყოფილება შეუდგა ქალაქში სანიტარული  
პირობების“... და სხ.

მაგრამ უსათუოთ იმასაც დავსწერ, თუ ეს გადაწყვეტილებე-  
ბი რატომ არ სრულდება.

ესლა კი გზაზე ვარ დამდგარი და სხვა მოვალეობა მაწევს.

### სილნალები ვეძილი

უკვე მატარებელში ვზივარ, მესამე ხარისხის ვაგონში.

მართალია დალლილი ვარ და უკეთესი იქნებოდა რბილ საწო-  
ლებიან ვაგონით მემგზავრა, მაგრამ წვრილცოლშეილის პატრონს  
სადა მაქვს იმდენი, რომ ასეთი ფუფუნების ნება მიეცე თავს.

გარდა ამისა, მესამე ხარისხის ვაგონით მგზავრობა კიდევ იმი-  
ტომ ვარჩიი, რომ ეს ბევრ რამე სანიტერესოს გაიგონებს კაცი.

აქ მეტი სისადავეა და გულუბრყვილობა:

ნაირი და ხელმოკლე მგზავრების მუსაითი ნამდვილ ცხოვრე-  
ბას შეეხება.

(სხვათა შორის: მიკვირს თუ აქმდე რკინის გზაზე რატომ არსებობს  
მგზავრების ხარისხებათ დაყოფა. დროა თვითმყრობილობის ამ უმ-  
სგავსო ნაშთსაც ბოლო მოეღოს.— მატარებლით მგზავრობისათვის  
განურჩეველი, კველასათვის ერთნაირი და ისეთი პირობები უნდა  
იყოს, როგორც ეს ტრამვაით მოსიარულეთათვისაა).

დღეს არაა ბევრი მგზავრი.

ხალვათობაა.



მაგრამ დასაწოლი ალაგი მაინც არ იშოვნება.

ჩემს გვერდით ზის შუახნის ქალი და უკვე ყვინთავს.

პირდაპირ: ორი მგზავრია—ერთი ჩასკვნილი, მოლერებულებულებისათვე  
ცი სჩანს, მეორი უფრო იხალგაზრდა—დიდი სათვალეებით და უბრა-  
ლოთ ჩატარებული.

ისინი ერთმანეთს შზრუნველობით ეპყრობიან და ცოტას ლა-  
პარაკობენ.

ჩვენი კუთხე მოწყენილია.

მატერებლის აღვრისას გვემატება ახალი თანამგზავრი.

რიხიანათ მოვიდა და ჩემს მარჯვნივ თავისუფლათ მოიკალათა.

დაჯდომისთანავე პაპიროსი მოხვევა უწნაური ბოდიშით.

ეტყობა ზარხოშათაა.

მალე ყველა ჩვენთაგანს რაღაცა გვკითხა, გვითხრა და მუსაი-  
ფი გავვიბა.

ვაკვირდები: კარგა ხნის უნდა იყოს, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარ-  
მავათაა. მოგრძო სახე აქვს და კავიანი ცხეირი. თვალები ციიტი.  
წვერი გაპარსული. ულვაშები ოდნავ შეკრეპილი. რუხ და ჩვენებუ-  
რათ შეკერილ დაბამბულ „ტუქურკაზე“, რომელიც მუხლებამდე  
წვდება, საჩიხე ქამარი არტყია, ფეხებზე საცვეთები აცვია კალმე-  
ბით და ბოხხი ახურავს. მხარზე გადაკიდებული აქვს ტყავის ჩან-  
თა. როცა შემოვიდა, ნაბადი დაეკეცა და ზედ დაჯდა. ერთი შეხე-  
დვით ჭარმოსადეგი კაცია, მაგრამ რაღაც მსუბუქათ იქცევა. გადა-  
ჭარბებით თავაზიანია და მისი საუბარი ლაყბობას უფრო გავს.

შეუსვენებლათ ლპარაკობს ყველაფერზე, მაგრამ პოლიტიკის  
ერიდება. ვამჩნევ, რომ თავს იკავებს, თორებ პოლიტიკაზე საკუთა-  
რი აზრების გამოთქმა ძლიერ უნდა უყვარდეს.

ოხვანებობს, ხშირათ მოსწრებულათაც.

პირდაპირ სულზე მოვგისწრო: უიმისოთ ლამის თევა ქვის კო-  
დვაზე უფრო დაგვლლიდა. თუმცა დაძინება აჯობებდა, მაგრამ სა-  
შუალება არაა და ჩვენც მხარი აუბით.

ჰერნია ამფსონებში მოხვდა და ანეგდოტებიც კი დაიწყო. ცო-  
ტა, მთვლემარე ქალის ეხათრება და სასირცხო სიტყვებს ხმა-დაბ-  
ლა ამბობს.

მასთან ერთად ყველანი ვიცინით. გადამდები სიცილი იცის.

ჩემში სიცილს უფრო იწვევს მისი თხრობის კილო, სახის გა-  
მომეტყველება და მარიტათი.

ასეთ კაცს დიდიხანია არ შევხვედრივარ და მიჭირს გამოვიც-  
ნო, თუ რა პროფესიას უნდა ეკუთვნოდეს.

ხან გამელელს აეკვიატება და რალაცას ჰქითხავს, იმის შინაგანი  
ვით, თუ როგორ აცვია.

ჩვენ მეზობელ ქალს ძილი დაუფრთხო და სხვაგან გადატყვევა  
ეხლა სულ ენათ იქცა.

ხანდახან პოლიტიკაზე ჩაუკრავს, მაგრამ კიდევ ფრთხილობს  
და მალე ოსტატურათ გადაღის სხვა საგანზე.

— მეგობრებო, ჯეელებო, გეტყობათ ჩინებული ხასიათისანი  
ხართ და მინდა თქვენთან პური გავტეხო. ა, საწინააღმდეგო მუნი  
არაფერი გექნებათ. აგრე, რომელიმე სადგურზე გადავალ და ერთ-  
ორ კეარტს ამოვარბენინებ. დავჯდეთ თან წყურვილი მოვიკლათ და  
თანაც ვიშუაქმუკოთ. ყაბულ!

თანხმობა განუტაცეთ. მომხეულათაც ვართ.

მე, უბრალოთ, მაგრამ რიდით შევთავაზე 3 მანეთი და ვთხო-  
ვე ჩემ წილათ სანოვაგეც ეყიდა.

საშინლათ იშვინა. იუკადრისა:

— განა ასეთათ გამიცანით! ჰაი ვიდი, ვეტყობა ქართველური  
ეში დაგიკარგავს. არც ისე დავკინიბულვარ, რომა პურმარილშიაც  
ანგარიშიანობა შევიტანო. ამის ნებას არც სხვას მივცემ. არ მომ-  
წონს ეს გერმანული ცივი ხასიათი. ჩვენი ბუნების თვისებურება  
კველაფერში უნდა ჩანდეს. ჭეშმარიტად ხალისი გამიფუჭე.

მე ბოდიში მოვიხადე, მაგრამ მან შორს დაიჭირა.—

დამახრჩო საყველურებით.

ბევრი ვინანე.

ჩვენი მოარაკე ერთბაშათ გაჩუმდა. შემდეგ ადგა, ბარგისათვის  
თვალყურის დევნება გვთხოვა და წევიდა.

ახალგაზრდა ჩემს გვერდით გადმოჯდა, ქალის ალგას. მისი  
მეზობელი კი წამოწვა.

გამოველაპარაკეთ ერთმანეთს.

ჩემი მოსაუბრე ინუენტი აღმოჩნდა, მისი მეზობელი—ტყიბუ-  
ლის მაღაროების დირექტორი.

შან გატაცებით დაიწყო ლაპარაკი ტყიბულის მაღაროებში მუ-  
შაობის გაფართოებაზე, საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულება-  
ზე და მუშათა პირობების გაუმჯობესების შესახებ.

— ამ უამად 2000 კაცზე შეტი მუშაობს მაღაროებში. მალე ეს  
რიცხვი გაორკეცდება. ტყიბული უკვე მოსრდილ საწარმოო ქალაქს  
გავს. მუშების მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. შენდება  
მათოვის ახალი სახლები, ფართოედება საავადმყოფო, გვაქვს კარ-  
გათ მოწყობილი კლუბიც, მაგრამ ხეირიანი სალამო-წარმოდგენების

მოწყობა, ძალების უყოლობის გამო, შეუძლებელი ხდება. დან კი არავინ იხელება იქით.

გულდაწყვეტით ამბობს ახალგაზრდა ინჯენერი.

ამასობაში ჩვენი მატარებელი დაღდა.

ჩვენს ზევით მწოლარე წევროსანმა თვალების ფშვნეტით იკითხა:

— სადა ვართ!

ვიღაცამ უპასუხა:

— გორში.

მატარებლის ხელ-ახლა აძრისთანავე უქმაყოფილოდ შემოვიდა ჩემვნი განაწყვენებული თანამგზავრი, რომელსაც ხელში ხონჩასავით ეჭირა ვაშლებით სავსე ბოხოხი.

— ასეთი ამბავი გაგონილა, კაცმა საღვურზე ლეინო ვერ იშოვოს, ისიც საქართველოში! ახირებულია მე და ჩემთა ღმერთმა.

ამ სიტყვებით ფანჯარასთან მიღმულ პატარა მაგიდაზე ბოხოხი გაღმოაპირქვავა.

— მიირთვით თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი!

გულუხვ მასპინძელივით წარმოსთქვა, მერე ბოხოხი გაცერთხა და დაიხსრა.

— კამეთ ვა, რასა ნაზობთ! იქნება გეხამუშებათ ქუდში ნაყარი რომეა, აი დანა, გათალეთ.

ცოტახნის შემდეგ ვაშლებიან მაგიდაზე ინჯენერმაც ჩამოიძინა. მარტო ჩვენ ორი დავტრით ფხიზლათ.

ბოხოხიანმა მეზობელმა ეხლა ტყბილი მუსაიფი გამიბა.

მომიყვა თავის სტუდენტობის ამბავს, მაშინდელ რუსეთში გატარებულ დროზე და უეცრათ ყურში მკითხა:

— კომუნისტი ხარ?

მის გასახარელათ მაშინვე ვუპასუხე:

— არა.

— მე გახლავართ დამცეცელთა კოლეგის წევრი, უმთავრესად კახეთის დაბებში ვმუშაობ.

დიდის თავაზით გამაცნო თავი და ხელი გამომიწოდა.

— სასიამოვნოა.

ვუპასუხე მე, თან გამეხარდა, რომ თავისთავად გამოირკვა რა პროფესიასაც ეკუთვნოდა და გავითიქმა: პირწავარდნილი სოფლის აბლაკატია.

— ესენი რა ფრინველებია, იცნობ მათ?

ყურშივე მკითხა.

— არა, არ ვიცნობ! ამ დროს ტყიბულის მაღაროების დირექტორი შეიშმუშნა, ჩი-  
ახველა და წამოდგა. ეტყობოდა ფიცარმა გვერდები ატკიცებულის მიუჯდა, დაუწყო ლაპარაკი, გაიცი-  
ნა, გააცინა, ვაშლი მიაწოდა და... ჩუმათ ჰქითხა:

— თვეენ პარტიული უნდა ბრძანდებოდეთ! ხომ!?

დირექტორს გაუკეირდა, ჯერ ალმაცერათ შეხედა არა მკით-  
ხე მოძღვარს, ვაშლს მოკბიჩა და შემდეგ ლიმილით უთხრა:

— არა.

— უკაცრავათ, მე რატომლაც მეგონა, რომ...

— ძაან შეშინებული უნდა იყო კომუნისტებისაგან!

— რას ბრძანებთ, პირიქით. თუმცა მაინცდამაინც საყვარელი  
ხალხია არაა.

დირექტორი ადგა. ვექილმა მას მიასწაველა სითაც იყო სანა-  
შესო ადგილი და ისევ ჩემთან დაჯდა.

— ეს კაცი კი კაცი ყოფილა, მაგრამ, ეხლა ამასაც გაუშინჯო  
კბილები! ერთი აქეთ გამოიწი შესნ გაზრდას!

მომმართა და მე და ინუნერს შუა ჩასახლდა.

— ეი, ამხანავო, ცუდათ გაქეს თავი, კისერი გეტკინება.

შემკრთალმა ინუნერმა მოქმედების სახით შეხედა მოუსვენარ  
თანამგზავრს.

— სათვალეები მაინც მოიხსენი, გავიტყვდება.

კვლავ გამოიჩინა მზრუნველობა ვექილმა და დაუმატა:

— არა, რა გაძინებს თუ ღმრთი გრწიმს ასეთ პირობებში  
ჯელ კაცს. ორი შენი ხნის ვიქნები, მაგრამა თუ გინდ სამ ლამეს  
გავათვე ზედიზედ თვალმოუსუმავათ. მაშ!

შემდეგ ეშმაკურად უთხრა:

— გეტყობა კომუნისტი არ უნდა იყო!

— რაზე მეტყობა!

— ძილზე, კომუნისტებს ძილი არ უყვართ!

მე გამეცინა.

— კომუნისტი ხარ თუ?

მოულოდნელად ჰქითხა.

— ნეტავი მომასვენებდე.

— რას გწყინს შენ მამაცხონებულო, კითხვა აუგი არაა. არც  
კომუნისტობაა სიცუდე.

სერიოზულათ წარმოსთქვა ვექილმა და ფანჯარას მიაღეა:

— ა, ხაშურს ვუახლოვდებით მგონია, აქ კი იქნება ლვინო!..

შემდეგ მე მომიბრუნდა და ინუნერისა და დირექტორის გასაგონათ მითხრა:

— თქვენი წელანდელი აზრი თანდათან მომწონს. მართლაც და ცოტ-ცოტა რომა ყველამ გავიღოთ ბევრი იქნება, იოლათ გავალთ. ერთ კაცს კი მძიმე ტვირთათ დააწევება. ასეა ხომ! მაში დავარსოთ კოლექტივი რაღა, თათარიახლათ!

ამგვარათ ვექილმა სამიერს გამოგვართვა სამ-სამი მანეთი, გადავიდა ხაშურში, ამოიტანა ლვინო, წვანილი, ყველი პური და გაშალა სუფრა.

თამადათ თეოთონვე დადგა.

პირველ ჭიქის ალებისთანავე სათითაოთ ვინაობა გვეითხა, თავისიც გავეაცნო და ჩვენი მოულოდნელი ნაცნობობის შესახებ სადლეგრძელო შესვა.

სხვათა შორის გავიგეთ, რომ ჩვენი თამადა წმენდის დროს დამცველთა კოლეგიის წევრობიდან გამოურიცხავთ. მისი გამოცვემით—პირადი ინტერესით და გაუგებრობით. მაგრამ დაწყებულ საქმების დამთავრების უფლება კი მიუკიათ. ეხლა ერთ-ერთ ასეთ საქმის თაობაზე მოდის თურმე ქუთაისში.

ვექილი ბიოგრაფიიდან, თანდათან პოლიტიკაზე გადავიდა და დაიწყო კომუნისტების გაეილვა. ინუნერი თეინიერათ გამოიყამათა. მაგრამ როცა ძლიერ შესტოპა, ისე მკახეთ შეუტია, რომ მალე ვიქილს თამადობის და ლაპარაკის ხალისიც დაეკარგა.

ინუნერმა, განგებ ჰქითხა, თუ რამდენი დახარჯა.

ვექილმა იწყინა და რიხით დაიწყო ანგარიში, მაგრამ 12 მანეთი ვერას გზით ვერ გამოიყვანა. როგორც შევამჩნიეთ, ჩვენი 9 მანეთიც არ ქონდა სრულად დახარჯული. პირველად კი, როცა ანგარიშს არავინ სთხოვდა, გვარწმუნებდა, რომ მან თვეის წილად 5 მანეთი დახარჯა ახალი მეგობრების სიყვარულისათვის.

უხერხულ მდომარეობიდან ისევ ინუნერმა გამოიყვანა და როგორც თამადა რიდით ადლეგრძელა.

რამდენიმე ულიმლამო ოხუნჯობის შემდეგ, საქციელ წამხდარმა ვექილმა ძილი მოიმიშება, თავის ხაბაკით მაღლა ბარგის დასალაგებელ თაროზე ავიდა და დაწევა.

### მრთი კალათი კვირცხი

რიონში კარგათ დაგვათენდა.  
გადავჯექით ქუთაისის მატარებელში.

კარგა ლოდინის შემდეგ ჩვენი მატარებელი ზოხინით გაუდგენ  
გზას.

ისეთი გრძნობა გაქვს კაცს, რომ მიდიხარ არა დატერიტორიული შემსახურებას ქართველოს ცენტრში, არამედ სადღაც მიყრუებულ დაბაში ურმით.

მართლაც და ქუთაისი მოწყვეტილია რეინისგზის მთავარ ძარღვს—ის მოქცეულია ჩიხში და ეს გარემოება ადუნებს მემანქანის პათოსს.—8-9 ვერს ჩქარა გაივლის თუ გვიან, სულ ერთია, ამისათვის არც არავინ დასჯის და არც არავინ ჯინჯილებს ჩამოქიდებს.

ალბათ ამიტომაა, მემანქანე რომ მეხრესავით ზის ორთქლმავალში და ლილინებს.

ქუთაისის ბედზე უთუოთ ახდენს გავლენას ეს სიზარმაცი.

ეს ანანოვის მეოხებით სჭირს ქუთაისს.

ფულს დახარბებულმა ფულისავე საშუალებით მოახერხა რეინისგზას მის მიწებზე გაევლო და ქუთაისი განხე დარჩა.

ასე მოიქცენ კახელი თავადებიც კახეთის რეინისგზის გაყვანის დროს, რის გამო მრავალ სოფლისა და დაბისათვის „რეინის ურმით“ სავალი დაუშემარი შეიქნა.

— ეგ მართალია, მაგრამ ქუთაისი ამ სენს მალე მოიხდის. შორს არაა ის დრო, როცა ქუთაისი რიონის სადგურამდე გაფართოვდება და გაიშლება. ამის თავდებია ქუთაისში გაჩაღებული მშენებლობა და უშინარეს რიონპესის აგება.

მაიმედებს ინჯენერი.

— იქნებ ამიტომ შეაჩერეს მთავარი ხაზის ქუთაისში გადატანის და რიონის სადგურის მოშლის გეგმის განხილვა!

— შეიძლება და კარგათაც ქნეს. როგორც გითხარი, რიონის სადგური მალე ქუთაისის სადგურათ იქცევა.

ჩვენი ყურადღება გლეხების საუბარმა მიიბურო.

სვირელი, სიპონეთელი და რიონელი გლეხები გაცხარებით ლაპარაკობდენ კოლექტივიზაციის შესახებ.

განსაკუთრებით კოლექტივებს თავგამოდებით იცავდა ერთი სეირელი ახალგაზრდა გლეხი.

ზოგი აზრს უდასტურებდა, ზოგი ორაზროვანათ აქნევდა თავს.

ლაპარაკში ჩავერიე. სვირელს მხარი დაუჭირე.

— რა ვიცი ჩემო კეთილო, ჩვენ სხვანაირათ გვეუბნებიან. მასე თუ იქნება კაი დაგემართოს. ჩვენც მაი გვინდა.

მეუბნება შუახნის სიმონეთელი გლეხი.

— კაია აბა რა, მთავრობას უნდა ხალხმა უკეთ იცხოვროს და მიტომ აარსებს ამ კოლექტივებს.

არ ცხრება ჩემგნით გამხნევებული სვირელი.

— შეც ქე ვატყობ, რაცხა სახეირო უნდა იყოს, მარა აფრიკული ტის გაბიაბურება არაა კარგი, არც ქალების და ბავშების შეძლებას შესაბამის ბომბონს. ურჯვლოები ხომ არა ვართ შე კაცო!

ამბობს რიონელი მოხუცი, რომელსაც ყალიონის ბოლისაგან თეთრი ულვაშები შეოქროვილი აქვს.

— რომელმა სულელმა გითხრა ასე იქნებაო, ა? ეგი ჭორია ბიძია, კულაკების მოგონილია, კულაკების.

ცხარობს სვირელი და შეც კვერს ვურტყამ. შემდეგ დაბეჯითებით ვუხსნი მათ,— მღვდლების სიყალბეს და იმას თუ როგორ უნდა მოწყოს კოლექტივები, საერთო ზრომა და რატომია კარგი კოლექტივი.

— ჰო, ჰო, ასე იქნება მაშ!

გაიძახის სვირელი.

რიონელი გლეხი მაინც ვერ დაეარწმუნეთ:

— ამ ქალებს და ბავშებს თუგინდ არ გაგვიხდიან სასოფლოთ, ვთქვათ მღვდლებიც სტუიან, მარა ზოგან, რომა ამ ქათმების და გოჭების დაკვლა აკრძალეს, ეს რაღას მოასწავებს, ა? კოლექტივებში მარტო ლობიო უნდა ვჭიროთ?

— მართლა, ეს კი არა, კვერცხი რაა, კვერცხის შენს ნებაზე მოხმარის ნებას იღარ იძლევიან თურმე. არც გაყიდვა შეიძლება, რომა კაცმა სამაგიეროთ ნაეთი იყიდო, აბა!

· ამბობს ვიღაც ფეხზე მდგომი გლეხი.

— არ ვიცი... ჩვენს სოფელში ჯერ ასეთი არაფერი მომხდარა...

რაღაც შემქრთალი ხმით წარმოსთქვა სვირელმა.

— ორი დღის წინათ ქუთაისში გახლდით. სადგურზე ერთ ქალს ასი კვერცხი ჩამოართვეს. ჩემი თვალით რო არ მენახა, არ დაეიჯერებდი.

ასაბუთებს ნათქვამს უცნობი.

სვირელი აწირიალდა:

— არ იქნება მართალი.

— მართალს მოგახსნებთ სეინდისი ნუ შემირცხვება!

ამ ღაპარაკით გამოვცილდით სალორიის სააგადმყოფოს და შეიქმნა ფუსფუსი: მგზავრები მოეშვადენ გადასასვლელად.

სვირელი გლეხი გასაწყლებულათ, ჩუმათ მეუბნება:

— ცოტა სათხოვარი მაქვს, ნუ დამძრახავთ. მიკირს და მიტომ, ერთი კალათი კვერცხი მომაქვს თან და თუ მართლა წართმევა დაშიპირეს, დამეხმარეთ.

უყოფინოთ შევპირდით. თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ მას  
კვერცხებს არაფერი საფრთხე მოელოდა. კალათი გოლორის კულტურა  
აღმოჩნდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, აღმაცერათაც არავის შეუძლებელება  
დავს სვირელისათვის.

### შუა და...

ბურუსიანი დილაა. ცივა.

მიწა მშრალია.

ჩემი მომცრო ჩემოდანით გაუდექი გზას სახლისაკენ.

გზადა-გზა ვათვალიერებ შენობებს, ქუჩებს, შემხვდურებს.

ქუჩები დაკბეჩილია, ქვაფენილები ჩამტერეული. სახლები და-  
შევაზეა, ლობები მორღვეული.

ეტყობა, ქუთაისის კომუნალური განყოფილება არაფერში  
ჰგავს თბილისისას.

ერთი ლირსება შევამჩნიდ მხოლოდ:

მიუხედავათ იმისა, რომ აქ უფრო ძლიერი ქარი იცის, მტვე-  
რი არ ადგება. ამ მხრივ მართლა შეუძლია დაიკვეხოს ქუთაისის  
აღმასკომა. თუმცა ეს მის უნარს კი არ უნდა მიეწეროს, არამედ...  
თვით ბუნებას:

ქუთაისის ქუჩების ზედაპირი შეკრულია შარშანდელი და ახლად  
ამოჭრილი ბალახებით.

თუ ასეთ დღეშია მთავარი ქუჩებიც!... ალბათ არ იქნება, ეს  
ქუჩა ქალაქის გარე უბანშია და მიტომაა უყურადღებოთ. ასეთი  
მოუვლელი ქუჩები თბილისშიც ხომ ბევრია.

ფეხს აფუჩქარე,

ეზოში შესვლისთანავე დავინახე დედა, რომელიც ძროხის წვი-  
ლიდა, ხოლო მამაჩემი იქვე შეშის აპობდა.

გაოცებულ და სიხარულით აფრენილ მოხუცებს ვეხვივი, ვე-  
სალმები.

მოკითხეისა და ცოტა საუბრის შემდეგ დედამ დაწოლა მირ-  
ჩია.

ჩემი ცოდვა მიეცა იმ ვექილს, მთელი ლამე საშველი რომ არ  
დამაცენა. ის რომ არა, იქნება ასე არ დავილლებოდი. შეიძლება მა-  
ტარებელში დაძინებაც მომენტებია და ამ მოხუცებულებს ასე მა-  
ლე არ დავანებებდი თავს.

... დიდანს მაინც არ მძინებია.

დედამ ცხელი რჩე მომიტანა და ტკბილად მითხრა:

— დალიე შვილო, მოგიხდება ნამგზავრზე, მთელი ქვაბი მო-  
გიღუდე.



— ამდენ რაჯეს რა დამალევინებს დედი!

— დალიე გენაცვალე, დალიე, წამალი ღმერომა ნუ დაგაჭირ-  
ეოს, თვარა შეიძლება აწი სამისოთაც ველარ გიშოვო, ისეა საქმე.

— როგორ, ძროხას ყიდით თუ!

— ვინ გაგვაყიდვინებს. გვარომევენ შვილო, გვარომევენ.

— რატომ!

— კოლიახეტია, თუ რაცხა ეშმაკი, იმას მიყავს.

— ჰომ, ტყუილა შეგშინებია დედი. ერთ ძროხას ვინ წაგარო-  
მევთ.

— უშობელია კიდო მაკეთ, გვეგონა ცოტა სულს მოვითქვაძ-  
დით და...

ცრემლები მოერია.

დიდხანს ვარწმუნე, რომ ძროხებს არაეინ წაართმევდათ, და  
თუ მერძევეთა არტელი დაარსდებოდა, ეს უკეთესიც იქნებოდა მათ-  
თვის.

— შენ უფრო გეცოდინება. ნეტავი მასე იქნებოდეს.

იმედით წარმოსთვეა და წელგამართული გავიდა გარეთ.

მე ქალაქში გაეცემურე.

შეიანი დღე დადგა.

ქუჩები ხეირიან მდგომარეობაშია მხოლოდ ქალაქის ბალის ახ-  
ლო-მახლო.

სახლებს კი არსად ეტყობა მშრუნველობა.

ბალის კიდეზე ცოტა ხალხი.

წინათ, მხეხე გაფიცხებულებს გვერდს ვერ აუვლიდა კაცი.

ხანდახან ავტომობილი გაიქროლებს ადრე მოფრენილ მერცხა-  
ლივით.

მეტლებს ოთხი თვალი გამოუსხამთ, მაგრამ ვისა აქვს ზედ-  
მეტი ან საჩიარო საქმე.

მივდივარ კოლექტივიზაციისა და თესვის ჩამტარებელ შტაბში,

აქ კი მართლა სიცოცხლეა. ხალისი და ენერგია.

აქედან მიეკურები ქუთათურ 5 დღიან გაზეთის რედაქციაში. გაზეთს ჰქვია — „ლენინის გზით“.

საკირველია, რატომ არ მომწყინდა ეს გაზეთი და რედაქცია, მაგრამ რედაქციის იქვს ისეთი ჯადო, რომლისგანაც იშვიათად და-  
იღწევ თავს. ცოცხალი საქმეა, და გამრჯვე კაცისათვის შრომის სიყვა-  
რული ჯადოზე უფრო ძალოვანია.

რედაქციის ბინიდან მოსჩანს რამდენიმე ხნის წინათ გნლაფ  
აგებული, მაგრამ დამთავრებისთანავე დანგრეული შენობა, რისტატული  
საც 4—5 კიცი დაღუპულა.

როგორც გაღმომცეს, ინუენერი, რომელმაც ტეხნიკისის აზ-  
რის წინააღმდეგ შენობა მკვიდრათ ნაშენად სცნო, თავისუფლად  
სეირნობს, ხოლო „ფრთხილი“ ტეხნიკისი გამსახლში ზის.

აღბათ აქ „მეისრეს“ ამბავი უნდა იყოს, მაგრამ შები ხალათ-  
ში არ დაიმალება... საქმე სასამართლოს ხელშია და ყველის კუთხი-  
ლისამებრ მიერწყვის.

რედაქციაში შევიმუშავე მოგზაურობის გეზი.

ორ-სამ დღეს ქუთაისშივე დაერჩები.

ამ გადაწყვეტილებით ვგრუნდები.

მარჯანიშვილის თეატრის წინ მსახიობები ბაასობენ.

— ოო, რამდენი თაყვანისმცემელი ყავს ეხლა ყველა მათგასს  
ახალგაზრდობაში!

კარგია ბავშობა, განსაკუთრებით ქუთაისში.

ქუთაისის თეატრი ყოველთვის ბავშვური გრძობების აკვანი  
იყო.

ახალი განცდების და სურვილების კერა.

ბევრი კარგი მახსოვეს ამ თეატრით და მისი მეოხებით.

მსახიობებთან შეხვედრისას, ჩემი ყურადღება თეატრის კარებ-  
თან მზეში გაყურსულმა მოხუცმა. მიიპყრო.

— ეს ხომ შეხაა.

ვიმბობ ხმამაღლა და მივდივარ მასთან.

შეხა გახარებულია ამაგის არ დაეიწყებისათვის.

ამაგი კი მას ჩემშე დიდი აქეს:

12-13 წლის ბავშვი რამდენჯერ შეუშვივარ ქანდარაზე უბი-  
ლეთოდ.

შეხა და მისი ტყუპი არტემია, ფერაძის სტამბაში გავიცანი,  
საღაც ასოთ-ამწყობობას ესწავლობდი.

ორთავეს, ახლად დაბეჭდილ აფიშებს გულდაგულ ვუთვლიდა:  
ზოგს დასარიგებლად, ზოგს გისაკრავად.

შეხა ეხლა ცალათაა დარჩენილი.

დიდიბნის ფონიალი აღარც მას დარჩენია.

შეხა შეტისშეტად მადლიერია ამხ. შალვა ელიაშვილი, რომელიც  
ბავშობის დროს არა ერთხელ შეუპარებია თეატრში შეხას.

შეხა აღტაცებული მიყვება, თუ როგორი ალერსით მიიღო შ.  
ელიაშვილის თბილისში ჩასული და როგორ ჩაუდეა ხელში „სამგზავრო  
გროშები“.

იცოცხლე. იცოცხლე შეხა. შენი ამაგი არც ისე პატარაა, რომ  
ვინმემ დაგივიწყოს.

შეხას ნახეთ გაბავშებული რალაც მჩატეთ მივაბიჯებ; შეგრჩაშ  
უეცრათ ვლონდები და სუნთქვა-შეკრული შევდივარ „მთავარ ანგე-  
ლოსის“ ეზოში.

ამ ეზოში ჩემი ყრმობის საუკეთესო მეგობარის სამარხია.

აქა შალვა კარმელის საფლავი—გაუხარელი ბავშის და პოე-  
ტის სამუდამო ბინა.

— ძმაო შალვა. ძმაო შალვა!

ვლულლუდებ და ცრემლები მახრჩობენ.

მოულოდნელად მავრნდება მისი ლექსიდან:

„დღეს თითქო ჩემთვის ქუთაისი მკვდარი ბრიუგეა“.. და ვტო-  
ვებ ძვირფას სამარეს.

...პარასკევია, მაგრამ ყაფანზე ცოტაა ხალხი და მიკირს. თურმე  
ხალხი მწვანე ბაზარში უნდა ნახო: ამ აღილს ეხლა არავინ  
ეტანება.

მწვანე ბაზარი მშევნივრათ მოუწყებათ, ისე კარგათ, რომ თბი-  
ლისსაც შეშურდებოდა.

ყაფნის ახლო ვილაც მოხუცი პაპიროსებს ჰყიდის: მისი სახე  
სადღაც მინახავს. მეცნაურება. ვერ ვიგონებ, გვერდი გაუარე, ისევ  
ვბრუნდები. საშინლად მწალია გავიგო ვინაა ეს მეპაპიროსე. ვიღა-  
ცას ჰეგავს, მაგრამ ვის?...

წინ ნაცნობი მასწავლებელი შემეყარა.

სალამიც არ დავაცალე, ისე ვეეთხები:

— ის მეპაპიროსე კაცი, ვინაა თუ იცი?

გაიცინა.

— ვინა! ძაან გაინტერესებს? წამოდი, გაგაცნობ!

მიკვეები.

— კა...რა...პეტ! ერთი „რიონპესი“ მომეცი?

ის უხმოთ ასრულებს მყიდველის სურვილს.

— როგორ, ეს პოლიციმებისტერი ტერ-ანტონოვია?

თითქმის შევყვირე გამობრუნებულ მასწავლებელს.

— სწორედ ისაა!

— მაშ, ეს ის კარაპეტია, ის, რომელმაც კიტრებით მოვაჭრე  
10 წლის ბავშვს, სწორედ ამ ალაგის, ხმლის ქარქაშით თავი გა-  
მიტეხა?

ჩემთვის ვლაპარაკობ და მაშინდელ ტკივილებს ვგრძნობ, თი-  
თქოს სახეზე სისხლიც ჩამომდის.



— რას ამბობ!

მექითხება გაოცემული შასწავლებელი.

გამოვერკვიე. მივხდი რომ ავლელვებულვარ და უხერხტლიშვილი ვიგრძენი.

— რისთვის გაგიტეხა თავი, ა, რას გერჩოდა?

— ჩემი კიტრებიანი კალათი გამოედო მის შუნდირს და... ორთავეს ხმამალლა გავვეცინა.

— ჩემო რაედნ, მაგან ბევრს თავი ოხრათ დაატოვებინა, ბევრის დედა აატირა უბრალოთ, ბევრი დააობლა. შენ ილბლათ გადარჩენილხარ. საკვირველი ისაა, თუ ვინ მისუა ვაჭრობის ნება ამ ძალლს, როცა მრავალ პატიოსან მოხუცს უჭირს... მცონია პენსიაც უნდა ჰქონდეს.

მეუბნება შასწავლებელი და თან მემშვიდობება.

— ეგ შეუძლებელია!

გავიოცე მე, მაგრამ მაშინვე გამახსენდა ჩვენი სოცუბრუნველყოფის დაწესებულებების „მზრუნველობის“ ამგვარი მრავალი შემთხვევა და გავჩუმდი.

შინ მიმავალმა უნებლიერ ერთმანეთს შევადარე:

— შუხა და... კარაპეტა.

## ახალი ძალაინი

არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ახლად ჩასულს მომეჩენა.

საჭიროა გაცილდე ბალის არებარეს, რომ იგრძნო გარდაქმნის გზაზე დამდგარი ქუთაისი.

„სავარდო და სამაისო“, ვაჭრების, წერილი მოხელეების, უქნარა თავად აზნაურების და „ორი ქოთანი“-ს ქალაქი, უკვე ინდუსტრიის ცენტრით ფეხქევს:

მაუდის ფაბრიკა.

ბარიტის წისქვილი.

აბრეშუმის ფაბრიკა და საგრენაურ სადგურები.

ხე-ტყის ქარხნები და სხვ.

აძლიერებენ იმ დიად მუშაობისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას, რომელიც სწარმოებს რიონქესის ასაგებად.

რიონქესი არა შარტო ქუთაისს გააცილებს, არამედ ის მთელ დასავლეთ საქართველოს შეუცვლის იერს.

მისი აშენება დაიწყო წელიწადნახევრის წინათ.

ამ უამად დამთავრებულია ყველა წინასწარი სამუშაო.

მუშაობის უმთავრესი ნაწილი მექანიკურად სრულდება, ნამეცია-  
ლურ მანქანების საშუალებით.

საგუბარი სანახევროთ მოწყობილია.



საგუბარი  
საგუბარი

მწვანე ყვავილიდან პირველი გვირაბის გაყვანა 560 მეტრის  
მანძილზე დამთავრებულია და ბეტონით არის გამაგრებული.

მეორე გვირაბის გათხრა ნანაბრებიდან, ახლო ხანში დამთავრ-  
დება.

დაწყებულია საგერენატორო სადგურისათვის ხელოვნური ტბის  
სამუშევრები.

24 საათის განმავლობაში მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინა-  
რეობს.

მალე დაუდეგარი რიონი მოემწყვდევა გიგანტიურ სოროში და  
იმერ-ამერთა შეერთებული ძალა: რიონჭეს-ზაქესის შუქი მოფინება  
მთელ საქართველოს, როგორც ჩაუქრობელი ცისარტყელა ქართველი  
შრომელი ხალხის ახალი გამარჯვებისა და წინსვლის ნიშათ.

დღეანდელ ქუთაისის ცხოვრებაში სხვა ღირშესანიშნავ მოვ-  
ლენებსაც აქვს ადგილი:

გაყავთ წყალსადენი.

კანალიზაცია.

აქა-იქ ახალი სახლებიცაა აგებული.

იქვე უნდა ალინიშნოს ერთი გარემოება:

ყველაფერი ეს კეთდება ცენტრიდან, რესპუბლიკანური თან-  
ხებით.

თვით აღმასკომი ნაკლებ თაოსნობას იჩენს:

ადგილობრივი შესაძლებლობანი და სახსრები არაა დაგროვი-  
ლი, გამოყენებული, რაც ეტყობა ქუჩებს, ადრე აშენებულ სახლებს,  
ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს.

აღმასკომის მუშაქებს უფრო ნატერა და ნაირი სურვილების  
გამოთქმა ეხერხებად.

მაგალითად აქვთ სურვილი იმ გორაზე, სადაც ბაგრატის  
ტაძრის ნანგრევებია, მოწყოს ფუნიკულიორი...

ცუდი არ იქნება.

მაგრამ მანამდე?

### თამაში რევოლუცია.

ერთი კვირაა დავდივარ სოფელ-სოფელ და ერწმუნდები, რომ  
ნამდვილი რევოლუცია სოფლად ეხლა ხდება.

კოლექტივიზაცია არა მარტო სასოფლო მეურნეობის რევო-  
სტრუქციის ფუძეს წარმოადგენს, არამედ ის საგრძნობლად ცვლის

ძეველ, მამაპაპურ, დახავსებულ ყოფას და იღათს, რომლებსაც  ჩაკეტილი ჰყავდა ნაჭუჭში ჩვენი გლეხი.

წერილმესაუთრეობის ფსიქოლოგია,—ეს არტახები იყენებული შითად სოფლის დამჩაჩანაკებელი, გლეხობის დამქსასავი და კულტურის გზების დამზობი.

ეს არტახები ეხლა დაწყვეტილია.

სოფლის მდორე ცხოვრება ამოვარდნილია კალაპოტიდან.

თვით გლეხობაში, ხშირად მათ შეუცნობლად, ამისათვის დიდი ხანია მზადდებოდა ნიადაგი, რაც დაამტებიცა იმან, რომ მთელ რიგ რაიონებში კოლექტივიზაციამ სტიქიური ხასიათი მიიღო.

უღარიბეს გლეხების და მოჯამაგირების აქტივობამ დასძლია ყოველგვარი დაბრკოლება და გასტეხა კულაკობის წინააღმდეგობა.

მაგრამ, სამწუხაროდ ამ სტიქიას ბევრ ალაგას ჩამორჩენ, ან თვალდახუჭული აყენ ისინი, რომელიც სათავეში უნდა ჩასდგომოდენ კოლექტივიზაციის საქმეს, ზოგი მათგანი მოუმზადებელი შეხვდა ამ დიდ მოძრაობას, ზოგმა ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი, ზოგს კლასიური ინსტიქტი ჩლუნგი აღმოაჩნდა და ზოგმა კიდევ, ნებსით თუ უნებლიერ, თავის „უფლებებს“ გადააჭარბა.

ბევრგან ამას ზედ ერთვოდა:

ყოყოჩობა, მოქომანე გლეხებისადმი უდიერი მოპყრობა, მუქარა, მიკერძოება, მრავალი დაპირება და გლეხების პრაქტიკულ კითხვებზე გაურკვეველი, ბუნდოვანი განმარტებანი. ყველა ეს ნაკლირა თქმა უნდა თავის გავლენას ახდენდა საერთო ენტუზიაზმზე და აბახებდა კოლექტივიზაციის იდეიის.

ადგილი ქონდა დანაშაულებრივ მოქმედებასაც:

ერთ სოფელში კოლექტივიზატორებმა თავი მოუყარეს მუშა-საქონელს და დაამტევდის სახელდახელოდ გაკეთებულ ქართაში. სამი დღე-ღამე სუსხიან ამინდში, ცის-ქვეშ, უჭმელ-უსმელი ეყარა ხარ-კამერჩი, რომლებმაც რქენის დროს ერთმანეთს აქები დაალე-წეს. მოუვლელობისაგან რამდენიმე სული კიდეც დაიღუპა.

მეორე სოფელში, იმის მაგიერ რომ სათესლე სიმინდი შეეგროვებიათ ტაროებათ, რაც სავალდებულოა, მოკრიბეს დაფშენილი სიმინდი და შეინახეს უვარგის ბინაში, რის გამო თესლი სანახევროდ გაფუჭდა.

ეს და მსგავსი შემთხვევები გლეხებს გულს უტეხავდა, ხოლო კოლექტივების მტრებს და კულაკებს საბაბს აძლევდა წყალი აემლოვრიათ.



განსაკუთრებით გლეხებს აღელვებთ მოარული ჭორუქოსაჲთა უოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხების გაშუქებაში ზოგიერთების წინდაუხედაობა.

— არა, ჩემო ბიძია, ერთად შრომა კიდევ მესმის, მარა ერთად ცხოვრება რაღაცა ყუათში არ მომდის.

მეუბნება ოქრიბელი მოხუცი.

— გუშინ ერთმა ლლაპმა გვიქადაგა რომაო მთელი სოფლის ბავშებით ბაგაში უნდა მოვათავსოთო, გაეონილა უმაწვილო ასეთი ამბავი? ბავშვები, რავა, ხბოები არიან თუ? ხეირიანი ოჯახის პატრონი ზამთრობით ხხოსაც არ დატოვებს ძროხასთან, თვარა ბავშს რავა დაამწყედეს კაცი ბაგაში?

გამოირკეა, რომ საბავშო ბაგა არც კრებაზე დამსწრე სცოდნია და არც იმ „მოქადაგეს“.

იგივე მოხუცი გამომშვიდობებისას მელაპარაკება:

— აგაშენა ღმერთმა კაი სიტყვა-პასუხისათვის. ქე არ დავამშვიდებ ჩემ რძალს? გუშინს აქეთ გადარეულია საწყალი.

საქარაში ვარ.

— ვენაცვალე ამ მთავრობას, იმის ჯავრი ქე მაინც ამომაყრევინა.

მეუბნება ერთი საქარელი და ხელს იშვერს გაღმისაკენ.

შემდეგ უმატებს:

— ეგერ სერზე რომ ახალი სახლია, მისი პატრონი წინეთ ბოსელში ცხოვრობდა, ზარმაცი იყო და მიტო, როცა ჩვენ გაგანია სიცხეში ყანებში და ვენახებში ვტრიალობდით ქალ-ბავშვებიანათ, ის საქეიფოდ იყო საღმე, ან ჩრდილში კილოოზე იწვა და სითაც ჩრდილი წავიდოდა, კილოფიანათ იქით გაჩინდებოდა. მიწა სხეაზე ნაკლები არ ქონდა, მარა მის ბალლებს ცივი ჭადი ენატრებოდათ. ეხლა კი, ხომ ხედავ რავარი ოდა წამოჭიმა.

— ამამად შეძენილი ქონდა და არც შეჩჩა.

წილაპარაკა მეორებმ.

— გუშინ წინ რომ გენახა, განაგრძო ისევ პირველმა, მისი მამულის მესერს ჩიტი ვერ გადააფრინდებოდა, შარა როგორც კი კოლექტივი დავაარსეთ, სულ ძირს დავაფინეთ. ორასი თუმანი დოუჭდა ის ღობე. გაქნილი კაცია და შეილის წყალობით მევახშეობას მიყო ხელი. სახლიც და მესერიც სარგებელში აღემული ფულით გააკეთა. მთავრობისაგან ღარიბებისათვის დასახმარებლად გამოვჭავინ-

ლი ფულებიც თუ სხვა რამე, პირველ რიგში ყველაზე მეტი მიქონდა. შეილი კომუნისტი ყავს, მარა პარტიიდან მეონეგრძელებული მთაბუზურეს. აწი მოდგენ და იტლიკაონ ორივე მამაშვილმარცვალთან

— იმისანა უსინდისოს აბა ვინ გააჩერებდა პარტიაში. შეპარული იყო ბატონი!

წარმოსოქვა ვიღლაცამ.

— კოლექტივის დაარსებამდე დადიოდა და ხალხს აგონებდა კოლექტივი არ ვარგაო. ეხლა ქეც იხვეწება მარა ვერ მივართოთ.

— შენ ნახავ თუ კოლექტივში არ შემოძრეს და უფროსობაც არ დაგვიწყოს. ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ასე იქნება. შენ მოუარი იმას თავს?

— ხო არ ვადირიყ, იმასთან თოხს რავა დავაკარებ მიწას, ჩალით კი არა მართლა ქვეყანა დახურული!

გოდოვნელი გლეხი თხოვა-გათხოვებაზე ჩივის:

— როგორც კრებაზე მითხრეს, მწერალი ბრძანებულხართ და მინდა ერთი სიტყვა მოვახსენოთ, მაგრამ კოლექტივის მტრობაში არ ჩამომართეა ბიძია. იქნება მთავრობის გასავონათ დაწერო ჩვენი გულის ტკივილი და მიტო გიბედავ ლაპარაკს.

მეუბნება და თვალებში მიცერის.

— ჰო, ის მინდოდა მეთქვა, დაიწყო და თან ყალიონი გაიწყო, კოლექტივის წინააღმდეგ ვინ სულელი დასველებს ენას. ერთად გარჯა უფრო ბარაქიანი როა, ეს ადრეც ვიცოდით და მიტო ვიწევდით ნადს. თუ ეს დაკანონდება, მაგას რაღა აჯობებს... საქმე ოჯახების გერთიანებაა ჩემო კეთილი? ამდენი ხალხი რაფერ უნდა შეათვისონ ურთიერთს, როცა ორ ძმას ვერ გაუძლია ერთად, ან ვინ აგვიშენებს იმხელა სახლს, ა? თუ გინდა მოხდა სასწაული და აგვიგეს დიდი ოდაც... ცოლქმრობა აღარ უნდა იყოს? არც მამაშვილობა? გუშინ ქუთის გახლდით და ჩემმა კურსებელმა ნათლიმამამ მითხრა: აწიო ცოლქმრობა აღარ იქნებაო, ვისაც ვისთან მოესურვებაო მასთან იცხოვებასო, მერე თუ მოწყინდებაო, ქე წავაო! რას გავს ეს, თავი ნუ მოგიკვდება ამიხსენი.

აუხსენი. მაგრამ მაინც ვერ დავაჯერე მისი ნათლიმამის ნათქვა-მის უსაფუძღლობაში.

— თუ არ გეჩეარება, კიდო მოვახსენებ რამდენიმე სიტყვას.

მითხრა და განაგრძო:

— კეთილი, ლორი ხო იცი რა ცხოველია, ისე გეკითხები თვარა რავა არ გეცოდინება, აი ღორს მიტო ადგია ულელი რო არ გაწუწედეს. ჩვენი ულელი ღმერთი და ნამუსი იყო. ღმერთი აღარააო

და ჩევნმა თავმჯდომარემ ეკლესია დაგვინგრია. დაგვრჩა ცარისოლი  
ნაშესი. შაგრამ ეს ნამუსიც რო გაქრა? რატო გაქრა ახლა არ ეჭყუჩულება  
მიტო რო ხალხი თავის ნებაზეა მიშვებული. შენსავით განატლუმუსოყვა  
ლი თუ ფიორთ, მაშეინ აქანე ჩამოსელაც არ დაგჭირდებოდა. ჩევნ  
ყრუ ხალხი ვართ, გონება გაუსწოლი და კანონი გვჭირდება. კანონი  
უნდა იყოს აწი ჩევნი ღმერთი.

ჩემმა მოსაუბრემ შეისვენა.

გარეთ შეგვცივდა და სკოლაში შევედით. სხვა გლეხებიც შე-  
მოგვყვენ.

— თავი კი მოგაწყინე, მარა მამაშვილობას ბოლომდე მათქ-  
მევიე...

ეტყობოდა რაღაც გულს სწვავდა.

— ამგენთან რა მაქ საჩუმაოო, ყველა ჩემი კეთილებია და უნ-  
და აშეარათ გავიტყდე, რო სწორედ დიდი უკანონობაა ახლა, თუ  
გინდა დამიკირე ამ სიტყვიზა... რო კანონი იყოს ასე არ გამიშწარ-  
დებოდა მოხუცებულობა. ახლა რამ ჩამიშხამა სიბერე არ მკითხავ?  
აი რამ ჩემო ბიძია...

მოხუცს სახე გაუფითრდა და აკანკალებული ხელით ყალიონი  
ჭალამნის წევრზე დაიბერტყა.

— ერთი გოგო მყავდა, ჩემს ბარობაზე მეტი არაფერი გამაჩნ-  
და, იმის უნდა დაეხუჭა ეს ჩემი დასატები თვალები, მარა ამ  
უკანონობამ ისე შემიტრიალა საქმე, რო მე კიდო დავცოდვილობ,  
ის კი...

გარს შემოხვეულ გლეხებს თვალებში ცრემლები აუკამდათ.  
მეც უსიამო ურუანტელმა დამიარა. ყველა განაბული უსმენდით მო-  
ხუცს.

— ეს გუგულივით ბავში გადამიბირა ვიღაცა გადმოთრეულშა  
ბიჭმა და მეც გავბრიყვედი. მივათხვევ. 300 მანეთი ნაგალები ფული  
ჩაუთვალე იმ ჩემი ცოდვით საესეს. სხვაც თუ რამე მოგვეძეოდა  
ყველაფერი მისთვის გვინდოდა. არაფერს ვაკლებდით, თვალებში  
შევცეროდით. ჩემი დედაკაცი ყოველდღი ხაჭაპურებს უცხობდა და  
რითი ესიამონებია, სულ იმის ცდაში იყო, მარა ყველაფერი წყალში  
ჩაგვიყარა... 3 თვეს ფეხი არსად გოულგამს. მერე ქუთხისში მივალო  
და წავიდა, წავიდა და დაიკარგა. იქეთ ვეცი, იქით ვეცი, მარა ვერ-  
სად მივაკვლიე. ამის მერე, ასე ორი თვე თუ იქნებოდა გასული,  
მოგვივიდა ხელის გულის ტოლა ნაგლეჯი ქალალდი, მარა შენის კარგა  
ყოფნით, ნეტაი არ მეჩენებია იმ საწყლისათვის. რავაც წეიკითხა,  
ერთი იყივლა და ხესავით წეიქცა ეს მოწიფული ქალი... შენთან

ცხოვრება ალარ მსურსო, დამივიწყეო... ასე იწერებოდა, რამას გული  
ჩინოს ღმერთმა საწერელი... ჩეენც ბევრი ვივავლახეთ. ქუთაისშიაც  
კი განვაცხადე, მარა ყურადღება არავინ მომაქცია. გოგოაზარაფშია  
რაში შემოვგადნა ხელში. მერე იმ საცოდაემა ველარ გაუძლო ცალკე  
ჯავრს, ცალკე სირცევილს და... თავი ჩამეიხრჩო.

მოხუცი სულ დაილია. ჩაბალახის ტოტით თვალები ამოიმშრა-  
ლა და უსასოოთ დაუმატა:

— თურმე ეს პირველი არ იყო მისგან. ხელობათ ქონია გა-  
დაქცეული ქალების მიტოვება. ჩემი გოგო მეხუთე ცოლი გამოდგა...  
ასე დავიღუბე და წავხდი... ესაა კანონი? ეჭ!

ამოიხენება და დადუმდა.

— გართალს უნდობს, ჩემი საწყალი ქვისლი, მართალს.

დაიწყო ცოტა სიჩუმის შემდეგ უფრო მოხნევებულმა, მაგრამ  
ჯან შენახულმა გლეხმა.

— ამ თხოვა-გათხოვების საქმეში დიდ უკანონობას აქვს ალაგი.  
კანონი ქე აქვს მთავრობას, მარა ეს კანონი ჩენისანა რეგვენ ხალხს  
უფრო ატუტუცებს, რყენის. ეს რომ ასეა, მარგალიტათ მოგახსენებ  
კახეთში მომხდარ ერთ ამბავს: თურმე ბიძაშეილმა თავის ლვიძლი  
ბიძაშეილი შეირთო, კანონმა კი არ დაუშალა.

— რას ამბობ, ეგ როგორ შეიძლება!

გაიკვირვა ვიღაცამ.

— რა გეშმის ჩემთ ბიძია, ტყუილს რეიზა ვეტყვი. მართლა  
ისე კი არაა საქმე, ცოტა რაცხა მეც ქე გამეგება, ი „სოფლის გაზე-  
თი“ რო მომდის, რავა შენ გვონია არ ვკითხულობ? სწორედ შარ-  
შან ამ გაზეთში ჩეგდო ვიღაცას, რო ბიძაშეილს ბიძაშეილი შეირთო.

— ეს ისე ყოფილა, ახლა ჩემი შეილების დათიყოს და პაკლიების  
შეილებმა, ანუ ჩემმა შეილიშვილებმა ერთმანეთი შეირთონ. მართლა  
რო ჭკუა გადაუბრუნდეთ და ასე მოიქცენ, ხო მოვკალი ჩემივე ხელით  
ორთავე, ა! ღმერთო შენ ნუ გადამრევ, რას ვყურობ ამას, რას  
შევესწარი!

ჩამოართვა სიტყვა წინა მოსაუბრეს გააღმასებულმა მოხუცმა.

— ეს ამბავი რავარც კი წავიკითხე, მაშინვე დავწვი გაზეთი,  
დღემდე არ გამიმხელია, ხილხი გაირყენებათქმა, მარა ახლა თავი  
ველარ შევიყავე. ეს დანაშაულია და დამნაშავეებს კანონი უნდა  
სჯიდეს.

მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყველაფერის დაბეჭდიდა არ  
შეიძლება გაზეთში.

როგორც იქნა დაესაშოშმინე ამ ამბით აღშფოთებული გლეხები  
დოდხანს ვესაუბრე, ვილაპირაკეთ, მკითხეს, გკითხე და მეგობრულებად და შორის გლეხები  
და შორის გლეხები ერთმანეთს,

წამოსვლისას ერთმა გლეხმა მითხრა:

— შენ გადლეგრძელა ლმერთმა, პირდაპირ თვალი ამეხილა.  
კარგახანია ასე გულლიათ არც არაუერი გამიგონია, და არც რაიმე  
მითქვამს.

— მთავრობას ჩვენი გლახა რავა უნდა, მარა როცა არ იცი,  
კარგიც ცუდათ მოგეჩენება კაცს. ჩვენ ბეცები ვართ ჩემო ბიძიკო  
და არავინაა ისეთი, თეთრი და შავი გაგვარჩევიოს.

— ის კი არა ჩემი კომსომოლა ბიჭი ისე გაუქმებარდა, რო მისი  
შიშით სახლში კრინტიც ვერ დამიძრავს.

ამ ლაპარაკით გლეხებმა კარგა დიდ მანძილზე გამომაცილეს.

თხოვება-გათხოვების საკითხი ყველგან აწუხებთ.

ხშირია გაყრის შემთხვევები.

ახლად გათხოვილი ქალები, ქმრებისაგან მიტოვების შიშით  
შუცელს იძლიან.

ბევრი კვდება. ბევრი სამუდამოთ სწეულდება, მაგრამ ექიმბა-  
ჟებს მაინც მიმართავენ.

არ უნდათ შვილი.

ჩემის აზრით ამ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში, უნდა  
გამოვიყენოთ კოლექტივები.

მათი საშეალებით უნდა შევქმნათ და განვამტკიცოთ ახალი  
საზოგადოებრივი მორალი სოფულად.

### ჩ ხ ა რ უ ლ ი

გლეხები უმთავრესად მთავრობას აფასებენ ადგილობრივ ზე-  
ლისუფლების წარმომადგენელთა მოქმედების მიხედვით.

ამიტომ გასაგებია საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის ლო-  
ნისძიებები თვითკრიტიკის გასაშლელათ. შხოლოთ თვითკრიტიკით  
თუ შეიძლება იმ გახრწილ ელემენტების მხილება, რომლებიც ფარ-  
თოთ არიან მოქალათებულნი ზოგიერთ პროცენტის დაწესებუ-  
ლებებში.

პარტია და ხელისუფლება გააფთრებული იბრძეის ყველა იმათ  
წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხნ საბ-  
ჭოთა კანონიერებას. მაგრამ ზოგ ადვილას მაინც არაა საქმე გამოს-  
წორებული.

რომ ეს ასეა, საქმიანა სანიმუშოთ მოვიყეანოთ ჩხარის ამიტაკე.  
ის რასაც ჩხარის რაიონში ადგილი ჰქონდა, აქარბეგის, ფრანგის  
ჩადენილ ყოველ მსგავს პოროტმოქმედებას.

მე მხოლოდ მოვილედ მოვიყეან ამ აღმაშფოთებელ ისტორიას.

ჩხარის რაიონის მუხრის სასოფლო-საბჭოს მდივანი, ყოველი  
დიაკონი ვინმე ცქიფურიშვილი პირდაპირ აწამებდა მასწავლებელ  
ქალებს, რომელიც გაბეჭავდენ და უარს იტყოდენ მისი ცხოველური  
სურვილების დაკამაყოფილებაზე. ეს იყოდა იმავე საბჭოს თავმჯდო-  
მარებ, უჯრედის მდივანმა, იცოდა კომედიირის მდივანმა, შაგრამ  
ისინი არა თუ რაიმე ზომებს იღებდენ გახრწნილ მდივნის წინააღ-  
მდეგ, არამედ ხელს უშეყობდენ მასწავლებელ ქალების გაუპატიუ-  
რებაში.

ეს კიდევ ცოტაა.

ყოფილი დიაკონი თავის განზრახვების სისრულეში მოსაყვანად  
იშველიებდა რაიონმის მდივანს პაპოვსაც.

ასე და ამ რიგად ჩხარის მთელი რაიონის მასწავლებელი ქა-  
ლები დიდიხნის განმავლობაში იმყოფებოდენ აშკარა ტერორის  
ქვეშ.

პაპოვს რატომლაც თვალში არ მოუვიდა ზედა-საზანოს მასწავ-  
ლებელი ქალი და ის განინსპექტორს ზეიადაძეს აძლევს ბრძანებას,  
შოხსნას აღნიშნული მასწავლებელი სამსახურიდან.

— მიზეზი?

ეკითხება გაოცებული ინსპექტორი.

— გარყვნილი ქალია, აბორტებს იკვთებს.

იყო მოქლეთ პასუხი.

ქალი მართლაც წოლილა საავადმყოფოში, მაგრამ არა აბორ-  
ტისათვის. ქალმა პროფესორის ხელმოწერილი მოწმობაც კი წარ-  
მოადგინა საბუთად.

პაპოვს ეჭვი შეაქვს პროფესორის დიაგნოზი და ბრძანებას  
იმეორებს.

აკრეთვე, პაპოვმა განათლების განყოფილების ინსპექტორს  
მოსთხოვა სიქთარუის მასწავლებლის მოხსნა.

მაგრამ ზეიადაძე ურჩი გამოდგა.

პაპოვის ბრძანება არ შეასრულა.

— როგორ? შენ ბელავ ჩემს წინააღმდეგობას? განანებ თუ პა-  
პოვი ვყოფილებარ!

ექადნება გულში ზეიადაძეს.

მართლაც ქადილი მალე სისრულეში მოიყვანა:

ერთ პარასკევის, როცა, ხალხით გაჭედილია ჩხარის ბაზარი,  
პაპოვის „ქაცებს“ ზეიადაძე თითქმის ძალით შეყვათ სამიერიტნოში.  
კარგი მოკეთებივით მის ცხენს სამიერიტნოს წინ თვითონვე აბეჭდის გარეთ  
ზეიადაძეს სულ ორი ჭიქაც არ დაულევია, მასპინძლებს მაღ-  
ლობა გადაუხადა და ცხენი ახსნა.

წინასწარ განდობით, სანამდე ზეიადაძე სამიერიტნოზან გამო-  
ვადოდა, ვიღაცამ ცხენს მოსართავები მოუშეა და აბზინდები  
დაუხსნა.

როცა ზეიადაძემ უზანგში ფეხი შესდგა, ცხენს კუდის ძირში  
ჯობი ჰკრეს და ცხენი დაფრთხა.

ზეიადაძემ თავი ვეღარ შეიკავა და გაღმოვარდა.

„ლოთობისათვის“ ზეიადაძე სამსახურიდან მოხსნეს.

იმავე ჩხარის აღმასკომის საქმეთა შვართველად იმყოფებოდა  
მცულანგველი ვ. სიმონგვულოვი.

მაას მისს ეხლაც მშენებირი დუქანი აქვს თვით აღმასკომის  
წინ, მაგრამ წინეთ პატენტს არავინ თხოვდა, შვილის წყალობით  
ღარიბათაც ითვლებოდა და პურის წიგნას დახლში ინახავდა.

ყველაფერი ეს და კიდევ მრავალი უმსგავსობანი იქნა აღმოჩე-  
ნალი ჩხარის რაიონში.

ქუთაისის საოლქო პარტკომით სასწრაფო ზომები მიიღო საქმის  
გამოსარკვევად და დამნაშავენი უკვე ღირსეულათ არიან დასჯილნი.

დასასრულ უნდა ალენიშვილ შემდეგი:

ჩემს „ბრიგადელის დლიურში“ უური მეტად ლაპარაკია ნა-  
კლულოვანებებზე, მაგრამ ეს იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში მათ ად-  
გილი აღარ ექნეს.

და რომ მათ ადგილი აღარ ექნეს, ყოველი პატიოსანი მოქალა-  
ქას, მით უმეტეს საბჭოთა მწერლის ვალია, ფხიზლათ იდგეს მშრო-  
მელი ხალხის სადარაჯოზე და გაუადვილოს ხელისუფლებას, რო-  
გორც ამგვარ უმსგავსობებთან ბრძოლა, ისე ქვეყნის გარდაქმნისა-  
თვის წარმოებული მუშაობა.

## ბრიგადელს

От ударных бригад к ударным  
цехам и заводам.

წინად პოეტი უმღეროდა შენს უბედობას—  
ისროდა წყვეტას ნაპერწკლებად—თვალცრემლიანი;  
ხან ყალბი ლექსით გულში რგავდა უიმედობას—  
ვით „ბოქულაძის“ მომღერალი ორბელიანი.

წაეიდა ეგ დრო შენი სისხლით პირამდი საესე..  
ცეცხლმა ამოსწვა იმ დღეების ცრემლი ზლვაური.  
დაპყარ ჩაქუჩი, დაივიწყე უამთა სიბრაზე—  
ახალი ქვეყნის ხარ მჭედელი და მეთაური!

აგურს აგური.. დაამაგრე ბეტონზე რკინა  
რომ მიუმატო ფაბრიკების სართულს სართული.  
კედლებთან ერთად ვხედავ, ფიქრიც მაღლა მიფრინავს;  
ქვითკირში, ვამჩნევ, შენი ნერვი არის ჩართული.

დაარტყი ურო, რომ სიცოცხლე სდულდეს სხვაგვარად,  
რომ გარდაიქნეს ძეველი ყოფა თეალშეუდგამი.  
შრომის სამყაროს შემოვერტყათ უძლეველ ფარად  
და შას დაუთმოთ ჩენი სუნთქვის ყოველი წამი.

დაარტყი მედგრად.. ორბისებურ აღზნებისაკენ!  
ბრძოლის პლაცდარმზე არ ჩამორჩეს ვინმე ლაჩარი.  
ყველა დაზგასთან! ბრიგადიდან ქარხნებისაკენ,—  
რომ მშენებლობის არსად გაწყდეს ძარღვი მაგარი!

წელგამირთული ცეხებს, ყანებს მხნედ შევუტიოთ,  
ახალ ცხოვრების მტკიცედ ვქედოთ რკინის კარები.  
კლდესაც გაკენეტავს—თუ გვიბრძანებს რევოლუცია—  
ფოლადის ბრძმედით ჩამოსხმული ჩენი მქლავები.

1930

— : —

## ჩვენი პასუხი

ბოლშევიკურად ვიტყვი სიმართლეს,  
 ჩვენი შეტყვის ცეცხლი მაღლდება,  
 წითელ ლაშქართა სახეს ანათებს  
 ბრძოლა, რომელიც სწრაფად ჩალდება.  
 ყველა მიღწევა, რა გინდ პატარა,  
 არის ძვირფასი მშრომელ ხალხისთვის,  
 ვინც ბრძოლის დროშა მაღლა ატარა  
 და ეხლა შრომობს დიდი ხალისით.  
 როდესაც ჰაერს დღეს მშრომელები  
 არხევს ხმაურით და სიხარულით,  
 კვლავ გამოჩნდება შავი ხელები  
 პაპის მანტიით გადაფარული.  
 ვით აგორებულ ზეირთების მთები  
 მაღლდება შრომა ხელებაწვდილი,  
 წინ იმ ჯალათებს ისევ შევხდებით  
 ვინც ჩვენი სისხლით არის გაზრდილი.  
 რა უნდა უთხრათ,—ძალები ყეფენ,  
 ჩვენი ნაბიჯი იქნება ფრთხილი,  
 ვერ შეგვაშინებს პაპი და მეფე,  
 მათი საფლავი არის გათხრილი.  
 როცა მშრომელთა რკინის მკლავები  
 ახურებს შრომას და გულის ფიცარს,  
 დე, იქ პაპებმა რეკონ ზარები  
 საბჭოთა მხარეს სისხლით დავიცავთ.  
 ჩქარა შეწყდება წირვა-ლოცვები,  
 კაპიტალიზმის ყელა ზრახვები  
 და გამარჯვებას შევეხორცებით  
 ერთი მაგარი შემოძახებით.  
 ბუნებრივია,—ძალები ყეფენ  
 ჩვენი ნაბიჯი იქნება ფრთხილი,  
 ვერ შეგვაშინებს პაპი და მეფე,  
 მათი საფლავი არის გათხრილი.

---

## შ ა მ ი რ ი \*)

## მოძღვანება შესახვა

(ცალ მხარეს აწყვერი ხორბლით სავსე ტომრები, გვერდით სას-  
 ჭორი, რომელზედაც მუშაობენ მიტრო, მიშა და სიმონი სწერს.  
 მარჯვნით მიყრილია დამტვრეული სამეურნეო იარაღები, გუთნები, ფარ-  
 ცხები და სამკელები, რომლებსაც ათვალიერებს ტრიფონი და მოსე.  
 შუაში სალეწი მანქანა მართას მეთაურობით ქალები სალეწზე მუ-  
 შაობენ, ძნას აწვდიან, სხვა წევრებს ტომრები სასწორზე მიაქვთ.  
 გუგუნებს სალეწი მანქანა და ახალგაზრდობა ამ გუგუნთან შეწყო-  
 ბით მღერის).

მოხე—პატრონდაესილი, ასე რამ დაამტვრია! აღარაფრად  
 ვარგა!

ტრიფონ—წასულა ხელიდან! მაგით ვერ მოიხვება.

მოხე—იარალი იყოს, შეიძლება შეკეთება!

ტრიფონ—შენმა თავის გახეთქმ, რაც ეს ვერ შეაქეთო! ამას  
 ნამდვილი ოსტატი უნდა და არა შენსავით ფინაჩი!

ანდრო—(შემოდის) ოჟ, წელი მართლაც ძან მტკნია!

სიმონ—მუშაობა კი არა, ჯოჯოხეთია!

ესეც შენი არტელი, რომ იძახოდით შემოვა და შემოვაო!

ანდრო—ეუ როგორ ბუზლუნებთ! ხეალ ლეწვას მოვრჩებით და  
 მეორე ნაფთვებე სამუშაოდ ყველანი ერთად წავალთ!

მოხე—სად წავალთ? სუყველა მიმტვრეულია!

ტრიფონ—მართალია, ბაქიობა გვიყვარს და სამუშაო იარალი  
 კი ფას!

სიმონ—სოფელში გავივლი, იქნებ იარალი ვიშოვნო!

მოხე—ვიყავ, ანჯიქოს გარდა, სხვის არავის აქვს!

ანდრო—ანჯიქო ჩენ არაფერს მოგვეცმს!

ტრიფონ—სწორედ! ზედ შემოგვაფრინდება, ისემც აძალლდება  
 საფლავში!

\*) იხ. „ქართული მწერლობა“ № 1 - 2.

მართა—ანდრო, სია თან რად წაგილია? ხალხი ჯავრობს!  
ანდრო—დასწეულის, სუ გამოვშტერდი! მართლა თან ჭია-  
მილია! (სია აწედის) აი, მართა, ჩამოკიდე.



მიშა—(სიმომს) ჩასწერე! ხუთი ფუთი და ხუთი გირვანქა.

მიტრო—შეილო, რის გირვანქა? ეხლა კილომეტრებია. ხუთი  
გირვანქა ორი „კილომეტრია“.

დედაკაცი—სიაში სწერია, ხვალ მე ჭარხლის ამოსალებად უნდა  
წავიდე.

ანდრო—ჰო, თებრო, სიაში ასეა!

დედაკაცი—ჰოდა, არ წავალ!

ანდრო—თებრო, რატომ არ უნდა წახვიდე?

დედაკაცი—იმიტომ არ წავალ, რომ ქალთა კრებაზე დელეგა-  
ტად ვარ ამორჩეული.

ანდრო—ჰო, სულ დამავიწყდა!— მართა, თებროს მაგიერ მა-  
რინე ჩანიშნე ჭარხლზე სამუშაოდ!

მართა—კარგი!

(უცბად დალეჭებული რაღაც გატყდა. მანქანა შეწერდა).

ხმები—ოვევე.

— გატყდა!

— სალეში გაფუჭდა!

(ანდრო და მოსე სალეშს მისცვივიან).

ხმები—ბარაპანს კბილები დაატვრია.

— კბილები კი არა, სანიავებელს ღერძი გამრუდებია!

— ღერძი მთელია! საცრები დამტვრევია!

ანდრო—გაჩუმდით!

აბა ხელით გადაატრიალეთ! მძიმედ!

ხმები—არ ტრიალებს.

— შეივი, მაგრაა.

— აბა, უცბალ! უცბალ!

(კიდევ ტეხის ხმაა)

ანდრო—მოიცა! მოიცა! დააყე!— (დაღონებული)

გვიმტყუნა ამ სატიალომ, სწორედ სიკეთის დროს!

მოხე—ო, ამის რჯულიც არ იყოს! (ფიჭალს დაანარეჭებს)

ტრიფონ—რა ეშმაკია, ხელი არაფერში გვეწყობა! ისიც გატყდა,  
ესეც გატყდა... ფუუ!

მართა—(ისევ დალეჭებულა) ეხლა რა გვეშველება, რომ ორი დღის  
შემდევ ჩაბარების ვადა სრულდება?

**სიმონ—** ესეც შენი გეგმა! მოდი შენ-და თესვის კამპანია პლანზე  
დაწყებული გადმოდის!

**ნატალია—**(გამკილავად) რა უჭირს არტელს, ჩინებულიაქ სამუშავებელი  
და გადმოდის!

**სიმონ—** ჩემი ურგები: ქოთანი ქვას, მაწონი ძალლს!

**შიომრი—** რა ვიცი, ეს უპატრონო, მასწავლებელი არ ამბობდა,  
ბედს ეწევითო? საითაც გავიძეც, იქით წავიძეც.

**ლარიბს საშველი** არ ჰქონია! (გამოჯაერებით) რის „ინდო-  
სტრიალიცა“, რის „ცოციალიზმი?!!!“

**სიმონ—** სიმდიდრეს დაგვპირდნენ, ჩენ უფრო ვტყავდებით!

**ტრიფონ—** ენა უძლოა, რას არ იტყვის?

**I გლეხი—** შეძლებულ ხალხს თუ არ მივმართოთ, ჩენ ვერაფერს  
გაეხდებით!

**II გლეხი—** ისევ ანჯიქოს სინაბარა ვხდებით!

**III გლეხი—** მოდი კაცო და ვთხოვოთ ანჯიქოს!

**ანდრი—** (მკაფიოდ) გაიშმდით! ვისაც კულაკებთან გული მის-  
წევს, მოგვშორდეს! ნებას არავის მივსცემ, შიშის ზარი დაატრია-  
ლოს! მოსე, მიშა! მოიტათ კევრები! კევრებით დავათავოთ! მართა!  
წადი, ბოსტნებიდან და სახლებიდან დედაკაცები აქ მოიყაო! თავებს  
დაეიხოცავთ და პურის კამპანიას მაინც ღროშე მოვრჩებით აბა,  
ჩქარა!

**I გლეხი—** რა იყვირებს, თითქოს ახალი ბატონი იყოს?

**II გლეხი—** მაგას რა ყურს უგდებთ? ყვირილი განა ჩენ კი  
არ ვიცით?

**ტრიფონ—** მართლაც და, ანდრო, საქმე ვერ მოდის თაბაოთი-  
ანად! ე, შენც ხედავ, ცარიელი ხელით რენიას ვერ გამოჰკერავ! ნა-  
თქვამია: ფრჩხილი თუ არ გაქვს, თავს ვერ მოიფხანო. ამ სალეჭა-  
ვისთვის კი მთელი სამჭედლურია საჭირო. მაშასადამე, ჩენ ძალა არ  
შეგვწევს, საქმეს გავუძლვეთ! შუბლით კი ჯერ კედელი არავის გა-  
ურლვევია! ამოდენა საქმეს რომ მოვეჭიდეთ, რისი იმედით? ნათქვა-  
მია, შეილო, ცოტა მოკუნე, ცოტა მოხოხნე!

**ხშები—** მართალია! მართალი!

**სიმონ—** ტრახტურსაც დაგვპირდნენ, ქალალზე დასმული ბე-  
კედიც ვნახეთ, მაგრამ— მოგვატყუეს!

**ანდრი—** არავის მოუტყუებია! ცოტა შეგვიანდა! რეზოლუცია  
თქვენ თითონ არ ნახეთ? ჩენ რომ ნახნავები შევამციროთ, ეს სიკვ-  
დილია ჩვენთვისაც და სახელმწიფოსთვისაც! სჯობია, ცოტა გავი-  
კირვოთ და საქმე კი დავაწინაუროთ! უწინ ხომ ჭაპანწყვეტით მუ-

შაობდით როცა სხვისი მოჯამაგირეები იყავით? ეხლა ჩვენი ბეჭედი ნიერებისთვის უნდა გავისარჯნეთ! მაში ტრაქტორში რუჩერებულებულების მუშას სამაგიერო რა გადაუხადოთ? უმანქანოდ კამატეც მუშავა ლებურად ულელი უნდა დავიდგათ! ანჯიქოს კარზე მივადგეთ—ჩვენი ოფლი სხვამ ჭამოს! ვის აქეს ამის სურვილი? ჩემის აზრით უნდა გავიტიროთ და ჩვენი ბედნიერება ჩვენ თითონ შევქნათ! ფრჩხილებით ამოვგლიჯოთ ეკალი და მაინც მიზანს მივახწიოთ. მე ასე მესმის! სხვაფრივ კი მე თქვენი ამხანაგი არ კუოფილვარ და ჩვენ ერთმანეთთან საერთო არაფრი გვექონია!

**ტრიფონ**—შეგიძლიან მიბრაძნდე, კალთებს არაერი გაგლეჯავს!

**I გლეხი**—ანდრო მართალს ამბობს.

**ტრიფონ**—(შეუტევს) აბა, რას ამბობს მართალს? ეგ სულ ქალაქის მუშისკენ ითლის, მე კი ფეხებსედაც არ მკიდია!

**ხიმონ**—მე თუ ისევ კევრს შევაბამდი, რა ჯანდაბად მინდა თქვენი არტელი?

**ტრიფონ**—ეჭ, როგორც გიშირიათ, შეილო, ისევ ისე წირეთ! გლეხის საშველი არსად სწერია!

(შემოდის მუშების ჯავუფი პართვენის მეთაურობით)

**პართენ**—გამარჯობათ, ამხანაგებო! დაუპატიუებელ სტუმარს არ მიიღებთ?

**ნატალია**—შეილო, საიდან მოსდიხართ? თქვენ ვინ ხართ?

**პართენ**—ჩვენ ქარხნის მუშები ვართ!

**ნატალია**—ღმერთმა გაგახაროთ...

**პართენ**—ექვსი სარემონტო ბრიგადა სოფლებში გადმოგვეზუნეს. ჩვენ თქვენსე მოგვითითეს.

(უცქერის სარემონტო იარაღს)

ოჳო, მაკარი, აქ ბევრი სამუშაო გვექონია!

**ანდრო**—(სიხარულით) ამხანაგებო, სწორედ მისწრებაზე მოხვედით! (დამტვრეულ გუთნების უთითებს) ეს იარაღები ურემონტოდ არ ვარვა. და მეორეც, სალეჭი მანქანა მოგვეშალა! ვერ გაგვიგია, რა გაუფუძლა! მთელი ჩვენი გეგმა იფუშება! ამხანაგებო, გვიშეველეთ რამე!

**პართენ**—სწორედ მავისთვის მოვსულვარ! აბა, ბიჭებო, ერთი ამ სალეჭს დაუტრიალდით! (მუშები სალეჭს ათვალიერებენ)

**I გლეხი**—ნახე თუ არ გამართონ!

**ხიმონ**—მაშ რის ოსტატები არიან, თუ კი ვერ გამართავენ? მაგრამ, კაცო, არავის უთხოენია, არც დაუძახია!

**II გლეხი**—ნახე ჩვენთვის როგორ ზრუნავენ!

**პართენ**—დიდი არაფერი აქლია, უბრალო რამ! მაკარი, აბა  
ერთი ეს ბოლოთი მოხსენ და სხვა ახალი გაშემო, შენ კი, მათები აღი  
მაღლა სალეჭშე და ბარაბანს „ბიჩი“ გამოუცვალე—კბილები ჰუსტონია  
დაშვებია, სხვა არაფერი!

**მაკარი**—ეხლავ! (სალეჭშ აკეთებენ).

**ანდრო**—ეხლა რომ სალეჭში ამუშავდეს—ჩვენს გეგმას ვეღარა-  
ფერი დააბრკოლებს!

**პართენ**—რატომაც არ ამუშავდება! იქ დიდი არაფერია გატე-  
ხილი! (დაშრუერულ იარაღს უთითებს) აი, აქ კი ერთ დღეშე მეტი სა-  
მუშაოა!

(მიშას და სხვა გლეხებს შემოაქვთ კერძები და სხვა იარაღი)

**ანდრო**—მოიცათ! იწებ კევრები არც კი დასკირდეს!

**შიშა**—როგორ თუ არ დასკირდეს?

**მართა**—(შემოდის სხვა ქალებთან) ანდრო, კალო ჩავთინოთ?

**ანდრო**—არა, მოიცათ!

**შიშა** და მართა—მაშ კევრებზე რისთვის გვარბენინე?

**ანდრო**—მართა, ამ ამხანაგს ჰყითხე!

**მოსე**—(შემორბის) კალო გაამზადეთ, საქონელი მოვრეკეთ!

**მაკარი**—პართენ, მორჩა!

**პართენ**—აბა, ცარიელი სცადეთ!

(ცარიელს გადაატრიალებენ. სალეჭშ ამუშავდება. კოლმეურნეებს უბარით)

**სმები**—გამართეს! გამართეს!

**ანდრო**—ეგ კევრები მოაშორეთ! ჩქარა სალეჭშე!

(ყველანი სამუშაოდ ემხადებიან. შემორბის მატრო ცვირილით)

**შიორი**—ხალხო, კევრისითვის რომ მიკდიოდი, ჩემს ნახნავს გვერ-  
დით ჩავუარე. ვეღარ ვიცანი ჩემი მიწა! მიჯნები ამოუყრიათ! ეხლა  
რაღა გვეშეელება? მიწა უმიჯნოდ როგორ შეიძლება?

**პართენ**—რა აწუხებს ამ მოხუცე?

**შიორი**—სჩანს, მე ჩემი მიწა ვეღარ უნდა ვიცნო!?

**ანდრო**—(უკვ სალეჭშე) ძია მიტრო, რა გაწუხებს?

**შიორი**—როგორ თუ რა მაწუხებს? მიჯნები ამოუყრიათ! ჩემი  
მიწა ვეღარ ვინიშნე!

**ანდრო**—(ფართედ შლის ხელებს) აგერ მინდვრები! აგერ რამ-  
დენი, თვალს ვერ გადააწვდენ! შენიც არის, ჩემიც, ამხანაგის... სა-  
ერთო ჩვენია!

**შიორი**—(ძალან გულაწყვეტილი) მაშ როგორც სჩანს, კაცები,  
ორმოცდახუთმეტი წელიწადი მაგ მიჯნების გამო მეზობლებს თავ-

პირს ვამტვრევდი, ამჟენი ხანი მიტომ ვიბრძოლე, რომ ს ა ზ ლვის გადა  
ყოფილიყო, ეხლა კი გამოდის, მიჯნები არ უნდა იყოს!.. თროვთავა  
პართენ—ძიაკაცო, მიაფურთხე მაგ მიჯნებს! მეზობელთა გვადა  
სასვლელად პირდაპირი გზა უფრო კარგი არ არის? დამიჯერე,  
კარგია!

(სალეშმა დაიწყო მუშაობა. აკყენენ სიმღერით მუშები დამტვრეულ იარაღს  
აკეთებენ)

შიტრო—გავიგიათ, მიჯნა საჭირო აღარ არის! ერიშაა! კაცო,  
განა ეს შეიძლება?

ანდრო—აბა, მარდათ!

სიმღერა:

ძმებო, შრომა მედგარი!  
დრო დაგვიდგა წეტარი!  
გამარჯვებას ელოდე:  
ბრძოლა უნდა ბოლომდე!

### მოქმედება მოთხე

#### ფარდის წინ

(პეტრე და ხიხო, ვედროთი ხიხოს კუპრი უჭირავს და წასასმელი ფუნჯი).  
პეტრე—ევონებ არავინ არის...

ხიხო—თითქოს ყველა ჩაძალებულა!

პეტრე—ხიხო, აბა, მოდი! მასწავლებლის კარებს კუპრი  
წაუსვი!

(ხიხო გადის და რამდენიმე წინ შემდეგ ბარბარით ბრუნდება)

ხიხო—ჰი, ჰი, ჰი... რა სეირი იქნება! (გარბიან)

(შემოდის მართა, მოსდევს ელიშბარი)

ელიშბარ—ევ საინტერესოა, საიტერესო! ტრახტური არ მინ-  
დაო? ვინ სთქვა არ მინდაო? ტრახტური როგორ არ გვინდა,—  
გვინდა! მაგრამ, ერთი ეს გამაგებინე, ვის სასარგებლოდ იმუშავებს?  
მარტო იმ გლეხებისთვის, ვინც წევრები არიან, თუ სუკველისათვის,  
ვინც ჩემსავით ლარიბია?

შართა—ჩვენი კოლმეურნეობა როცა მომაგრდება, მერე სხვა  
ლარიბ გლეხებისთვისაც ვიზრუნებთ! მანამდე კი მარტო არტელები  
ისარგებლებენ.

ელიშ.—ჰო, მესმის, საინტერესო! მაშ ისე გამოდის. მე რომ  
მინდოდეს მოვახვევინო, უთუიდ არტელში უნდა შემოვიდე?

შართ.—ჰო, ისე გამოდის! მერე რატომ არ გინდა შემოხვიდე?  
ეს ხომ შენთვისაც სასარგებლო იქნება?



ელიზბარ—საინტერესოა, საინტერესო!

შართა—ნახე, ჩვენ ლეწვაც გავათავეთ და მოვხანით კიდევუ შენადა  
კი გასალეში გაქვს!

ელიზ.—ჰო, ჰო, გასაგებია, საინტერესოა! ერთი ეს გამაგებინე,  
მე რომ არტელში შემოვიდე, ჩემი საკუთარი მიწაც არტელს უნდა  
გადაუცი?

შართა—რაღა „საკუთარი“, როცა არტელში იქნები? ყველა  
საერთოა, შრომაც—საერთო!

ელიზ—საინტერესოა, საინტერესო! გამოდის, რომ რაც ჩე-  
მია—ჩემი აღარ უნდა იყოს, მე უნდა ეიმუშაო სხვამ კი სჭამოს!

შართა—არა, მე მაგას არ გუბნები; ჩემი შრომა, შენი, იმისი—  
საერთო იქნება! ერთი ყველასათვის იმუშავებს და ყველა ერთი-  
სთვის!

ელიზბარ—საინტერესოა, გასაგებია! მე რომ ერთი დესეტინა  
დავამუშავო, სხვამ უნდა ბელელში ჩაყაროს? როცა ოფლი უნდა  
ვღვარო, სხვამ უნდა განვებ მუცელი აიტყიოს და მხაროებოზე წამო-  
წვეს? მონაგრებული კი უნდა თანაბრად გაინაწილოს? არა მართა!  
მე თავი დამანებებ მე გლეხი ვარ! იცი, ერთი ქათმის გულისათვის  
ჩემს მეზობელს თავს გაუტეხავ... არა, მე თავი დამანებებ...

შართა—შენს სიკეთეს როგორ ვერ ჰქოდავ? სიღარიბის მაგიერ  
კეთილი ცხოვრება...

ელიზბარ—კეთილი ცხოვრება? კარგია! საინტერესოა!

შართა—შენ კი გაიძიხი: ჩემი მიწა და ჩემი მიწაო! რა გახდა  
ეგ შენი მიწა, წელზე ფეხს იდგავ და მაინც ღარიბი ხარ...

ელიზბარ—მართალია, საინტერესოა! (ყვირის) მაინც ჩემი მიწა  
ჩემია! იქ მე ოფლი ჩამიღვრია! იქ სხვა უნდა შევიდეს? ჩემი მეზო-  
ბელი? არა, მე თავი დამანებებ ჩემსას არაენის დავანებებ. მართა, არ  
კი გეწყინოს, წავალ სახლში ავწონ-დავწონი...

(შემორბის კონია)

კონია—ადამიანო, მიშველე!

შართა—კონია, რა დაგემართა?

კონია—დილას ის მუცელჩასახეთქი ჩემი ქმარი მომივარდა...  
ის ხიხო, ის ხიხო, ანჯიქოს დაეთრო, აგრემც მიწა დაეყრება...

შართა—რაო, კიდევ ხელი გამოიღო?

კონია—როგორ თუ შენ არტელში ჩაეწერეო (მოთქმით და ტირი-  
ლით) დამკრა და როგორ დამკრა...

შართა—[თავში ჩარტყავს] შე უბედურო, თავპირი ვერ დაამ-  
ტვრიე? წამომყე, მე ვუჩენებ იმ ხიხოს...

## აიდება ფარდა. ხოფლის საბჭო.

გაბო, პავლე, ანჯიქო და ზახარიჩ იცინიან.

**გაბო—**ო, მოვკვდი, აღარ შემიძლიან!

**პავლე—**(ჩვიხვინებს) ჰა, ჰა, ჰა!

**ზახარიჩ—**მოიცათ, ახლა სხვა მაზალოც გითხრათ! წელან მიტრო მასწავლებელთან მისულა, ის ხომ შტერია, ბენტერა! კარის-თვის ხელი მოუკიდნია და კუპრით გასვრილა! კერაფერი გაუგია, ხელი სახეზედაც მოუსვამს, სოფელზე ასე გასვრილს ჩაუვლია!

(იცინიან)

**პავლე—**მოწაფებს რა დღე დაუყენებიათ?

**ზახარიჩ—**მასწავლებლისთვის? მაგას ნულარ მეტყვი. ზოგი თურმე უყვირის: მასწავლებელო, ჩვენში კუპრის იმის კარებს უსვამენ, ვისაც ბევრი საყვარელი ჰყავსო! (იცინიან).

**ჯერ ჩვენმა კუდიანშა ცოლებმა გაიგონ,** მაშინ შენ დაჯერ და სეირს უკურიე!

მაშ როგორ ეგონათ? კაბა და თმა შეკრეპილი (ზელით უჩვენებს) ამ სიგრძე ენას გაღმოაგდებდა და იძახოდა: „თქეენ კულაკები ხართო!“ ეხლა ის ვინ ბრძანდება! (ტონს იცვლის) კაცო, მე კულაკი ვარ? ეს კულაკია?

**ანჯიქო—**ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ისე უნდა მივიღოთ, ვითომც გვერდინა!

**პავლე—**სიფრთხილე რა საჭიროა? შენ მე დამაცა, ცეცხლზე ნაერთს რომ დავასხავ.

**ზახარიჩ—**(შეამჩნევს გუნაზის) მოიცათ! ხედავთ, აქ მობრძანდება! (შემოღის გუნაზი, გაფითობებული, აღლევებული)

**პავლე—**(ირომით) ჩემი უმდაბლესი სალამი...

**ზახარიჩ—**(ჩემად ჩაიცინებს).

**გუნაზი—**(გაბოს) გაბო, მე თქვენთან საქმე მაქვს, მოვითხოვ..

**გაბო—**ჩემს მდივანს მოახსენე..

**გუნაზი—**საბჭოს თავმჯდომარეს გიცხადებ...

**გაბო—**საქმეს მდივანი გამაცნობს მეთქი.

**პავლე—**რას გვიცხადებ, ქნო გუნაზი? მე ვგონებ, განცხადებულიც არის და საქვეყნოდ ცნობილიც!

**ზახარიჩ—**(ჩაიღილინებს) მე კულაკი ვყოფილვარ, ულაყებს კი სხევებთან უვლია!



**გუნაზი**—რას ხიშნავს? თქვენ ჩემს წინააღმდეგ... არ გამეგვიანება...  
პავლე—ძალიან გულუბრყვილო ბრძანებულხარ!

**ზახარია**—გააგებინე, კუპრით კარებს ვის უღებავენ!?

უთხარ! მე თუ კულაკი ვარ, იმას რას უძხიან. უთხარ—რაღა!

ანჯიქა—ვინც იმნაირ საძრახ საქმეს სჩიდის, იმას ყველაფერიც  
ეცოდინება. მე ვყოფილვარ სულელი, რორემ ყველას თავისი ეშმა-  
კობა ჰქონია!

**ზახარია**—ქალებს რას გაუგებ, სანამ კუპრით კარებს არ შეუ-  
ღებავენ, ლააღე-ლააღე! (თან გასალებს, ან კრიალოსამს თითხე ატრიალებს)

**გუნაზი**—არ მესმის... თქვენ...

პავლე—კარგია, თავს ნუ იკატუნებ! საწყალს არ ესმის!! სა-  
ყვარლებს თუ გაიჩინთ, ეს ხომ გესმით? და თუ იმათი ცოლები აქ-  
ტივობას გამოიჩინენ და პროტესტს განაცხადებენ, ეს კი აღარ გი-  
სმით? აბა, ამას ვინ დაგიჯერებს შასწავლებელო, გაან-მა-ნა-  
თლებლო!

**გუნაზი**—(ჩამკვდარი, აცახცახებული) ბინძურო, საზიზლარო!

გავასაჩივრებ, (გაბოს) ვპოვებ სამართალს... მე თქვენ...

(კარებში გამოჩენდება მართა. გაბო შეშეოთფება. გუნაზი მართასკენ გაექა-  
ნება, ყელზე მოტხვევა და აქეთინდება)

**მართა**—(გაბოს მკაცრად) ხულიგნები შეიპყრით?

პავლე—ვინ ხულიგანები? მაგნაირები ჩენ არ მოგვეპოვება!

**მართა**—გაჩუმდი შე დორდლიანო!

**ზახარია**—გაჩუმდი, უარესები არ გითხრას!

პავლე—უკაცრავად, თქვენ საქმე გაქვთ ადგილობრივ ხელ-  
სუფლებასთან ტერიტორიის მასშტაბით!

**მართა**—ი, მეხი კი დაგაყარე! (გაბოს) ჯერ არ შეგიპყრიათ?

გაბო—(დაბრული) არა, ჯერ, აბა, საიდან?

პავლე—ან კი ვის შეიპყრობ? ჩვეულებრივი სკანდალია ოჯა-  
ხურ მაშტაბით!

გაბო—(გათამამებული) ჰო, აბა, სხვა ისეთი რა მოხდა?

**მართა**—(პალეს, მაგიდაზე ხელს დაკკრავს) შე გაიძევერავ!

პავლე—როგორ თუ... ყვირილი მეც ვიცი! საზოგადოთ არა-  
მეითხეს რა ესაქმება სხვის საქმეში ჩაერიოს? მე მოერჩი, ვსპობ  
ლაპარაქს!

პართა—ვერ მორჩი! ეხლავ აქტივს მოფიშვილ! დაუყოვნებლივ  
გამოვარკვევთ! თქვენ კი ღონისძიებას არ ხმარობთ, სამართალში  
მიგცემთ, პროკურორის შევატყობინებ!

გაბო—(შეშინებული) ქალო, მე რა, აბა, მე რა ვიცი...

**პავლე**—(აწყვეტილებს) დაიცა გაბო! პროკურორი ჩვენთვისაც  
საინტერესოა!

**შართა**—აი, ეგ სამართლიანია! უნდა პროკურორს ეცნობოს! საზოგადო ხულიგანს პასუხი მოეთხოვოს!

**პავლე**—გეყოფა, გეყოფა! თავს ნუ იწუხებ, მე სხვას მო-  
გახსენებ!

**გაბო**—ჰო, რასაკეირელია, ეს სულ სხეას გულისხმობს...

**შართა**—მაშ რას გულისხმობს? თქვენც ხომ პროკურორს მოით-  
ხოვთ? ასეც უნდა მოხდეს,.. ვინც სწავლის საქმეს აფერხებს, დამ-  
ნაშავე სახრჩობელის დირსია;

**პავლე**—ქმარა აგიტაცია! თქვენ თითონ ეჭვის ქვეშ ხართ!

**შართა**—(გაკვირებული) რაო?

**პავლე**—ის, რომ უკანონოდ იქცევით!

**შართა**—მე??

**პავლე**—აი, ესენიც დამიდასტურებენ...

**ზახარია**—მე რა? მე რა ვიცი... მე კულაკი თქვენს საქმეში  
როდის ვერევი?..

**გაბო**—ჰო, ჰო, მართალია! არ იქცევი დეკრეტის მიხედვით!

**შართა**—თუ რამეში შევცდი, გამაგებინეთ! ამდენ დავიდარაბში  
იქნებ დაუშეი რაიმე შეცდომა!

**პავლე**—ეგ ჩენ არ გვესაქმება, მაგას სამართალი და პროკუ-  
რორი გამოარკვეს...

**ზახარია**—ჰაპა! მორჩა და გათავდა... მე რა, მე ვინ ვარ?

**გუნაზი**—მართა, ეგნი შენ წინააღმდეგ არიან?

**შართა**—(გუნაზის მოიცილებს) მაშ პროკურორი ჩემი გულისათვის  
გეინტერესებათ?

**პავლე**—მოვალენი ვართ, რადგან საქმე გვაძეს გაფლანგვა-  
სთან...

**ზახარია**—ვაძ! ვაძ! ვაძ!

**შართა**—რაო? გაფლანგვასთან?

**პავლე**—(ხმას აუწევს) საზოგადო ფული დაუკითხავად გიფლან-  
გია, თვითნებობით, თითქოს საკუთარი ყოფილიყოს. ამისთვის მა-  
დლობას არავის ეტყვიან, დარწმუნებული ბრძანდებოდე!

**შართა**—(გაბრუებული) როგორ? მაშისადამე თქვენის აზრით  
მე ვარ...

**პავლე**— ბოლიშის მოხდით რომ მოგახსენო: გამფლანგველი!

**გაბო**—ეპეპე! გამფლანგველი!

ზახარია — ჩემმა მხემ, კიდევ რომ ასი წელიწადი  
მაგას ვერ ვიუიქრებდი... ხი, ხი, ხი!

შეცოცლის,  
ერთოჯავა  
შემდინარება

მართა — მე გამფლანგველი?

პავლე — დიახ, და სამართალშიაც მიეცემით!

გუნაზი — მართა, შეხედე იმათ თვალებს, ყველაფერს იზამენ...  
წავიდეთ, მართა!

მართა — (პავლეს სულ ახლო) მერე როდის გავფლანგე? რატომ არ  
მაგონდება?

პავლე — (ირონით, გვერდიდან დასცერის, ტონს აჯარებს) ფიქრი ნუ  
გაქვს, მაგას პროკურორი გაგახსენებს!

მართა — პროკურორი? (თავში ხელს წაიკრავს) ჩისქდი გოგრაში!  
(უცად რაღაცა მოისახრა)

მოიცა, მოიცა! გუნაზი, მოიცა! ააა!

(მაგიდას სინჯავს და ქეთარები იქ აღარ აღმოჩენდება)

გველებო!

წავიდეთ, გუნაზი!

პავლე — გნახავ. კუკუს რომ ამოგერავენ სამაზრო მაშტაბით!

ზახარია — მოვიდა როსკიპი და გამფლანგველი, უულ! კაცო,  
ჩენს „ოხტში“ მოვლენ...

ფ ო რ დ ო

### მოძმედება მახუთა

(სიბრელეში)

ზახარია — კაცო, სრული ხუთი ვედრო არაყი დალია!

ანჯიქო — სამაგიეროდ არჩევნებზე ძეველ საბჭოს გავიყვანთ.  
მე სამოცი კოდი ღარიბებს დავურიგე...

ზახარია — შენ რომ დაურიგე ანგარიშიც გაქვს, საბჭოში გა-  
გიყვანენ, მაგრამ მე? მე ხომ ხმაც არ მაქვს... თქვენ საბჭოში აგირ-  
ჩიონ, მე ფული ეხარჯო?

ანჯიქო — დანახარჯს ერთი-ორად მიიღებ... სად დაიკარგნენ  
პეტრე და ხიხო... ამაღამ ანდრო თუ თავიდან არ მოიცილეს — ხეალ  
არჩევნებში სულყველას გაგვაშავებენ...

(შემოდან პეტრე და ხიხო ლეკურად გადაცმულები)

ზახარია — ეინ ხარ? ეის ოხერს დაპარგვეიხართ?

პეტრე — ზახარიას ვახლავართ!

ზახარია — ვაპ, პეტრე შენ ხარ? ხიხო, ეს შენ ხარ? მართლა  
რაღაცას აპირობთ... მე, მე, სახლში საქმე მაქვს...

ანჯიქო — ზახარია!

ზახარიჩ—კაცო, შენ სულ იმას არ გაიძახოდი, ლაჩარი წარო?

ჰოდა ვარ...



პეტრე—ზახარიჩ შენ ჩვენთან უნდა წამოხვიდე!

ზახარიჩ—მე? მე ეს ლიპი სად უნდა ვათრიო—ნუ ხუმრობ თუ ძმა ხარ...

ანჯიქო—იცოდეთ, ანდრო იმ ორლებეს არ ასცდება! თავზე საცალო ჩამოაცვით, რომ არ გიცნოთ. შემდეგ მკედარი ხევზე დააგორეთ, იქ თივეა დაგროვილი. ცუცხლს წაუყიდებთ და კვალი სრულებით დაიკარგება...

ზახარიჩ—ვაი, ვაი! ეხლა კი მართლა გამაცია!

პეტრე—გწიმდეს ჩემი, არჩევნებზე ის ცოცხალი აღარ მოვა.. წავიდეთ, ხიხო!

(ფართა. ფარდის წინ მოდის მართა, უკან გუნაზი)

გუნაზი—აბა, იმ ხალხში როგორ გამოვცხადდე? არჩევნებზე მოვხსნათ ჩენი კანდიდატურა, სანამ გამოარკევედნენ...

მართა—მე კი გეუბნები, არჩევნებს უსიკვდილოდ უნდა დაესწრო! განა მე კი არ დამამცირეს, მაგრამ არ გაერბივარ... იმ ყორნებმა ცილი მიტომ დაგვდეს, რომ ჩენ გაგვაშაონ და თავიანთი კონტრა გაიყვანონ, მაგრამ (შემორბიან მოსე და მიშა)

მიშა—საცაა არჩევნები დაიწყება!

მართა—ანდრო ვერ ნახეთ?

მოსე—დღეს მთელი სოფელი შემოვიარეთ, ვერსად ვნახეთ, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერაფერი გაგვიგია!

გუნაზი—(უცად შექველებს) აა!

მართა—გუნაზი, რა მოგივიდა? გუნაზი რას ფიქრობ?

გუნაზი—მართა, წუხელ სროლის ხმა გავიგონე!

მართა—როგორ? სროლის ხმა... ისინი ანდროს თავს დაესხნენ?... არა... არა...

მოსე—ყველაფერს იზავენ... მიშა, წავიდეთ, შევძრაოთ სოფელი!

მართა—შეჩერდით! მალე არჩევნები დაიწყება...

მოსე—რას მიქეიან არჩევნები, თუ კი ანდრო არ იქნება!

მიშა—ანდრო თუ არ იქნა, ნახე ბობოლები, როგორ ენას დაიგრძელებენ! (წასვლას აპირებენ).

მართა—შეჩერდით-მეთქი! მაგით თქვენ ხალს დააფრთხობთ! თუ ანდრო... აღარაფერი ეშველება, თუ ანდროს რამე დამართეს... მაგრამ თუ ანდრო აღარ არის, მე მისთვის და მის მაგიერ... წავიდეთ არჩევნებზე...

(უფარდა აიხდება. პირველ მოქმედების დეკორაცია. არჩევნების სურიკონია.)  
ხალხი ორ ბანაკად არის გაყოფილი. მარჯვნივ მაგიდა, რომელზედაც სალაპარა-  
კოდ შედგებიან. ერთმანეთში ლაპარაკი და ჩხუბი. ზახარიში ხალხს აქტერების ურთიერთება

ზახარიში—კაცო, ვინ უნდა აირჩიოთ? ქვეყანა, რომ დაიყ-  
დარის? ღარიბ-ღატაკი? ან ის მუნჯი სიკოს ცოლი, რომელმაც სა-  
ხალხო ფული გაფლანგა? ან ის გაკრეჭილი თხა ხუთი საყვარელი  
რომ ყავს და კარზე კუპრს უსვამენ? ან ის ხლებუზა მიკები, რომ-  
ლებსაც დედის რძე არ შეშრობიათ? ესენი უნდა აირჩიოთ? მაში დარ-  
ბაისელი და პატისოსანი სოფელში გაწყვეტილა?

გუნაზი—მართა, გული ცუდათ მიცემს!

მართა—ანდროსი არ იყოს, მიაფურთხე მაგ „ინტელიგენტურ  
უნიათობას“.

მიზა—(მოსეს) მართლაც ანდროს თავს რაღაც ამბავია!

მართა—ბოლოს ის დაგვრჩნია, მოვითხოვოთ და არჩევნები გა-  
დავადებინოთ!

მოხე

მიზა

გუნაზი

უთუოდ გადავადებინოთ!

(გაბო მაგიდაზე ადის და ზარს რეკავს)

გაბო—ხალხო, დლევანდელ კრებას გახსნილად ვაცხადებ! ამო-  
ირჩიეთ თავმჯდომარე და კრების მდივანი!

ზახარიში—(ანჯიქოს და პავლეს ხელს ჰკიდებს) თავმჯდომარედ ან  
ჯიქო, მდივნად პავლე!

(მარჯვნით სხვებიც ანჯიქოს და პავლეს იძახიან)

ბოგანოები—თავმჯდომარედ მართა, მდივნად მასწავლებელი!

(ხმაურობა, გაბო ზარს აწყარუნებს. მაგიდაზე ადის პავლე)

პავლე—გაჩუმდით, ხალხო! აი, ესენი (მარცნით მიუთითებს) ისე-  
თებს ასახელებენ, რომლებსაც ხმის უფლება წარმეული აქვთ! (მარც-  
ნით პროტესტი)

შედავთ, როგორ აყაყანდნენ, მაგრამ ჩვენ ყურადღებას არ მი-  
ვაქცევთ! ჩვენ საბჭოთა ხახს სახერთო მაშტაბით ვიცავთ!

(კიდევ ხმაურობა. მაგიდაზე მოსე აკარდება)

მოხე—ხალხო, ბოგანო გლეხებო; ჯერ ერთი უნდა გითხრათ,  
დღეს მთელი სოფელი შემოვირბინე და ანდრო ვერსად ვნახე. ცაშ  
ჩაყლაპა, თუ დედამიწამ—არ ვიცი!

ბოგანოები—ანდრო, ანდრო!

**მოხე—მეორეც:** აქ მართაზე და მასწავლებელ ქალზე რაღაც  
მიეღ-მოედებიან. ხვალ ყოველგვარ სინამდვილეს გაიგებთ. მესამეც:  
ჩვენ რა უფლება გვაქვს საბო ავირჩიოთ, როცა სამი ჰუკიმისტებია  
ვარეშეა დატოვებული? არ შეიძლება, არჩევნები უნდა გადაიღოს!

**მარჯვნით—არა, არა, ეხლავე!** აი მდივანი, აი თავმჯდომარე!

**მარცხნით—გადაიღოს, გადაიღოს!**

**მოხე—ხალხო, მართაზე და მასწავლებელ ქალზე კარგის მეტი**  
სხვა არაფერი გაგვიგია! საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს? ამის  
გარდა, აქ ვამჩნევ, რომ კრებაზე ზოგიერთი მთერალი მოსულა და  
ხელს გვიშლის. ეს კარგი არ არის.

**ხიხო—მერე, შენ რა გესაქმება?** შენი არ გვისვამს და არ გვი-  
ჰამია! ძირს თქვენი კომუნა! გაუმარჯოს ძველს საბჭოს...

(პარლენ და მოსეს უსიტყვო შეტაკება მოუკავა)

**კულაკის ცოლი—აი, ეს მასწავლებელი ქალი წროსკიპია!** ამას  
კრებაზე როგორ უშევებთ?

**მართა—**(ვეფხვივით ეცემა) შენ თვითონ ხარ როსკიპი, შე დევის-  
პალო! გიცნობ, ვინც ბრძანდები. ამ ღიპიან ზახარის რომ ეკურეუ-  
ლები და ქარს თვალებში ნაცარს აყრი...

(დედაკაცი ჩაკედა და გაიპარა. ზახარის ცმუქავს)

**ზახარის—**ვაკ, რას ამბობს? ვინ ლაპარაკობს? საზოგადო ცუ-  
ლის გამფლანგველი! კაცო, ამისთანა „აბიდა“? მაგას ნებას აძლევთ?

**მართა—**თქვენ ქალებო და ლარიბო გლეხებო! რას გაჩუმებულ-  
ხართ? განა მასწავლებელმა ცოტა სიკეთე მოუტანა ჩვენს სოფელს?  
ქალებო, განა ჭრა-კერვა მაგან არ გასწავლათ? დაე მაზრამ გამოარ-  
კეოს, ოღონდ ეხლა არჩევნები გადავდოთ! გავიგოთ, ანდრო სად  
არის?

**მარცხნით—გადაედოთ, გადავდოთ!**

**მარჯვნით—არა, არა, ავირჩიოთ!**

**მართა—ხალხო, აქ უხმოები შეკრებილან. ბობოლები არჩევნებს  
ახდენენ!** განა ეს შეიძლება? ანდროს უნდა დავუკალოთ!

**მარცხნით—უხმოები ძირს!**

(ხმაურობა)

**პავლე—ხალხო, მე მდივანი ვარ და უნდა გაგიმარტოთ, ეს**  
დედაკაცი ტყუის. იმიტომ რომა. მაგის გარდა, როგორც გამფლან-  
გველი, უხმო არავინ არის. ყველა სრული უფლებით არის ალპურ-  
კილი საბჭოთა მაშტაბით!

**რაც შეეხება ანდროს, იქნება იმანაც ფული გაფლანგა და გა-  
დაიმალა?** აი, ამას ჩვენი დაშსახურებული თავმჯდომარეულ დამიდა-  
სტურებს;

გაბო—ჰო, მართალია, ხალხო! ყველაფერი ისეა, როგორც  
დეკრეტი მოითხოვს!

(ზახარიას ტრიბუნაზე აწჯიქო მოჰყავს)



ზახარიჩ—აღი, აღი, ილაპარაკე, ბურთი ჩასჩარე!

ანჯიქო—შვილებო, ძმებო, მეგობრებო! აქ როგორც ვატყობ,  
(გაბოზე უთითებს) ბერი ამ ჩენი საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდე-  
გია! ეს ჩემთვის საწყენია! კიდევ ვამჩნევ, რომ ლარიბს ყელში უქე-  
რენ, ესეც საწყენია! მომისმინეთ, ხალხო, რა ამბავი ხდება ჩენში.  
ყველა მიწის შშრომელი ლმერთს იგდებინებს, ისე მუშაობს; როგორც  
ხარი, უღელში აბია, ოფლში იწურება, აბრუნებს შევს მიწის და  
ქვეყანას აჩჩენს. აბა, ახლა მიბრძანდი და ერთი ხელი ტანისამოსი,  
ან საცვალი, ან ფეხსაცმელი იყიდე! ყველაფერი მამასისხლად არის!  
ამბობენ, ქალაქის მუშამ ვერ დაამუშავოთ! ის ზარმაცი ლუქმა-პურის  
ლირსია? პური რად უნდა მივაწოდოთ, დაე, შიმშილით ამოძრეს  
სული! კოლმეურნები იმათან კამპანიაში არიან, ისინი ამათ მან-  
ქანას უგზავნიან, ესენი კი—ხორბალს! ჩემის აზრით კი, მთავრობა რომ  
სამართლიანად იქცეოდეს, თითო ტრაქტორის უფლება ყველას უნდა  
ჰქონდეს. დაე ვისარგებლოთ მანუფაქტურითაც და სხვა საკირო  
ნივთებითაც. მე მართალს გეუბნებით, პირჯვრის მაღლმა, მართალს!

შარცხნით—ძირს კულაკი, ძირს ბობოლა!

ანჯიქო—აი, მე, მაგალითად ბობოლის და კულაკს მეძახიან;  
ნამდეილად კი ვინ არის ლარიბის დამხმარე?

შარჯვნით—ანჯიქო!

ანჯიქო—ქვრივ-ოხრებს ოთხი ნაფთევი ვინ დაუთესა?

შარჯვნით—ანჯიქომ!

ანჯიქო—გამოიდის, რომ ყველგან ანჯიქოა! უჩემოდ არაფერი  
კეთდება! მაშ ანჯიქოს მხარი დაუჭირეთ, როცა ის ძველ საბჭოს  
ემხრობა! ამათ ნუ აპოლინარით! დაიცავით ძველი საბჭო!

ზახარიჩ—(სხვებიც ასდევენ) თავმჯდომარე ანჯიქო, მდივანი  
პავლე!

შიტრო—გაჩუმდით, თქვე ცხვრის თავებო! სჩან მხრებზე თავე-  
ბის მაგიერ, გოგრები გაბიათ! მე, შვილო, არც „ორიათ-ორი“ ვარ  
არც „პრაპანთ-ქისტი“, მაგრამ მაიც უნდა ვსოქვა! სად გაგონილა,  
რომ მგელმა ბატქინი შეიტაროს? მე ჩემი გამოცდილებით გეტუვით:  
წინად მიწას მარტო ვეჭიდებოდი და, როგორც კია, ისე ვფუქნიდი.  
ი დალოცვილი ახლად გატეხილი ყამირიც კი არაფერს იძლეო-  
და. ოფლს ვლვრიდი, მაინც არაფერს იძლეოდა! დაუწყე გინება: შე  
ბალთამანო, რატომ ნაყოფს არ იძლევი მეტქი?! მაგრამ იმ დალოც-

ვილმა ჩვენმა დედამ—დედამიწამ—შემომლილილინა: (წარმლერებს) კუვია  
ნისთვის დედა ვარო, (მსწრაფად) რეგვენისთვის დედინა ცვალიო!   
ესე იგი აზრიანად კერ მამუშავებო. შეილო, ყამირს ვერ შემომართავა  
ნადირებ, თუ აზრიანად არ დაამუშავე...

აი, ესენი კი აზრიან მუშაობის წინააღმდევნი არიან! არ უნდათ ჩვენი ორგანიცაცია, ჩვენი კავშირი. სულ ქისტიკვრით უნდა გაჰყარო, ეს კულაკები... (ხმაურობა)

ხალხო, ხალხო, მაშინ ეს მიწა, ეს ყამირი (ქუდს მიწას შეახებს) ჩვენი დედა, დედა იქნება!

(ამდროს მაგიდაზე ადის ზახარიაშვილი. გულმოსულია. ხალხი წებას არ აძლევს. ხელით ანიჭნებს: ორი სიტყა მათქმევინებოთ. მიტრო ხალხს აჩუმებს და ზახირიას ვითხება:

შენ, შეილოსან, ხმა გაქვს???

ზახარ ჩი—(გატრიზავებული) ო, ერთი თუ ხმა მექნება, ნახავდი რა მაზალო რამეს გვტყოდი. (გულზე ხელს იცემს და ჩამოდის).

მარჯვნით—ანჯიქო გვინდა, ანჯიქო!

მართა—(გუნაზის) გუნაზი, ეხლა შენ სცადე, იქნებ გამოვიდეს რამე! უმთავრესია არჩევნები გადავდოთ.

გუნაზი—არ შემიძლიან!

მართა—გუნაზი! ბრძოლა სწარმოებს!

(ტრიბუნაზე აშყართ. მის დანახვაზე მარჯვნით ასტყდება ყვეირილი: იძაპიან: კუპრი! კუპრი!).

გუნაზი—(სცდილობს ხმით გადააკარბოს) ხალხო, გამიგონეთ!

ზახარია—ძირს... კუპრი, კუპრი! (ხელს უქნევს ჩამოდიო).

გუნაზი—ხალხო, მომისმინეთ! ისეთი ვინ არის თქვენში, მე არ მიცნობდეს? მე ხომ მუდამ თქვენთან ვიყავ... მე ხომ...

(ხმაურობა დაჭურავს მის ხმას. გულჩამყდარი ჩამოდის სტევნით და სიცილით აცილებენ).

მოსე—(მაგიდაზე ავარდება) ბოგანო გლეხებო, გადავდოთ თუნდ ერთი დღით, თუნდ რამდენიმე საათით...  
(პავლეს და მოსეს შეტავება).

ოხ, თქვენი ღმერთიც არ იყოს!

გაბო—(ზარს აწყარუნებს) საკითხს კენჭს ვუყრი!

(შემორბის სანდალა).

ხანდალა— დედიიი! ქალაქიდან ბიძიები მოვიდნენ ანტონობილით, უკან კი რეინის ეტლი მოცოცავს! იძახის: ბუხ! ბუხ, ბუხ! (შემოდის მუშა პართენ და სხვა მუშები).

პავლე—რა ოხრობაა, რა ხელს გვიშლიან?

გაბო—ეს დეკრეტს არ ეთანხმება!

**პართენ**—(მაგიდაზე) მოქალაქენო, ჩვენ მოვედით სამაზრო კალა-  
ქიდან, პარტიულ კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის დაფალებით.  
კოლმეურნეობას ტრაქტორი მოვუტანეთ, რომ მათი ორგანიზაციულ  
უფრო გამაგრდეს, არჩევნები კი უნდა გადაიდოს. უნდა გამორკიცელ  
იქმნეს მდგომარეობა და ზოგიერთი გაუგებრობა.

**შარცხნით**—მართალია! მართალია! გადაიდოს;

(ამ დროს შემორბის სიკო და მართას ანიშნებს, რომ გარედ უბედურება  
მოხდაო და თან ხალხი გამომაყოლეო).

**სანდალა**—დედი, ამას უნდა რომ თან გავყეო!

**შართა**—(მიშას შეშინებული) გაჲყე მიშა, გაჲყე სანდალ...  
(გარბიან სიკო, მიშა და სანდალა)

**ანჯიქე**—დარბაისელონ ხალხო, ეს უმსგავსოებაა...

**პავლე**—ეს საძაგლობაა უშველებელი მაშტაბით!

**გაბო**—მართალია, დეკრეტს აღემატება!

**სანდალა**—(შემორბის) დედი ანდრო სასიკედილოდ დაუჭრიათ!  
(ყვილა შეისით ამოიძახებს და გაქვადება. შემორბის მიშა).

**შიშა**—ამხანაგებო, ავაზაკებს ანდროს მოკელა სდომებიათ, მა-  
გრამ მსუბუქად დაუჭრიათ. თვეზე საცალო ჩამოუცამთ და ხევში  
დაუგორებიათ, საღაც წინასწარ თივი დაუგროვებიათ დასაწვავად.  
იმ დროს მუნჯი სიკო რომ არ შესწრებოდა, ცოცხალს დასწვავდნენ.

(ამ დროს შემოდის ანდრო. გასისხლიანებული და ჩამოფლეთილი. ეტყობა  
უბრძოლია. ხალხი მიეცებება).

**მიტო**—(გულამომჯდარი) შეილო, ანდრო, ვინ გიმტრო, შვილო?

**ანდრო**—ვერ ვიცან, ლექურად გადაცმულები იყვენ. ზოგს სახე  
აკრული ჰქონდა!

**ზახარიჩ**—ახ, უჩინმაჩინის ქუდო, საითმე არ გამაძერენდი?

**სიკო**—(ხალხს შუაზე გააპოს და ანიშნებს მკველელებს ანჯიქოზე, პეტრე-  
ზე, ზახარიჩზე... მაგრამ ხალხს ვერ გაუგია. ბრაზი მოსდის, რომ ვერ ლაპარაკობს,  
შემდევ თავში აზრი გაურჩებს და სახე გაუნათდება. სამრეკველოს ავარება, და  
როგორც ერთ დროს, ისე ეხლაც ზარებს რევაც და თან კულაკებისკენ ანიშნებს)

**ანდრო**—გაჩერდი, კმარა! ვიცით! როგორც მაშინ, იმ ლამეს  
ზარებს რევდა. ცხადია, ეკლესიასთან კრება ჰქონდათ! მაშინ ფაქ-  
ტები ხელი არ გვქონდა, ეხლა კი არის (დაჭრილი ხელს აიშვერს) აი,  
ფაქტი!

**პართენ**—შეიძყარით! (სიკო აღარ რევაც და ხარხარებს. პეტრე გა-  
მოუსხლტებათ და სკიკოს ესკრის).

**პეტრე**—მაშ ერთად დაეილუპნეთ, შე ძალლო!

(სიკო სამრეკველოდან ჩამოვარდება მკედარი)

მართა — სიყო! სიყო!

სანდალა — მამა! მამა!

შიტრო — შეიღებო, მეტო! სად არის სამართალი? გეგმური გა-  
მოარყენა).

ხალხო, ამიტომ დაადგინეთ, რომ მთელი სოფელი სიკოს სახე-

ლობის კოლმეურნეობაში ჩაეწეროს.

ანდრო — ეინ არის მომხრე?

(ყველანი ხელს ასწევენ)

დ ა ს ა ს რ უ ლ ი .

— — : — —

## საუბარი გულთან

გულო, მიმჯდარხარ ჩონჩხების ღრუში  
 და სკამ სისხლის ღვარს, ქცეულო ქვევრად.  
 გაჰყრია თავზე ფიქრები ტვერად  
 და გრძნობ—არა ხარ ცხოვრების ბუში.  
 გაქვს გამძლეობა ძვალ მაგარ მუშის  
 და ეპრძეო ტალღებს, ვით ლელვას აფრა.  
 გაწვალებს მიწა ჯერ ისევ მძაფრათ,  
 თუმც ის არა ხარ, რაც იყავ გუშინ.  
 დაგისავადა დრომ თმები ეერცხლით  
 და ჩაგილრმავდა თვალთა გუგანი,  
 თითქო დანელდა მთაში ვულკანი  
 და მოგუზგუშე დაივსო ცეცხლი;—  
 ჯერ ფრთხები მაინც გასხია მერცხლის,  
 ხარ დატვირთული განცდის ბარაქით,  
 არ დაგლევია სიტყვის მარავი  
 და არც თუ ალლო გაკლია მეცრის.  
 მახსოვს, სოფლის ბიჭს, გიყვარდა ზერები.  
 მაგრამ გაექცე სიბნელეს ოხერს...  
 პოეზიაში ტანჯვის გზით მოხველ  
 და სილამაზის დაჰყარე ცვრები.  
 ვერ გაშინებდა შენ მიწისძვრები,  
 უმღერდი ხანძარს—ყოფის მშეენებას:  
 ქვეყნის გაწმენდა იმით გენება...  
 დღეს კი დუმილის ხერელში რად ძრები?  
 ეს ტრალედია თუ ასე დარჩა,  
 ვერ გადალახე უფსერული ნავსი,—  
 მოეკიდება შენს სიტყვას ხავსი  
 და გარდიქცევი მეძეელე ჩირჩათ:  
 ახალი სიტყვის გაშალე ფარჩა  
 და თანადროულ ჩარჩოში ჩისეი;  
 ფოლადით კვებე, რადიო ასეი...

რომ ეპოქალურ სიმდიდრეთ დარჩეს.  
 რაც იყო გუშინ, დღეს აღარ არი;  
 ეხლა ახალი უნდა ეძიო:  
 გაქანებულ ჟამს რომ დაეწიო,—  
 უნდა გაფრინდე ექსპრესით ჩქარით.  
 მაშ დაიჭირე ეს ფიცხი ქარი  
 და გადიქროლე ამ ხიდზე ბეწვის:  
 აქ რომ დამჯდარხარ და თვალი გეწვის,—  
 არ სჯობს შეალო ეპოქის კარი!?

— — : — —

## მოდი, ჩემი თვალის სინავლე!

1.

ჯემილე!  
შენი სამოსი  
ხაერდია და ფარჩეული.  
და იცი,  
ეინ ჰქონედა მაგ სამოსს?  
დაბრანძულები,  
გაფითრებული  
და...  
მორცეულ თვალებიანი ხალხი  
ორად იხრებოდა  
შენი სამოსის  
მოსაქარგავად;  
ახალგაზდა ქალები  
სიყვარულს  
და  
სიხარულს  
დანატრულებული  
ლამეს სტენდნენ  
და თვალმოუხუჭვად  
სანთლის თითებით  
ჰკერდნენ და ჰკერდნენ;  
ჰკერდნენ...  
და შეჰკერეს  
ეგ ფასდაუდები სამყაული.

\*

შენს ყელზე—მარგალიტებია.  
თვითეული მარგალიტი  
ცრემლია ბავშვთა თვალებიდან გადმონალენი—  
იმ ბავშვთა,  
რომლებსაც ზღვამ აღარ დაუბრუნა  
ფსკერზე მომუშავე  
შეძი და მამები.

\*

და

იცი, რომ  
ეგ ოქროს სამაჯურო—  
მაჯას რომ გიმშვენებს—  
შშრომელთა ოფლია გაყინული?

და

იცი რომ  
ეგ ალმასის ქამარი,  
წელზე რომ სალუქად შემოგირტყავს,  
დედის უკანასკნელი მოხვევნაა  
შვილის დამარხვის დღეს?

\*

ჯემილე!

შენ გალიაში ხარ ჩაკეტილი.  
შენს ალერსსა და სიყვარულს  
შენი ბატონი.

ოქროთი ყიდულობს!..

იქ,

სადლაც,  
კიდლის გადალმა—  
თვალუწილენელი მსოფლიოა:  
ურცელი და მშვენიერი.

და

იცი, შენ, ეს?  
გაგიგონია?  
გინაზავს?  
მზის სხივი დარბაზში კი არ არის—  
იგი  
ყანაშია,  
ვილზე,  
მინდონზე.  
მოგისმენია ზღვის ღელვა?  
ო, ჯემილე! ჯემილე!  
შენ გალიაში ჩაგკეტა  
შენმა ბატონმა...

\*

მიეცი კუნა მოხუც სულთანს  
 და მან მუქაფად:  
 ბეჭედნდი და მარგალიტი მოგცა!  
 შენ დასკუნი ისე,  
 როგორც ყარამფილი  
 მზის სხივებს მოკლებული.

\*

დე,  
 დღესდღეობით  
 ჩვენმა ქალაქის ახალგაზღობამ,  
 მეძებარ ძალივით დაჰყნოსოს  
 სულთანის კარის მტვერი—  
 მერე კი...  
 წავლენ ნაუმის ქუჩებისკენ —  
 სადაც  
 ორსართულიან სახლში  
 გაფუშებული  
 და  
 ბუთხუზა  
 გოგუცანები—  
 იატად ჰყიდიან  
 ალერს და სიყვარულს.

\*

ჯემილე!  
 შენც...  
 შენც ხომ  
 ჰყიდი ღიღი სულთანისათვის—  
 სხეულს და გულს?

არის ქალწული...  
 არის ქალწული  
 რომელსაც თვალში მხე უსვენია—  
 გულში კი—სევდა.  
 ის...

ზის შარაგზაზე,  
 ქაირსა და ოლექსანდის შორის,  
 და რეინისგზის გასაყვანად  
 ქვას ამტვრევს.

\*

ქაშქაშა მზეში—  
 ოფელის ნამი  
 შუბლზე უბრწყინავს.  
 ქვებს ამტვრევს  
 და თან მხიარულის გულით  
 ხარხარებს  
 მუშებთან და კალატოზებთან.

\*

ქალის ჩაქცეული გული  
 ირაქის დაბლობია  
 შიგ  
 ორი მდინარე სჩქეფს:  
 — ტიგროსი და ეფრატი.

\*

დღე მიიწურა.  
 ცა მუქდება:  
 ზედამხედველის  
 მათრახის  
 სტენა  
 მინელდა.  
 შიბაშ!  
 მუშაობა გათავდა.

\*

და ჩვენ  
მე და ის  
ერთმანეთს ვებაასებით:  
— მოდი, ჩემო თვალის სინათლევ!  
— მომიახლოვდი!  
— ერთად გავტეხოთ პური,  
ჩავასველოთ ლუკმა წყალში—  
ვისამხროთ,

და ამ ალისფერ მზის ქვეშ  
ერთმანეთი შევიყვაროთ  
შევიყვაროთ:  
ბრძნულ,  
საღა და  
კეშმარიტი სიყვარულით.

სთარგმნა სომხურით: თ. გ.

— — —

## ჩემი სურვილი

სუყველაფერი შენახული მაქვს  
 ერთი უღიერთო სურვილის შეტი  
 და ეს სურვილი გულწრფელად მიმაჭვს  
 ევროპელთათვის, ვით ქვა და კეტი.  
 მე ვისურვებდი წრფელი სურვილით  
 ჩინეთის მთელად გასაბჭოებას  
 და იმასაც, რომ მეორე დილით  
 ინდოეთიცა ჩინეთს მოებას.  
 მე ვისურვებდი, რომ ამერიკა  
 ადგილკომებით გადაიტოლოს  
 და ბრიტანეთიც, როგორც ბერიკა,  
 ქუდა ყალამაში ჰმალავდეს ოქროს...  
 რამდენი ქალიც მომწონებია,  
 რამდენი კოცნაც ჩემში თავს იყრის,  
 ეხლა სუყველა ყუმბარებია  
 და ევროპისკენ მრისხანედ მიჰქოის.  
 იქ უდარდელად მსჯელობენ ჩენზე,  
 საქართველოსაც არ ივიწყებენ  
 და დილით, მხე რო შედგება სერზე,  
 ჩენ სისხლს მირონად შუბლზე იცხებენ.  
 იქ ბრიტანები მაკლონალდებს,  
 პუანკარენი რომისა პაპებს  
 უშენენ ცხარე შეკითხვის ქვეებს,  
 თუ საბჭოებში ვინ რად ჩაყლაბეს.  
 იქ, ვიღაც ტვინლრძო „მეცნიერები“  
 სჩიჩქნიან საკითხს გამოსარკვევად:  
 თავისუფლებას სუნთქვენ ერები,  
 თუ რუსეთს პირში უწყვია კევად!  
 იმის გაგებაც ძალიან უნდათ,  
 დახშეს თუ არა ტაძართ კარები  
 და ზოგი ამბობს, რომ ესმის ბუნდათ,

ვით ლალადებენ ქრემლში ზარები.  
 მათ ისიც უნდათ იცოდნენ სწორედ,  
 ბელნიერია მუშა თუ არა,  
 ან საპჭოთ პრესა, მავალი მდორედ  
 მართალი არის, თუ მატუურა.  
 აქედან იქით ქვა განაგორიც  
 ეეროპიელებს აფიქრებს მართლა—  
 ზოგზე ამბობენ, არისო ჭორი,  
 ზოგზეც—სიტყვაო არ მოდის ნათლად...  
 რაკი ასეა, ვუსურვებ მათაც,  
 ოქტომბრის რისხვამ დასჭიროს ზედა  
 და აღიმართოს წითელი, სადაც  
 პაპა ჯვაროსნებს მოუხმობს მხნედა.  
 და, როს ევროპის სახეობის კართან  
 მსუქან ყბედების ჩადგება რიგი,  
 მაშინ გაიგებს ნამდვილს და მართალს!  
 მაშინ ცველაფერს გაიგებს იგი!..

1/IV-30 წ.

---

## 3 თ ლ გ ა ზ ე

„ვოღა, ვოღა, матъ родна!  
 Волга русская река!“

ძლივს არ ვიხილე ნანატრი მხარე!  
 ბავშური ლტოლვა განხორციელდა!  
 ჩემს თვალწინ გაწვა ქეშად მდინარე  
 და სიხარულის წარმტაცი ელდა!  
 აი, ვუცქერი და არა მჯერა...  
 აი, ვეხები ქვიშას ფეხითა,  
 გულში ათასი ჰკივის სიმღერა  
 გამოყოლილი ცხელ სამხრეთიდან!  
 ახ, ეს სალამო სასწაულია,  
 სალამო ჩუმი და ქარვისფერი,  
 მაგრამ განცდები ისე რთულია,  
 რომ ჯერ არ ძალმის ვოქვა ყველაფერი.  
 შორს სადღაც გემმა ამოიოხრა...  
 ტალღა ტალღაზე მორბის და ბორგას.  
 ვოლგა გაშლილი ოქროსფერ ნოხად  
 ვოლგა ძლიერი, დიადი ეოლგა.  
 და სასოებით გავცქერი სივრცეს.  
 თვალში ჩავისხი ფიქრის ნახევი.  
 ო, როგორ მინდა ლექსები მივცე  
 ვოლგას, ვოლგიდან ნაკარნახევი.

— — —

დებარკადერი წასასვლელად თავს უყრის მგზავრებს.  
 რა ჩოჩქოლია! რა ფუსფუსი! აურზაური!  
 ნერვიულ მგზავრებს ყველაფერი სტანჯავს, აბრაზებს:  
 გემის დატვირთვა, ბურლაკები, წყალის ხმაური!

მე კი ყოველი უწეველო სიტყვა მახარებს,  
ოთხსართულიან გინებასაც ვისმენ ხალისით,  
და ყველაფერი, რასაც ვხედავ ამ უცხო მხარეს  
ჩემს უნებლიერ გონებაში რჩება თავისით.

ვერ წარმოიდგენ, მეგობარო, როგორ მინდოდა  
რომ შენც გენახა, ეს ქვეყანა, შენც გაგეხარა—  
ვიცი მოგხიბლავს ჩრდილოელთა მეამიტობა,  
როს შეადარებ შენს ქალაქელს ცრუს და მკვეხარას!

აგერ ბავშვები უდარდელად ბარგზე დამსხდარან,  
მათ მზის ალერსით ხელები აქვთ გადარუჯული.  
შეეცევიან მაღიანათ შავ პურს და ტარანს  
და არ ამძიმებთ არსებობის მძიმე ურდული.

ლილინებს ვიღაც. ალბად თავის ჭიას ახარებს.  
ვაჭრობს ნაყინით რუსის ქალი გადაჭორფლილი.  
მუშტართა შორის, ერთი ისე მაგრად ხერხარებს,  
თითქოს ნაყინთან შეესყიდოს ქალის პროფილი!

აი, უცრად ბურლაკებმა თვალი მომტაცეს.  
გაშლილ ბეჭებზე დაუწყვიათ ბარგი ბარხანა.  
და ვნანობ... ვნანობ! აი ასეთ რკინის ვაჟვაცებს  
რატომ ლექსებში არ აუგე სიტყვის ქარხანა!

და მათი სახე—მზით დამწვარი შრომის ბეჭედი—  
შორიდან გაცნობთ, რომ ეს არის ტვირთის მზიდავი.  
დადის განდაგან, წახრილი აქვს ფართე ბეჭები,  
უცინის სახე და ამაყად უჭირავს თავი.

ბურლაკს ადვილად აქ ვერავინ გადაიბირებს,  
უყვარს ცივ ქვიშის ნესტიანი ყვითელი მტვერი,  
არ ულალატებს ამწვანებულ ვოლგის ნაპირებს  
და სულდიანად, დაბალ ხმაზე, მღერის და მღერის:

„დედაო ვოლგა! ყვითელთვალებავ;  
ზანტად აგორებ ზვირთებზე ზვირთებს!  
ჩვენო ძეირფასო, რა გენალვლება  
რომ დახრილ ზურგით ვიზიდავთ ტვირთებს.

ასეთი იყო ჩეენი წარსული  
არა ეყოფილვართ არას დროს უქმათ!  
უნდა შრომაში დაელიოთ სული  
რომ ჩეენი ოფლით ვიშოვოთ ლუქმა!

• მდინარებ დონჯად! რა გეჩქარება!  
შენს ნაზ სიმშეიდეს ქარი ვერ არლვევს!  
დედაო ვოლგა! ყვითელთვალება  
ჩვენ დავენაცვლეთ შენს სავსე ძარღვებს!“

---

შისწყდა სიმღერა. გემი ჰქივის ზანტად და ძნიად.  
ბაქანის ხიდზე ხალხის რიგი რიგს გადაება,  
მე, კლასობრივი დაჯგუფება და განსხვავება,  
ჯერ ასე მკაცრად, როგორც გემზე, არსად მიგრძვნია.

და ვფიქრობ... რატომ, აქ ვოლგაზე, სადაც პირველად  
თავისუფლების დიდ იდეას სტენკა არხევდა: —  
თანასწორობას მეზავრთა შორის გემი არლვევდა  
ასე სასტიკად. ასე მკაცრად. ვასაცვირველად.

დაიძრის გემი წასასვლელად. ატორტმანდება.  
დებარეადერზე წერტილებად სიანან თავები,  
ჩამოვლენ უკან ცარიელი თეთრი ნავები  
და სიხარულში შეუმჩნევლად კიდეც ღამდება.

ირგვლივ იშლება საუცხოო სანახობა!  
მსურს ჩემთა ლექსმა ეს უკვდაერი წყალი დალიოს,  
და თუ აქ სტენკა უხდებოდა დილის ალიონს,  
და თუ აქ რაზინ ულნარ ტყუში მტერთან დაობდა,

დღეს სხვა ცხოვრებას გაუდგია რკინის ფესვები...  
დღეს სიმშეიდეა... მშენებლობა... მყუდრო ცხოვრება...  
სტენკა რაზინი ვოლგას მარად ემახსოვრება  
და მთელ სივრცეზე იმღერება სტენკას ლექსები.

---

ოქროს ხორბალი მხემ გადმოჰყარა  
ტალღებზე სცვივა რბილად —

და ვერ გავიგე ვით მოგვეპარა  
 ეს თვალშეტუნა დილა!  
 სასწრაფოდ ვიცვამ და მეჩქარება:  
 მინდა მეც ვიყო გარედ,  
 რომ უნახავი არა დამრჩეს-რა  
 ამ საუცხოვო მხარეს!  
 ისმის ერდოზე სიცილ-ხარხარი  
 და საუბარი ნაზი,  
 ხალხი ბევრია მრავალნარი,  
 ხალხი სხვადასხვა რასის.  
 დიდი რუსეთი ვის არ დაიტევს?  
 გემზე ვინ არა ვნახე!  
 მეც მკითხულობენ და უნებურად  
 ჩემს ვინაობას ვამხელ.  
 საუბარია საქართველოზე  
 (ქართველებს ვინ არ აქებს!)

და სიხარული რომ არ შემეტყოს  
 გავცქერი მცურავ ბაკენს.  
 მიჰქრიან თვალშინ ნაძვის ტყეები  
 და დიდ ქარხნების წყება.  
 აგერ სხვა გემი, ჩვენს გემს ჩაუვლის,  
 გემი გემს ესალმება!

ვოლგა იზუტებს გორქის ნოვგოროდს  
 მრავალ მდინარეს ერთვის,  
 იზრდება ლალად, ყოველ ნაბიჯზე,  
 ვოლგა მძლავრი და მკვეთრი!

გაოცებული ირგვლივ გავცქერი  
 გულში კიაფობს ლხენა,  
 ასე მგონია ჩემს ცხელ ძარღვებში  
 ვოლგამ დაიშუო დენა!

---

მესამე ლამეა, რაც გემი მისცურავს.  
 მესამე ლამეა ჰეკვიან მამლები.  
 ნაპირზე ჩრდილები დამდგარან მისნურად,  
 ვით წამოსასხამში ამაყი ჰამლეტი.

შორიდან მოისმის ჭოტის ხმა მევნესავი,  
ჭიხვინებს ტრამალში ულაყი უბელი  
და, შეზარხოშებულ რუს მეარღნესავით,  
ბარბაცებს მარტოკა ზეცაში ლრუბელი.

ანთებულ თვალებით მსურს ჩავწვდე ბნელ წიალს.  
გადალმა ტყის გულში შევიჭრა ისრებად,  
რამდენი გიურუ სურვილი მეწვია—  
ახ, რამდენ ნაირად ბუნება იცვლება!

და ფაფარაყრილი ლრუბლები დარბიან,  
რამდენი სახეა, რამდენი მსგავსება!  
ეხ, ადამიანი იმდენად ხარბია,  
რომ სიურცე ასეთი არ ჰყოფნის საესებათ.

— — —

გემზე მოხუცი მოგზაურია.  
მთლად მოუვლია ოქანეთი.  
მე იმისთანა მებსიერების  
არ მეგულება ჩვენში არც ერთი.  
სად არ ყოფილა? რა არ უნახავს!  
რაზედაც გნებავთ მუსაუბრება.  
ყველა გაიცნ. ყველას დოსტია.  
ყველას ულიმის თავისებურად.  
მისი ყოველი სიტყვა ოქროა,  
ხალხური სიბრძნით აფეთქებული,  
და ლეგენდებიც ისე რთულია,  
როგორც თვით ვოლგა, მარად ქებული!  
გადავიქეცი სმენად და ხედავდ,  
ყოველ განაგონს ქსრუტავ ნერეებით,  
რაც ბავშობაში გამომრჩენია  
მისი ნათქვამით ხელად ვერკვევი.  
და წვება თავში ათასი სიტყვა  
მისი თბილი ხმით გადმონაცემი:  
და ალარ ვიცი, თვით ამ ლექსებში  
რა არის მისი... რა არის ჩემი...

ნელდება გემზე აურზაური.  
 მეც აქმარტოვდი. მოვშორდი ჩვენებს.  
 მიახლოვდება კვლავ მეზღვაური  
 და გაშიშვლებულ მთაზე მიჩვენებს:  
 „ხედავთ, იმ მთასა! გადახავსული  
 ასეულ წლობით სდგას ასე მარტო.  
 ამ მთასაც ჰქონდა თავის წარსული,  
 და დღეს კი მხოლოდ ჩვენს მგზავრებს ართობს.  
 მთა მაღალია. ვერავინ ავა.  
 მხოლოდ ზამთარში ქარი დასწივის,  
 და თავის მსხვერპლის დასაჯიჯვად  
 თუ აფრინდება მთაზე არწივი!  
 არ ვიცი შემდეგ თუ რა იქნება,  
 დღეს კი ლრუბელი ზედ ათევს ლამეს.  
 რომ მოეხეიოს თავზე ფიქრებად  
 რომ გაახსენოს ძველი სიამე.  
 ამბობენ: ერთხელ, ფიქრის რკალები  
 რომ აეწყვიტა რაზინს თავიდან,  
 გულანთებული, ცეცხლის თვალებით  
 ის მარტოდ—მარტო მთაზე ავიდა.  
 გათენებამდე უიქრებში იყო,  
 ნიავი თმებზე ნამებს აყრიდა.  
 და მზის სხივებით ცა რომ გაიყო,  
 გადმოჰყურებდა ვოლგას მაღლიდან!  
 ფიქრში—ხანდარი. გულში—ხანდარი.  
 გონებით სჭერეტდა ცხოვრებას ახალს.  
 იმის მოწამე მხოლოდ მთა არის  
 და საიდუმლოც მთამ შეუნახა!  
 აწმუნს სხივები წარსულს არ აქსოვს,  
 სხეა არ ყოფილა, იმ მთის მნახველი,  
 იმ კვალს არავის ფეხი არ ახსოეს...  
 და მთას დაერქვა სტენებს სახელი.“

— — —  
 სტენება რაზინი! სტენება რაზინი!  
 გული ცხენივით გამიჭენდება.

და ოღმოხვეულ ტვინის უჯრედში  
სტენქას სახელი აღარ ჩერდება.  
მინდა ვიყვირო უცნაურ ქინით.  
მინდა მოუხმო ვოლგის ყაჩალებს  
და უნებლიერ ქარმოდებული  
ჩემში უცნაურ ხანძარს ვიჩალებ:  
კაცობრიობა ჯერ არ გასწორდა,  
კვლავ წარდვნა უნდა მის დასამხობად!  
ვოლგა კი მშვიდათ მოარხევს ტალღებს  
ეით პატარძალი მარმაშის ქობას...  
ომ, რაზინ! რაზინ! ყველა შენს სახელს  
აქ იმეორებს სხვანაირ ეშვით!  
მეც მოვწყდი აწყოს... და ანთებული  
სისხლის მორეეში ყრუდ გადავეშვი.  
იშლება ჩემ წინ ძელი ფურცლები,  
ალსაესე სისხლით, გესლით და ბრაზით,  
კვლავ ოღმოცნდა გარდაცვლილ დროდან  
შარად ცოცხალი, მებრძოლი რაზინ!...

---

მაგარკუნთება,  
ჩამოსხმული  
რკინის ვაჟკაცი.  
ჩოფურა სახე.  
ანთებული ბრძოლით თვალები.  
შუბლზე ნახაზი: წარუშლელი დალი სიმკაცრის.  
მუხის სიმძლოვრით გაჭედილი  
მსხვილი მკლავები.  
ქედ-მაღალ მეტრდში ჩაუსაფრდა  
გული ამაყი.  
მაგრამ ამ გულმა სიბრალული სულ არ იცოდა.  
შურისძება,  
სიძულვილი,  
სისხლის წყურეილი,  
მხეცურ სიმკაცრით  
როგორც ვეფხში, ისე ჰეიოდა!  
დაპერავდა მუშტს და...  
ზანზარებდა ირგვლივ ნაპირი.

მძიმე სიარულს  
სიყვარულით მიწა ითმენდა!  
და ამაყურად ვოლგის სივრცეს რომ გასცეუროლაშიშვილის  
ტალღები ხარბად იხურავდენ  
სტენჯას ანარეკლს.  
ჩარკინულ სხეულს არ სჩევეია  
დალლა და ძილი  
და როგორც არწივს,  
შენც რაზინ ისე  
გწყუროდა სისხლი.  
სისხლი მტრებისა,  
თავადების,  
სისხლი მტარვალის...

---

მზით დამშვარ სახეს  
გადურბენდა კმაყოფილება,  
სახრჩობელაზე  
ჩამოჟიდულ მტერთა გვამებსა  
მუხის ტივებზე რომ გზავნიდა  
კასპის ზღვისაკენ!  
და სკექდა სიტყვა:  
(პირველი თქმა!)  
„სიკედილი მდიდრებს!  
ლარიბს და ჩაგრულს:  
პური, მიწა, თავისუფლება!“  
სტენჯა რაზინთან  
მოილტვოდენ დაჩაგრულები,  
რომელნიც მეფის  
მაგარ ქუსლით იქელებოდენ.  
გარს შემოირტყა ვოლგის გმირმა  
ყველა ლომგულნი,  
და იერიშით დასურავდა ვოლგის ზვირთებზე-  
დღეს, სადაც მოშებს  
დილით უხმობს ქარხნის საყვირი,  
ისმოდა შისი  
ხმა მჭექავი, ვით ზარის რეკა:

„სიკვდილი ყველას  
 „ვინც სჩაგრავდა ღარიბ ღატაკებს!  
 „ყველა ნავებში!  
 „გვილა ხმლებით!  
 „ყველა საომრად.“  
 რამდენი ოქრო სპარსეთიდან მოუტანიათ  
 რომ შეემოსათ ბოგანო და ამბოკარები.  
 „ოქვენ ყველაფერი!—უარს ამბობს ოქროზე რაზინ—  
 მე, როგორც მებრძოლს, გამარჯვებაც მაქმაყოფილებს“.

---

გავარდა მეხად სტენკას სიტყვა, სტენკას სახელი,  
 ფონზე, კამაზე, ასეულნი რაზმებად ჰყავდა.  
 ძლევამოსილი, უშიშარი და უძრაველი,  
 სტენკა დუშმანებს მუსრს ავლებდა, სჩედა და სწვავდა.

„არც ერთი ქალი ჩვენს ბანაკში!“ ბრძანებს რაზინი.  
 ვინც უნდა იყოს სულ ერთია, ქალი—ქალია!  
 უნდა სუყველიმ აილაგმოს თავისი ეინი—  
 მებრძოლს.—ქილების საალერსოდ არა სცალიან!..  
 სწყუროდა მებრძოლთ ქალები და თავდავიწყება.  
 მაგრამ რაზინი საკითხს სწყვეტდა სხვა ვარაუდით  
 და ავხორცობა, რომ ჩაეკლა ყაზახთა წყებას:—  
 უხვად ისმოდა უღნარ ტყეში თაფლი და ლუდი.

და მოვრალ კაცების ლულლული და ყრუ ღრიანცელი  
 შორს ეელებოდა მშეიდი ვოლგის სანაპიროებს.  
 ხოლო რაზინი გულში სწერდა ახალ პირობებს,  
 რომ მოეპოვა ჩაგრულთათვის მხე და ნათელი.

„ვოლგა! ვინ იცის რამდენი მაქვს შენთვის სათქმელი!“.  
 ლილინებს რაზინ და მის ტუჩზე ლიმი ციალებს.—  
 „არ მელირსება: მლვდლით დამარხვა. წმინდა საკმელი.  
 ჩემს „სულთათანას“ ტყის ფოთოლი დაიშრიალებს“...

და უმხერს რაზინ მძინარ ბანაქს მხნედ და ხალისით.  
 სტანჯავს წადილი გულის სილრმით ამონასროლი,  
 და მის გარშემო ტყის ჩურჩული ისე გაისმის,  
 როგორც ფარული შეთქმულების ჩუმი პაროლი.

იყო ბრძოლები. სისხლის ღვრა და განადგურება. ნადავლი ჭარბად ქსოვილები, ოქრო და ლალი. ჯარის განგაში, ლრიანცელი ვის ეყურება? მისი გულის რაზინს კარავში ჰყავს სპარსელი ქალი.



რეინის მექლავები მოარეალა მენადას მუხლებს. ხოლო ქალი კი გათელილი ფარულად კვნესის. განა ტყვე ქალი თავის განცდებს ვისმეს გაუმნელს? მისი გულის ხმა, მხოლოდ სტენკას რეინის გულს ესმის.

რაზინის ტანში აიმოვრია სისხლის სათავე. მან ულვაშები მიაძინა ქალის თხელ ტუჩებს. აწყვეტილ ვნებას ეერ იმაგრებს რეინის სადაე — და იბრძეის ვიღრე თავის ვნებას არ დაიყუჩებს.

„არა სცხვენია ჩეენს მეთაურს“ — ისმის ჩურჩული — „ქალს დაემონა, დაივიწყა მოსისხლე მტერი“. სტენკა რაზინი ტკბილად ფშვინას გადაშელართული, შირაზის ვარდი გათელილი მოსთქვამს და მღერის: „ჩემი ვარსკლავი ალარ ციმციმებს, ბედმა იბრუნა დღეს ჩემგან პირი! და... ალარ ვინთებ გულში იმ იმედს რომ კვლავ ვიხილო კასპის ნაპირი! მშვიდობით ზღვაო! და ტკბილო მამავ! ნუ თუ ოდესმე მტერს მოიგერებთ? მე მტრის მუხლებში დღეს სახეს ემალავ! ნე სტენკას უუმღერ სპარსელ სიმღერებს. მამავ, შენ ბრძოლა სად შეგეძლება. ალბად ეგ სახე დარდმა დალარა! ვიცი რომ უფრო შეგევერცხლება, ვლოვით და ცრემლით შენი ჭალარა! ჩემი მშა გახდა რუსების მონად. მე კი რაზინის ვნების ამშლელი... ნუ თუ დაპკარეთ ძალა და წონა! ნუ თუ არ არის ხსნა და საშეელი?“

ასე ჰეოდებდა ხანის ასული, ასე დასწერა მან თავის სევდა. მაგრამ მისი ხმა ნაზი, სპარსული მის მშობელ მიწას ვეღარ აღწევდა...

— გამოიცვალა!  
 — ის არ არის, რაც იყო წინეთ!  
 — ქმარა, გვეყოფა, ყაზახებო, რაც მოუთმინეთ?  
 — გადაუხვია დღეს რაზინმა კუკუ-გონებას.  
 — ნუ, თუ ცოლშეილი დარჩენილი არ აგონდება?  
 აქ წინ წამოდგა შევარდენი — სტენკას მასხარა. —  
 და ნამთრალევი ამ სიტყვებით სტენკას ამხილებს:  
 „უსაქმიდ ვყრივართ, ბრძოლა გვინდა! ლოდინი ქმარა.  
 უანგი მოედო ქარქაშებში მძინარ მახვილებს“.

— — —

რაზმის გამოსულამ ატამანი მოთლად ააფეოქა.  
 და ლომისავით აბრიალებს ბრაზიან თვალებს:  
 ალარ იცოდა საპასუხოდ უცბად რა ეთქვა,  
 ხელზე იხვევდა სპარსელ ქალის გიშრის დალალებს.

ელვის სისწრაფით რალაც აზრმა გადაურბინა.  
 (აზრსა და საქმეს არ დასჭირდათ ხანგრძლივი ბრძოლა.)  
 და რომ სპარსელ ქალს სამუდამოდ ეპოვა ბინა  
 დაავლო ხელი და... შივ წყალში გადაისროლა...

— საშინელებავ!  
 — რა ჩაიდინე!  
 — რისთვის დაჭლუკე წორჩი გოგონა?  
 მებრძოლი რაზინს შემოეხვივნენ...  
 და კვლავ დასჭექა სტენკამ მეხურალ:  
 „მე ხომ ვაუკაცის ქუდი მეხურა!  
 და რათ გეგონათ რომ გილალატეთ!  
 წალით. დალაგდით! ლამეს ნუ ათევთ...  
 ხვალ გველის ბრძოლა...  
 მეც დავიძინებ...“

— — —

აი, ისევ სდგას კლდე ამართული!  
 აი, აქ ვოლგამ ის ჩაიხუტა.  
 და ძველ ამბების სმენით გართული  
 ათრთოლებული მეც თვალებს ვხუჭავ...  
 ხომ ეს ამბავი ძველზე ძველია,

ხომ შევეჩერიეთ სისხლიან ბრძოლებს,  
 მაგრამ ყველა ეს—ისე მწველია,  
 რომ უცნაურად ტანში მაურეოლებს.  
 თითქოს ამ ამბის მოწამე ვიყო.  
 ყურში მიწივის იმ ქალის კვნესა.  
 „აეგრ იმ კლდეზე უნდა მგდარიყო!“  
 შენსე, ლამაზო, ამბობენ დღესაც.  
 ალბად აქ იყო მენადა ობლად.  
 ალბად აქ ება სტენკას ბარქასი,  
 ალბად აქ ახლოს, შენს შესანდობლად  
 სტენკამ დაიცუალა მრავალი თასი...  
 მინდა ჩემს ფიქრთან, რომ დაურჩე ცალკე  
 მინდა შენს სახელს ლექსად ავება,  
 თუმც შენ წაგილო ვოლგამ ზღვისაკენ,  
 ვოლგამ აქ მოგცა შენ უკვდავება...

— — —

ბევრი რამ მესმის მეზღვაურისგან  
 რას სჩადიოდა სტენკა ნაქები—  
 როგორ ებრძოდა უსამართლობას,  
 როგორ იწვოდენ აქ ქალაქები.

ორთავიანი არწივის ძალა  
 მშრომელ რუსეთს რომ თავზე ებურა—  
 სტენკამ მაგარი ხელის კუნთებით  
 შეაჯანჯლარა თავისებურად.  
 დღესაც გაისმის მისი ძახილი:  
 „მშრომელო ხალხო! ხომ გეყურებათ:  
 მალლა გეჭიროთ ბრძოლის მახვილი—  
 მდიდრებს სიკედილი განადგურება!“

— — —

სტენკა რაზინი, ხალხის ბელადი  
 ხალხის შვილებმაც არ დაინანეს,  
 პატივაყრილი,  
 ბორჟილგაყრილი,  
 მეფეს მოსკოვში ჩამოუყვანეს.

არის თქმულება: როცა საჯაროდ  
გადაუწყვიტეს სტენკას სასჯელი,  
სთქვა ამაყურად: „თუმც გინდათ მომსპოო  
მაინც დარჩება ჩემი სახელი.  
ჩემი მომძნო! ამ წუთისოფელს  
გამომასალმებს ჯალათი მალე.  
თუ ვერ გასწავლეთ მებრძოლთ სიცოცხლე,  
ჩემგან სიკედილი მაინც ისწავლეთ!“

ჭარბშეუხრელად დაუხვდა სიკედილს.  
არვის სმენია იმისი კენესა.  
უკანასკნელი სისხლის სიტყვები  
ხალხის გულებში ღრმად ჩაითესა.  
ჯალათმა ცული შეათამაშა.  
ჯერ ფეხი მოსჭრა, მერე—მარჯვენა,  
მერე მოპკეთა ქოჩორა თავი  
და... სამუდამოდ დადუმდა ენა...

— — —

დარჩა ლეგენდა: რომ ყვავ-ყორნებსა  
არ დაეყორტნათ მებრძოლის გული  
ამხანაგებმა გული ამოსჭრეს  
და... შორს მიწაში ჰყავთ დამარხული.

ყოველ გაზიაფხულს, როს ყვავილებით  
სამარე წითლად შეიმოსება,  
ყაყაჩოები გადიშლებინ  
ახალ ცხოვრების, ახალ მგოსნებად.

და შრიალებენ წითლად სიტყვები,  
სტენკას გულიდან გაღმონადენი:  
„ვისაც სწყურია თავისუფლება,  
უნდა ბრძოლაში დალიოს დღენი!“

— — —

## ერთი თვე სვანეთში

(დასასრული)\*

ინტერვიუ ექიმის მოკლის გამო.

უშვულის თემალმას სულ შეი თავმჯდომარეობდა სინდისით სავსე პიროვნება ჩაიაღელ ნიუარაძისა, ადამიანი ფაქტზე და უშვულის პირობებში აუცილებლად მოწინავე. ნიუარაძე კანდიდატი იყო პარტიის. მან დაიმსახურა უშვულელების სიყვარული და კიდევაც მიიღო თემის ხელმძღვანელის თანამდებობა.

მაგრამ უშვულში ხელმძღვანელობას და საქმიან ცხოვრებას ბევრი რამ ელობებოდა წინ. ნიუარაძე ცრუმორწმუნეობის და სისხლის აღების წინააღმდეგი იყო და კიდეც იბრძოდა ამ ძველი ტრადიციების აღმოსაფხვრელად.

და უშვულის მოწინავე საზოგადოებრივ მუშაქს, ბავში გაუხდა იყათ. უშვულში ექიმი არ არის. კალაში მყოფი ფერშალი ემსახურებოდა უშვულსაც და კალას თემსაც. კალადან გამოწვეულმა ექიმმა მოვლა არ დააკლო ბავშს, მაგრამ ბავში მაინც მოკვდა.

ამის შემდეგ იწყება თემების გონიერაში ახალი ხანა. ცოლი თავმჯდომარისა ამტკიცებს, რომ ექიმი მეგობრობს მათ ძველ მოსისხლე მტერს კალაში და მისი შთაგონებით მოკლა ექიმმა ბავში. ამ მოსაზრებას ის ადას ტურებს შეთხსული ცნობებით, ქმარს ჩასჩინიებს ექიმის მოკვლას. ნიუარაძე გატკყდა, ნახევრათ პარტიული კაცია და არ უნდა დაიჯეროს ცოლის მოსაზრებები, მაგრამ ეჭვმა შეიძყო. ცოლი უმატებს:

— ერთხელ დაუძახა ბავშს გამცელელმა, ბავში მობრუნდა და წაიქცა. დამბახებელი ექიმი აღმოჩნდა. მისი თვალები მტრების მიერ ჩავინებული ცუდათ მოქმედობდა ბავშზე. მტრებმა ჩაგონეს ბავშის მოკვლა ექიმს. ჩვენი მოსისხლე მტერი მისი მეგობარია.

\* ) იხ. „ქართული მტერლობა“ № 1—2.

ნიერაძეში ეჭვმა იმატა, ერთად ერთი შვილის მოკვლის ბოლო  
მამ ეჭვებს მისცა საზრდო და ერთ შევენიერ დღეს ნიერაძეში ჩატყუდა  
შის საფლავი ამოარვია, ნახევრათ გახრწნილი ბავში გასკრა, ამით-  
ლო წელები და გაემგზავრა ქალაქში. ქალაქში გასინჯეს წელები და  
აღმოჩნდა შიგ მორცის ზედმეტი პროცენტი; სათანადო მოწმობებით  
შეიარაღებული ნიერაძე დაბრუნდა უშეულში, გადაიკიდა თოფი და  
დაიწყო შემთხვევის ძებნა.

ქალას კოოპერატივთან პატარა დუქანია. დუქანში იყრიბებიან  
სვანები და სვამენ არაყს და ლეჩხუმიდან ჩამოტანილ ლვინოს.

ხსენებულ დუქანში შეხვდენ ექიმი და ნიერაძე ერთმანეთს;  
ნიერაძემ ექიმი დაიწყია სუფრაზე და მეგობრულათ ეპასა. ექიმი  
ამშვიდებდა ნიერაძეს, უხსნიდა ზედმეტ დაჯავრიანების უარყო-  
ფით მხარეს და ახსენებდა „ვაუკაცის“ მოვალეობას.

ნიერაძე მართლაც ნახევრად გაბრუნებული იყო ამ ხანებში.  
შეუნიშნავთ,—რომ გზაზე სიარულის დროს შეჩერებულა გარინდებუ-  
ლა და ერთ წერტილზე შეუჩერებია თვალები. ხშირად ენგურის პი-  
რასაც მჯდარა საათობით და უმსჯელია თვეის თავთან ბავშის სიკვდი-  
ლის რაობაზე.

ერთხელ მიწაზე მჯდომარეობა ბავშის სახელი და ატირ-  
და. ამ შემთხვევებს ყვებოდენ უშეულის მცხოვრებლები და ექიმმაც  
ურჩია ბავშის სიკვდილით გამოწვეულ უბედურებას არ დამორჩილე-  
ბოდა მოწინავე ადამიანი. ექიმმა რა იცოდა თუ უბედურმა იქვემა  
და ოჯახში შექმნილმა ცრუმორწმუნებამ დასძლია, იმ მცირე კულ-  
ტურას, რომელიც ნიერაძის კონებაში ინახებოდა.

ნიერაძე სდუმდა და დამშვიდებით ისმენდა ექიმის შენიშვნებს.  
ეს მოხდა აგვისტოს პირველ რიცხვებში, დღის სამ საათზე. ჩემი მე-  
გობარი ავთანდილი დაესწრო ამ სცენას.

ორივე შეზარხოშდენ და ნიერაძემ ექიმი გარეთ გაიყვანა საი-  
დუმლო ცნობების გასანდობათ.

გარეთ გასვლისას ნიერაძემ ამოილო ჯიბიდან ქალაქის ექიმე-  
ბიდან მოცემული წელების შემოწმების ქალალდი და ექიმს უთხრა:  
წაიკითხეო.

ექიმმა დაიწყო კითხვა, მაგრამ ამ დროს ნიერაძის მომართუ-  
ლი თოფი გავარდა და ექიმი დაეცა უსულოთ.

ექიმი გურიიდან იყო გადმოხვეწილი.

გურიიდან გადმოხვეწილი ცოლქმარი რამდენიმე წელი სვა-  
ნეთში სცხოვრობდენ. შეეთვისენ სვანებს, მაგრამ სვანურ ჩვეულე-  
ბებმა იმსხვერპლა ექიმის სიცოცხლე.

— დავილუპე ამ ტყეში — კიოდა ექიმის ცოლი — ბიჭრა არაზანი /  
დილ მიშველე.  
— ნიუარაძეს ვერავინ მიეკარა. გადმოხტა იქვე მყოფი შელისტება  
ელი, ნიუარაძის შესაპყრობათ, მაგრამ ნიუარაძის სიტყვებმა გააშე-  
შია ის.

— ჩემ პაპას თქვენების სისხლი ემართა. გეცოდინება თავი  
გაუტეხეს. ეხლა იმ სისხლს ნუ გამახსენებ და ჩამომშორდა. — მილი-  
ციელი მობრუნდა. ნიუარაძე წავიდა უშეგულში. დლისით ტყეში  
იმალება, ხოლო ღამით შემოდის კოშეში. ოემუომში კომეავშირე-  
ლები შევიდნენ. მეტი ენერგიით დაიწყეს მუშაობა.

— კარგი ექიმი იყო? ვკითხე კალაში მომუშავე კოოპერა-  
ტორს.

— რაც იყო, იყო, ახლა არც კარგი და არც ცუდი არა გვყავს.  
აი რა მოხდა უშეგულში. ორსული ქალი გახდა იყათ. ოფრინეს ექიმ-  
თან კაცი, მაგრამ სეტიდან ექიმის ჩამოყანას ორი დღე უნდა, ორ  
დღეში ქალი გარდაიცვალა და ექიმი მკედარს წამოადგა თაეჭე.

— არ მოგყავთ ექიმი კალაში? შევეკითხე.

— არავის არ უნდა წამოსელა — სთქვა სვანმა — უშეგულის სკო-  
ლაში ყურაშვილი იყო მასწავლებლათ. ვთხოვეთ კიდევ დარჩენა.  
სთქვა მეტი არ შემიძლიანო. ზამთარში ქვეყანას მოწყვეტილი  
ვართ და ვერ ეჩერდებიო.

კალაში გაჩერდებოდენ, მაგრამ ამ მკელელობამ დააშინა  
ექიმები — სთქვა კალელმა კოპერატორმა.

— აქ კოოპერატივი არის, ლათბარის ულელტეხილის გზა პირ-  
დაპირ ჩამოდის და ქვეყანასთან კავშირი გვაქვს. მხოლოდ ექიმი ვერ  
მოვიყვანეთ. მგლოვიარეთაც ვართ.

მგლოვიარობა სვანეთში საგრძნობი მოვლენაა.

სოფელში ვიღაც მოკვდა ერთი კვირის წინათ და მთელი სო-  
ფელი გლოვობს დღესაც. წინეთ კი ყოველ უქმეებში იმართებოდა  
ჯარი და ჯარში ცეკვა, თამაში და სიმღერები. ახლა მთელი სოფე-  
ლი დამწუხარებულია. გუშინ ბესო ნიუარაძეს ვთხოვეთ ეცეკვა. ვაი-  
თხრა: „მგლოვიარეთ ვარ და არ შემიძლია. სოფელის მკედარი ჯერ  
საფლავში არ გაციცებულაო“.

თემეომის ყოფილი თავმჯდომარის თჯახიც გლოვობს. ექიმის  
მკელელი ღამეებს კოშეში ატარებს და დლისით ტყეს შეფარებია.  
სისხლის აღების აღმოფხვრა სვანეთში ჯერ ვერ მოხერხდა. უშეგული  
ყველაზე ტრადიციული მხარეა სვანეთში.

„უშგულში ძველი ადათი მაინც შერჩათ“ — მითხრა მესტიერმა /  
სკანდალი. „აი ჩვენ ძველი ჩვეულებები გადავაგდეთ და ჯერ ახალი ფრთხოები  
შევითევისეთ“ . „უშგულელებმა სისხლის აღება იციან, მაგრამ უფროშეა  
გების მოხელეებიც არიან“ — დაუმატა მეორემ.

უშგულელი კომქავშირელები კი სხვაფრივ ფიქრობენ. მათ  
იციან უშგულის ჩამორჩენის ამბავი და სისხლის აღების ჩვეულებებს  
ებრძებან. მოხსენებაც მოაწყვეს ამ თემაზე, მაგრამ უშგულის გარე-  
მყარი არ შველის უშგულელ კომქავშირელებს. ადამიანი და ნიკო  
დაკავშირებულია ერთმანეთთან უშვალოთ. ხშირად ნივთებს მოაქვთ  
ტრადიცია ინერციით და აცოცხლებენ თანამედროვეობაში. კოშკებს  
ერთი შეხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში როლის თმაში არ  
შეუძლიანთ. ეს არ არის საკებით მართალი. კოშკები ხშირათ ინა-  
ხავენ ეხლაც საზოგადოებრივ მავნე პიროვნებებს. კოშკი აძლევს სა-  
შუალებას მოსისხლეებს უთვალთვალოს მტერს ფანჯრიდან. როდე-  
საც სტრატეგიული პუნქტები არსებობს, ტრადიციის განიარღიერა  
ძნელი ხდება.

ჩვენ ვიცით მთელი რიგი ძველი ნივთობრივი კულტურის გავ-  
ლენებისა ახალ ადამიანის ყოფაზე. უშგულში მოიპოვებიან გადახედუ-  
ლი პიროვნებები, რომელთაც უნახავთ ქალაქი, უცხოვრიათ ჩვენს ქა-  
ლაქში და გამოუელიათ კულტურული და პიროვნული წმინდა ცხოვ-  
რება.

უშგულში დაბრუნებისას ის შედის სვანური ქვის დამხობილ  
შენობაში. სიბინძურე იქ უკვე ნივთების თეისებათ გადაქცეულა, მის  
იდეოლოგიურ ინერციას სდარავობს კოშკი და კოშკთან ერთად  
ტრადიციული სოფელი. დაბრუნებული შეგულებია ყოფის ასეთ სტა-  
ტიურ ფორმას და ხსნებულ ნივთობრივ გარემოებებში გაყოლია  
ყოფის ინერციულ დენას. ცხადია ნივთებს ახლავს თავის იდეური  
სემანტიკა და ეს იდეური სემანტიკა ხუთავს კულტურულ ცხოვრებაში  
გამოვლილ ადამიანსაც. არ შეიძლება ითქვას, რომ სვანი თავისი  
გონებრივი ორიზონტით დიდათ ჩამორჩება იმერელ ან მეგრელ  
გლეხს. მაგრამ მისი ნივთობრივი და გარემყარი პირობები დამხო-  
ბილია და ისიც ემორჩილება მათ ტენდენციას.

თემკომის თავმჯდომარეც ამ ტრადიციების კლანჭებში მოხედა.  
ვერ გადალახა არსებული ატმოსფერა და მოჰკლა ექიმი. ექიმის სი-  
კვდილით, კიდევ უფრო შეიხუთა უშგულის შინაგანი ცხოვრება.

კოშკების დარღვევის და გადაკეთების უფლება აიკრძალა ად-  
გილობრივ ხელის უფლების მიერ. მათი ისტორიული შინიშვნელობა  
უფრო დაფასდა, ვიდრე ადამიანი. კოშკები, ეგზოტიურობის მოყვა-

რულთათვის, მართლაც სასურველი სანახაობაა, მაგრამ ქვეყნის მწერები ზე ზემიზაცია არ შეიძლება. ხალხი სანახაობის ობიექტი—კი არ არის არამედ ის არის სიცოცხლის მექანიზმი. ადამიანი სმიურობულობების და სიამაყეს ის უნდა იჩენდეს ცხოვრებაში მოქმედებით.

კოშკებიდან უნდა განთავუსულდეს უშგული.

ექიმი და ნიერაძე ლოკალის მსხვერპლია.

უშგულიდან გზა მიღის კალაში, იქ არის კოოპერატივი და წინად ექიმიც იყო.

### თვიზრზე ამაღლება და ხიმონ ჯაფარიძე.

დილის 8 საათზე სეანები მოვიდნენ და ჩვენც ავემართედ ტვიბრის მწვერვალებისაკენ. ტვიბრის წინ მიდის მდინარე ენგური. ენგურზე გადებულია ხიდი, რომელსაც „დედაკაცის ბოგირი“ ეწოდება. ენგურის ჩრდილოეთით ნაპირი შალალია, ხოლო სამხრეთით ნაპირი დაბალი. დედაკაცის ხილიც ამის გამო საშინლათ დაქანებულია და შესდგება ორი გადადებულ ხისაგან. თვალები მახვილი უნდა გქონდეს და შუბლები მაგარი, რომ შესძლო დედაკაცის ხიდზე გასვლა; ხიდის მიღმა იწყება ტვიბრის ფერდობი და ქრის ყანები.

ამ დილით უკვე მეიან ყანას და ქალები და მამაკაცები მოსდებია ფერდობებს ნამგლებით შეიარაღებულნი. ჩვენ პირდაპირი მანძილი აეირჩიეთ. ჩვენ მიყვებით სვანებს. ბილიკის მაგივრობას სვანები ასრულებენ. ბილიკით ირგვლივ შემოუვლიდით ტვიბრის მთას და სამჯერ მეტი მანძილი გაკეთდებოდა მისი დახმარებით. ჩვენ მიედივართ უგზოთ, პირდაპირ ბალახებზე, სვანების წინამძღოლობით.

ქვემოდან ტვიბრი შიშველი მთის შთაბეჭდილებას სტოვებს. აღმართზე ასელისას ჩვენ ეხედავთ, რომ აქ გაზრდილია ხშირი ბალახი. ბალახი დაწოლილია და ფეხებს არა გვტკენს. შიშველი ფეხებით მივიმართებით აღმართში და მზე გვაცხუნებას.

ტვიბრზე გაშენებულია შიფერის ტყე და ეს ტყე უნდა მოქმედეს კინო ფირზე. ტვიბრზე ხე არ მოსჩანს—წყალიც ძლიერ შორს არის. მოგვწყურდა და გადაუხვიერთ ნაპრალისაკენ. ალპიური მთა მდუმარებს და ზემოდან დაგვცერის ვებერთელა ქვების სიპები. თივის გუნდები გადმოწყობილია ლარებზე. სვანები ზემოთ თიბავენ ბალახს და შემდეგ სპეციალურად გაკეთდებულ მთის ლარებზე, ასრიალებენ თივის გუნდებს. ჩვენ მივიწყვთ ზემოთ და ფეხსაცმელები გვკიდია ზურგზე. ხელები შეიარაღებული გვაქვს წერაქვსაყდენე-

ბით და ზოგიერთებს ფეხებზე წრიაპები მოუკვამთ. სვანებს მხდლოდ  
ბანდულები აკვიათ და მიდიან დაშვერილებული ნაბიჯებით. სიარუ-  
ლის დროს ისინი აკეთებენ ტეხილ ხაზებს და „ზიგზაგებიუჩქმისა  
მართებიან მაღლა. ამგვარი სიარულით მგზავრი ნაკლებათ იღლება  
და სუნთქვას თვავისუფლად.

მთის აღმართში თვალი ყოველთვის ტყუცდება. მიდიხარ აღ-  
მართში და გამოჩნდება მწვერვალი, გვონია ახვალ წარმოდგენილ  
წერტილზე და უკვე მთის მწვერვალზე ხარ. თვალების წარმოდგენა  
ირლვევა წარმოდგენილ წერტილზე ასვლისას, ხსენებულ წერტილი-  
დან ერთი იძდენივე ზომის ფერდობი აღმართება წინ და გაჩნდება  
ახალი წერტილი სიმაღლის. ხსენებულ წერტილზე ასვლისას კიდევ  
უხალი სიმაღლე და ხდება მშობიარეობა ფერდობის მხედველობაში;  
ეს მეორდება 9 ოთასი ფუტის სიმაღლეზე და შემდეგ ისნება ტკიბ-  
რის დასასრული და ტკიბრის დასასრულში ამართულია შიფერის  
გიგანტიური კლდეები.

— ეს ბალახი და ეს შიფერი ქვეშ რომ იყოს, ჩვენს ბედს ძალ-  
ლი არ დაუყენს.

— მარილიც გვინდა დაუშატა — შეორემ.

სვანეთში მარილის უქონლობის მმავი ყველასთვის ცნობილია,  
მაგრამ უცნობია ის გამოვლინებანი, რომელიც მარილის გარშემო ხდება.  
ამ სიმაღლიდან არ მოსჩანს ოთხფეხის ნადირობა მარილიან წყალზე.  
უშგულში მოშარდვა სახიფათოა. ფეხსაღილის უქონლობის გამო,  
მის მოვალეობას გაშლილი სივრცე ასრულებს. მოსაშარდავათ გასულ  
ადამიანს, თან მიაქვს ჯოხი, ცხოველების მოსაგერიებლად; განმარ-  
ტოებით გამოჩნდება თუ არა კაცი, ოთხფეხი მირბის მასთან, რომ  
ბალახზე დაღვრილი შარდი მოსრუპოს.

ხარები უშგულში შესანიშნავები არიან და რქებიც დეკორა-  
ტიულად გაშლილები აქვთ. ისინი გადმოყვანილია უმთავრესად ბალ-  
ყარეთიდან, იქ ცხოველები დაჩვეულია მარილიან წყალსა და ქატო-  
თი საზრდოობას, ამიტომ მოითხოვენ უშგულშიც მარილს. მარილი  
უშგულში არ არის და ნადირობენ შარდებ.

მარილზე კარტის თამაშიც ეწყობა უშგულში, წაგებული მა-  
რილს ჯამებით, ზღავს თამაშის დროს. შიფერიც დიდი წინააღმდე-  
ვობის მასალაა სვანეთისათვის. წარმოდგენილ სიმაღლიდან შიფე-  
რის ჩატანა უშგულში შეუძლებელია. ამ სიმაღლეზე მარხილებსაც

არ შეუძლიან აჩინება. ბარგიანი ცხენი ასი მეტროს ქვემოთ შეაჩინება და კინო იარაღები ხელით ამოიტანეს სვანებმა.

ტვიბრის შიფრის ლიშხნარი წამოყუდებულია კადლუბეგიზა: იდუმა რაკურსში უყურებთ სიბრტყეებს. ერთ ქვაზე აღმოაჩინეს წარწერა: „ვიყავი აქ 5 სექტემბერს 1925 წელს სიმონ ჯაფარიძე“. წარწერა ამოფხაჭილია შიფრის განაპირო კბილზე“. ეს კბილი დაცულია ირგვლივ პლასტებით და ამიტომაც წევიმას ვერ გადაურეცხავს და მტვერს ვერ ამოუვსია ასოების ნახაზობანი.

ტვიბრის გაგრძელებაა მწვერვალი კარეტა. ამხანაგები დარჩენ ტვიბრის მწვერვალზე. ხოლო მე ავემართე კარეტის უმაღლეს წერტილისაკენ.

— თუ ჩქარა იყლი. ჩამოვესწრებ — მითხრა სიმონ ჭელიძემ.

დაახლოებით საათნახევრის შემდეგ ამ სტრიქონების ავტორი იდგა კარეტის მწვერვალზე და გასცემეროდა იმ დაუსრულებელ პლანტაციას მთებისას, რომელთაც კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაკვეთი, მისი შტრები და სენატის მთები შეადგენენ. მწვერვალზე დევს ორი მეტრი თოვლი — ადამიანი აქ წერტილია დასმული ბუნების თვალუწვდენელ პერგამენტზე. გეგონებათ თვალგადუწვდენელ სხდომის დარბაზში სხედან გიგანტიური სენატორები და სღუმან თავიანთ გონებრივ სიმდიდრეებით. ლია დარბაზს დასცემრიან სხდომის პრეზიდიუმის წევრები, რომლებიც ამართულან კავკასიონის ქედზე მწვერვალების სახით და რომელთა წოდებაა: ჩხარა, თვეთნულდი და უშბა. ესენი მედიდურ სხეულებათ ამაღლებულან მასის ზემოთ, მაგრამ მაგონდება:

მთები ზეცაში გადაკიდულან,  
შთაგონებულან მთათა კურგანი,  
მაგრამ ლურსმულნი ვერ გადუკითხავთ  
და დარჩენილან დადუმებულნი.

დადუმებულათ დარჩენილი მთები ატარებენ სამთო-მაღნო სიმდიდრეებს და ჩვენ ამ გიგანტიური სხეულების დამორჩილებამდე ვმოქმედობთ. მთების საიდუმლოებას არღვევს კავკასიონიდან ჩამოქანებული მყინვარები. ამ მწვერვალიდან მე ვითვლი მხოლოდ ექვს მყინვარს და მათში მხოლოდ სამს ვასახელებ: ჩხარას ჩამონადები, ხალდესი და აღიშის მყინვარი. მყინვარები ექანებიან ქვემოთ და გახსენდება მარილი, რომელიც სვანეთში არ იშოვნება.

თვეოთნულდის მწვერვალს ქვემოდან ღრუბელი შემოხევები / ჩა  
მისი გუმბათი ცარიელ სივრცეზე გადმოკიდული ადასტურებს ილის /  
სტრიქონებს:

„აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,  
ცისა და ქვეწის შუა დაკიდულ.  
იგი დიადი, იგი მძვინვარი,  
იგი დიდებულ და დადუმებულ“.

ერთოვანები  
გიგანტები

### შევცერი მთებს.

ჩხარის სიმაღლე უდრის 18 ათას ფუტს: 15 უშბა და 16 თვე-  
ოთნულდი. მწვერვალები შეყრდნობიან ღრუბლებით დაბლა ჩამოწო-  
ლილ ცას. პოეზიაში, როდესაც ცა დაბლა იწევს, მთები კითხულობენ  
ციურ საიდუმლოებას და ღრუბლებში თავებ შეყრდნობილებს „ცა  
ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნათ“.

ქალამანი რათ უნდათ მთებს? მთებმა ერთი შეხედვით მოძ-  
რაობა არ იციან. ილიამ ამიტომ შეიძულა „მყინვარი“ მან არ აღ-  
ნიშა მწვერვალის სტატიური მოძრაობაც.

მწვერვალები სდგანან, მაგრამ მაინც მოძრაობენ.

მთები მოძრაობენ განუწყვეტლივ. აგზაუნიან მეწყრებს, რეცხა-  
ვენ კლდეებს, ანადგურებენ მოსავალს. ხან ამწვანებენ და ხან კიდევ  
ახრიოკებენ საძოვრებს. აპობენ ხეებს და ქმნიან ნაპრალებს, აგორებენ  
მიქელანჯელოს გიგანტიურ ქვებს და ბოლმასავით ხრიალით უშვი-  
ბენ ნაპრალებში, კლდეების ნაფლეთებს. აეიწროებენ ბილიკებს, ხუთა-  
ვე გზებს და საერთოდ იბრძვიან არსებობისთვის.

ეს ანბანური ცნებები ადიოდა ჩემ „მყინვარებში“ პოეზიამდე  
და უპირისპარდებოდა ილიას „მგზავრის წერილებს“.

სუანეთი, დაუსრულებელი ჰიდილია მწვერვალების, კლდეებისა  
და მყინვარებილ გამოდენილ მდინარეების სიძლიერისა.

სდგანან ეს მთები და ებრძევიან დროს, კულტურას; იცავენ და  
იმორჩილებენ საუკუნოებით დარჩენილ იარალების სიბლავეს. მთები  
უშვებენ მყინვარებიდან მდინარეებს და ხმაურობენ დახეთქილ მყინ-  
ვარებით. უშვებენ თეთრ ნახშირს. ინახავენ სხეულებში ათასნაირ  
მაღნეულს და ყოველივე ამ მოძრაობაში ისინი არიან მდუმა-  
რენი და დამშეიდებულნი: ვითომცდა აქ არაფერიაო.

ამიტომ ფოტოგრაფია არ არის ნამეოლი ფიქსაცია ფაქტის.

როდესაც მყინვარები დასკდება, გზებიც მთებზე მოიკვეთებიან.  
ხშირად ყინვარებს გადაათოვეს; ქვეშ დარჩება თვალუწვდენელი ნაპ-  
რალები და მგზავრის ფეხები ძლიერ მგრძნობიარე უნდა იყოს, რომ

გაიგოს თოვლის ქვეშ დამალული უფსკრული და მოსალოდნელი  
კატასტროფა.

მოგზაური სეანები ყოველთვის გრძნობებნ თოვლის ქვეშ და მოსალოდნელი  
ფარულ ნაპრალებს და ოსტატურად იცილებენ მყინვარის შემთხვევა  
ტევას.

ამ სიმაღლიდან მოსჩანს ხალდესის და ადიშის მყინვარები. ჩემი  
გამოყლილი მანძილი ტყიბრზე, ოთხი წლის წინეთ გამოიარა ქართ-  
ველ ტურისტმა სიმონ ჯაფარიძემ და გასწია წინ ხსნებულ მყინ-  
ვარისაკენ.

ოთხი წლის შემდეგ პიმენ დვალთან და გ. ნიკოლაძესთან ერ-  
თადის ამართა თვეთნულდისაკენ. ის ებრძოდა მთებს და უნდოდა  
დამორჩილება მწვერეალების. თვეთნულდზე ის დაილუპა პიმენ დვა-  
ლის მიშველების დროს. დვალს დაუცდა ფეხი, რადგან მთებზე სიარულის  
კანონები არ ქონდა შეთვისებული. ისინი დასრიალდენ მყინვარის  
სიბრტყეზე და ინერციით ერთი ნაპრალიდან მეორეზე გადაფ-  
რინდენ.

ამ მყინვარებს მე ეხლა დამშვიდებული შევუძერი. იქ დაუცდა  
ადამიანს ფეხი და „მოლიბულ“ სიბრტყემ გააქანა უფსკრულისაკენ.  
ისინი ებლაუჭებოდენ მყინვარებს თუ არა მე არ ვიცი. შეიძლება  
ამის მოფიქრების დროც არ ქონდათ, დაქანებული სხეულები უდი-  
დესი სისწრაფით გაექანენ უდაბლეს წერტილისაკენ. ერთი თვის  
წინეთ, ვინ იფიქრებდა რომ სიმონ ჯაფარიძე შიფერის ქვაზე დარ-  
ჩებოდა, როგორც სახელი და გვარი მოგონებისთვის.

მე ვერ წარმოვიდგენდი მისი ფეხების დამარცხებას მწვერვა-  
ლებზე.

მას ქონდა ხმელი და დამწვარი სახე. ჭილარა თმა და ჯიხვი-  
ვით სამგზაუროთ ალეჭილი სხეული. ის იყო საშუალოზე ცოტა მა-  
ლალი და პროსპექტზე სიარულის დროსაც აღმართზე აღიოდა.

ტფილისში გადაჭრილ შარვლით დადიოდა. ძარღვიანი, დამ-  
წვარი და აღმართი წივებიანი ყოველთვის მეგობრულად იღიმებოდა  
და მთების რომანტიზმის ატარებდა.

ახლა თვეთნულდი ჩემს წინაშე სდგას და მე ვიხსნებ ტფი-  
ლისში უკანასკნელად სიმონ ჯაფარიძესთან შეხვედრას. ეს იყო ზა-  
ტხულის ალიონზე მტკვრის პირას. მაშინ მოწმენდილ ორიზონტზე  
მოსჩანდა მწერლობაში ცნობილი და უფლება მოსილი მყინვარი.

სიმონ ჯაფარიძე ლაპარაკობდა მყინვარზე და მეუბნებოდა.

— პოეტები უნდა დადიოდეთ მყინვარზე. პოეზია მყინვარზეა.

დღეს კი უფრო ახლო სდგას თვითნულდი და ქვემოთ შეიფერს /  
ქვაზე აწერია „სიმონ ჯაფარიძე“.

თვეთნულდი უფრო მარადიული თოვლითა დაფარულებულიდან  
მარადიული ყინვით, ის სპეტაკია და მისი ხაზობრივი გარესკნელი  
მსუბუქი. ის თანდათანმდით მონდის კავკასიონიდან. მისი სითეორე  
ლეგნდას აძლევს უფლებას ის ქალის სახეობაში წარმოიდგინოს.  
თვეთნულდის დასავლეთით მოპირისპირე მწვერვალია უშბა. უშბას  
ტანი პირდაპირ ამოვარდნილია მწვერვალიდან და ჯანსაღ სპორ-  
ტსმენს მოვაკონებს. მისი ტანი ამოვარდნის შემდეგ ფიჭალივით  
იყოფა ორ გიგანტიური კბილათ და კბილებს შუა თოვლის მტვე-  
რია გაღმოყრილი. დღეს კბილებს შემოხვეული აქვს ლრუბლის მან-  
ტია და უშბა ბაირონიერი აბრიალებს პლაშის კავკასიონის სიმალ-  
ლეზე. მას სჭირია თავისი შელლი, რომ „მონბლანზე“ ლექსი უშბას  
პოეზიით შესცვალოს.

უშბა მასიურია, მაგრამ მისი ნახაზობა, მას გოტიურ ელფერს  
აძლევს. თვეთნულდი უფრო ბაროკოს სტილისკენ იხრება.

სვანური თქმულებით უშბა ვაერა, თვეთნულდი ქალი. თქმუ-  
ლების სიუჟეტური გაშლა ჩვენ არ გვაქვს; ფაბულის საწყისი დარ-  
ჩენილა, მაგრამ სიუჟეტი დაკარგულა. შეიძლება წინააღმდეგი იყოს:  
ფაბულის საწყისები შეუქმნია ხალხს, მაგრამ არ განუვითარებია,  
რადგან თემას აქტუალობა დაუკარგავს.

ასეთი ბედი ანეგდოტის არ ეწევა. ანეგდოტის გაჩენის პროცე-  
დურა ხსენებულ სახის საწყისებს არ ატარებს. ერთი პიროვნება  
გაეხუმრება მეორეს ან უკეთ სიტყვას მოუქრის მობაასეს, მომსმენი  
მოყვება და როდესაც ყვება მისი სახით იბადება ავტორი და მახვილი  
სიტყვა, სიუჟეტში გადადის.

ხდება სხვა მხრივაც. ერთი გაეხუმრება მეორეს და შემდეგ  
ხუმრობას მოყვება, როგორც ამბავს. ამბავი გულისხმობს სიუჟეტს.

ამიტომ ანეგდოტების გაჩენის ისტორია სასახლეების ხუმარე-  
ბიდან ლებულებს დასაბამს.

თქმულება ნაკლებათ ვრცელდება და დიდხანს სკოცხლობს. ანე-  
გდოტი მალე ვრცელდება და სიცოცხლის მანძილსაც მალე კარგავს. პირველი მარადიულობისთვის არის გამოგონილი, მეორე დღიურო-  
ბის შემოქმედებაა და დღიურობის ფუნქციით ვრცელდება. პირველი  
და მეორეც ფეოდალური ყოფილან დატოვებული უანრებია. ანეგ-  
დოტმა განიცადა ტრანსფორმაცია. თქმულება მოყვდა. უშბა და  
თეთნულდი გაშეშებული ცოცხლობენ. ქალ-ვაჟიანმა დაქარგა თა-  
ვისი ესთეტიური სიმახვილე.

ყოველი მყინვარის დაბლობთან მოსჩანს ნაღველის ფერი ტბის სკანებს ეშინიათ ნაღველიან ტბის. მათი მოსაზრებით ტბაში, რომ ქვა ჩაგდო, კოხი დაანგრევს სკანეთს. ადიშის მყინვარი ხმუტებული მწვერვალიდან ირგვლივ სიჩუმეა და სიცოცხლის მაჯის ცემა, შობლოდ ღრუბლის დინებაშია მოცემული. ისინი მოიტანებენ ამელი წვიმის და თოვლს.

ერთი რაც ძალი და ღონე მქონდა დავიკიელე და დავბრუნდი უკან.

რატომ უყვარს ადამიანს კივილი მთაში? უყვარს, რადგანაც ხმას გაქანების ასპარეზი შეკუმშულ სიცრცეებს ზემოთ გააჩნია.

გაიხსნეთ აბანოს ოთახი. აბანოში უსათუოდ ვინმე ლილინებს. ლილინი მსხვილდება და ამ მსხვილ ლილინს მეორეც უპასუხებს. აქ ხმას სინოყივრე ემარტება. მთებში ხმას რეზონანსი მეტი მოელის. ამიტომ მთაზე ასული მოგზაური უსათუოდ კივის და კივილი მიდის ძლიერ შორს... შორს... და ეკიდება ბილიკებზე მიმავალ მგზავრების ყურადღებას. ქვევით უშგულში ხმა ვერ ვრცელდება კარგად. თუ აღმოსავლეთით მოიბრუნებ პირს და დაიყვირებ, ხმა ბუმერანგივით უკან დაბრუნდება და გეცემა პირში. თუ დასავლეთისაცენ დაიყვირებ, ხმა არ დაგიბრუნდება უკან; ის წავა შორს და დაიკარგება დაუსრულებლობაში.

ხმას ასპარეზი სჭირია. გამავრცელებელმა უნდა იცოდეს ხმისთვის სიცრცეების შერჩევა.

დღის 6 საათზე უკვე ამხანაგებს შეუერთდი. ჩვენ ტვიბრის დაქნებულ ფერდებზე დავაგეთ ნაბდები და ბეწვიანი გუდები, დავჯერ ზედ და ორმოც წუთში ენგურის ნაპირთან ჩავსრიალდით.

### უშგული და სვანური ჩვეულებანი.

ქართული ანდაზის მიხედვით: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. უშგულშიდაც ხდება რეალიზაცია ამ თქმულების. უშგულში და საერთოდ სკანეთში, ეკლესიასა და მღვდელს ავტორიტეტი დაკარგული აქვს. რჯულის დატოვებული გამოვლინებანი-კი უშგულის ძარღვებში ჩვეულებათ არის შესული და მას უშგულელები დიდი თავდადებით იცავენ.

მღვდლების ავტორიტეტის უქონლობას მკვლევარები ხსნიან სკანეთში მომხდარ—ქრისტიანობის ლოკალიზაციით. ქრისტიანობის სვანური შტო, სრულიად არ მიაგვას ჩვენებურ სარწმუნოებრივ გამოვლენას. აქ ქრისტიანული და წარმართული დღესასწაულები ისეა

ერმანეთში გადასული, რომ მათი ერთმანეთისაგან გამოხსნა ძნელ  
ხდება.

სათანადოთ მღვდელიც ვალდებული იყო სვანეთში ანგლისტი რეკრიუტის გადასაცემა სენატის პირობებისათვის. მის ვალდებულებში შედიოდა წარმართულ და ქრისტიანულ უქმების თანამარი ყურადღებით შესრულება, ამიტომ მღვდელი სამსახურის ამსრულებელი იყო და არა სარწმუნოებრივი ქადაგი ან ბელადი. მღვდელს მისმა ჩინონენიკურ მოვალეობამ დაუკარგა ავტორიტეტი და ქადაგისა და წინამძღვრის ტიტული ვერ მიანიჭა. როდესაც ახალი ცხოვრების სუსტი შექმნა სამღვდელოებას, ის უმტკივნელოდ ჩამოსვა სვანეთმა პიედასტალიდან. მაგრამ მის მიერ გაშლილი დღესასწაულები, უქმები და მასთან შეფარდებით გამომუშავებული ზნე-ჩვეულებანი უშტკივნეულოთ არ მოიხსნა სვანის შინაგანი ყოფიდან.

სწორედ ამ სიბრტყეზე ჩვეულებებმა დასძლიერ რჯულის გარევნულ გამოვლინებებს და რჯული ჩვეულებების სახეობაში გადასული დარჩა სვანის საზოგადოებრივ და ოჯახურ ყოფაში.

უშგულში შენახულია სვანური წარსულიდან წამოღებულ ზნე-ჩვეულებათა სახეები. უმთავრესი ცხრილი ზნე-ჩვეულეა გამოვლინებისა დარჩენილია უქმების, დღესასწაულების და სამგლოვიარო დღეების სახით. ამათი დეტალურად აღნუსვა მოითხოვს ოვეობით დარჩენას უშგულში და თითქმის ყოველდღიურ ფიქსაციას. ჩვენს მოვალეობაში არ შედიოდა ჩვეულების მიმართ ეტნოგრაფ-მკვლევარის ოვალებით შეგვეხდა. ჩვენი მიზანი იყო გვენახა, რამდენათ უარყოფითი ზედგავლენა აქვს ამ უქმებს და მის შედეგებს სვანურ ყოფაზე. ან ხდება თუ არა ბრძოლა ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ.

სათანადოთ რამდენიმე დღესასწაული შესწავლილი იქმნა და ეს გვაძლევს ჩვენ მთლიან სახეს ძეველი ყოფის მიმართებისას.

უშგულის თემის სრული განმანადგურებელი უქმებია. კვირაში სამი დღე უსათუოდ უქმეა. კვირა, განუწყვიტილ კვირის შემოსვლამდე, ყველგან უქმე იყო და უშგულშიც იგულისხმება ეს უქმე. პარასკევი როგორც კვირა ისეთივე უფლების უქმეა უშგულში. ყოველ ახალ მთვარის შაბათი უქმეთ ითვლება და ეს სამი უქმი დღე წინამძღვრებია დანარჩენ პერიფერიულ უქმების. ყოველ შვიდ დღეში ერთი ან ორი დათქმითი უქმე არსებობს. დათქმითი უქმები ხშირათ თოხივე სოფელზე არ ვრცელდება. ერთს სოფელში სამშაბათს უქმეა, მეორე სოფელში მას ოთხშაბათი ენაცვლება. სამანტიკა ამ უქმებისა ჩემთვის სავსებით არ არის გამორკვეული. უქმების სიმრავლის მიზეზი სვანეთში მომუშავე ეტნოგრაფების მიერ ჯერ სავსებით

არ არის ახსნილი. გრძელი ზამთარი, რომელიც უქმების საჭიროებას ქმნიდა უსაქმობის გამო, შესაძლებელია ინერციით ზაფხულამდის აღწევდა. ამან შექმნა უქმების გამომგონებლობა და მიწისძირის ბილიზაცია მოხდა სვანების არა საკეთილდღეოთ.

როგორც წინა წერილში აღნიშნეთ, ჩემი აქ ყოფნის დროს პურის მეტად დაწყებული იყო, მაგრამ პურის მომეტა შეაფერებს მილა-გებულმა უქმებმა. საქმიან დღეებში-კი მოვიდა წვიმა და წვიმის მოყვა თოვლი. ნახევრად მომეტი ყანებს დააწვა თოვლი ჯერ კიდევ ათ სექტემბერს და 23-მადე თოვლ-ჰყაპი ბრძანებლობდა უშგულში. ჭირნახულზე მისი მავნებლობა ყველასათვის ცხადია, უპირველეს ყოვლისა თვით სვანებისათვის.

ამ უქმების წინანაალმდევ ბრძოლა უშგულის თემში ჯერ კიდევ ვერ არის გადამწყვეტი სახით წარმოებული.

17 ოქტომბერს სოფელ ჩაუაშში დღესასწაული გამოცხადდა. ხარი, რომელსაც ასუქებენ ჩაუაშშელები ოთხი წლის განმავლობაში მოამზადეს დასაკლავად და გაშალეს დღესასწაული თამარის კოშის ქვეშ.

უშგულში გავრცელებულია თქმულება, თითქოს თამარი სცხოვრობდა სვანეთში და კერძოთ უშგულში. სათანადოდ უშგულის უკან, სამხრეთით მთა ლენკერი-მუყმერზე აშენებულია ციხე რომელსაც უშგულელები თამარის საზაფხულო საცხოვრებლად სთვლიან. ხოლო სოფელ ჩაუაშსა და ჩიბიანს შორის მაღლობზე, ლენკერი—მუყმერზე ქვემოთ სდგას ოთხი შავი კოში. ერთი გადანგრეულია, სამი სდგას ჯანსაღათ და ეწოდება თამარის საზამთრო საცხოვრებელი. საზღმორო კოშების შუაში სდგას პატარი „ტაბარი“ რომელშიდაც აღამიანი ძლიერ გაიმართება და სიგანით ოთხი კაცი გაჭირვებით მოთავსდება. ამ ეკლესიას უშგულულები „ლაშედირს“ ეძახია: „ლაკლირი“ ქართულად ნიშნავს სამჭედურს. სვანების თქმით თამარი ამ ქვის ქოში აჭედინებდა სვანურ ეკლესიებისათვის ხატებს. იქვე სდგას მაცხოვრის ეკლესია.

სწორედ ამ ეკლესიის წინ ჩაუაშშელებმა მოაწყვეს დღესასწაული. ამ დღესასწაულს ჩაებშელები მიმართავენ ოთხ წელიწადში ერთხელ. ყიდულობენ მოხვერს და ასუქებენ ოთხი წლის განმავლობაში. ეს ხარი ითვლება თავისებურ წმინდანათ და არავის არა აქვს უფლება დაარტყას სენებულ „წმინდანს“. თუ ხარი ვინმეს ყანაში გადავიდა, ყანის პატრიონმა მოწიწებით უნდა გადმოიყანოს უკანვე.

ერთმა კომედიშირელმა ეს მოწიწება დაარღვია. როდესაც მის ყანაში ჩავიდა ხსენებული „წმინდანი“ ის არ დაერიდა და დაუროთ



სახე. ამაზე მთელი სოფელი აჯანყდა. როგორ თუ შეეხეო „წმინდანსო“ და კომიკავშირელს გვერდები დაუშილეს.

17 სექტემბერს ეს „წმინდანი“ მიუახლოვდა, თამარის მეცნიერება ფონშე, დანას. ბუღა წითელი ფერისაა და გასუქებული. ხალხი ლოცვით შემოერტყა ბუღას ირგვლივ. რამდენიმე პირმა ბუღა დასცა და ხარი ხორცად იქცა. გატყავების შემდეგ ხორცი დასჭრეს და დაანაწილეს. რამდენიც კომლია ჩაეთში იძღვნი ნაქერი ხორცი გამოიყანეს ბუღიდან და შეექცნენ მწვაცს გაშლილს ბალახზე. თითო კერძი იყოფა შუაში და ნახევარს მესაკურთხე აგზავნის სახლში. სახლიდან გამოტანილი ხაჭაპურები დაალაგეს და შეიქმა ქეიფი, ქერიდან გამოხდილ არაყით და იქვე მოხარშულ ბუღას ხორცით. ღვინოც იყო ამ დღესასწაულზე, რაც იშვიათი მოვლენაა სვანეთში. ეკლესიიდან გამოტანილ სპილენძის ჯამებით არიგებს ორი კაცი ღვინოს და დღესასული იშლება.

ამ დღესასწაულს ეწოდება შუახათახაში. ეწყობა შეათათვის სამშაბათს. ამ დღესასწაულს იხდიან მხოლოდ ჩაუაშელები.

ჩაუაში ნიერაძეების სოფელია. თქმულება გადმოგვცემს, რომ ნიერაძეებს უხსიერა დროში ქონიათ მუცლის ტკივილი ან უკეთ დეზინტერია. დეზინტერის სამკურნალოდ მიუმართავთ ღმერთისათვის და მიურთმევიათ ხსნებული ხარი ოთხ წელში ერთხელ. ნიერაძეების მუცლის ტკივილი დაედვა ამ დღესასწაულს სარჩულად და ეს დღესასწაული მთლიანად აწვება სოფელ ჩაუაშს.

სვანის განმანადგურებელი არის ოჯახში გარდაცვლილის დასაფლავება და ტირილის პროცედურა. ტირილის პროცედურას გარდაცვალებისას სვანები უწოდებენ „ლაშთხვარს“. ჩვენ არ შეუდგებით ეხლა ლაშთხვარის გარეგნულ აღწერას. ვინც იცნობს მეგრულ ტირილს, მისთვის განმეორება იქნება თითქმის ეს აღწერილობა. მოთქმა და სოლისტი მომტკირალი სვანეთშიდაც მიღებულია და ძლიერ გავრცელებული. მონოტონური დეკლამაცია გლოვის, აქ საკმაო ოსტატობას აღწევს და საჭირო ემოციონალური ზეგავლენაც აქვთ მსმენელებზე...

სვანეთში როდესაც მიცვალებულის გასვენება ეწყობა, ცხვება იმდენი პურის კვერი, რამდენიც ნაცნობები ყავს მიცვალებულს. ეს პურები ურიხდება პროცესიის წევრებს, თუ რომელიმე ნაცნობი მოსული არ არის (უმეტეს შემთხვევაში) პური ეგზანენება სახლში. თუ გასვენება მარხვაში მოხდა—შემოდგმაზე ეწყობა კონჩარი, როდესაც გარდაცვლილის ჭირისუფალმა უნდა დაკლას ოთხფეხი და უნდა

დაარიგოს იმდენივე ხორცის ნაჭერი, რამდენიც პურის  /  
დარიგდა.

„ლაგვამს“ და „კონჩხარს“ აქეთ თავისი დეტალებიც. შეარაბ  
ჩვენ აქ მისი აღწერაც შორს წაგვიყენდა, აქ მხოლოდ ის განმანა-  
დგურებელი მავნებლობა გვაინტერესებს ჩვენ, რომელიც ზემოთხსე-  
ნებულ შემთხვევებს მოსდევს. ეს ჩვეულებბნი არ შეადგენენ მარტო  
უშეგულის საკუთრებას. განსვენების მმგვარი გადახდა მთელს ზემო-  
სვანებშია გავრცელებული. მესტიაში აგრონომმა მურზა კვიციანშია  
გადმომიცა ცნობები ბერიში მომხდარ გასვენებათა შესახებ. მისი  
ცნობით სექტემბრის პირველ ნახევარში ასვენებდენ ერთ ცნობილ  
სეანს. სეანს რომელიც ნათესავებით და მეგობრებით მდიღარი იყო.  
მთელი ნათესაობა და მხანაგობა შეიკრიბა გასვენებაზე და ათას  
კაცამდე აღწევდა პროცესის შემაღენლობა, პროცესის ყოველ წევრს  
ოფიციანი პური ექირა ხელში.

ამასთანავე მესტიის თემში ყოფნისას სოფელ ლალამში გამო-  
ვარკვიეთ შემდეგი ჩვეულება, რომელიც დაკავშირებულია ოჯახში  
მამაკაცის გარდაცვალებასთან.

თუ ოჯახში მამაკაცი გარდაიცვალა—მოიკვანენ შეკაზმულ ცხენს  
და ხარს მიცვალებულთან. ცხენის უნაგირზე და ხარის რქებზე აა-  
თებენ სანთლებს და გამოსვენებამდე იწვისა.

გამოსვენებისას მხედარი უნდა შეჯდეს ცხენზე და აჭენოს ცხენი  
სასაფლაოს და ოჯახს შორის, სანამ ცხენს გული არ გაუსკდება და  
არ მოკვდება. სეანების რწმენით საიქიოში მიცვალებული ცხენით  
ჩაისეირნებს.

ეს ჩვეულება თითქმის გადაგვარებულია ახლა. მაგრამ შემთხვე-  
ვები დღესაც არის და ზოგიერთ სოფლებში კიდევ მისდევენ ამ  
ჩვეულებებს.

საზამთრო ჩვეულებებში აღსანიშნავია ეგრეთწოდებული ბოს-  
ლობა—სეანურათ „ლაქვარაში“. ლაქვარაში უმთავრესად გავრცელე-  
ბულია უშეგულში და წარმოადგენს ხუთეულ ოჯახის დღესასწაულს.  
ყოველ ხუთეულში ერთი ოჯახი პატიუბოს დანარჩენ თხხს და იმარ-  
თება დღესასწაული. შემდეგ მორიგეობს მეორე და ასე შემდეგ.

არის კიდევ გავრცელებული მოსაგონარი ტირილი. მოსაგონარ  
ტირილს ეწოდება „ლაგვანი“. რაფიელ ერისთავის აზრით კონჩხარი  
და ლაგვანი ერთი და იგივეა. მაგრამ ეს არ არის საქებით მართა-

ლი. კონჩარიც მოსაგონარი ტირილია, მაგრამ ის უახლოეს შემთხვევაში დღომაზე ეწყობა. ლავანი უფრო შორეულ მიცვალებულის მოგრძელებულება მაგ. კაცმა ისი წლის წინედ მკვდარი ბებუა უნდა მოიგონოს უკანასკნელ ხელ მაინც. და ამისთვის ეწყობა ტირილი. მაგრამ ტირილი ქეიფის სახით. კლავენ ხარს ცხერებს და ოჯახი ნადგურდება წინაპარის მოგონებით.

ცეელა ამ უარყოფით შემთხვევებს მრავალი მკვლევარებიც და სკანდალის აღმწერელნი ეგზოტიურ თვალებით უყურებენ. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ წინააღმდეგობებს რომელსაც ეს ჩვეულებები ქმნის თანამედროვე სოციალისტურ მშენებლობის მიმართ.

სკანდალში ჩვენ გვყავს ახალი ძალა, რომელსაც ყოველივე ზემოთ აღმწერალი არა სწამს, მაგრამ აქტიური ბრძოლის შესაძლებლობაც საესებით არ აქვს.

ამ დებულების დამამტკიცებელია ერთი შესანიშნავი შემთხვევა, რომლის მონაწილე და დამსწრე ამ სტრიქონების ავტორი, იყო.

მე და ერთ ჩემ მეგობარს მოვგიხდა ერთ სვანურ ოჯახში ყოფნა. ოჯახში უფროსი მამაკაცი რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო. უფროსის სავარძელი იდგა კერიასთან. ხსენებულ ხის სავარძელშე უფროსის სიკვდილის შემდგომ, ერთი წლის განმავლობაში არავის უფლება აქვს დაჯდეს.

ჩვენ მოუსხედით კერას და ჩემმა მეგობარმა პაპიროზი მიაწოდა ოჯახის წევრებს. ყმაწვილმა, რომელიც ოჯახის პატრონია მამის სიკვდილის შემდეგ, პაპიროსი გამოართვა მომწოდებელს და გადასცა დედას. გამოირკვა, რომ მას უფლება არა აქვს, როგორც მგლოვიარეს, პაპიროსი მოსწიოს და ისით მამის სარძელთან, სადაც მიცვალებულის სული ბინადრობს. დედამ პაპიროსს მოუკიდა და ცარიელ სავარძელშე დასდო. თვითონ დაიწყო მოთქმა. პაპიროსი სავარძელშე დასდო იმიტომ, რომ მისი წარმოდგენით მიცვალებულის სული საჭიროებს საზრდოს. პაპიროსი იწვება ნელნელა და ქალი მოსთქვამს...

რაღაც საქმის გამო ქალი წამოდგა და მოთქმით გავიდა გარეთ—მაშინევ ყმაწვილმა (მიცვალებულის ვაჟმა) დაავლო სავარძელზე დადებულ პაპიროსს ხელი და მოქანა... დაიყვანა ძირამდი. და როდესაც ქალი ბრუნდებოდა, მან სასწრაფოდ ყოფილ მდგომარეობაში, სავარძელზე დაპრუნა პაპიროსი.

ხშირად ასე ფარულად არღვევს ტრადიციას ახალგაზრდობა.  
აშენარაა ბრძოლისათვის პირობები არ არის საესებით მოვა-  
რებული.

ნათქვამიდან ნათლად სჩანს, როგორ ხდება ჩვეულების შინა-  
განი რღვევა. საბჭოთა სინამდვილეში სჯული და ჩვეულება ერთად  
უნდა დაირღვეს სოციალისტურ მშენელობის კბილებზე.

---

გრიგოლ რობაქიძე

## დაზით კლდიაშვილი

პორტრეტი დაზევებული

ქუჩაში მიღის მომცრო ტანის მოხუცი. პალტო აცვია სამხედრო (ნუ თუ ამდენ ხანს არ გაცვდა მუქლუში მაუდი?). თავზე—რუსული ქუდი. მხარბეჭვე—მოთეთრო ყაბალახი. მიღის მოხუცი უჯერო ნაბიჯით. ხანდახან განხე გადაქანდება. მაგარი ქარი რომ ამოვარდეს, წააქცეს კიდეც ამ პატარა ტანს. მოხუცს ხელში კარგა მოხრდილი ჯოხი უჭირავს.

შეგხვდება და სალიმს აძლევ. მოხუცი მწყრალად შემოგხედავს. სათვალეს ისწორებს. ალბად თვალებს თუ უწყრება: კარგად ვეღარ იხედება მოხუცი. შედება. სახე თითქო ნამტირალევი აქვს. უეცრად გამოგიცრობს ხმაზე და მის სახეს სიხარული ეფინება. მისი შეთერილი სახე ამ წამს მზეა თქორში. გაგონდება ქართული თქმა გენიალური: შექ პირს იძანს.

დავით კლდიაშვილი სალიმს არ დაგჯერდება: მოგჭიდებს ხელს ხელში და წამსავე იწყებს გულის გადაშლას. მას აქვს პათოსი გრძნობის გაზიარების. გიოხრობს ყყელაფერს, რაც კი ამ დღეებში უგვრძენია. განსაკუთრებით ახარებს სიკეთე. კიდევ უფრო—სხვისი კარგი. უსმენ ამ გულს და გიყვარს სიკოცხლე. ხედავ მინდიას, მთებიდან ბარში ჩამოსულს.

„უცნოურია“—ამბობს დავით რომელიმე ამბავზე (ამ სიტყვას იყი იმერული გამოთქმით ამბობს).

შენც უსმენ ამ „უცნოურს“.

## მართლაც უცნაური

უცნაურობით რომ დაფასდეს რომელიმე მხარე, პირველ ჯილდოს იმერეთი მიიღებდა უთუოდ.

აბა ნახეთ.

ექლესიის გალავანში სხედან სოფლელები. მათ შორის — კურა-  
ფიონი. მუსაიფი ალმაცერი და სიტყვამახვილიანი. სერაფიმშვილი გვი-  
ვის ძალო გაიხსენა, კუსია.

„ახსენა თავისი კუსია“ — გაისმა დამცინავი სიტყვა ვიღაცასი

„რატომ არ ვახსენებ, შენ გენაცუალე, ღმერთმა ნუ დამავიწ-  
ყოს მისი თავი“ — უპასუხებს სერაფიონი.

სოფლელებში ქალაქიდან მოსული ბიაშეილია პორტირი. ალბად  
მის გასავანად თუ ახსენა სერაფიონმა კუსია. პორტირი მართლაც  
დაინტერესდა. სერიფიონიც უამბობს (ალბად ათასჯერ თხრობილს):

„დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანი-  
ვით შემოირჩებს სახლის ყოველ კუთხეს; ერთი წაქცეული სამხა-  
რეულო მაქვს, იქაც მოსუნავს და თუ შეხედა, რომ სახლში არა-  
ფერი არ კეთდება, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოირ-  
ჩენს მეზობლებს, სად კეციდნ ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მთარ-  
ბენინებს, სად ქათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწინწალებს, სად  
კეერცხს გამონახავს, ხან და ხან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო,  
გარდასწყვეტის და აგერ, რომ გვგონია, რომ დღეს უსაღილოთ ვრჩე-  
ბით, გარდასწყვეტილი გვაქვს, — ეს ლეთისნიერი სულდგმული ხელად  
ამინებს ცარიელ სუფრას ათასნაირ საჭმელებით... თითქო მეზობლე-  
ბისაგინ ხონჩები მომსვლოდეს!“.

„საცა იქნება, გვერდებს ჩაუმტვრევენ იმ შენ კუსიას“ — გავარ-  
დება ვიღაც ყმაშვილის სიტყვა.

სერაფიონსაც მზად აქვს პასუხი:

„მამა ჩემი, აზნაური ქაიხოსრო გორდელაძე რომ გაცოცხლდეს  
და რამე აწყენის ჩემს კუსიას, იმას ჩავაბრუნებ საფლავში; თვარა  
სხვა რითი გადამირჩება, რომ ჩემს მაცხოვრებელს რამე მოსწიოს!..  
ბატონო, სხვა არაფერი შემჩრჩნია... ძალლით ვრჩები, იმ ზომამდი მი-  
ვალშიც პატიოსანმა აზნაურმა...“.

კითხულობ ამ სცენას „ქამუშაძის გაჭირვებაში“ და არ იცი:  
იცნონ თუ გაშტერდე ამ უცნაურობის წინაშე. ასეთ გროტესქს ეს-  
პანიაშიც ვერ იხილავთ.

იტყით — მოვონილიაო?

აოქიერების მოყვარულთ მიეუთითებ: დაბა ჩხარში, ნიკოლოზის  
დროს, სასამართლომ მიიღო ასეთი საჩივარი: ამა და ამ გლეხმა, სო-  
ფელ წუხარელას მცხოვრებმა, მე, ამა და ამ გლეხს, სოფელ ჩხარი-  
ეწერის მცხოვრებს, მომიკლა იშვიათი შავი კატა, რომელიც არ ჩა-  
მოუვარდებოდა არც ერთ მწევარს, რადგან ზამთარში კურდლელს  
მიქერდა.

დავით კლდიაშვილი არ „იგონებს“: იგი მხოლოდ „სახავს“.

იგივე სოფლელები რაღაცაზე დავობენ. ეკალაზე დაჭირებული უუბნება პორტირის ერთი აზნაური. ადგილზე დავობენ — უსწორებს მეორე: ეკალა აბა. რა სადაცვა? ერიძა! — შესაბა სერაფიონშა, — რავა უცხო კაციები ლაპარაკობ, ჩემო ივანე! ნეტავი თელი წელიწადი კი არა, ნახევარი წელიწადი მქონდეს ეს დალოცებილი საქმელად. პორტირის მაინც არ ესმის, როგორ წაჰკიდა ეკალამ ეს კაცები. სერაფიონიც უხსნის:

„წაჰკიდა კი არა, გადაამტერა! მეზობელმა თავის მხრით საქარი გაჩეხა ადგილის გასაფართოებლად, შესამატად. საქარი ეკლიანი იყო; განატეხულზე მისი მხრით რომ აღარა იყო, ეკალას აქეთ დაუწყო პოტინი; მისდგა საქმე მისწრებაზე, ერთი თვეალის დახამხამებაში გაფუცევნეს ეკლები, კვირტებსაც აღარ არჩენდენ ზედ. შეექნათ ლაპარაკი. აქითურმა მიზეზად ის დეიდვა, რომ თხელ საქარში ღორი, ქათამი, ბატი, ცხვარი დაძერებათ და ყანა ამომიგდესო — დაუწყო ჩხუბი კაცმაც, ქალმაც, ბავშებმაც, ყველამ. ნამდვილად კი ეკალას დაკლებამ აპილპილა ყველა“.

ორი წელიწადი, ერთმანეთს ედავებიან. არა გამოვიდა რა, ვარდა იმისა, რომ სარდიონ ქველიძეს იმის მიხედვით, თუ რომელი მხარის ვეჯილი იქნება, ხან ერთი „უწიკაეს“ ქათმებს და ხავაპურებს და ხან მეორე.

მოდი და იცინე ასეთი გიშირვების შემდეგ! მაგრამ სხვა რა გამოსაყალია? სიცილი ცოტად მაინც გააქარვებს კუჭის პრეტენზიებს.

### ლორმი

ლორიც „უცნოურია“ ამ უცნაურ იმერეთში. ლორი აქ უღლიანია ხშირად, რომ ლობეში ვერ გაძერეს. მაგრამ ლორიც მშიერია და დამშეულს რა ლობე გაუძლებს. ძვირად ნახავ იმერეთში ლობეს, რომ ნახვრეტი არ ქვნდეს. ეს ლორის საქმეა. ლორის თანს ვერ ერევა ცხენის თავიც, მესერზე რომაა ჩამოცმული. ლორი თანდათან ხელოვანდება თავდასხმაში და უღლიანიც მოხერხებულად ძერება ლობის ნაჟურეტებში. თუმცა ძალის ძალიან ეშინია. თუ გამოეკიდა „კვესია“ ან „ბროლია“, ვაი მაშინ საწყალ ლორს. ლორი მაშინ „ეკვეტება“ ლობეში, მის კანჭს კი ძალი ჯიჯვნის. ისმის საშინელი კუვირილი ლორის. ორლობეს აწყდება ხალხი. კუვირილს ქახანი ემატება. პარალელურად იმართება სხვა შეხეთქება: ძალის პატრო-

ნის და ლორის პატრონის. ჰერში გაისმის წყვეტილება, გადადის. ნება და დამუქრება: გაისმის სხაპასხუპით.

სამოქანაკუთხი  
გამოცემის სამიზნები

იღილია ტრაგიკომედიაში გადადის.

გალაქტიონის გვერდით მოგვარე ჩამოესახლა. გალაქტიონი ლარიბია, მაგრამ მის მეზობელს სულ ორაფერი გააჩნია: ლორები ჰყავს მხოლოდ. ხოლო ლორებსაც უნდა კამა—და სშირად იჭრებიან გალაქტიონის ბოსტანში. ქაქინი, ჩიუბი, დავიდარაბა. გალაქტიონი და მისი ცოლი ზენათი თათბირობენ: სურა გამოიგონონ რაიმე საშვალება ლორების წინააღმდევ. პაუზა, ლირსი დიპლომატისა, „რაღაც კილონება, შე ქალო“—ეუბნება ქმარი.

მეორე დღეს გალაქტიონი ალექსანდრე შარაქაძესთან გაეშურება, რომელიც თარჯიმნად მსახურებს მაზრის სამმართველოში. მივიდა. შევედრა და შებაასება—„იმერული“. კიდევ პაუზა. მეზობელი უნდა შემიზინო: ეუბნება ალექსანდრეს გალაქტიონი. ალექსანდრე გაოცებულია. გალაქტიონი უამბობს მეზობლის ამბავს. ალექსანდრეს კიდევ არ ესმის. გალაქტიონი უხსნის:

„პო და იმას გოხოვ მიკადრო შენი ღარიბი ნათესავი, მეწვიოჩემს ღარიბ თჯახები... ერთი დღე გაატარო ჩემს ქოხში... შენთვის ეს არაფერი იქნება, ჩემთვის კი დიდათ ელირება, ალბათ დაფასდება. კუთხე მეზობელი გაიგებს, რომ სულ უპატრონოთ არ ვყოფილვართ“...

ალექსანდრე თანხმდება სიამოენებით. მაგრამ ვერ ხედება კიდევ, თუ რა რიგათ უნდა შეაშინოს მეზობელი.

გალაქტიონი სიტყვას არ ზოგავს:

„თქვენ ოლონდ მობრძანდით ჩემსას, სადილი მიირთვით—და გინახონ ჩემსას. დაგინახონ რომ თქვენისთანა კეთილები მყავს—მფარველათ და სხვა არაფერი“. არა არაფერი.

გალაქტიონი ამასაც სთხოეს ალექსანდრეს, რომ სასამართლოს „სეკრეტარიც“ თან წამოიყენოს, გასილ ივანიში.

გამართა სადილი გალაქტიონმა. ცხვარი, ინდოური, ქათმები, გომიჯები, ხაჭაპურები. იშვია წითელი ღვინოც. მოვიდენ სტუმრებიც. კვირა დღე იყო. წირვა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული. გალაქტიონმა სტუმრები ეკლესიისაკენ წაიყვანა. გულში ფიქრობდა: მთელმა სოფელმა დაინახოს, თუ რა სტუმრები მეწვიენონ.

ეკლესიიდან მღვდელიც თან წამოიყოლეს.

ცაცხვის ძირში შეუდგენ სადილს. ჭიქას ჭიქა მოჰყვა. შეოვრენ. ვასილ ივანიშმა ლექურიც კი ჩამოატარა. მღვდელმაც შემოიკრა ანაფორის კალთები და ერთი იმანაც „ჩაალექურა“.

ლხინი პათეტიკაში გადადიოდა, როცა მოისმა უეცრად ჟრული ისოს” ყეფა. რა ამბავია? ბოსტნიდან ლორები მორბოდენ, სუნი თუ ეცათ სადილის—მოვარდენ და სუფრის ქვეშ შეძრენ. რტყმევა, ცემა—თქვენც არ მომიჯვდეთ: ფეხსაც არ იცვლიან მსუნა-გები. ფათურებენ, საჭმელს ეძებენ.

ზრიალი და უნებლიერ სიცილი.

წახდა სადილი. წახდა გალაქტიონი და მისი ოჯახობა.

გალაქტიონი ეხვეწება ალექსანდრეს: ეგებ ახლა შეუცაცხანოს საკადრისად ვასილ ივანიჩმა მეზობელს. მაგრამ „სექტეტარი“ გალე-შილი ეგდო. ალექსანდრე იმედს არ ჰქარგავდა მაინც: გამოიფხიზ-ლებს საღამორელე ვასილ ივანიჩი და მაშინ შეუკურთხებსო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა: ვასილ ივანიჩმა წასელა აიჩქარა.

ორი კვირის განმავლობაში ლორებმა მოასენეს გალაქტიონი. შემდეგ ისევ დაიწყეს თავდასხმა.

გალაქტიონმა ისევ თავის „სტუმრებს“ მიმართა. მაგრამ ეხლა არა გამოვიდა-რა. მაშინ გალაქტიონმა გადასწყვიტა: პურმარილს არ შევარჩენ მათო. ვიღაცას დააწერია „დანოსი“ მათზე, რომ ასე გაი-ლეშენ სტუმრობაშით. გალაქტიონმა კიდევ ერთხელ ნახა სტუმრები. ეხლა ისინი იყვენ შეშინებულნი. შინ დაბრუნებული გალაქტიონი სიამოვნებით უამბობდა საღამოს ამ ამბავს თავის ზენათის.

### ნატურალიზმი?

თუ გინდ ნატურალიზმიც იყოს. ნატურალიზმი არაა მაინცა და მაინც ხელშასაკრავი. ნატურალისტურ ალებული მასალა ხშირად უფრო ექსპრესიულია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მასა-ლა ნახელოვნების ნატეხია თითქო: და ასეთია იმერეთიც.

მაგრამ დავით კლდიაშვილის ნატურალიზმი ობიექტივიზმია უფრო. სუბიექტი (ავტორი) მის ნაწერში თითქმის არ ჩანს. ობიექტი (თხრობილი) თავის თავად მეტყველებს.

დააკირდით ზემომოყვანილ ესკიზს („ბაკულას ლორები“). ავ-ტორს შეეძლო ბევრი რამ ეთქვა გალაქტიონის გაწმილების ხაზით: (იმედი გაუცრუვდა საბრალოს და შერცხვენა იგემა). იმედგაცრუებას გალაქტიონი შეჩერებულია, მაგრამ შერცხვენას იგი არავის პა-ტიებს (საშინელ სიღატაკესთან ერთად ამპარტვინობაც ნიშანია იმე-რეთის). გალაქტიონი „დანოსი“ აწერიებს ვიღაცას. აქა დავით კლდიაშვილის შიშველი ობიექტივიზმი: ეს დასმენა თითქო „შეპარე-ბულია“ ესკიზში, ისე, ჩუმად, მაღულად. შემდეგ: მკითხველი გრძნობას რაღაც „უხერხულობას“ გალაქტიონის მიმართ: (დასმენა რაღა იყო?).

მაგრამ „უხერხულობა“ წამსვე იხსნება: მკითხველს ელიმება მადლინ-  
ნად (შემშინებელი ეხლა თვითონ დარჩენ შეშინებული).   
და ასე ცველგან.

## უდაბო ზედოვანი

მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცეალი“ ქართული ჰუმორის  
კლასიკური ნიმუშია. ეს ნაწარმოები თითქო „უბრალოდაა“ შედგე-  
ნილი. ნაცადი თვალი კი აქ რთულ კომპოზიციას ხედავს.

თავიდანვე აგნიშვნავ სამ მომენტს:

პირველი: თემა თავის თავად პატარაა. მაგრამ განვითარებაში  
იგი თანდათან იზრდება.

მეორე: ყოველი შემდეგდართული მომენტი ულოდნელია. ეს  
იწვევს დინამიურ უცხოობას.

მესამე: ყოველი ახალი ელემენტი ნაწილია მოელის და ამავე  
დროს საკუთარი თემაა.

ბეკინა სამანიშვილი ლარიბი აზნაურია. ჰყავს ერთი ვაჟი, პლა-  
ტონ. პლატონი ცოლ—შვილიანია. ამბავი ყოველდღიური. ბეკინა  
ქვრივია. ესეც ჩვეული ამბავი. ქვრივი მოხუცი ჯერ კიდევ „მაგა-  
რია“: ცოლის შერთვა პსურს. გაუგონარი არც აქაა არაფერი. მაგ-  
რამ... აქ იწყება კვანძი მოთხრობის: შვილი რომ ეყოლოს და ისიც  
ვაჟი! მერე რა? სწორედ ამ კითხვით იხსნება დრამატიზმი. ახალი  
ვაჟი მიწის მოხიარე გახდება. მიწა კი ისედაც ცოტა აქვს პლა-  
ტონს. მკითხველისათვის უკვე ნათელია პლატონის წუხილი.

ამ დასაწყისში უკვე შემოდის ერთი ხაზიც, რომელიც ზემოხსე-  
ნებულ სამ მომენტს ერთნაირად ახასიათებს: პარალელიზმი ხუმრობის  
და გაპირვების (ვის არ მოგვრის ლიმილს ბერი-კაცის აკვიატება—  
ცოლი მინდაო და ვის არ დააფიქრებს პლატონის შეწუხება—ვაი  
თუ მამას ვაჟიშვილი ეყოლოსოდი). ეს პარალელიზმი ახალისებს „სა-  
მანიშვილის დედინაცეალს“ თავიდან ბოლომდე. თანაც თანვაჟს იმე-  
რულ ეპოპეიას.

გაგებელ კვალ და კვალ.

რა ჰქნას პლატონმა? უეცრად აზრი დაებადება: დიდებული  
ქვრივი შერთოს ცოლად მამას, ისეთი ქვრივი, რომელიც ორჯერაა  
ნაქვრივები და რომელსაც არც ერთი ქმარის ხელში შვილი არ ჰყო-  
ლია. მკითხველი უკვე იცინის. ამ პირობას კიდევ უნდა დაერთოს  
ერთი რამ: ქვრივი ისეთი უნდა მონახოს, რომელიც როგორც პირ-  
ველ ქმართან ისე მეორესთან სამი წელი მაინც ცხოვრობდა. სამი  
წელი მინიმუმია, რომ მესამე ქმარის ხელშიც ქვრივი უშვილო დარ-

ჩეს. მეითხველი კიდევ უფრო იცინის. ხოლო სიცილი ხარხარში დადის, როცა მეითხველი ტყობილობს, რომ მაშვალის როგორი მაშვალი თონ პლატონი გამოდის.

იწყება ქვრივის ძებნა. ორჯერ ნაქვრიეებ ქალის ძებნა უდრის „მევდარი სულების“ ძებნას.

პლატონი აზნაურია, მაშასადამე, პატივმოყვარე. ფეხით ვერ იკლის. ცხენი არა ჰყავს. გამოართვა მეზობელს. ცხენი გამხდარი, გაძვალტყავებული გამოდგა (ესეც „როსსინატი“ იმერეთის). კიდევ ერთი დეტალი. მოსართავს მოჰკიდა ხელი თუ არა, პლატონმა შენიშვნა, რომ აბზინდს ენა არ ჰქონებია. „მეიტა, მელანო, ჩხინვი იქნება რამე“ — შესძახა პლატონმა. დაამაგრა მოსართავი ჩხინვით. ეს „ჩხინვი“ ესსენტია მთელი მოთხრობის.

გაუდგა გზას. სოფელს რომ გასცილდა, ჩამოხტა: გაიგდო წინ გახრევილი ცხენი წკეპლის ცემით. მაგრამ უბედურება: მას დაედევნა სოფლის „ატუკანტი“ იეანე გვერდევენიძე. აქ დავით კლდიაშვილს დაუვიწყარი დეტალი აქვს შეტანილი: „ქოლგით იღლის ქვეშ“. და ეს დეტალი საქმაოა სოფლის ვექილის სახისიათოდ. მაგრამ მთავარი სხვაა: ვექილი ცხენზე ზის და ცხენს არა უშევს რა. პლატონი ბედს იწყევლის: ეხლა თვითონაც უნდა შეჯდეს ჯახრაქე. შეჯდა კიდეც და იწყება „როსსინატის“ ძენძული. მეითხველი იცინის. მაგრამ უბედურებას კარგი მხარეც აქვს (ეს ორმაგობა ყველგანაა დავით კლდიაშვილის ნაწერში): გამოლაპარაკებისას პლატონი ტყობილობს ვექილისაგან, რომ სოფელ ქვედურეთში ერთი ისეთი ქვრივია, როგორსაც იგი დაეძებს. ეს ხდება ისე, ში-ვადაშივ: ვექილმა არც კი იცის პლატონის გადაწყვეტა.

გამოვიდა: ეს შეხვედრა არ იყო „უბრალო“. ავტორმა აქ ორი მხრით აიღო ლელა.

პლატონი ეწევევა თავის გათხოვილ დას, დარიკოს. გაუზიარებს აზრს. ამ დროს კირილეც მოდის, „გადაქრული“. ეს კირილე ავტორს პლატონისთვის სჭირდება, მაგრამ თავის თავიად იგი უძველე დამოუკიდებელი თემაა: უდარდელი, ხალისიანი, ზარმაცი, მოქეიფე, მოქსებარი, „ატროვებული“, ატეხილი, ავი (უფრო სიხალისისაგან). კირილეს ხითხითს საზღვარი არა აქვს, როცა პლატონის „მისსიას“ შეიტყობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მაშვალად თვითონ პლატონს ხედავს. სახუმრო ამბავი მისთვის მისწრებაა და მზადაა გაპუვეს კოლოიძას:

„ვძებნოთ, პლატონ, ვძებნოთ! ხა, ხა, ხა! ჩემს დღეში, ამგარ უცხო საქმეზე არ მივლია და აქედან ვიცი, რომ ბევრი გასართობი

მოგველის! რამდენ დედაბერს. სანატრელად გავუხდი უშეიძლოთ 

ფნას... ხა, ხა, ხა!.."

მიღიან საძებრად. ჯერ მამიდა სალომესთან, რომ იქნიდა მეტად  
იტყონ, მართლაა თუ არა ქვედურეთში სანატრელი ქვრივი.

აქ ავტორი მეტად მახასიათებელ ხელს აკეთებს (ეს ხვეულიც ორმაგია: გულისხმიერია, როგორც კირილეს ცხადებისათვის, ისე პლატონის საქმისათვის). კირილემ უცირად ხელი შემოირტყა შებლზე. „რა იყო?“ ეკითხება პლატონი. კირილე არ აძლევს გარკვეულ პასუხს. შემდეგ, როგორც იქნა, გამოტყდა, რომ „ზაფათაძესთან ქორწილშია დაპატიჟებული. პლატონს გულს მოეშეა: ეგებ თავი მიმანებოსო. აქეზებს—ეწვიოს. მაგრამ კირილე უარიბს. „აბა, მე უკან ვპრუნდები და ხვალ წავალ სალომესთან“—ამბობს პლატონი. ამ უკან-დაბრუნების კირილეს ეშინია: დარიუჟ ამიელებოს. რა ქნან? არც ერთი არ უთმობს. შემდეგ კირილე ხრისტ მიმართავს: მოდი, ორივე მივიღეთ შაფათაძესთან. პლატონი არ ნებდება, მაგრამ საშეელი აღარაა და ბოლოს თანხმდება.

გამოეტოვოთ ქეიფი. თუმცა თავის თავად ესეც საინტერესოა. გამოეტოვოთ ჩხუბიც (აუცილებელი დამატება ყოველი ნადიმისა იმერეთში). აქ ასანიშნავია მხოლოდ ჩხუბში მიფრეწილი ჩოხბი, რომლებსაც დილას ალამბვინებენ. ეს დეტალი საუცხოვოა. კირილეს კიდევ უნდოდა ქეიფი, მაგრამ პლატონმა არ ჰქნა. ეხლა კირილეს სატირალში მოუნდა წასკლა (ესეც დიდებული დეტალი: კირილესთვის სულერთია, ქორწილი იქნება თუ სატირალი, ოლონდ დრო გაატაროს).

როგორც იყო, გაემგზავრენ სალომესკენ. თავი დავანებოთ კირილეს ახვინტრიშებას და გულმოსვლას (გაიქცა გაცხარებული სალომეს სახლიდან).

აქ საინტერესოა არისტო ქვაშავაძესთან შეხვედრა. არისტომ გაიგო პლატონის საქმე (შეხურებულმა კირილემ წამოისროლა სიტყვა, სანამ გაიქცეოდა). არისტო ქვაშავაძეც ღარიბი „აზნაუშვილია“, შაგრამ გაქნილი და გაქლესილი. გაიგო თუ არა, იწყო ხელების შმუშენა: საშვეარი იყნოსა შორიდან. შესანიშნავია არისტოსა და პლატონის დიალოგი (არისტოს რეფრენი—„ეაი დაგემართოსთ“ ხომ შედევრის წევთია). თურმე ის ქვრივი, რომელზედაც პლატონს სითქლის ვექილმა მიუთითა, არისტოს მამიდა ყოფილა, ბრეგაძეზე მითხვილი. პლატონმა ამცნო გადაკერით ივანე გვერდევანიძესთან შეხვედრა. არისტო აილესა: ვაი თუ იმ წყეულმა აგინა ქალიო—და შეუტია აჩქარებით ვექილის სახელს. მაგრამ, როცა გაიგო, რომ

ივანეს მამიდა მისი ცუდათ არ უხსენებია, დარბილებით მომართა  
პლატონის:

„ასე დაგიშუო, შე დალოცვილო, თავიდანვე... ტყვიილი ჭუაბია  
ლანძლები ნათესავი კაცი“...

(მო, ეს „ასე დაგიშუო, შე დალოცვილო“: ამ ფრაზაში მოელი  
იმერეთია მოცუმული—სახის მეტყველებით, ხმის ტემპით, უსტი-  
კულაციით, და ვინ იცის, კიდევ რით).

არისტო თითქო ამ საქმიდან არას გამოელის: „ისე“ პპირდება  
პლატონის დახმარებას. მაგრამ ყური დაუგდეთ, თუ როგორ ებასება  
იგვივე არისტო სალომეს პირისპირ: ურჩიე, შენი ჭირიმე, პლატონის  
ბრევაძის ქვრივის თხოვით. როგორ იმანქება, როგორ იგრიხება.  
თურმე „საქერივოს“ გამოელის საწყალი. წევრებწამოშვერილი არის-  
ტო, ყელმოგრეხილი არისტო—„ყანყრატოში მარცხენა ხელის წავ-  
ლებით“: დაავიწყდება ვინმეს ეს ფიგურა და ეს პოზა?

აქაც ორმაგობა.

საქმე გაიჩარჩა. წავიდენ ბრევაძეებთან. ავტორი ჯერ კიდევ  
არ მიღის საგანთან პირდაპირ. არისტოს ჰურს ცხენებს დახედოს  
(დარწმუნებულია, არას აქმევენ). გადის ეზოში. ქათმის იქერენ. ქა-  
თმის ძალი მისდევეს. წიგილი, კივილი, ხრიალი. მკითხველი იკი-  
ნის. უკრად რალამც გაისისინა ჰაერში და არისტოს ქათმის მი-  
მართ გასროლილი ჭოლოები მარჯვენა კუნთში მოხვდა. მკითხველი  
ხითხითებს. არისტო კი იწყევლება:

„ქე არ მომელეს ამ ურჯულოებმა... ერთი წრიპა ქათმის გუ-  
ლისათვის... ამოგივარდათ ოჯახი...“

მკითხველი ისე იცინის, რომ არისტოს ტკივილისათვის აღარ  
სკალია.

ნახეს ქვრივი. იგი თანახმაა. მაგრამ ავტორი ამით არ კმაყო-  
ფილდება. საჭიროა კიდევ ერთი ულოდნელობა. ასეთიც გამოწინდება.  
ქვრივი კარგი მომუშავე ქალია და ბრევაძეები მას ვერ შეელევიან.  
რაღა დარჩა? მოტაცება? მკითხველი კიდევ იცინის. ორჯერ ნაქვრი-  
ვების მოტაცება—ეს ხომ ფანტასტიკა თვითონ. ქალი მიღის სხვა-  
გან სტუმრად. მოიტაცებენ. კირილეც ხომ ასეთ რამეებისთვის არის  
შექმნილი.

ხოლო ავტორი არც ამით ათავებს.

პლატონის ცოლი თვალს არ აცილებს „პატარძალს“. პლატო-  
ნიც. გაიარა ხანმა—და ნახეთ სინამდევილე, ერთსა და იმავე დროს  
სასაცილოც და საშინელიც: ქვრივი, რომელიც პირველი ქმარის  
ხელში 15 წელი იყო უშეილო და მოერე ქმარის ხელში 8 წელი,

ბეკინას ხელში პირველ წელსავე ორსული გახდა. მოდი და ნუ იჯავრება!

პლატონი გადაირია. სიზმარში სულ „გაყოფას“ ხელავსეილულობა — „პატარძალი“. მისი სისინებს. ბეკინა დარცხვენილია. კიდევ უურო — „პატარძალი“.

ერთი იმედი დარჩა პლატონს მხოლოდ (ამ შემოხვევაშიც ბეკინასაც): შესაძლოა ამ წყეულმა დედაკაცმა ქალი შეას და არა ვაჟი. მაგრამ აქაც ძლევს ულოდნელობა: ორჯერ ნაქერივებს ვაჟი ეყოლა.

და მოთხოვთ დასაწყისს უბრუნდება თავისას: თუ რაოდენ მართალი იყო საწყალი პლატონის წინაგზნება.

ასეთია „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს უდავო შედევრი ქართული პუმორის.

### მარტო სიცილი?

არა, ხუმრობა კარგია, მაგრამ დავით კლდიაშვილს სხვა რამ აქ მასში გახვეული (ცველგან): ბედი ადამიანის. სამი ელემენტი: მიწის სიცორტავე უკიდურესი, კერძო საკუთრების გზნება ძვალსა და რბილში გამჯდარი, თანაც არა-ჩვეულებრივი თავმოყვარეობა (თუ აზნაურული ამპარტავნობა) — რა უცნაურობას არ წარმოშობს ეს სამი ელემენტი ერთიმეორესთან გადახლართული? დავით კლდიაშვილი ამ უცნაურობას სახაეს. სახაეს პუმორის მაღლიან სიტყვისა და სახეში. მაგრამ ამ სიტყვისა და სახის „უკან“, სადღაც კუნცულში, იმალება ავტორის გული, რომელიც ადამიანის ტკივილს ვერ ივიწყებს.

ბეკინა გარდაიცვალა.

მომზრიგებელ მოსამართლესთან ხშირად დაიარება ერთი დედა-კაცი პატარა ბავშით. „ეს დედაკაცი გულდამწვარი უამბობს ხოლმენაცნობთ და გარს შემოსეულ მაყურებელთ თავის გაჭირვებას, უსაშეალობას და მშუბარებას, რაც მათ, ორთავე დედაშეილს, ადგიათ მისი გერის, პლატონ სამანიშვილისაგან, რომელმაც ალარც ლობე შეარჩინა, ალარც საზღვარი, ალარც ადგილი და იძულებულს ხდის საწყალ მოხუცებულ ქვრივ დედაკაცს იწანწალოს ყოველ კვირა სასამართლოში“.

ეს სიტყვები მოთხოვთ მორცხვი „პოსტ-სკრიპტუმივითაა“.

### მხარებრული დეტალები

დავით კლდიაშვილს ძალიან ემარჯვება დეტალის ხმარება, რაიც ძარღვია თანადროული პროზის.

მრავალი მაგალითებიდან:

„პატარა, თავშიშველა და ფეხშიშველა შეიდი-რვა წლის ბიჭა,  
პარკით გვერდზე, სახრით ხელში, შემორევა ეზოში რამდენიმე სული  
საქონელი“.

„პარკით გვერდზე, სახრით ხელში“—ეს უკვე ჰქონის ხელსახებ  
კონკრეტობას.

შემდეგ:

„ამას უკან შემოჰყვა გრძელწვერა, შეხსნილი ახალოხით. ძე-  
ლით მხარზე, ღველში ნაჯახ-გარჭობილი, რომელმაც ერთი გაჯავრე-  
ბით შეპყვირა ბავშს, როცა საქონელი ქოხისკენ გაეშურა“.

„შეხსნილი ახალოხი“, „ძელი მხარზე“, „ღველში გარჭობილი  
ნაჯახი“—ძალიან მეტყველი დიტალებია.

კიდევ, იქვე:

„ცოტა ხნის შემდეგ, ქოხის მახლობლად, გადასაბიჯზე გადმო-  
აბიჯა მხარზე შეშა-გადებულმა კაცმა“.

სიტყვა „გადასაბიჯზე“ ისე საზღვრავს იდგილს, რომ ნათლად  
ხედავ უკანასკნელს. როცა გადასაბიჯზე „მხარზე შეშა-გადებული“  
კაცი გაღმოაბიჯებს, სურათს ვეღარ მოიცილებ თვალიდან.

ეს დეტალები რამოდენიმე სტრიქონის მანძილზეა დაწვეთ-  
ბული.

მეტი მაგალითი საჭირო არაა.

### პორტჩეტი გაგრძელებული

„უცნოურია“—იგრძელებს სიტყვას დავით. უსმენ გულდასმით.  
ხანდახან ცხარობს: ფიცხია (მხოლოდ—არა სიავით). „გაფიცხები-  
სას“ გვინია ყოველ საზღვარს გადალახავს. მაგრამ რამდენიმე წუ-  
თის შემდეგ ცხრება, ნელდება, რბილდება. ამ დროს ხელს მიიტანს  
გულთან (ალბად ძალიან ფართქალებს), და, თუ სკამია საღმე, მიჯ-  
დება. ფერი ეცვლება, ფითრდება, თვალებს ხუჭავს: „გული წაუე-  
და“ გული: ჩიტის გული ნამდვილი. ზის ასე რამდენიმე წუთს,  
ოდნავ სუნთქავს. ჩიტის გული ისევ უბრუნდება შემდეგ და დავითი  
ისსენებს ნელი და შერთალი ხმით ტკივილებს.

ყოველთვის გულისხმიერ უსმენს იგი სხვების ლაპარაკს. განსა-  
კუთრებით—კამათს. ქართველი ცხარი ტემპერამენტისაა და ხშირად  
„გაცეცხლებული“ ლაპარაკობს. დავითს ეს სიცხარე გულმოსელა და  
თავდასხმა ჰგონია ხანდახან. მაშინ იგი ხელს გააქნევს და ჩაილაპარა-  
კებს: „არა, არა“, თანვე ოდნავ იღიმება. არის შემთხვევა, როცა იგი  
გაცხარებულ მოქამათეს ხელს ჰქონდებს და მთელი ტანით ტანს ექ-  
ვრის ოდნავ გადაქანებული. ამ დროს მისი ლიმილი—ბაეშისაა. თვა-

  
ლეგბიც ხალისდებიან: ატყობ მხოლოდ, რომ ცრემლები მზადაა. ვინაულებულ მოკამათეს ცეცხლი უქმი ელევა. არ სტორებს დავითი დიდი მელომანია.

მინახავს: სახლში მიძყავთ უეცრად გამხდარი ავად. საღამოს ხედავ: ოპერის თეატრში ზის, დირექტორის ლოებში. არ სტორებს არც ერთ სანიმუშო სპექტაკლს. და მერე: როგორ ისმენს მუსიკას?! თრთის, ცახცახობს, თვალებს აფართოებს, ცრემლი სდის: თითქო მთელი ტანი მუსიკალურ ტალღებით აევსო. ჭრიშმარიტად დავითი ნაზი და ნერვიული ჭურჭელია მუსიკის. როცა უცქერ ამ დროს, გეშინია, ჭურჭელი არ დაიმსხვრეს (თვითონ კი ამის არ ეშინია: უფრო ძლიერად გადმოხეთქავენ მუსიკის ნაკადები).

თუ რომელიმე მომღერალი მოეწონა — აბა მაშინ უნდა ნახოთ იგი, თუ გინდ მეორე დღესაც. დავითი „აყვანილია“ ამ დროს აღტაცებით და აღარ იცის, რით გამოთქვას იგი. ჯერ ისედაც არ „ერჩის“ სიტყვა და ეხლა იგი სულ აღარ ემორჩილება. მაგრამ, თუ გსურს გაიგო მისი ნამდვილი არსი, ეს უთქმელი სიტყვა, სწორედ ამ წამს უნდა უსმინო მას.

— : —

# ქართველ მწერალთა პორტრეტები

## ეკატერინე გაბაშვილი

\* \* \*

„ბედნიერი მანდილოსანი!“ — ეს სახელწოდება მიიღო ეკატერინე გაბაშვილმა 1911 წ., მაისის პირველს, როდესაც ქართველმა ხალხმა ზეიმით გადაიხადა იუბილე მისი 40 წლ. მოღვაწეობის აღსანიშნავად სამწერლო ასპარეზზე.

„ბედნიერი მანდილოსანი!“ — ამის გამგონი ალბად მოელის ლამაზ ზღაპრებს, სამაისო ლეგენდებს, ბუნება რო ჰეფურჩინის ოეითეულ ვარდის ფურცელში და სურნელებით ჰებბლავს ყველას.

მაგრამ „ბედნიერი მანდილოსანი“ სწორედ ამ მხრივ არაა ბედნიერი. თვილი გადაავლეთ მის წარსულს, რამდენ გაუნალდებელ თამასუქებს წააწყდებით, ბედის მიერ ალთქმულ ეტრატებზე ჩამოწერილს. იუბილემდე და შემდგომაც მის ბედის საყურედ უფრო წამება — ტანჯვას ვხედავთ დანისლულ სხივით მოელვარეს, ვიდრე ბედობის ნებიერ ყურთუეს.

„ბედნიერ მანდილოსნის“ ცხოვრებაში ხშირად დამდგარა სასოწარეკვეთილების წამი, როდესაც კალამი ემსხვრევა ადამიანს, მაგრამ ეკატერინე სწორედ მით იყო ბედნიერი, რომ მისი ნებისყოფა ვერავითარმა გაჭირების ქარიშხალმა ვერ დაამსხვრია. ბრძოლა საზოგადოებრივ სიბრძმავესთან, ადათად გარდაქულ შაბლონებთან, ბრძოლა თამამი აზროვნებისთვის, ბრძოლა პრესის ჯალათობასთან, — აი ხეედრი ვერცხლის ფაფარა ამორძლისა, ვისაც „ბედნიერი მანდილოსანი“ ეწოდება!

სამცირი წელი ბრძოლა სამოღვაწეო ასპარეზზე და ალმასიერით უდრეკელობა, — ნუ თუ ეს არაა ბედნიერება?

ქალთა შორის უპირატესი, რომელსაც ჩენი ერის მატეანეში პირველსა ხედა წილად ერთი დღით შესვენება და დადაცვნა ულამაზეს თეის მშვენიერებაში, ფურჩნილ მაისში, და მის შემდეგ კვალად აფოლადებული იერით და ძეელი ჯავარის კვერთხით გავლა მეწამულ ზღვაზე, — ნუთუ ეს არაა ბედნიერება ლეგენდარულ ლომის ლომობის?

მიბრძანდით მასთან და დასტუპით მისი ენაშულიანი საუბარით. უმშერთ და ჰეროინით, უმშერთ და იხიბლებით, უმშერთ ურჩიანი სძლებით მის ბასით, იმიტომ კი არა, რომ მის ხელში აღწერდილი ხართ, არამედ იმიტომ, რომ დავაუკაცებულს, შეიძლება უკვე შეთრთვილულ ჭილარასაც, გვერდიდან არ გშორდებათ იგი და „მაგლანას ლურჯათი“ დაგაქროლებით ათას მიმოვონებათა ხეივნებში, რომლებიც უნებურად გეწევიან ბედნიერ მანდილოსნის საპატივსაცემოდ გამართულ დღესასწაულზე დასასწრებლად.

„შრომის დედაბოძის განმტკიცება,—აი ეს პაროლი მოგვცა ჯერ მაშინ, როდესაც „შრომის სუფედაზე“ ლაპარაკი აღკრძალულ დაფის საიდუმლოებას შეაღენდა. ხან სასტიკი ბრალმდებელი, ხან დიდი რეფორმატორი და ადამიანთა პიროვნების დამცველი, მიწისა და მიწის მუშა-გლეხეცაცის კირვარამის შემცნობი. აღდგენა მასსების, ტეირთმშემეტა ნუგეშისცემა და ქალის უენო მონურ მდგომარეობიდან გამოაყვანა,—აი ის პროგრამა, რომელსაც ავითარებდა და ცხოვრებაში კიდეც გაძყავდა „კონას“ და „თინას ლეკურის“ მთხრობელ ბედნიერ მანდილოსანს!

„არ არსებობს სამშობლოს ბედნიერება შრომელი ხალხის ბედნიერების გარეშე“,—აი პირველი მუხლი ბედნიერ მანდილოსნის ათი მცნებისა!

ამიტომაა, რომ მას ასე ფართოდ იცნობს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა.

რა სასიხარულოა, რომ მცხოვანი ბედნიერი მანდილოსანი ეამთა სელის სიავეს ზედ აბიჯებს და საუკუნის ჯაჭვთა მეოთხმოცე რგოლს ფოლადად ჰქვერავს, ჰქერავს მტკიცე და შეურყეველი ნებისყოფით!..

— ვასო დაგვეტერებია!—ასე შემომჩინელა ღიმილით ბედნიერმა მანდილოსანმა ბარნოვის შესახებ, როცა ხომლელს—რომანზე ფანცხავას ვასაფლავებდით.

„ვასო დაგვეტერებია. ვერის დაღმართამდე ძლივს მომყვა... შემდეგ გაიძცა... მე კი ჩვენი მოლვაწე რომანზი საფლავის კარამდე მივაცილე და ავერ, ეხლა თქვენთანაც ვსაუბრობ“...

და კვლავ მახვილი სიტყვით კენწლაობა, ისევ გულიანი სიცილი „ვასილი დაგვეტერებია!“—

თქვენც ჰხარობთ, რომ მარილიანი ჰუმორით ასე ხალისობს მეოთხმოცე გაზაფხულის მნახელი—

ბედნიერი მანდილოსანი!

ნუთუ ეს ბედნიერება არაა?!



მიმოგონების სიმთა შეთრთოლებაზე ბედნიერი მანდილუს ცხრა  
ხან მჭმუნვარეა, ხან სახე გაბრწყინებული. მის ლამაზ თხრობას ხელს  
არ უშლის წელთა დაზიდულობით დაბეთვოვენება ჩვენი მწერლის: ყუ-  
რის ფარს პატარა სასმენ აპარატით შეარხევს, შემოგაცემდებათ და  
თქვენს აზრს უმალევე იჭერს, ვიდრე ტუჩებით გამოსთქვამდეთ. უსმენთ  
და ნელი-ნელ იფურჩქნება ჩვენი საზოგადოებრივობა, მისი შეხედუ-  
ლობანი ცხოვრებაზე, მისი ესთეტიკა და მორალი, რომელიც დიდად  
განსხვავდება ჩვენს ესთეტიკა-მორალისგან, მისი ფილოსოფია, რწმენა,  
რომელიც არ ჰგავს ჩვენს რწმენას, ჩვენს ფილოსოფიას, თუ გნებავთ,  
მისი ურწმუნოებაც, როგორც დარვინის მოწაფისა, რომელიც,  
არ ჰგავს ჩვენი დროის ურწმუნოებას.

„— ოთხმოცი წლების საზღვარს მივადექი, — ამბობს ბედნიერი  
მანდილოსანი, — მაგრამ ჩემი რწმენა ურყევია. ყოველ რევოლუციის  
ჩირალს ვეთაყვანებოდი, განსაკუთრებით დიდ იმედებს ვამყარებდი  
და ვამყარებ ოქტომბრის რევოლუციაზე, რომელმაც წარმოშვა ახა-  
ლი ადამიანები.

„ჩემთვის, რასაკვირველია, პირველ რიგში იყო და იქნება ქალ-  
თა საკითხი.

ქალის მდგომარეობა ჩვენში მკაფიოდ ვამოხატულია ოჯახში.  
ქართველ ქალზეა ნათქვამი: „კაცის აშენებული ოჯახი დედაკაცმა  
დააქცია და დედაკაცისა — ეშვამაც ვერა.“ ეს გვითითებს ქალის ვან-  
საკუთრებულ როლზე ოჯახის შექმნის საკითხში. სულ სხვა ქალი  
უფლებისა და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. აქ ჩვენი ქალი სრუ-  
ლიად უმწეო იყო, თითქმის უნო, როგორც ეს უკარნახა მდესლაც  
ბარბაროსულად შემტკიცებულმა ჩვეულებამ, რომელიც მოითხოვდა,  
რომ ქალის არსებითი გრძნობა და ფიქრი სულ სხეის უფლებასა და  
ვანკარგულებაში ყოფილიყო. მართალია, დღეს ამ მხრივ ჩინური კე-  
დელი გარღვეულია, მაგრამ ძველი უნარი და კალმის ცეცხლი კიდევ  
რომ შემრჩნენდა, მზად ვიყავი წარმომედგინა ახალი ტიპის „კონა“,  
ახალი სახის „რომანი დიდ ხევში“, ახალი „გურგენაულის ბაბო“. ისე  
გამოდის, თითქოს ადამიანს მთელი თავისი ნიჭი და ვონიერება იმის-  
თვის შეულევია, რომ რაც შეიძლება მეტად დაამახინჯოს ბუნების  
მიერ მინიჭებული ნეტარება და მისი კანონები, რომელთა აღსრუ-  
ლება ევალება არა მარტო ქალს, არამედ ვაესაც. მათი გრძნობა,  
თვით უპირატესი და უინტიმესი სწრაფვანი სხვათა მბრძანებლობით  
გასრესილია; საზოგადოდ ქალს პაიკის როლი ჰქონდა მინიჭებული იმ

სხვათა მიერ. ის უსულგულო ჯამბაზი, რომელიც ამ სწავაზა  
სახიერებას წარმოადგენს, პიროვნებას ისე სცვლის, ისე გაქტიროვან  
როგორც ამას მოითხოვს ბრიყვული ტრადიციების მიერ და ზღუდული  
კურსი. ყოველი ახალი აზრი მაფრთოვანებდა, უზომოდ მავიწყებდა  
თავს. არასოდეს დაოულულ იდეათა რომანტიკისა არ ყოფილვარ, რომ  
წარსულის ჩესტავრაციაზე მეფიქრნა და „იმედები“ სხვადასხვა  
ქალწულებრივი სხივისნობით შემემოსნა, როგორც ორბელიანებს.  
მე მიინტერისებდა თეთო ეს ცხოვრება, რეალობა, აი ეს ეხლა, აი  
ეს ადამიანები, თეთოთნ პიროვნება, თეთოთნ სოციალური ყოფა-  
ცხოვრება. ამის გარეშე კალამი მიჩღუნგდება, შემოქმედება უარს  
ამბობს თავის სიტყვა სოქვის...

\* \* \*

„მე უფრო უურნალისტად ვიყავი დაბადებული, ვიდრე ბელე-  
ტრისტად. ყოველ ახალ მოელენას, წამოჭრილ საკითხს სწრაფდ ვა-  
ძლევდი პასუხს. მასსოვს, როდესაც სტავროპოლში დიმიტრი ყიფი-  
ნი მოჰკლეს, ზარმა მოიცა საქართველო. მე პირველმა აღვარი სა-  
კითხი საზოგადოებრივ გულისწყრომის გამოსათქმელად ამ საზიზლარ  
მკვლელობის გამო. ეს აზრი პირველად იაკობ გოგებაშვილს გაუზია-  
რე, შემდეგ ცხევედაძეს, გ. ჭირეთელს, უმიქაშვილს და სხვებს. ყველა-  
ნი დამნებულები იყვნენ, გრძნობდენ, რომ მკვლელობის ჩუმად ჩატა-  
რება ეროვნულ მეობის შეურაცხყოფა იქნებოდა, საჭირო იყო პრო-  
ცესტი. მაგრამ რა სახით? გოგებაშვილის წინადადებით ილიასკენ  
გავწიეთ. მის თაოსნობით შემუშავდა ისტორიული პრიტესტის აქტი,  
მაგრამ ისე, რომ ჩვენ, ქალებს, მაინც უურადლება არ მო-  
გვაძცია. მისი ასეთი საქციელი მეწყინა, მეწყინა იმიტომ, რომ მე სულ  
სხვაგვარიდ ვიყავი აღსრულილი, მამა ჩქმა პატარაობიდანევ ის აზრი  
ჩამინერვა, რომ ქალი და ვაუი ერთგვარი სიმარჯვით და ერთგვარი  
უფლებით უნდა სარგებლობდენ ცხოვრებაშით. და აი, დაასაკებული,  
თავმომწონე, როცა, მეგონა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გასასვლელად  
უკე მზად ვიყავი, თეთო საზოგადოებრივ ცხოვრების დიდ მამითად—  
დიდ ილიას მიერ საშინელი სიცივე ვიგრძენ და შევკრთი, შევკრთი  
და უკან დაივიზიე, რომ ჩევიზია გამეცეთებინა ჩქმი საქციელისთვის,  
იქნებ გადავაჭარბე, იქნებ შეუფერებელი რამ ჩავიდინე, რომ ქალებს  
ასე აბუჩად გვიგდებს-მეთქი.

— როგორ პიტიქრობთ, ილიას ასეთი საქციელი პირადულ ან-  
გარიშით ხომ არ იყო გამოწვეული? მას ქალი გაიდეალებული ჰყავს  
ნაწერებში და შეუძლებელია უმიზეზოდ ეწყეინებიეთ.

— „არაეითარი პირადი ანგარიში! ჩემი მაშინდელი წევნაც  
სწორედ მაგიტომ მოხდა. შემდევ კი დავინახე, რომ მე გამოინახულისხმა  
არ შევადგენდი. ილია! რა საოცარი მოელენაა ჩევნს ცხოჭრებაში? არა  
ილია კალმისანი, მოაზროვნე და ილია პრაქტიკი ცხოვრებაში! მას-  
ში როი აღმიანი იყო მოთავსებული უკიდურესი მხარეებით. და ის,  
როდესაც პირველს მუხლ მოყრით ვეთავყანებოდით, მეორეთი ვეაძრ-  
წუნებდა, მის ავტორიტეტობის ურყველობას ვეირყევდა, გვაშმაგებ-  
და. იმასაც, როგორც საზოგადოდ ყველა ქართველს, თითქოს არ უნ-  
დოდა გაეგო, რომ ქალსაც რისამე გაკეთება შეეძლო, მისი საქციელი  
გვიმტკიცებდა, რომ ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სუ-  
ლაც არ სწამდა. მას არ უყვარდა ქალთა საზოგადოება და არც მოის-  
მენდა რაიმე მსჯაერს. ის კიდევ ცოცხალი ფაქტი:

„ერთხელ ჩენი დაუღალავი პეტრე უმიკაშვილი მიუგზავნეთ  
ქალებმა ილიას, რომ რედაქტორი მივეღეთ: ღრამა, ქალებიც საზო-  
გადო საქმეში ჩავკრიოთ, ჩენც ადმიანები ვართო! როგორც იყო  
დავითათბირეთ. საღამოთი მივეღით რჩეული ქალები. კარი მისმა  
მეუღლე ოლლამ გავვილო. სალონში შეგვიპატიეს. შეღმებამდინ ვი-  
ციდით. გვერდითა ოთახიდან კამათის ხმა გამოისმოდა. თითქოს  
ჩხუბობდენ. ვთრთოდით. გვსურდა, კამათის მიწეზი გაგვეგო. ილია  
იგვიანებდა. როდის როდის გაიღო კარი. ილიამ შეგვიპატიეა რედა-  
ქტოის განყოფილებაში. ჩენი იქ შესვლა მაშინ მოხდა, როცა მამაკა-  
ცებს ქუდები აეღოთ და კარში გადიოდენ. ილიას შევრჩით ხელში.  
„რით შემიძლიან გემსახუროთ?“ — ღიმილით გვეკითხება იგი. ეს იყო  
ისეთი სასტიკი დაცინება, რომ ყველას ფერში გადაგვერა, მთლად  
გაენადგურდით. პროტესტიც კი ვერ მოვახერხეთ, ესდენ დიდი იყო  
მისი ავტორიტეტი. ელდა ნაცემები გამოვბრუნდით...

„ილიას რეტროგრადობა პრაქტიკულ ცხოვრებაში ქალთა სა-  
კითხის შესახებ კიდევ ბევრ რამით შეიძლება დამტკიცდეს. აი ერთი  
მაგალითიც:

„ცნობილია, რომ ილიას არ უყვარდა ხმამაღლივ რაიმე მნიშ-  
ვნელოვან საკითხზე პირდაპირ მსჯაერის გამოტანა, თუ ნათქვამს  
ათჯერ მაინც არ ასწონიდა. იგი დარწმუნებული იყო, — და სრულიად  
სამართლიანად, — რომ ყოველი მისი სიტყვა საისტორიო მასალად  
დარჩებოდა და მთელ საზოგადოებას მოეფინებოდა სახელმძღვანელო  
აფრიკიშმად. და ის, ერთხელ, საგურამოში ილიას დღეობაზე, მისდა  
საპატივსაცემოდ წასული ქალები, ერთხელ კიდევ ვიმწვდევთ ილიას  
სიმკაცრეს.

„ნადიმის დაწყებამდე ქალები გავერიეთ ვაჟებში და გმირობის თვის არაწყეულებრივ საზოგადო კითხვებზე ვკამათობდით პარტიაშის ნაცვლად. ილიამ ეს რომ შენიშვნა, გამოემართა და უწყების მათებს გადასძინა: „ჩას ელაპარაკებით, ეგენი ქ-ლები არიან, სულ ერთია, ვერაფერს გაიგებენო!“ ეს იყო ახალი მეხი, აზიელი დესპოტის ხერხი, რომ ქალი მუდამ დამიტირებულ მდგომარეობაში იყოლიოს. მოცებდა ილიას ასეთი გაორება: ილია ანანის „ავტორი, ილია „ქართლის დედის“, „დედა და შეილის“, „ოთარაანთ ქვრივის“, „განდეგილის“ გენიოსური აღმზატეველი, იმავე დროს ილია, როგორც უურნალისტი: რომელიც თავის მადლიანი კალმით ასე რიგად კამათობდა ქართველ ქალის განვითარების შესახებ, როდესაც საქვეყნოდ განაცხადა: „მიუცით დედავაკუს სწორი უფლება მამაკაცთან, ერთგვარი განვითარება მამაკაცთან და მომავალი იტყვის, რაც შეუძლიან დედავაკუსა“—ო,—ი ასეთი აღამიანის მეორე პირი, მისი ორეული, სინამდევილეში ქალებს ახლოსაც არ გაიკარებდა. იქნებ ეს აისნება იმ გარემოებით, რომ ილიას დროინდელი ქალები უფერულები ვიყავით ისტორიულთან შედარებით?

„მაგრამ აი კიდევ ერთი ფაქტი ილიას ორეულის აზიელობისა:

„ერთხელ მის მარჯვორი უარღროპი ეწვია საქართველოს. ჩემულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა. პატივცემულ სტუმარს მცხეთაში. შეპხედროდა ილიას მეთაურობით. ილიამ ულალატა ჩემულებას და ქალებიც მიგვიპატიუა მეულლის პირით. სტუმრები ერთ კუპეში მოვხედით ილიასთან. გვიხაროდა, რომ თვალით ვნახავდით აღამიანს, რომელსაც სხვათა დაუხმარებლივ ქართული ენა შეესწავლა სამშობლოშივე და მერე ისე ბეჯითად, ისე ლრმად, რომ „ვეფხვისტყაოსანიც“ კი გადასთარგმნა. მაგრამ რა გამოვიდა, კუპეში შეეცილოთ და თავზე წყალი გადაგვესხა: ილია ნასვამი იყო. მალე ჩაეძინა. ისე ხვრინავდა თითქოს ოლიმპიელი ღმერთი ყოფილიყოს. ქალები თეალს ვარიდებდით. მცხეთის სადგურზე გამოვალვიძეთ. ილიამ უბოდიშოდ თვალები მოიფშვნიტა და მხოლოდ ერთ ჩამეზე შესწუხდა: მის უორდროპი ევროპელი ქალია და ნამძინარევი რომ მნახოს, სირცხვილიაო. სხვათრივ ხმა, კრინტი. ჩვენთან რომ მოურიდებლად ჩაიძინა, არათრად ჩააგდო. ისიც კი არ გამოიმეტა, რომ დავერიგებინეთ, როგორ შევხდორიდით საყვარელ სტუმარს, რა გვეთქეა. ჩვენ მისთვის სრულებითაც არ ვარსებოდით“.

— თქვენ ბევრს სჩივით ილიაზე, სხვები? ისინი როგორ იქცეოდენ?

— „საზოგადოდ ქალებს არ გვწყალობდენ იმ დროინდებულ  
შესვეურნი. აյაკი, როგორც სხვა საზოგადო კითხვებზე, ისე ქალთა  
შესახებ ყოველთვის მასხარობდა და ანეკდოტებით იოლად შემჩინეული  
ოდა. „ნათელას“ ავტორს, რომელსაც ქართველი ქალი გაიდეალუბული  
ჰყავდა ისტორიაში, აშშები მხოლოდ საბურთაოდ და სალალობოდ  
მიაჩნდა, ან და საჭირიკანოდ. ვანო მაჩაბლისა და ილიას ისტორიუ-  
ლი დავა „ბანქობიადა“ აკაკის წანკველიანი ენითაც შემაგდებოდა.  
ქალს იმდენად პატივით მოეცყრობოდა, რამდენადაც ილიას შესახებ  
დამამცირებელ ამბავს მიუწანდენ, სამაგიეროდ სძულდა ცველა, ვინც  
ილიას პატივს აგრძნობინებოდა. ერთხელ კეკე მესხთან შემოვიდა. დარ-  
ბაზის კედელზე თავის სურათი ილიას სურათის გვერდით რომ  
დაინახა, „უჰ!—“ო—ისე ამოკიმინა, რომ გულები დაგვიხეთქა. „რად  
სწყრებით, ბატონო აკაკი, თქვენც და ილიაც ცველა ქართველის  
გელში სიყვარულით ხართ ალხატული!“ აკაკიმ უარესად გვიპასუხა:  
„ის გული უნდა აძაღლდეს, რომელიც მე და ილიას ერთად მო-  
გვათავსებს.“ მ. აი რა ვარდისფენობა გაგვიმართა აკაკიმ...

„მწერლებიდან ისევ გიორგი წერეთელი გვაფასებდა. ნამეტნა-  
ვად ან. ფურცელაძე, ადამიანი ცველაზე მეტად ეკროპიელი, ხელვაშ-  
ლილი, თავაზიანი, ფრიად მომზადებული პიროვნება, რომელთანაც  
საუბარში დაისვენებდით და ბევრს ახალს გაიგებდით ჭორის გა-  
რეშე“...

\* \* \*

— ვის უნდა მიეწეროს თქვენში მებრძოლი სულის გამეფება?

— „რა თქმა უნდა, მამაჩემს, რევაზ თარხნიშვილს, რომელიც  
იმ დროის კეალობაზე ფრიად განვითარებული და კაცთ მოყვარე ადა-  
მიანი იყო. დედა ჩემი ვახტანგ ბაგრატიონ დაეითიშვილის ქალი გახლ-  
დათ. ხეთი წლისა ვიყავი, რომ მომიკედა, მაშასადამე, 1856 წელს.  
მამის ხელში ვიზრდებოდი. ცველაზე მეტად მიტაცებდა მამის საუბა-  
რი. მას ყოველთვის თავისთან დაეყავდი, მიხსნიდა ბუნების საიდუმ-  
ლოებას. მასწავლიდა ისტორიას. 12-13 წლამდი გვერდიდან არ მი-  
შორებდა.

„შემდეგ წამიყვანეს ტეილისში. მამას არ სურდა ქალთა ინ-  
სტიტუტში გავეზარდნე, მაგრამ კენტი მქონდა ნარგები და ძალაუნე-  
ბურად მიმიყვანეს. ინსტიტუტში, სახელმწიფო ხარჯზე მიღებდენ,  
რომ გამოცდები დამეჭირა. სოფლად გაზრდილს ტანი აყრილი მქონ-  
და. მართალია, რუსული ენაც ვიცოდი, მაგრამ ქართული აქცენტით  
სასტიკად ვკვეთავდი. გამოცდების დროს ქვეყნის ნაწილები სხაპა-

სხუპით ჩიმოვთვალე. მასწავლებლები სიცილით დაიხოცნენ. არ მიღილეს: წლოვანება, რუსული ენის კარვა არ ცოდნა და ვაჟური შეტყველება საქმაო საბუთად მიიღეს, რომ კარი მოხერხნათ გემოვნებული შემდეგ პანსიონები მომატარეს. პანსიონებში მაღამ ფავრისა მოარჩიეს.

„მაღამ ფავრის პანსიონი! თავს ნებას მოვცემ მცირეოდენ ხნით შეგაჩროთ:

„ამ პანსიონში სწავლის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე იყო დაყენებული. მაღამ ფავრმა თავი მოუყარა საუკეთესო მასწავლებლებს: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო დედაბრიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ინაშვილი და სხვები. ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობდა ინაშვილი. ეს იყო პატარა, ტანდაბალი, ფერმერთალი, ნაყვავილარი ახალგაზრდა, შავი მოელევარე თვალებით, ფრიად მგრძნობიერი და ნაზი, მეოცნებე მორჩმუნებავით ცისკენ მიპყრობილი თვალებით. ყოველი მისი სიტყვა გრძნობით იყო გამთბარი, სხივთმფენი, მანუგეშებელი, იმავე დროს შემგონებელი. მისი აზრით ქალი უნდა ყოფილიყო ქვაუკათხედი ჩვენი მომავლისა. არავის მანამდე და არც შემდეგ ქართველი ქალი არ გაუიდეალებია, როგორც ინაშვილს. მამაშვილური იყო ყოველი მისი სიტყვა. ეს პიროვნება გამოყვანილი მყავს მოისრობაში: „სდულს ტე არ გადმოდის“. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრულმ სასტრიკად დამიმახინჯა ეს მოთხრობა, მაინც აშკარად სიახნის, რა გულის ტყივილები მაწუხებდა მის დაწერის დროს. „დედაკაცებს ეკუთვნით საუკეთესო ხანა ჩვენი ისტორიისა, დედაკაცებმავე უნდა მოუტანონ ხალხს მომავალი, საოცნებო ცხოვრება და შეილების აღზრდით ქვეყანა უნდა აავსონ შეგნებული მუშაკებრთა“ -ო. შემდეგ მიგვითითებდა „ვეფხის ტყაოსანზე“: „ენის სიფაქიზე დედისგანაა. ყველა ეროვნების წარმომადგენელ ქალს ვვალება თავის ერის წესი და ჩვეულებანი მშობლიური ენით შეათვისებინოს შვილებს“. ასე გვწევორინდა ის დაულალავი მუშაკი, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატეანისთვის შეუმნეკელად გაიპარა, ჩისდნა წყვდიადში.

„მაღამ ფავრმა პანსიონში თავი მოუყარა სულ მოწინავე ელემენტებს. იმ დროს პოლონეთის აჯანყება დასრულდა. იქიდან ჩვენში გადმოასახლეს აჯანყების ხელმძღვანელნი. ფავრმა შეარჩია პროფესორები, როგორიც იყო გულაკი, რომელმაც მშვენივრად შეისწავლა ქართული ენა და ბევრი იმუშავა „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ. მასსოდეს, ერთხელ საჯარო ლექციაც წაიკითხა, თუ არა ეცდები 1866 წ. ლექცია ი როგორ დაათავა: „...მნიარად, რუსთაველის პოემა საკაცობრიო პოემაა. მოვა დრო, როდესაც კაცობრიობა ხარბად დაეწაფება ამ უკვდავების წყაროს. ვწუხვარ, რომ თვით ქართველ ახალ-

გაზრდობას ნაკლებად ასწავლიან დედა-ენას და დიდი დავგიმუშნებით მოუხდებათ შეისწავლონ თითქმის დავიწყებას მიცემული ეს საკაცოპროცესი „... ამ ლექციის გამო გულაქს კინალაშ მასწავლებელების აუკრძალეს.

„ ეს დავიწყებები იუშკოვსაც, რუსულ ენის მასწავლებელს. ის უკრაინელი იყო, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკური დამნაშავე და გადმოსახლებული. ისე მშენიერად კითხულობდა პუშკინს, ლერმონტოვს, განსაკუთრებით გოგოლს, თითქო მართლა სტუდენტებთან ჰქონდა საქმე და არა მოდის მიმღევარ პანსიონის მასწავლებთან.

„თვითონ მადამ ფავრი გვასწავლიდა ფრანგულ ენას, კეთილშობილურ მანერებს, მიხერა-მოხერას, ესთეტიურ გემოვნების განვითარებას. გრაციით აღსავსე, შეას ფარჩის კაბაში მოკვალთული, არ-შიებით და ბლონდის ხევულებით შემყული გულმკერდით ჩვენ გვასწავლიდა პაეროვან სილფიდის იერის დაჭრას, მისი მშენიერების ათვისებას.

„მაგრამ ფავრს მაღლ ჩამწარდა ასეთი გატაცება: თავისდა საუბედუროდ პირველ გიმნაზიის დირექტორ ეილიხესკის რჩევით მან მოიწეოა მასწავლებლად უკრაინიდან გამოდევნილი სილიტრენკო. ეს იყო „საშინელი ადამიანი“, ანუ „ნილილისტი“, როგორც ამბობდენ მაშინ: გაბანჯგლული თმით, თვალებზე წამოდგმულ სათვალეებით, ჭუჭყიანი ფრჩხილებით, იმავე ღროს თავებდობამდინ მისული უცერემონიო საქციელით. გაკვეთილების ღროსაც კი მაგიდაზე ჯდებოდა და მოწაფებს მოგვიყვებოდა ომანიანი ბოხი ხმით: такс, матушка мои..!“ თქმა არ უნდა, მადამ ფავრი ასეთ ურიგობას ეს შეიწყნარებდა. და, მართლაც: მაღლ პანსიონიდან დაითხოვა. განდევნილ ნილილისტმა თავისებურად უპასუხა გაზ. „კავკაზში“ პატარა ფელეტონით, რომელშიც მადამ ფავრს „მადამ-ლული“ უწოდა, ხოლო მოწაფებს „ლულისტები“. ფელეტონში მარილიანი ჭუმორით გამარტახებული იყო როგორც ფავრი, ისე მთელი პანსიონი. ფავრის სახელი მოედო ქალაქს. გიმნაზიელებმა აგვიყლეს. ყოველ ჯვარედინ გზაზე გვკილებდენ, მატრაბაზობდენ. ქუჩის ბაკების სალიზლიზო გაეხდით. ერთი სიტყვით, ნილილისტმა ნილილისტურად იძია შური.

\* \*

„პანსიონის დამთავების შემდეგ ღირსეულ მოწაფის სახელით დაეპრუნდი გორჩი, სადაც დაეიბადე და ბაეშობის პერიოდიც გავარავე.

გორი მაშინ ქლიერ ჩამორჩენილი ქალაქი იყო, როგორც გა-  
ვარდნილ პროვინციის კუთხე. კულტურულ ცხოვრების ნასახეულობები  
ლებით აღვილიყო. ქუჩებში ათასში ერთგან შენიშნავდით იმას რეაქცია  
კაში“ გამოსულ ჩინოვნიკებს, ან თავადიშვილებს. მათ ჰქონდათ დი-  
დრონი შენობები. მთელი შემოსავალი და განუსაზღვრელი თავისუ-  
ფალი დრო ერთმანეთის პატივში მისდიოდათ. პატარა მელუქები  
წყრილმანით ვაჭრობდენ, ხოლო მაზრის სასამართლოს და პოლი-  
ციის მოხელენი ქალაქის კლუბში ბანქოს თამაშში იქლავდნ თავს.  
ერთი სამოქალაქო სკოლა ჰქონდათ, ისიც ძრიელ მცირე რიცხვოვანი,  
მოწაფეებით და თითო ორთოლა მასწავლებლით. ქალების სწავლაზე  
ხომ არავინ ზრუნავდა. აյ ძალაში იყო ისევ ძევლი შწიგნობრობა,  
რაიც გამოიხატებოდა საღმრთო სჯულის წიგნების კითხვაში.

„ჩემი აღზრდით და სწავლით ისეთი ადამიანი გამოველი, რო-  
მელსაც ათასი ოცნება ეზმანება, ვიდრე სამოლვაწეო ასპარეზზე გა-  
მოვიდოდეს. მასწავლებელ ინაშვილის ლანდი დამდევდა და თითქოს  
მთხოვდა მისი იდეალები გამეფურჩნა. და აი, მეც უმალვე შემოვი-  
კრიბე ახალგაზრდობა და ახალი მეთოდით დავუწყე წვრთნა. მალე  
სახელი გავითქვი ჩინებული მასწავლებლისა, ასე რომ სასტრიკი კონ-  
კურენცია გავუწიო ეგრედწოდებულ შინა ოხთატებს, რომელიც  
ბავშვთა დამახინჯებას უფრო უწყობდენ ხელს, ვიდრე მათს განვი-  
თარებას. ბოლოს საქმე იქამდინ მიერიდა, რომ ქალაქმა დეპუტაცია  
მაახლა გამეხსნა ქალებისთვის პირველ დაწყებითი ხელი. ვინაი-  
დან იმ ღრის სამრევლოს სკოლის გარეშე სხვანაირად ფიქრი შეუ-  
ძლებელი იყო და მთხოვნელებიც მეტ წილად სამღვდელოება და კე-  
ლესის რწმუნებული იყვნენ, მეც კელესის გვერდით მომიხდა სამ-  
რევლო საქალებო სკოლის დაარსება.

წლის დასაწყისშივე ყველაფერი მოვგარდა, ხოლო წლის დამ-  
ლევს ჩემმა მოწაფეებმა საჯარო გამოცდაზე პირდაპირ რეკორდი  
აიღეს. ამის შესახებ შესაფერი კორესპონდენცია აფრინეს „დროე-  
ბაში“, ხოლო იქიდან გადმომიგზავნეს რამდენიმე ათეული. წიგნი  
საზოგადოებაში გასაკრცელებლად, თანაც მთხოვდნ, გაზეოში მეთა-  
ნამშრომლა დროგიმოშვებით.

— „ვინ გამოგეხმაურათ“ დროებიდან?“

— „ვინ იქნებოდა, თუ არა ჩვენი დაუღალავი პეტრე უშივა-  
შეილი! აი ადამიანი საქმიად შეუფასებელი, მუდამ დიდად თავდა-  
დებული უჩინარი და უანგარო მოღვაწე, რომელიც საზოგადოებრივ  
განვითარებისთვის იყლავდა თავს. თუ ვისმე ხალხოსნურ მუშაკის  
ბეჭედი აზის, მათში პირველი უშივაშეილი იქნება. იგი გაფაციც-

ბით თვალყურს ადექნებდა ყოველ საზოგადო მოვლენას და კულტურული ინიციატივის განვითარების მიზანის საზოგადო გამოსახულის საზოგადო ურთისების შემთხვევაში... გამოსახულის საზოგადო ურთისების შემთხვევაში...

„იმ ზაფხულს წაველი ს. ფლევში. მეტად მიკარგული სოფელი იყო, რაღაც ოციოდე კომლი მცხოვრებით. მამული აუარება ჰქონდათ. ბევრს პენავდენ. ჭინაბული ბლომად მოსდიოდათ. საძოვრიც და იქვე გარშემორტყმული ტყე. გლეხები ლალობდენ. მათ ზორის გლახა და უსაქონლო არ მოიპოვებოდა. ყველა მხნედ, ვაუკაცერად გამოიყურებოდა. დედაკაცებსაც დიდი უფლება ჰქონდათ მომებული. იქ მეტი წილი ხიხნები იყვნენ, მაგრამ სითამამით და თავდაცებულობით მკვიდრ მცხოვრებთ არ ჩამოურჩებოდენ. თვით მემულებიც უჯიათობას არ აყრებდენ მათ.

„სოფლის თავში გორაკის კალთაზე გვედგა ორთვალიანი ხის სახლი, კდეული. ერთ ოთახში ცხოვრობდა ბებიაჩემი, მე და ჩემი ძმა. როცა მამაჩემი ჩვენთან იყო, ისიც ჩვენთან ბინავდებოდა. მეორე ოთახში გველავა ბარგი. იქ მოთავსებული გვყავდენ მოსასახურე დედაკაცი და ბიჭი. ამ ოთახსვე კემარობით სამზარეულოდ. არც ბაღი. არც ლიდი კარილიამო. შიგნით და გარეთ გაულავი, პაწია ფანჯრებით, ვიწრო აივნით და სამსაფეხურიანი კიბით.

„გლეხები მიწურში ცხოვრობდენ. ბინადრობას ერთობის ნაკერეტიდან ამოდენილ ბოლით თუ მიხვდებოდით. ხშირად მოყარდა, განსაკუთრებით პატარაობისას, ამ საკეამლურებიდან ჩასდვა: ზედიზედ მიყრილი ქალ-კაცი, საოჯახო ნივთები, აკვანი ბაქვით, კერა თავისი საკიდელათი, დიდრონი ჭდეული ძელებით, პაზვერისალი კეცებით, კალთებ წამოკულილი დედაბრებით, ხის მატებით, რომელსაც საკეცს ეძახდენ. სადილობისას ხომ აუცილებელი იყო მზითვის კრელი სუფრა, ლურჯი ხალები, თუნგი და ხელსაბანი ტაშტი, შეჭამანდისთვის ჯამბი, მაწვნის ქილები, ქოთნები, სადუებელა და იმავე დროს პატარძლის დაულალვი ფუსფუსი, რომ ჯალაბობისთვის ყოველისუერი რიგზე და დროზე მიერთმია.

„ფლევში იმ დროს არც კელებია იყო, არც დუქანი, არც სკოლა. გლეხების საზოგადო ადგილი კვირა-უქმეობით ჩვენს წინ გაშლილი პატარა მოედანი იყო. ჯერ კიდევ ბაგმობისას თვალი მიდევნებია აივანიდან, როგორ დილაადრიან მოპყვებოდენ თავს მოყრის და გრძელ კომბლებზე დაბჯენილები სუფთად გამოწყობილი გლეხები რა ხალისით უსმინდენ მამაჩემს სხევა ქვეყნებში უკრისად მოწურობილ ცხოვრების შესახებ, კულტურულად განვითარებულ ჟურნეობაზე, გაუმჯობესებულ ჯიშიან საქონელზე, სკოლაზე, სწავლის

მნიშვნელობაზე და სხვა. და აი, როცა დავთასაყდი, მამის ჩვეულებაზე ბამ თითქოს ჩემიგიაც გაიღვიძა. ვიგრძენი და მთელი არსებით გა-  
ვიმსკვალე მესამეცე წლების ხალხოსნური იღეალებით. მათინ მიმდევა  
ხვდი, რატომ იყო, რომ ინტელიგენცია გაურბოდა ფულდალურ სასა-  
ხლეებს და ხალხს აშურებდა უმწიკველო ზრახვებით, უმალლესი იღე-  
ბით. მეც მომესურვა, ხალხის სამსახურისთვის შემეწირნა თავი.

ხშირად მნახავდით კალიზე, სიმინდის გარჩევაზე, ვიძენდი მე-  
გობრებს სოფლის ქალებში, მეტადრე ახალგაზრდა ქალების განუ-  
შორებელი მეგობარი შევიქენი.

„იმ ზაფხულს, მაშასადამე, 1869 წ. ფლევში მოეიღა სოფლის  
მღვდელი და ვიღაცა ორი მოხელე მოყვანა სასკოლე ჰასაკის ბავ-  
შეთა ალსაწერად. ყველა უარყოფით შეხვდა. მე ჩემი გავლენით ვი-  
სარგებლე, დავტრიალდი სოფელში და ვეცადე, ყველასათვის შემეგ-  
ნებინა სკოლის და განათლების აუცილებლობა და სიდიადე. ეს გა-  
რემოება კორესპონდენციაში აწერე და გაფუზავნე „დროების“ რე-  
დაქციას:

„გლეხეცაცების აზრი სასოფლო სკოლაზე? გლეხებში გაერცე-  
ლებული იყო ხმა, ვინც ისწავლის, უსათუოდ სალდათში წაიყვანე-  
ნო. გლეხობა კინაღი აჯანყებაზე გადავიდა. ჩემი გულისტყივილი  
კორესპონდენციაში ჩავაქსოვე. წერილი დაიბეჭდა 1870 წ. ახალ-  
წლის დღეს.

ერთი კეირის შემდეგ იმავე „დროებაში“ ჩემი წერილის გამო  
ვინძე დარია მამაცაშვილი გამომეხმაურა, იგი უზომოდ ალტაცებუ-  
ლი იყო, რომ გლეხის ოჯახში შეკველი, შევიტყე იმისი ავი და კარ-  
გი და გზა გავუთითე სინათლისკენ. ასეთი გამოქმნაგება გამარჯვე-  
ბას მაგრძნობინებდა, რათა შემდეგი ნაბიჯიც გადამედგა სამწერლო  
ასპარეზზე. ალარ დამიყოფნებია და მალე მთელი სერია სურათები  
დაესტაბბე გლეხეცაცების ცხოვრებიდან. აი, ასე დაიწყო ჩემი კალ-  
მოსნობის ისტორია.

„პირველი ორი წერილის შეიდეგ ტფილისში ჩამოველი. მეო-  
რე დღეს მეწვია პეტრე უმიკაშვილი. მთელი ქება-დიდება მიძღვნა,  
რომ გაებედე კალმის ატება, თანაც ლექცია წამიკითხა, თუ როგორ  
უნდა მოვქცეულიყავი მომავალში: პირველ რიგში შეუწყვეტელი  
გონიერივი განვითარება და შემდეგ სინდისიერი ალსრულება ყოვე-  
ლი განზრახვისათ. თანაც თავის გამოცემული „ვისრამიანი“ გადმომ-  
ცა სათუთი წარწერით. ბოლოს გამომემშვიდობა და ერთხელ კიდევ  
შემნიშნა:

„ქალი! იცით რა არის ქალი ჩვენი ერისთვის? ქალის მან! ქალი მწერალი! რა დიდი რამ არის საქართველოსთვის, ერტყმანი: გალთქმას შეიცავს იგი!“

უწყინარი პეტრეს სახით თითქოს მკვდრეთით აღზდგა ჩემი სიყრმის პირველი მასწავლებელი ინაშეილი. ათასი მოვალეობის სიმძიმემ დამზიდა. ხალხის სამსახური უკვე მეძახოდა. დგებოდა ღიადი მომენტი ჩემი მოწოდებისა, ხალხის ბედნიერებისთვის, ხალხისათვის თავის დასადებად, რასაც მამა ჩვილ კატოს ჯერ კიდევ ენის ატიკტიკებამდე გულში მინერგავდა“.

\* \* \*

„იმ ზამთარს ტფილისში ერთი საწყალი აზნაურის ცოლი მეწვია და მთხოვა მოენეთ წაეყოლოდი იმ დროს გამოჩენილ ვექილთან ი. პოლტარაციისთან. აღმოჩნდა, რომ პოლტარაციიმ ჩინებულად იცოდა ქართული ენა. მაგრამ ეს არაა საინტერესო. საქმე ისაა, რომ სწორედ აქ გავეცანი ალექსანდრე გაბაშვილს! შემდეგ შეხვედრისას პეტრე უმიკაშვილიც შეგვესწრო. იმ დღიდან იგი ბევრს მელაპარაკებოდა გაბაშვილზე, როგორც საზოგადო მოღვაწე აღამიანზე. ის იყო ძლიერ მორცხვი, გაუბედავი კაცი. იგი წერილობით უფრო ადვილად ახერხებდა თავის გულისთვის გამხელას, ვიდრე სიტუვებით. პირველ ხანებში მეც იმდენად ვაქცევდი ყურადღებას, რამდენადაც კალმის კაცად მიმაჩნდა იგი. მისთვის არასოდეს არ შემიხელნია როგორც მამაკაცისთვის, რომელზეც ბედი მითითებდა, რომ მის მეულლედ გავმხდარიყვანი.

„ტფილისში ჩემი ყოფნა მეორე მხრითაცაა საინტერესო: იმ ხანებში ტფილისის „კრუერები“ ლექციებს კითხულობდა ცნობილი პროფესორი ივანე თარხნიშვილი. ალექ. გაბაშვილმა გაცნობის მეორე დღესვე ბილეთები მომიტანა ლექციებზე დასასწრებლად. კვირაში სამჯერ მოდიოდა ჩემს წასაყვანად. ლექციები დიდ გავლენას ახდენდა მსმენელებზე. „ნერვიულ სისტემის აგებულება“ პქონდა ლექციებს მიზნად, მაგრამ მის შეკერობას არც პოლიტიკური მხარე რჩებოდა უყურადღებოდ, რის გამოც მთელი აუდიტორია ოვაციებით ეგებებოდა, კვავილებით უფენდენ გზას, ხელსახოცს სტაცებდენ და ნაკუჭებით ურიგებდენ ერთმანეთს, როგორც ძვირფას სახსოვარს. ამ ლექციებიდან გავიგეთ, რომ ქალებსაც გზა გვეხსნებოდა უნივერსიტეტში საქმით ნაწილზე. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ლათინური ენის ცოდნა და გიმნაზიის სრული კურსი.

„ამნაირად, ტფილისმა საზოგადოებაში გამომიყენა, ტფილისმა /  
მომცა ახალი პერსპექტივები ჩემი მომვალი ცხოვრებისა და უსაშორებების  
მოდ მომაწყურა უმაღლესი სწავლა. შესაბამისობა

\* \* \*

„ტფილისიდან გორში დაეუბრუნდი. ტარანტასტი ნჯლრევით  
მოპეროდა თოვლიან გზაზე. საშინლად ჰყინავდა. ძეგვში ჩამოვხტით.  
ლუქანში გავთბით, ვისადილეთ, ცხენები დაესვენეთ და ისევ გაეუ-  
დექით გზას. ძეგვიდან პატარა აღმართს რომ შევუდექით, ცხენებმა  
ფორხილი დაიწყეს გათოშილ გზაზე. ტარანტას ძლიერა სძრავდენ.  
ურემი წამოგვეწვია, რომელთაც ახლად ჯერდაწერილი „ნეფე-დე-  
დოფალი“ მოჰყავდათ ტოტებიანი გვირგვინებით. პატარასალი გაყი-  
ნულიყო, ძაგძაით ვერდით მჯდარ დედაკაცს ეკვრებოდა. მოვრა-  
ლი მაყრები რალაზედაც ჩხუბობდენ. დედოფალი მდიდეს შესტირო-  
და. მაყრებმა ორ შეიბრალეს. ურმიდან გადმოუყარეს სკივრი, მაფ-  
რაშა და დედოფალიც მიაყოლეს. ტარანტასტიდან გადმოვხტი, ჩვე-  
რივ საქმეში. როგორც იყო, მოჩხუბარნი დაემშეიდე და მაყრიონი  
ისევ სიმღერით და ლრიანცელით გზას გაუცემენ. ჩემი მოთხრობა  
„გაბედნიერება“ ამ შეხედრის ნაყოფი იყო.

„1870 წ. 14 აინვარს, უკვე გორში ვიყავი. გორში იმ დროს  
მთელი არტილერიის ბრიგადა იდგა. ოფიცერებში ქართველებიც  
ერივნენ, პოლონელებიც. ისინი საქმაოდ განვითარებულები იყვ-  
ნენ, განსაკუთრებით პოლონელები. როცა გაიგეს ჩემი სურვილი-  
უნივერსიტეტში შესვლის შესახებ, ყველანი დატრიალდენ, ხელი შე-  
მიწყეს ზოგმა თავისი ცოდნით, უფრო კი უმდიდრესი ბიბლიოთე-  
კით. მათში თითქვას ტრადიციით გადმოსულიყო დეკაბრისტების  
სული. ამიტომ ხარბად ეწაცემოდენ ყოველ ახალ აზრს. „Вестник  
Европы“, „Слово“, „Неделя“, „Отечественные записки“ და მრა-  
ვალი სხვა აქ გაფაციურებით იყითხებოდა. მამისგან ბუნების მცტყვე-  
ლებისადმი მიღრეულების განვითარება ჩემში ახლა ნაყოფიერ ხარ-  
ბიელს ჰპოვებდა. პირველად აქ გავიცანი მოლეშოტი, ბრემი, ლამარ-  
კი, ჟერუნი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბელინსკი, პისარევი,  
შემდეგ მიხაილოვსკი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, დოდე,  
ჰელგო, ზოლა და სხვები. თამაში ასრებით ქალებში მე და დიასამი-  
ძის ქალი ვერჩეოდით. მე თმაც შევიკრიჭე, რის გამოც ქართულმა სა-  
ზოგადოებამ უსამართლოდ ამითვალწუნა. ნილილისტი მიწოდეს.  
როცა ალექსანდრე II მოვიდა და მარშალ ერთისთავმა იმ დროინ-  
დელ არისტოკრატ ქალებს მოუყარა თავი ნადიმშე დასასწრებლად,

მე გვერდი ამიქტიეს. რაუტმა ჩინებულად ჩაიარა. ჩემი ნათესაობა, /  
ნამეტნავად ბებია ბარბარე ყველრებით მიელებდა: „ეგეც შენ საკუთარი ამხანაგებსა და ტოლებში როგორ გამოგაკლეა!“ - მისი აზროვნება  
ვერ ურიგდებოდა „გასათხოვარ ქალის ქუჩა-ქუჩა წანწალს, შეაღა-  
მებდე ვაკეაცებთან ჯიჯიყს, წიგნების კითხვას“. ხშირად დაუკიტ-  
ნია ჩემთვის კარი, მიქრობდა სანათს, წიგნებს მიხევდა. აი ამ სინა-  
თლესა და სიბნელის ბრძოლაში მიდიოდა ჩემი ახალგაზდობის  
დღენი.

„ის პატარა ამბავი, რომელიც გავიხსენე ტფილისიდან დაბრუ-  
ნების დროს, სახელდობრ, ნეფე-დელფლის და მაყრიონების შესა-  
ხებ, სახელდახელოდ აღწერე და ტფილისში დარჩენილ ჩემს ახლად  
გაცნობილ ილექს. გაბაშევილს გაეუგზევნე რედაქციაში გადასაცემად.  
წერილი თანაგრძნობით იყო მიღებული. ამ შემთხვევამ გაბაშევილს  
უფლება მისუა ჩემთან მიწერ-მოწერა გაემართნა. წერილებში სულ  
იმას მაქადაგებდა, რომ სოფლისთვის დიდი ყურადღება მიმექტია:  
„ყოველისფერი სოფლისთვის!“ ეს იყო იმისი ხევწნა, როგორც შესა-  
მოცე წლების ხალხისნურ იდეებით გამსჭვალულ ადამიანისა. სოფ-  
ლად კულტურული მუშაობა ყველაზე უდიდეს მოღვაწეობად მიაჩნ-  
და მას. თანაც პროექტებს მაცნობებდა, თუ როგორ უნდა გვემუშავ-  
ნა სოფლად, როგორ მოგვეწყო რაციონალურად მეურნეობა, რაიც  
მისი აზრით, არა მარტო ჩენი ქვეყნის სიმდიდრეს გააძლიერებდა,  
არამედ თეთი ხალხსაც საღათას ძილიდან გამოიყვანდა. გარდა მი-  
წერ-მოწერისა იგი მიგზავნიდა ურნალ-გაზეთეს, სადაც ის ათავ-  
სებდა წერილებს სამეურნეო კითხვების ირგვლივ. მისი ასეთი ზრა-  
ხები გულთან მივიტანე, თითქოს სულის მონათესავე ვიპოვე. ვოც-  
ნებოდი, მალე შევცვედროდი კიდევ, რომ პირადად უფრო ღრმად  
ჩავწდომოდი მის იდეალებს. უკეცელია, ამასვე პერიობდა გაბაშეი-  
ლიც, იმიტომ რომ ზაფხულის დამდეგს აღარ მოუცადა, რომ ტფი-  
ლისში ჩავსულიყავი, თეოთონვე ამოვიდა გორში, ხშირად მესტუმრე-  
ბოდა, ასაც შედეგად მოჰყეა ჩენი შეკავშირება.

„ამ გარემოებამ თან წაილო ჩემი ოცნება უმაღლესი სწავლის  
შესახებ. ახლა უფრო მარტივი და კონკრეტი წინადაღება წარმომი-  
ჟენა ცხოვრებამ: რაც შეიძლება მალე შევღებოდით ხალხის და-  
ახლოებას. ამ მიზნით გადავწყვიტეთ სოფლად მოგვეწყო თვალსა-  
ჩინო საცდელი მეურნეობა. იმ დროს ხელო მქონდა 3,000 მანეთი,  
რაც გადავდე გაბაშევილის მიერ განზრახულ ფერშის მოსაწყობად.

„გათხოვების შემდეგ ს. ფლევში აველი სოფლელებთან გამო-  
სათხოვებლად. ეხლაც არ დამეიწყებია მძიმე განცდის წუთები. სა-

დილი გაემართე. შემდეგ რეინის გზის საღვურისკენ გაფლულობის მთელი სოფელი უკან გამოვყვა. ბალებიც კი გულისტკიულობის მოგვდევნი.

„ლერონმა დაწყეველოს ის ჩვეულება, რომ ქალი უნდა ოჯახი-დან წავიდეს და მამული კი ვაჭს დარჩეს“,—ტირილით ჩამჩრერჩულა ჩემი სიყმის მეგობარმა ბეჟიტაურის ქალმა: „რა ჰქენი, კატო, რად დაანგებე ჩვენი პატრონობა ძმას? ან რატომ არ გვითხვ, ვის უფრო ვარჩევდით?“. მეც გული ამიჩუყდა, იმაზე უფრო ვტიროდი, რომ მამა იქ არ იყო, რომ დაევრიგებინე მაინც, შემდეგ კი აյი არ ვეც-დი მის მხილებას: „ვერ მოიქეცი, შვილო, კარგად, ძლიერ აჩეარდი, შენზე მონდობილი ოჯახი და ხალხის სამსახური პირადზე გადაცვალე. მაგრამ რა ერთი გადასდგი ნაბიჯი, უკან ველარ გამობრუნდები“. ამიხდა სოფლის საყვედური, თან მომყავა მამის გულნაკლულოვანებაც. დღიდან გათხოვებისა დაიმარხა მთელი ჩემი ოცნება, კეთილშობილური ზრახვანი. ოცი წლის განმავლობაში გამუდმებულმა შშობიარებამ, მათმა აღზრდამ, ნამეტნავად სიყვდილიანობამ ერთობ გამანადგურა, დამავიწყდა ქვეყნიერება და ბრძოლა სახალხო ბედნიერებისთვის. ამ ხანში თორმეტი შვილი შემეძინა. თორმეტი პირი თორმეტი წუხილი. სინანული... ათასში ერთხელ სიხარულიც გამოერეოდა, მაგრამ ასეთი სიხარული შეტად დაბალი ლირსებისა იყო, რომლის მხგავს ადვილად განიცდის მეტად მდაბალი მოდგმის ქალი. მართალია, მეოთხმოცე წლებში გაიხსენეს ჩემი ძველი დამსახურება და მეც თითქოს გამოვულისად, მაგრამ, ვიმეორებ, ოცი წლის სირბილი იყო საჭირო, რომ ყოველი ჭირი დამეტმინა და ისევ დაგბრუნებოდი საზოგადოებრივ ცხოვრებას“.

— წელიან ბრძანევით, რომ მეოთხმოცე წლებში გაგიხსენეს რომ სამწერლო ასპარეზს დაპირუნებოდი. ალბად ინიციატივა ისევ უმიკაშვილს თუ ეკუთვნოდა?

— „არა, ამეამად ვანო მაჩაბელი გამომეხმაურა. იმ დროს ილია ქავეპატემ და სხვა მოლვაშნებმა მოისურვეს თვიური უურნალ „ივერიისა“ და „დროების“ შეერთება, რომელიც შემდეგ ვანოს და ილიას რედაქტორობით გამოდიოდა. თვითონ მაჩაბელი პირადად შეწევია და მთხოვა, რაიმე მოთხრობა დამეწერა: „მე თქვენში მომავალ ბელეტრიისტს შევხარი!—ეს სიტუაცია ვანოს ეკუთვნის. გახალისდი. წაქეზებამ „კონა“ დამაწერინა. მაგრამ პატარა ინცინდენტი:

„როცა „კონა“ მოვათვე, ფურცლები მაგიდაზე დავტოვე და ბავშვებს მივუჯექი. მოსამსახურე გოგო რუსი იყო. მაგიდასთან მის-ვლისას შევნიშნე, რომ ნაწერის ნახევარიც აღრაა. დავიწყე ძებნა.

გოგოს შევეეითხე. „Да что, барыня, я ими печку затопила“ — ვი  
პასუხა გულუბრყვილოდ. მივუკექ მაგიდას და ხელმეორედ დავწერო, რადგანაც ვიკოდი, რომ მალე ვანო მაჩაბელი მოვიდოდა... „გიგანტით არა რა განო მაჩაბლის გახსენებამ უნებურად მთელი რიგი კითხვები წარმადგენინა. მცხოვანმა მანდილოსანმაც გულისტკივილით გადაშალა დანისლული ფურცლები ბანკობიადის, ფალავნობა ილიას და ვანოს შორის. აյაკის ინტრიგები, ვანოს გახსელების ნამდვილი მიზეზები. ბევრი ბუმბერაზი ისტორიისთვის ქონდრისკაცად გამოჩნდა ჩემს ოფალში, ბევრი კიდევ ამაღლდა, მაგრამ მთელი ეს მნიშვნელოვანი აღვილი ასევე საიდუმლოდ რჩება თანახმად კატის თხოვნისა, „ვიდრე ცოცხალია“. რა თქმა უნდა, მთელი მასალა სათუთად იქნება შენახული და დანიშნულებისამებრ თავის დროზე გადაცემა მუშეუმს.

მაგრამ რის გამზეურებაც შესაძლოდ სცნო, ისიც არაა სახო-  
გადოებრივ ინტერესს მოქლებული. ჩვენი ქვეყნის კუთხეების შესახებ ბედნიერ მანდილოსნისთვის დასავლეთი საქართველო გაცილებით სათაყვანოა.

— დასავლეთშა საქართველომ ჩემს ოფიციალურ იუბილეზე აურე შინაური იუბილე გადამიხადა 1880 წელს. ეს წელი დაუკიშუარია ჩემთვის. იმერეთის დასათვარიელებლად გავემგზავრე სწორედ ამ წელში. ქუთაისში დამზხვდა ვიორგი წერეთელა. ცველანი ფეხზე დააყენა, ვუთხარ, გელათის ნახვა მენატრება მეთქი. გიორგიმ მიპასუხა: „სწორედ კარგი დრო შევირჩევია, ხვალ დღეობაა, ბერებმა კარგი ქეიფი იციან და ბერებს რამეს ვნახავთ!“ გავემართეთ. შორი-  
დანეე ფუსფუსი შევნიშნე. ფანტაზია ათასი ცეცხლით ამეგზნო რიონის ლანდშაფტის ხილვის დროს. ვუმზერდი და ვიხიბლებოდი, ვუმზერდი და უსაზღვროდ ვტკბებოდი, რომ მშვენიერებას ახალი მშვენიერება სცვლიდა. აგრე, მიველით გელათშიც. მთელი ქვეყანა იქ დაგვხედა. ზეიმი იყო. ბერებმა მართლა ცივ-ცივი ლვინოები გამოაჩინეს. მართლა დღეობა მეგონა. შევხედოთ, დიმიტრი ყიფიანიც ამოგრიალდა. ნადიმი გაცხოველდა. ტოლუმბაშობა იყისრა თვითონ გიორგიმ პირეელი ტოსტი ჩემს მომართვით რომ დაჭრია, გავოცდი, რა დროს ჩემი საღლეგრძელოა, როდესაც ამდენი საპატივსაცემო ხალხია მეთქი. სწორედ ეხლა გაშალა მოხდენილი სიტყვა გიორგიმ და მიმახვედრა, რომ დღესასწაული ჩემს სტუმრობის გამოისად იყო გამართული. მთლად დავიბენი. ესდენ უხმომ ბედნიერება არასოდეს არ განმეუღადა. „რით დავიმსახურე, რით?“ ვეკითხებოდი აღლუებით. გიორგი უნაწყლიანობდა: „ოქვენი ქალობით, თქვენი ქართველი დე-

დობით, თქვენი კალმით... ქართველ ქალებში თქვენ პირველმა და  
ლეთ კალმი: ეს უკი საკმარისია, რომ თაყვანისცემით მოგეცე-  
ბოთ... არა, ეს რაღაც არავეულებრივი ამბავი იყო, ზემოქმედი მარტინ  
შემდეგში, 40 წლის იუბილეს გადახდის დროს, ასეთი განცდა აღარ  
მახდდა, თუმცა განზომილობით უფრო მნიშვნელოვანი იყო. ჩემთ-  
ვის გელათის ექსპრომტი საუკეთესო ლექსია დასავლეთ საქართველოს  
გულიდან ჩემს გულში ჩანაპერწელებული და მას, ალბათ, სიკედილი  
და თუ დამავიწყებს...

სამაგიეროდ მთელი ილლუზიები ჩამენგრა, როცა იქიდან გა-  
მოვატრუნდი. ვზაო სურამში შევხერდი. პატარა ნაღიმზე თამადათ  
არჩეულ იქნა ბეგთაბეგოვი. როცა მორიგი სადღეგძელოებიდან სა-  
ზოგადოზე გადავიდენ, ერთმა დამსწრეთაგანმდე ილიას სადღეგძელო  
დალია. ჩემნა თამადამ იუკადრისა: ილია ვინდა ოხერია, რომ ამის-  
თანა ნაღიმზე ვახსევოთო! გული ჩამეთუთქა. სურამშა ქუთაისის სიზ-  
მარეული შთაბეჭდილება საშინელებად შემიცალა. ასეთივე საშინე-  
ლება ვიხილე ახალქალაქში, სადაც ილიას პანაშვილი გამოვაცხადეთ  
ერთხელ. პანაშვილს ექვსიოდე კაცი დასწრო, უშვერად იგინებოდენ,  
იმისი ასე და ისე, რა გვეპანაშვილებაო... არა, მიყვარს საქართველო,  
მთლიანი, მიყვარს ჩემი ქართლელი, საბრალოა იჯი მთელი თავისი  
ჩამორჩენილობით, მაგრამ მახარებს დასავლეთი თავისი სიმკეირცხ-  
ლით, სიცხისლით, თავისი ზრდილობით...

ბოლოს მითხრა:

— თქვენ ბიბლიოთეკას ვიქებენ, არ შეიძლები როცა ჩემთან  
გამოივლით, თან წამოილოთ ბალზაკი, ან ჰერუგო! ამ, რაკაზგად  
სწერდენ ის დაჟოკვილები!

მიეცვდი, რომ დარბაზობას წერტილი დაუსვა და ლრმა პაუ-  
ზაც ჩემს საკითხის ილუსტრაციათ გაიშალა. ბოდიში მოვიხადე.  
ზედმეტი კითხვებით აღარ მოვქანცე წელთა დაზიდულობით გამო-  
ბრძმედილი ბედნიერი მანდილოსანი. ან რაღა უნდა მეკითხნა? თუ  
საბავშვო უურნალებს როდის მოპეიდეთ ხელი—მეთქი? განა თეთი  
მე და ასიათასები იმავე თავიდან არ ვიცნობთ „ჯეჯილს“, „ნაკა-  
დულს“, სადაც თითქმის ყოველთვის ვკითხულობდით ჩენი სიხა-  
რულით აღმაფრენელ მოთხრობებს! მეკითხა, საზოგადო საქმეებში  
როგორ როლს ასრულებდით—მეთქი? მაგრამ რომელი საზოგადო  
საქმე იყო, რომ ბედნიერ მანდილოსანს გვერდი აერიდებინოს!?

ბან-  
კის კრებები, სკოლების საკითხები, რედაქციები, თეატრის აღორ-  
ძინება, ძველი და ეხლანდელი საზოგადოება, ბედნიერი მანდილოსნი-  
სოვის გადაუდებელს საკითხებს შეადგენდა. თავმდაბლობა,— აი კა-

დევ რა უნდა აღვნიშნოთ ეკატერინეში. „შენ მაღალ ფარულებზე  
ჰურენ და მე კი მარტო რიგიანი ადამიანი ვარ“, — აი როგორ უცასუნა  
ერთ-ერთ თავის შეილს და ბოლოს გაკვირვებით ეკითხება; არა უცასუნა  
ასეა, ჩემო შვილო, ვანა რიგიანობა საყოველთაო კუთვნილება არ  
უნდა იყვეს და არ არის?“

— მის თავმდაბლობას ახასიათებს ის გარემოებაც, რომ დიდი  
მოწიფებით იღებს ყოველგვარ შენიშვნას. შემთხვევით ხელში ჩამი-  
ვარდა „დროების“ ერთი ნომერი, სადაც მისი პაწია მოთხრობაა  
დაბეჭდილი. გრიგოლ ორბელიანს ეს მოთხრობა შეუსწორებია  
მართლწერის მხრივ. ფანქრით ბევრი შხამიანი შენიშვნაცაა, გრიგოლ  
ორბელიანისებური, მაგრამ ბედნიერი მანდილოსანი მას ისე ინახავს,  
როგორც რელიევებს. საბოლოო სიტყვისათვის ჩვენ არ გვძირია  
გავიხსენოთ არც პირველი იუბილე, გვლათის ნადიმზე წარმოთქმუ-  
ლი სიტყვები გ. წერეთლისა და დიმიტრი ყიფიანის მხრით, არც  
ოფიციალურ იუბილეს დროს მირთმეული რეგალიები, არამედ დავ-  
კმაყოფილდებით სრულიად სადა, საახალწლო ექსპრომტით, რომე-  
ლიც ეკუთხნის ნიკო დადიანის, დიახაც, ყოვლად დარბაისლურს  
კალამს:

„ქალია, მაგრამ ქალობა  
მას როდი უშლის წერასა,  
ღვაწლი მიუძლვის საფასი,  
ვერ ვუკიუნებთ ვერასა,  
გულ აგზნებული ესწრაფვის  
დაობლებულთა შველასა,  
შესტრფის და სწყალობს კიდევაც  
მშობელი ენის კერასა!“

ეს ექსპრამტი მით უფრო საყურადლებოა, რომ ბედნიერ მანდი-  
ლოსნა ამით ნიკო დადიანმა შეფრქვევით შეასხა მარგალიტი ჯერ  
კიდევ 1892 წელს ბებერ „ივერიის“ ფურულებზე. რეალების გახსნა  
მხოლოდ კიტა აბაშიძემ მოახერხა თავის ეტიუდში, რომელიც წარ-  
უმდლვარა ეკ. გაბაშვილის სრულ თხზულებათა საიუბილეო გამო-  
ცემას.

— — : — —

## შოთა-ცხოვრების რეპრენიტრუაცია

და

სამხატვრო ტექნიკური განათლება

რეკონსტრუქციის პერიოდში სამხატვრო-ტექნიკურ განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებლად შემცდარია შეხედულება თითქოს რეკონსტრუქციის პერიოდი განისაზღვრება რეკოლიუციით მხოლოდ სასოფლო-მეურნეობასა და მრეწველობაში: ახალი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება, რაიც გამოიხატება კულაკობის როგორც კლასის მოსპობაში, ობიექტიურათ ჰქმის ნოუიტ ნიადაგს ადამიანის ფსიქოლოგიურ რეკონსტრუქციისათვის. ბრძოლა ინდივიდუალისტურ ტრადიციების წინააღმდეგ გლეხის ფსიქიკაში, ბრძოლა ძველი ჩვეულებისა და იდეების წინააღმდეგ ყოფითი ურთიერთობაში—აი ის მრავარი ხაზი რომელზედაც იშლება ყოფა-ცხოვრების რეკოლიუცია. კოლექტივიზაცია სასოფლო-მეურნეობაში და სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის განვითარების არსებული ტემპი მოასწავებს სოციალიზმის პრაქტიკულ შეტყვას ძველ ურთიერთობის ფორმებზე. ასეთ პირობებში ისტორიის კურიოზი იქნებოდა, რომ ახალი ეკონომიკის შექმნის პროცესთან ერთად არ დაწყებულიყო ძველი ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქციის პროცესი, და ეს მით უფრო, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობის სოციალისტური ფორმები მასიურ ფსიქოლოგიურ დასაბუთებას ახალ ყოფა-ცხოვრების ტრადიციებში პოულობენ. ამ რიგად ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია ეს მეორე მხარეა იმ გარდატეხების, რომელიც ხდება ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოფა-ცხოვრების პრობლემებს. „ჩვენ უნდა შევებრძოლოთ ბურუუაზიას სამხედრო გზით და კიდევ უფრო ძლიერად იდეურის გზით, რომ ის ჩვეულებები და ჩვენია რომელიც მუშათა კლასმა შეიმუშავა პოლიტიკური თავისულებისათვის ბრძოლის პროცესში, რომ მთელი ჯამი ამ ჩვეულებათა და რწმენათა გახდეს მშრომელთა მასების აღზრდის იარაღათ“ (ლენინი). პროლეტარიატის რეკოლიუციონურ ტრადიციებს ლენი-

ნი უპირდაპირებს დახავსებულ რუტინას იმ ობლომოვშეინწასა, თუ  
მელიც იძლეოდა თავის გამოჩინებას სხვაგან სხვა რელიგიურზურ  
მორალურ და ესთეტიკურ ცრუმორშემუნეობაში. ობლომირუშიჩხე  
ელემენტები თავს ამელავნებს აგრეთვე ჩვენს სინამდვილეშიაც; ღე-  
ნინი ამის შესახებ სწერდა შემდეგს: „რუსეთმა განიცადა საში რე-  
ვოლიურია, მაგრამ ობლომოვები მაინც დარჩენ, რადგანაც იმდო-  
მოვი იყო არა მარტო შემამულე, არამედ გლეხიც და არა მარტო  
გლეხი, აგრეთვე ინტელიგენტიც და არა მარტო ინტელიგენტი, აგ-  
რეთვე მუშაც და კომუნისტიც. ძველი ობლომოვი დარჩია, და საჭი-  
როა მისი დიდი რეცხვა, წმინდა, ტყავის გაძრობა რომ რაიმე აზ-  
რი გამოვიდეს“. ჩვენი დროის ობლომოვებს ახასიათებს დახავსებული  
კონსერვატიზმით გატაცება და მონური შიში ახალი ყოფა-ცხოვრე-  
ბის იდეების მიმართ. ეს ობლომოვშეინა ასეთ თუ ისეთ ფორმებში  
თავს ამელავნებს სოციალიტური აღმშენებლობის თითქმის ყველა  
დარგებში. საქმარისია ავილოთ ჩვენი სამოქალაქო მშენებლობა, რომ  
დავრწმუნდეთ ზემო ნათქვამში; არა ერთი მაგალითი იყო მისი, რომ  
სამოქალაქო აღმშენებლობაში „ფასადური“ გატაცებები სჭარბობდა,  
არა ერთი შენობები გვაქვს, სადაც საეკლესიო მოტივებია აღდ-  
გნილი, რომელსაც ქართულ სტილს უწოდებენ. ძველი არქიტექტო-  
რისათვის, რომ ეს მოვლენა სავსებით „ბუნებრივია“, ეს უდარა,  
მაგრამ როდესაც „ქართული სტილით“ გატაცებას ოდესალაც ხელს  
უწყობდა ტფილისის აღმასკომის ზოგიერთი ორგანოები თავისი გან-  
კარგულებით „ეწაორმოებიან აღმშენებლობა მხოლოდ ქართული სტი-  
ლით“ ეს უკვე ისტორიის ირონიაა. ამ განკარგულებათა ავტორებს  
ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ ქართული სტილი ეს ეკლესიე-  
ბის და მონასტრების სტილია, რომელსაც თავისი ისტორიული გა-  
მართლება ფეოდალურ-არისტოკრატიულ ეპოქაში თუ პრინდა, მაგ-  
რამ რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სოციალისტურ ეპო-  
ქასთან. „არქიტექტურულ ობლომოვშეინის“ ისტორიული წყარო  
უნდა ეცძიოთ იმ გაგებაში, რომლის თანახმათ ხუროთმოძღვრება  
პრინციპიალურად უპირდაპირდება საინჟინერო ხელოვნებას. ასეთი  
დაპირდაპირება მშენებლობის მხატვრული და ტეხნიკური მხარეები-  
სა როკოკოსა და ბაროკოს ხანის ახასიათებს. ამ წინააღმდეგობათა  
დაძლევაში ზოგიერთმა თითქოს უკუაღდო „ფასადური გატაცება“,  
მაგრამ სამაგიეროთ დაებლაჟჭა მშენებლობის არქაულ კონსტრუქ-  
ციებს. ყველა ამის შედეგათ მივიღეთ მთელი რიგი შენობების, რომ-  
ლებიც ერთის მხრივ წარმოადგენენ უძველეს ფორმების ეკლესიებს,  
(მაგ. კომუნალურ ბანკის სახლი და სხ.) და მეორეს მხრივ არ აქმა-

ყოფილებენ მუშის ელემენტარულ ჰიგიენურ მოთხოვნილებებს (მაგ. ტრამვაის მუშების სახლი). ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ემუქრდოს იმ გარემოებაში, რომ ჩვენს სამოქალაქო შენებლობას არ გვაწინაურა სოციალური განწყობა. მართლაც და თუ საბოთა არქიტექტორმა არ იცის მაგ. ჩვენი კანონმდებლობა სახლში მომუშავებზე (домаш. работники) ის ვერას დროს ვერ ააგებს ისეთ სამშარეულოს და სამრეცველოს, რომელიც დააქმაყოფილებს რეკონსტრუქტიულ პერიოდის იდეოლოგიურ მოთხოვნას. მშენებლობითი ხუროთმოძღვრება (строительная архитектура) თავისი შესაძლებლობით წარმოადგენს უძლიერეს ფაქტორს ახალ ყოფა-ცხოვრების, ახალ ჩემულებათა, ტრადიციების და იდეების შექმნაში“. ზემოთ ავლი შენეთ, რომ სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე გადასცლის პროცესი ჰქმნის ობიექტიურ ნიადაგს გლეხური ინდივიდუალისტური ფსიქიკის კოლექტიური ფსიქიკათ გარდავნისათვის. ეს გარემოება რაღიალურად სცვლის სასოფლო-მეურნეობის არქიტექტურის ძევლს განწყობას და პრინციპებს. მაგალითად კოლმეურნეობის საქაობის თუ სატრაქტორო ბაზის კონსტრუქცია მოითხოვს ისეთ გეგმას, სადაც გათვალისწინებულია არა მარტო ტექნიკური მხარე კონსტრუქციის, არამედ მისი იდეურ-საზოგადოებრივი მხარეც, რაიც განისაზღვრება კოლექტიური ური მეურნეობის პრინციპიალური არსებით. ასეთივე მდგომარეობაა კოლმეურნეობის სხვა დანარჩენ ნაგებობათა მიმართ (კოლმეურნეობის საერთო საცხოვრებელი, თეატრი, კლუბი და სხ.). ეს გარემოება, ვიმომრებთ, მოითხოვს ახალ სასოფლო-სამეურნეო არქიტექტურის ფორმებს, სადაც გათვალისწინებული უნდა იყვნეს ის ძირითადი გარდატეხის პროცესი, რასაც განიცდის ჩვენი სასოფლო-მეურნეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში არქიტექტურის როლი ახალ ურთიერთობის დამყარებაში არარაობამდის დავა.

არქიტექტურამ მთელი თავისი შესაძლებლობა უნდა გამოამუღავნოს აგრეთვე ქალაქის სოციალისტურად დაგეგმვის საკითხშიაც. თავისთვის ცხადია სოციალისტურ ქალაქს საფუძვლად დაედება მთლიანი მოძრაობის გრაფიკი (график движения). თავის ძირითად მომენტებში ეს გრაფიკი განისაზღვრება ადამიანთა სოციალისტური ურთიერთობით, ხოლო ეს უკანასკნელი გაიშლება კოლექტივიზმის პრინციპზე. მაგრამ კოლექტივიზმი სოციალისტურ ხანაში სრულიადაც არ ჰგულისხმობს ადამიანის ინდივიდუალობის მოსპობას, პირიქით: სოციალიზმი პარმონიული ადამიანის განვითარებაა და ინდივიდუალურ ნების-ყოფის ორგანული დაკავშირება კოლექტიურ ნებასთან, ეს გარემოება თავის გიმოხატულებას ჰქონდებს სოციალის-

ტური ქალაქის ორქიტეკტურაშიც. სოციალისტური ორქიტეკტურა  
არ შეიძლება არ იქნეს ფუნქციონალური — ორქიტეკტურა. მაგრამ რა ფუნქციონალური დანიშნულება სახლის შეუძლებელია დაყვანილურად მაშინ არქიტექტურა დაპერვალია თავის იდეურ შინაარს და მისი ნაწარმოების ემოციონალური შემოქმედების შესაძლებლობა არარა-  
ობამდის დავიღობდა. ნავებობის ყოველი ელემენტი რაიმე ფუნქციას ასრულებს, ამ ფუნქციას სახლის მთლიანი დანიშნულება განსაზღ-  
ერავს — ეს არის ტეხნიკური მხარე ფუნქციონალური ორქიტეკტურის, მაგრამ ამით ის როდი ამოიწურება. იდეური მომენტი ფუნქციონა-  
ლური ორქიტეკტურის ნავებობის კომპოზიციის ხასიათში და მისი არქიტეკტურად დამუშავებაში მდგომარეობს. ორქიტეკტურის უარ-  
ყოფა სოციალისტურ შენობებში, ფუნქციონალურ დანიშნულების დაყვანა ტეხნიკურ დანიშნულებამდე — მივიყენების იქამდის, რომ სო-  
ციალისტური ქალაქი დაეშვასება დიდ ყაზარმას, სადაც სიხარუ-  
ლისა და ჰარმონიული სიცოცხლის ემოციათა ნაცვლად იქნება კაზი-  
ონური „კეთილ დღეობა“. ყოველი მოტივი სოციალისტური სახლის არქიტეკტურის და აგრეთვე მისი მთლიანი კომპოზიციის ხასიათი უნდა განსაზღვროს სახლის ზოგადმა დანიშნულებამ მაგ. მუზეუმი არა მარტო კონსტრუქციით არამედ თვით არქიტეკტურითაც უნდა განსხვავდებოდეს თეატრიდან და სხვა ნავებობიდან. ეს მარტივი და ყველასათვის მეტის მეტად უდავო ფაქტი მოვიყენეთ იმის დასამტკი-  
ცებლათ, რომ სოციალისტურ შენობათა სხვა და სხვაობა თხოულობს ორქიტეკტურის, როგორც ხელოვნების აუცილებელ დაყა-  
ვშირებას შენებლობის ტეხნიკის და ეკონომიკის საქმესთან. ხოლო ეს ორგანიული კავშირი ფუნქციონალურადაც უნდა იყვეს გამართ-  
ლებული; ეს ნიშნავს შემდეგს: ყოველგვარი არხი ტექტუ-  
რული მოტივი უნდა იძლეოდეს სახლის, დანიშნუ-  
ლების ხასიათს, ამ შემთხვევაში ეს მოტივები დაპერვალი და-  
მოუკიდებელ მნიშვნელობას და შევლენ შენობაში, როგორც მისი განუყრელი ელემენტი. სოციალისტურ შენობათა ფაქტურის სხვადა-  
სხვაობაც ნათელყოფს მხატვრული ორქიტეკტურის დაყავშირებებს შენებლობასთან. ა. ლუნაჩარსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქალაქი არ შეიძლება წარმოადგენდეს მხო-  
ლოდ და მხოლოდ კოლექტიურ სახლობის სისტემას. უდაოა, რომ კოლექტიური შენობა (სახლი კომუნა) მთავარ ადგილს დაიკურს სო-  
ციალისტურ ქალაქში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ინდივი-  
დუალური“ სახლი ერთხაშად გაქრება. მაგრამ ეს „ინდივიდუალუ-

რი" სახლი სოციალისტურ ქალაქში არ შეიძლება წარმოადგენდეს  
დამოუკიდებელ კუნძულს. ინდივიდისა და კოლექტივის უზურიადულო  
ბამ, უფრო სწორედ ინდივიდუალური ნებისყოფის ემატებულება  
კოლექტიურ საქმიანობაში უნდა თავისი გამოხატულება იპო-  
ვოს ასეთ ტიპის (სახლი-კომუნა და ინდივიდუალური სახ-  
ლი) სახლების დამოკიდებულებაში. ეს კი თხოვულობს ახალ კომპო-  
ზიციას ინდივიდუალური სახლებისას. უნდა აღინიშნოს აგრეთვე  
სხვადასხვაობა მშენებლობითი მასალის და კლიმატიური მდგრადი-  
ობის. ეს სხვადასხვაობა ჰქმნის კონსტრუქციების, აქედან არქიტექ-  
ტურის, სხვადასხვაობას. მაგ. ისეთ ქვეყნებში, სადაც სჭარბობს ქვა  
და აგური, როგორც ძირითადი სამშენებლო მასალა იქ სხვა კონ-  
სტრუქციები იქნება შენობების, კინემ იქ სადაც ასეთ მასალათ გა-  
მოყენებულია რეინა-ბეტონი.

ყველა ეს იმას ლაპარაკობს, რომ ახალ ურთიერთობის ჩამო-  
ყალიბების პროცესი იწვევს არქიტექტურის ძირითად შეცვლას, მის  
ახალ განწყობას. აქედან არქიტექტურულ სწავლებაში განსაკუთრე-  
ბული მნიშვნელობა ენიჭება გეგმარებას. ასეთ გზაზე შესდგა რეორ-  
განიშაციის შემდეგ საქართველოს უმაღლესი სამზარეულო-ტეხნიკური  
ინსტიტუტი. მაგრამ აქ გეგმარება არ არის დაცილებული მის გაა-  
გარიშების მხარესთან. გეგმის შედეგენა და მისი აუცილებელი გაანგა-  
რიშება მისი ავტორის მიერ გამოხატავს ინსტიტუტის საარხოიტექ-  
ტურო ფაკულტეტის სწავლების განწყობას: ეს სწავლება მიმდინა-  
რეობს მხარეული და კონსტრუქციული ელემენტების ორგანიზაციათ  
დაკავშირების გზით, ხოლო ამ სწავლების იდეოლოგიურ გამართ-  
ლებას ინსტიტუტი სცდილობს გეგმარობის თანამედროვე თემატი-  
კით დატვირთვით. ყველა ეს პპოებს თავის გამოხატულებას ინსტი-  
ტუტის ლოგუნგში: ბრძოლა კელექტიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა სა-  
ზოგადოებრივ თემებისათვის, რომლებიც კონსტრუქციულად და მხა-  
რეულად გადაჭრილ იქნებიან სოციალისტურ კუონომიკის ამოცანე-  
ბთან დაკავშირებით. ამ რიგად სახლი-კომუნა, ფაბრიკა—სამზარეუ-  
ლო, სოციალისტური კლუბი, როგორც ჯანსაღი დასვენების წყარო,  
ქალაქის სოციალისტური დაგეგმვა—აი ის კონკრეტიული გზები  
არხიტექტურული თემატიკის, რომლის გადაჭრით არხიტექტურის  
როლი ახალ ყოფითი ურთიერთობის საქმეში განუზომელი იქნება.  
ეს პროცესი თავის მხრივ დასახავს გარკვეულ პრესკეტივებს სოცი-  
ალისტური სტილისას, რომელშიაც აუცილებლად სინთეტიურად გა-  
მოყენებული იქნება როგორც კონსტრუქტიული, ისე დესტრუქტიუ-

ლი არხიტექტურის მიღწევებიც. ამით სოციალისტური არხიტექტურა  
რა თავის გამოსახულებას ორგანიული სტილით განსაზღვრავს.  
ძელი ყოფა-ცხოვრების ტრადიციები, თითქოს რაღაც არა არა კულტურული  
ციიის ძალით, თავს ამჟღავნებენ აგრეთვე საოჯახო ნივთებშიც. ამ  
იქნება გადამეტება თუ ვიტყვით, რომ პროლეტარული საზოგადოე-  
ბრიტობა გარემოულია კლასობრივათ მიუღებელ ნივთებით. არ არის  
საჭირო დიდი ნივთმეტყველი (вещевод) იყვე, რომ აღნიშნო ნივთ-  
ში ყოველი გარევული ეპოქა, განსაზღვრული კლასი და მისი ფსი-  
ქოლოგი. კულტურის ისტორია ამის ცოცხლითი ილიუსტრაციაა. ეს  
ნივთები მოქმედებენ ადამიანის ფსიჩიაზე, მის შემეცნებაზე, იწვევენ  
მასში თუმც შეუცნობელ, მაგრამ მაინც განსაზღვრულ რეაქციებს.  
საფერფლე, შოკოლადის თუ თამბაქოს ეტიკეტი, წიგნის მხატვრუ-  
ლი ყდა, საფეიქრო ნაწარმოები, მაგიდა და სხვ.—ისტორიულათ  
ყოველთვის ატარებდნენ იმ კლასის ესთეტიკური გემოვნების დალს,  
რომელიც მაშინ გაბატონებული იყო. ეს ელემენტარული ამბავი ვერ  
გაიგო იმ ობლომოვებმა რომლებიც ზოგს ჩვენს ტრესტებში მოიპო-  
ვებიან, ამით აისანება მეტის მეტი კონსერვატიზმი ან მიმართულე-  
ბით. აეილოთ მაგალითისათვის საფეიქრო ნაწარმოები. უდაოა ის გა-  
რემოება, რომ საფეიქრო პროდუქციის ხარისხობრივ ზრდას დიდათ  
ხელს უშეყობს მისი მხატვრული დამუშავება. თვით მომხმარებელის  
ფსიქოლოგიაც მოითხოვს მხატვრულ ნაწარმოებს. ჩვენი საფეიქრო  
ნაწარმოები კი ამ მხრივ დიდ კრიზისს განიცდის: მასში კიდევ სქარ-  
ბობს დახაესქმული რუტინა. საჭიროა ბრძოლა ამ რუტინის წინააღ-  
მდეგ. საბჭოთა ყოფითი საფეიქრო ნაწარმოები უნდა იყვეს თავისე-  
ბური აგიტატორიც. ამისათვის საჭიროა, რომ საფეიქრო მხატვრო-  
ბის თემატიკა არ განისაზღვროს მხოლოდ პორტრეტების მოხაზვით,  
მასში საჭირო იქნება თავისებური ტონალური შეხამება ფერების,  
რომელმაც უნდა მოვცეს სოციალისტური ყოფის ზოგადი შტრიჩე-  
ბი. რასაკირველია მასალის ხასიათმა უნდა განსაზღვროს ფერების  
ხარისხიც.

მართლაც და კურიოზული წინააღმდეგობა იქნებოდა, რომ სო-  
ციალისტური ყოფა-ცხოვრება კლასობრივათ მიუღებელ ნივთებით  
გარემოვცეცა.

უმაღლეს სამხატვრო ტეხნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფა-  
კულტეტმა, რომლის გახსნა განხრახულია მომავალ სამოსწავლო  
წლიდან, ამ მხრივ დიდი როლი უნდა ითამაშოს ფეიქარ-მხატვართა  
ახალი კადრების მომზადებით ახალი მხატვრული კულტურით ბოლო  
უნდა მოელოს დახაესქმულ რუტინას და საფეიქრო პროდუქცია ნამ-  
დვილ რევოლუციონურ გზაზე შედგეს.

Саოჯახო ნივთების (предметы домашнего обихода) რეკუტების ტრუქუია თავის თავად ცხადია ორ შეიძლება განისაზღვრუნება შემთხვევაში ლოდ მათი (ნივთების) მხატვრული დამუშავებით. რაციონალური განვითარებული და ეკონომიკის პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად ახალ ნივთებს; ეს კი ნიშნავს ნივთების კონსტრუქტიულად შეცვლას. თუ წინათ ფეოდალურ—არისტოკრატულ ხანაში და ბურჟუაზულ ცივილიზაციის ეპოქაშიც მაგ. საწერი მაგიდა მხოლოდ მაგიდის მოვალეობის ასრულებდა, ეხლა კი მისი კონსტრუქტურია მხოლოდ ამ ფონქციით ვერ დაქმაყოფილდება. თეორეტიულად უშევებთ იმ შესაძლებლობას, რომ საწერი მაგიდის ახალმა კონსტრუქტურიამ შესარულოს სპეციფიური შეკავშირი მოვალეობა. ყოველ შემთხვევაში აქ უამრავი შესაძლებლობაა, რომელიც აუცილებლად მიღებულ უნდა იქნეს მხედველობაში ნივთების რეკონსტრუქციის საშემცირი. კერამიკული მრეწველობის განვითარება ამოიწურება უმთავრესად სილიკატის კულტურით. მაგრამ თითონ სილიკატის დამუშავება, მისი გამოყენება საოჯახო ნივთებისათვის უნდა დაემორჩილოს ზემო აღნიშნულ რაციონალიზაციის და ეკონომიკის პრინციპებს. აქაც ორგანიული სინტეზი უნდა იყვეს, მხატვრული და კონსტრუქტიული მომენტების, წინააღმდეგ შემთხვევაში შეგვიძლია მივიღოთ ლამაზათ შესრულებული დიქი, რომელშიც წყალი ორ ჩაისხმება, სამელნე, რომელიც მელანისათვის ორ გამოღება, საჩაი, საიდანაც წყალი ყოველი მხრიდან გაღმოვა და სხვ. და სხვ. მეორეს მხრივ შესაძლებელია კონსტრუქტიულათ მაგარი ნივთი, მაგრამ მხატვრული კომპოზიცია მისი ხალტურით განისაზღვროს. შესწავლა მასალის, აქედან გარევიული კონსტრუქტურია ნივთის, რომლის ფუნქციონალურ დანიშნულებას უნდა დაემორჩილოს მისი მხატვრული დამუშავება—როგორც ფაქტურის მხრივი ისე საჭიროებისამებრ—ორნამენტაციის მხრივაც—მხოლოდ ამ გზით შეიძლება ახალი კერამიკული ნივთის კულტურის შექმნა.

უმაღლეს სამხატვრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის კერამიკულ ფაკულტეტის ასეთი განწყობა იქვს; ხოლო პოლიგრაფიული მრეწველობის როგორც ტექნოლოგიურ, ისე მხატვრულ პროცესებს ემსახურება ინსტიტუტის პოლიგრაფიული ფაკულტეტი.

ამ რიგად „ნივთების რეკოლიურია“ ორ მომენტს შეიცავს: რაციონალიზაციის, და ეკონომიკის პრინციპით განსაზღვრული ახალი კონსტრუქტურია და მისი მხატვრული დამუშავება. რასაკეთი მომენტის კონკრეტიზაცია უშუალო შემოქმედების საქმეა, რადგანაც დეკლარატიული რაიმე ნორმების დადგენა ამ მხრივ, იქნებოდა და ცოცხალი შემოქმედების ლიკვიდაცია.

როგორია მხატვრობის როლი ყოფა-ცხოვრების პროცესში?  
ამ საკითხის სირთულე თავის უმთავრეს მომენტებში აიტენირდეთ  
ქრიზისით, რომელსაც განიცდის ფერებისა და ხახების სტანდარტების  
განსაკუთრებით გამწვავდა ეს კრიზისი ფოტოსა და კინოს განვითა-  
რების შემდეგ.

თუ ოდესალაც ფოტო უძლური იყო მხატვრობის მიმართ, დღეს  
თითქოს ასეთ მდგრამარეობას იდგილი არ იქნა: ფოტოგრაფიის პრე-  
ტენდენციი იმ ზომამდი გაიზარდა, რომ ის თავდაცვიდან შეტევაზეც  
გადაიდა: ფოტო დღეს ემუქრება მხატვრობას (უმთავრესად—სადაზ-  
გო მხატვრობას) სრული ლიკვიდაციით. ჯერ კიდევ გეორგ გრო-  
სმა გამოუკვადა ბრძოლა მხატვრობას, ხოლო გერმანელ „შემარცხე-  
ნე“ ხელოვანმა მაგოლი ნაგიმ სცადა თავის წიგნში „ფოტო-  
გრაფია თუ მხატვრობა“ (1929 წ.) პრინციპიალურად დაესაბუთებია  
ფოტოგრაფიის, როგორც გარკვეული „ოპტიური ერთეულის“ უპი-  
რატესობა მხატვრობის მიმართ.

ამით აისხება ის გარემოება, რომ სურათები, რაგინდ რეკო-  
ლიუციონურ თემატიკას არ იძლეოდენ, ჰქარვავენ თავის მძლე შთა-  
ბეჭდილებებს ფოტო სურათებთან, შედარებით. განსაკუთრებით გა-  
ძლიერდა ეს კრიზისი, როცა ფოტომ დაიპყრო მხატვრობის ერთი  
უძლიერესი პოზიცია: ფერები. „ფერებიანი (ავთენი ფოთი) ფოტო“  
სკდილობს თავის მექანიკური ხერხებით მოახდინოს ის, რასაც ალ-  
წევს მხატვარი თავისი პალიტრით.

ამ კრიზისის წყარო უმთავრესათ უნდა ვეძიოთ იმ გარემოება-  
ში, რომ მხატვრობა ფოტოს გავლენას მოექცა, რომ მხატვრობამ  
განსაკუთრებული გულისყური მიაპყრო მოვლენათა გარეგან ნიშნე-  
ბის აღნუსხვას, მის „რეგისტრაციას“: გატაცებული ამ გარეგანი  
ოპერაციით, მხატვრობას დაავიწყდა თავისი უმთავრესი ამოცანა:  
მოვლენის ექსპრესიის, მისი შინაგანი სამყაროს გამოვლინება.

ამისათვის კი სრულიადაც არ არის სავალდებულო ფოტოგ-  
რაფიული ასახვა სინამდვილის; მხატვრობის კრიზისიდან თავის დახ-  
წევის ერთერთ გზათ უნდა მიეკინიოთ შემოქმედებითი დეფორმა-  
ციის მეთოდი. ეს მეთოდი მიზნად უნდა ისახავდეს არა ფიზიკურ  
ატრიბუტების აღწერას, არამედ მხატვრულ ხაზებსმას იმ ნიშნის,  
რაც არის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება მოვლენის. სხვა  
წერილში ჩვენ დაწვრილებით შევეხებით ამ დეფორმაციის მეთოდის-  
ბუნებას და შევეცდებით გავარკვეიოთ მისი განსხვავება ფოტოს დე-  
ფორმაციის მეთოდისაგან. ებლა კი საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზი

გაესვას იმ გარემოებას, რომ მხატვრობის კრიზისი დროულია, მხატვრობის უნდა უკუგდოს ფოტოგრაფიული ასახულობის განვითარების გამოვლინებული მრავიშა როგორც აღვნიშნეთ — ძლიერ ხშირად, ვერ თავსდება მოვლენის გარევან სქემებში.

მხატვრობა დიდ შესაძლებლობას იტევს იმისა, რომ ემსახუროს ყოფა-ცხოვრებას და მრეწველობას. თვით კინო-მრეწველობის პროდუქციის ხარისხობრივი ზრდა ნაწილობრივ მხატვრობაზეცაა დამოკიდებული, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც კინო-პროდუქციაში სათანადო ადგილს იჭერს „ნივთების თამაში“ (обыграждение веший), და, დეკორაცია გამოდის როგორც გარკვეული „მონტაჟური ნიშანი“; თვით კინო კადრი, როგორც არ უნდა იყვეს მისი მონტაჟი, სადაზე მხატვრობის კომპოზიციის პრინციპებზე იგება; ხოლო თუ კინომ დაიბურო ფერი, მაშინ გადაჭრით შეიძლება ითვალისწინებული ფაქტურას დეკორაციისას როგორც მონტაჟური ნიშანის — დიდი მნიშვნელობა ექნება. აქც მხატვრობის როლი განუზომელია.

საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის მხატვრული დამუშავება, იყვეს ის პორტრეტული ხასიათ, თუ უპორტრეტო, — ფერებით შეზავება ტონილობის პრინციპზე — გვერდს ვერ აუვლის იმ მიღწევებს, რომელიც გააჩნია სადაზე მხატვრობას, თუნდაც ნათელ-ჩრდილს, ხაზური და ფერითი პრესპექტივის და სხვათა მხრივ.

უდაოა, რომ სადაზე მხატვრობა სოციალისტურ ხანაში კიდევ საჭირო იქნება ყველა ამ მოსაზრებათა გამო, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ საფეიქრო მხატვრობა უფრო გაფართოვდება, მით უფრო რომ კომუნალურ სახლებში მთელი რიგი ტეხნიკური უპირატესობაა ფრესკისათვის, კინემ სადაზე მხატვრობისათვის<sup>1)</sup>.

თეატრი, კლუბები, საზოგადოებრივი კარნავალები ისტორიული დატების დროს, ხალხური დღესასწაულები — ორგანიულათ საჭიროებენ მხატვრობას. მაგრამ ამისათვის კი საჭიროა როგორც თემატიური განახლება მხატვრობის, ისე მისი ფორმალური ხერხების რეკონსტრუქცია.

ამ გზაზე შესდგა რეფორმა ქმნილი ფერთაწერის ფაქულტეტი უმაღლესი სამხატვრო ტეხნიკური ინსტიტუტის. რამდენად შესძლებს ის ამ გეგმების განხორციელებას ამას გვიჩვენებს მომავალი სამოსწავლო წელი.

<sup>1)</sup> ამის შესახებ იხ. „На рубеже Востока“ № 2, 1930. ჩემი წერილი „Вхутаин на смену академии“.

სახეითი ხელოვნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფაცხოვრების რეკონსტრუქციაში, და ამდენად კი ინსტიტუტი უნდა გახდეს ერთ უძლიერეს ფაქტორათ ძეველი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლაში და სოციალისტურ ურთიერთობის დამკვიდრების პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევებში სამხატვრო-ტეხნიკურ ინსტიტუტს დაეკარგება ყოველგვარი აზრი არსებობის.

Z.

## კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლი

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი აპრილის პირველ რიცხვებში გაემგზავრა საგასტროლოდ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკიში.

პირველად თეატრი ეწვია უკრაინის სატახტო ქალაქს ხარკოვს, საღაც ის ჩავიდა 9 აპრილს. ხარკოვის საბჭოთა საზოგადოებამ თეატრი მიიღო დიდი ზეიმითა და თანაგრძნობით. ჩასვლის დღეს 9 აპრილს თეატრს ხარკოვის სადგურზე შევდნენ თეატრების, ლიტერატურული ორგანიზაციების, ხელოვნების მუშაյთა კავშირის და სხვ. წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი კურბასი, რეჟისორი ვასილ კულიში, მხატვრები—მელერი და ბურაქევი, მსახიობები—ბუჩქა, მარიანენკო, უევი, პეტლიაშვილი და მრავალი სხვ. უკრაინის სატახტო ქალაქის კულტურულ ძალების სახელით. მხურვალე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სრულიად უკრაინის ხელოვნების მუშაյთა კავშირის თავმჯდომარებ ამხ. გრუდინამ, მან თავის სიტყვაში სთხვა: „ჩვენ მოხარული ვართ მოგესალმოთ უკრაინის ტერიტორიაზე საქართველოს ხელოვნების კალატოზებს. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების მუშაკები წარმატებით უძლევებიან თავის კულტურას. ჩევოლუციის 13 წლის თავზე ჩვენ სიამოვნებით გავეცნობით თქვენს მიღწევებს. თქვენი ჩამოსვლა ორივე რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებს საშვალებას მისცემს მოახდინონ, წინად დამონაცებულ და ეხლა კი დიად კავშირში გაერთიანებულ ხასხთა, კულტურულ მიღწევებათა გაცვლა-გამოცელა“. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. საპასუხო სიტყვით დამხდურათ მიმართა კ. მარჯანიშვილმა.

პირველი წარმოდგენა გაიმართა 12 აპრილს.

თეატრის ჩასელის თანარძობით გამოეხმაურენ ხარჯოვის ყდა ურნალ-გაზეთები, ყველა სპექტაკლები იწერებოდა მაქებარი/ რეცენზიები, ათავესებდებოშახიობთა სურათებს „და დაღმეტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წარმოდგენებმა: „ური- ელ აკოსტა“-მ და „პოპ-ლია ჩენ ვცოცხლობთ“.

გაზეთები აქებდენ როგორც დაღმებს ისე მსახიობთა თამაშისაც ერთ-ერთი გაზეთი წარმოდგენის „პოპ-ლია ჩენ ვცოცხლობთ“ რეცენზიაში სხვათაშორის სწერს: „უშანგი ჩეიიძემ ტომასის როლი კი არ შეასრულა, არამედ მართლაც განასახიერა ისე, რომ კაცი, რომე- ლსაც არ ესმის ენა მაინც ალფრონოვანებით უსმენს მას“.

ხარჯოვიდან კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი გემგზავ- რა მოსკოვში, სადაც თავისი გასტროლები დაწყო 1 მაისიდან, წი- ნა დღით კი მოწყობილი იქმნა თეატრის ნამუშევრების საზოგადოე- ბრივი განხილვა, რომელსაც დაქსწრენ ხელოვნებისა და კულტურულ თრგანიზაციების წარმომადგენლები.

თეატრის პატივსაცემად გამართული საზეიმო სხდომა გახსნა „ვეჟისის“ თავმჯდომარები ამხ. პეტროვმა, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა დაშტრე საზოგადოებას და აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის ხალხთა საერთო კულტურული ზრდა, სთქვა: „დღეს საქართველომ ჩენ გვიჩვენა თავისი თეატრი, რომელმაც 2 წლის განმავლობაში შექმნა თავისი ნაციონალური კულტურის უმშვენიერესი ნიმუშები. მხოლოდ ისეთ ქვეყანაში სადაც დათრგუნებილია ყოველივე ძველი სადაც შენდება ახალი რევოლუციონური ფორმები ჩენი ეკონომი- კისა, ჩენი ყოფა-ცხოვრებისა და ჩენი კულტურისა, შესაძლებელია ასეთი უდიდესი სასწაულები რომ 2 წელიწადში იქმნება თეატრი, რომელსაც მოსკოვის სცენაზე შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მოს- კოვის ყველა თეატრს.“

თეატრალური ხელოვნების ის ნიმუშები, რომელნიც ჩენ აქ ვნახეთ, მაჩვენებელია, რომ ეს კოლექტივი გამოვიდა თავისი ნაციო- ნალური თეატრის ძეელი ფორმებიდან და შეითვის არა მარტო პროლეტარული იდეოლოგია, ახალი რევოლუციონური იდეოლოგი- ური ფორმები რესტაბლივისა, არამედ მან გააკეთა მეტიც: მან შეს- ძლო თეატრალური ხელოვნების რევოლუციონური ფორმების გა- მოსახვა“.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც ვრცელ სიტყვაში დაახასიათა კ. მარჯანიშვილის პიროვნება და მისი მუშა- ობა თეატრის სფეროში. მან სთქვა: „ეხლა მარჯანიშვილი მოდის ჩენთან არა როგორც თავისი ხალხისაგან გამოსული ერთეული, რო-

შელიც ხელოვნების არენაზე გამოიყვანა იმპერიალისტურ მჟავა  
ბების ძლიერმა გაქანებამ, არამედ ეხლა, მარჯანიშვილი მოდის წერტ-  
თან, როგორც თავისი ერის ხელოვნების წარმომადგენელი გენერალი  
უძღვის ერის განსაზღვრულ საძხატერო საქმეს, ის წინ უძღვის სა-  
ქართველოს თეატრს, რომელიც ისტრაფვის გაშალოს თავისი ხელოვ-  
ნება, კერძოთ თავისი თეატრი, და იგივე საქართველო აგზავნის მას  
თავის სამხატვრო სრულუფლებიან წარმომადგენლად, რომელიც ეხ-  
ლა მოვიდა არა ინდივიდუალურ განდგომილად, არამედ მოვიდა კო-  
ლექტივთან ერთად და მეორედ ამდიდრებს ჩევნს თეატრალურ სამ-  
ყაროს, ჩევნს თეატრალურ გაეგებას და ამდიდრებს, ვიმეორებ, უკვი  
როგორც ხელოვნების ახალი ფორმაციის წარმომადგენელი, კერძოდ  
თავისი ქვეყნის თეატრისა.

არ იქნებოდა სწორი თქმა იმისა, რომ მთელი აზრი მარჯანი-  
შვილის შემოქმედებისა გამოიხატება მხოლოდ მასში, რომ მან მოი-  
ხმარა თავისი გენია რათა გამოლვიძებული ქართული თეატრი მიე-  
კუანა განსაზღვრულ მიღწევებამდე. გაცილებით უფრო აღსანიშნავია,  
რომ მარჯანიშვილმა გაშალა არა მარტო ქართული თეატრი, არამედ  
რევოლუციონური და პროლეტარული ქართული თეატრი, და რომ  
ის აძლევს ამ თეატრს ზედმიწევნით. გამახვილებულ ფორმებს, ის  
ეძებს რუსულსა და საერთაშორისო დრამატურგიაში ისეთ ნაწარ-  
მოებებს, რომლებიც უპასუხებენ თანამედროვეობას, რომლებიც შეე-  
ხამებიან ჩევნს ეპოქას და სცდილობს თანამედროვე დრამატურგების  
ნაწერებს მისცეს ისეთი ფორმა, რომ პატარა თეატრალური სექ-  
ტორი თანამედროვე ეპოქაში თამაშობდეს ტრიბუნის როლს, რომე-  
ლიც შესძლებს უპასუხოს თანამედროვე მოვლენებს და ხელი შეუწ-  
ყოს ამ მოვლენების შემდეგ განვითარებას.

მეორე აღსანიშნავი ნიშანდობლივი თვისება არის უფართოესი  
ინტერნაციონალიზმი, რომელიც ჩევნ ვიგრძენით და ვხედავთ აქ.  
მარჯანიშვილი სრულიად არ კმაყოფილდება მით რომ იღოს ქარ-  
თველი ავტორები, ის არ კმაყოფილდება არც იმით რომ დასდგას  
როსი ავტორები, ან მარტო ავტორები, რომლებიც სპეციალურად  
აშუქებენ ჩევნს ეპოქას. მარჯანიშვილმა გაიგო, რომ პროლეტარულმა  
კულტურამ, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, უნდა შესძლოს გამოი-  
ყნოს წარსულის უდიდესი მიღწევები და ვალდებულია გააცოცხ-  
ლოს კლასიკები ახალი სახით, იმიტომ რომ კლასიკებს შორის შეიძ-  
ლება ნახა ხელოვნების უმაღლესი მწვერვალების, რომლებსაც ჩენ  
გვერდი არ უნდა აუაროთ, არ უნდა დავიციწყოთ

აი რატომ მივესალმები მე იმ გარემოებას, რომ საშეალებათა დიდი ეკონომიით ჩვენ ვხედავთ აქ ისეთ დაფგმას, რომ რიცხულიც არის „ურიელ აკოსტა“ გუცოვისა; ეს მშვენიერია ფლუტვაზეა რებს თითქმის ისევე, როგორც გვახარებს თანამედროვე რეეოლუციონური მოტივი. ძლიერ კარგია, რომ ასე მრავალმხრივად გაიშალა ქართული თეატრი. ჩვენ ვხედავთ მას აქ მისი ნაციონალური სახითაც, ის ანსახიერებს ნამდვილ საუნჯებს წარსულისა და აწყოისა შესაძლოა განასახიეროს მომავლის საუნჯებიც, როცა თეით მომავალიც შეეხება ამ თეატრს“.

„განაცნა“-ის სახელით თეატრს მიესალმა პ. ს. კოგანი. მან აღნიშნა: „მარჯანიშვილი ეხლა არის წარმომადგენელი კოლექტივისა და კოლექტიური მოძრაობის, პიროვნება, რომელიც ლრმად დაკავშირებულია მის ირგვლივ არსებულ სინამდვილესთან.

მარჯანიშვილი მიდის ეპოქის თანასწორ, ესმის ეპოქის ძრები და სცდილობს გარდაქმნას ის თავის სპეციალურ სფეროში, რომელშიაც იქმნებიან ახალი ფო მები მსოფლშეგრძნებისა და განწყობილებათა“.

მთავარხელოვნების წარმომადგენელმა ამს. ეტინგერმა თავის სიტყვაში სთვა: „მთავარი ხელოვნება მხურვალეთ მიესალმება აქ ჩამოსულ ახალგაზდა თეატრს. ძველი დიდი ოსტატის ხელმძღვანელობით გაიზარდა ახალგაზდა რევოლუციონური თეატრი, ის დაიბადა საქართველოში, პროლეტარულ რევოლუციის ქარიშხალთან ერთად. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების მეობებით შეიძლებოდა აღმოცენებულიყო იქ ასეთი რევოლუციონური თეატრი. თქვენი ჩამოსვლა აქ, დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის მოვლენაა. სწორედ ეხლა როცა დასავლეოში სწარმოებს ბურჟუაზიული ანტისაბჭოთა კამპანიები, როცა ჩვენ ბრალს გვდებენ უკულტურობაში, ველურობაში, ნაციონალურ კულტურათა ჩახშობაში, და ცველაზე მეტი ცრუმლი იქ იღერება სწორედ საქართველოს შესახებ,— თქვენი ხელოვნების გამოჩენა არის საუკეთესო და ღირსეული პასუხი იმ ფრილიარებისათვის“.

შემდეგ თეატრს მიესალმენ მოსკოვის თეატრების დელეგაციები, რომელთა შორისაც იყვნენ: ო. ლ. ქნიჭერი, ი. მოსკვინი, ვიზნევსკი, მარკოვი და სახალხო მსახიობი ა. იაბლოჩევინა.

ის შეხვედრა, რომელიც წილად ხვდა კ. მარჯანიშვილის თეატრს მოსკოვსა და ხარკოვში და ამ თეატრის მიერ წარმატებით ჩატარებული სპექტაკლები შახვენებელია თუ რა რიგათ უწყობს ხელს საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა კავშირის ხალხთა დაახლოებისა და საერთო კულტურული აღორძინების საქმეს.

3. b.

ვასილ ბარნოვი, სახელგამი, 1929, გვ. 328. ფასი 2 მ.

ვასილ ბარნოვის წერის მინერა ისეთია, რომ ყოველ სტრიქონში თითონ ავტორის სულისკვეთება მოცემული. ბარნოვი უპირველეს ყოვლისა ლირიკისა, რომელსაც თვალშინ უდგას ფარტაზის მიერ შექმნილი სურათი, თავს დასტრიალებს ამ სანაბაობას და მხოლოდ ხანდისაან თუ დაგვანახვებს სიტუაცია ბაფის იქით მიშალულ პლასტიკორ ხატებას. მთავარი მისი სახრუმავი საკოთარი სულის პეტეტის გადამოშლა. ამიტომაც მისი უბრძანა გრძინიბებით მიმოტრალებულის ღალადისა მიმთხველისათვის არც ისე კარგად დასანაზად სურათის წინაშე: შევიცა-დოთ გავიგოთ ბარნოვის „შინაგანი“ მე, მის უსაყვარლეს გრძობათა და ახრთა რაობა.

„სული, სული! ხელოუკიდებელია იგი, უჩილავი. სანამ მას მიანებ, ხორცი გიდგა თვალშინ, სხეული გხვდება ხელში ნივთიერი; ხატება ღვთისა ხორციც უნდა იყოს ჩასახული, ტანში ჩაქრივილი! შემოქმედ ყოვლად სრულია ყოველ-მხრივ. მისი გარევან მხარეც უშემციკლათ, სიმშევნიერით სრული. იგი მისი განუ-სასლერელი შევეხება უნდა გამოიკითხდეს მის ხატებში. ტყეილად კი არ სცემდებ თაყვანს ღმერთს სიმშევნიერისა... უნდა თაყვანს ესცემდეთ სიმშევნიერებს, ვუდა-ღადებდეთ მას და ვუშესვერალიდეთ! შევენიერება იგი ნათელია შენიშვნებული, ხორციენილი და კაცთა საწუკეშოდ მოვლინებული ამ წყედიად ქვეყანაში; იგი ნა-თელია თვით საუკუნო ნათელისაგან გამოსული და ჩენენდა სალხენად შარმოგზა-ნილი. სამშევნიერის თაყვანისცემა და მისდამი მისწოდება ერთი ვზათავანია კაცთა ნათესავის გაუმჯობესებისა და ბედნიერებისა: ამრაცელე მშევნიერება და და გაუმჯობესდება კაცთა მოფეხმა, გაუნათლდება არსებობის „შარავანდედე“ („ყველებია“). ამ სიტყვების ავტორი როგორც მოფლავებით, ისე მსოფლიერ-ძნიბით წმინდა წყლის იდეალისტია, რომელსაც ღრმად სწამს, რომ ყოველ ადა-მიანში ზის ზეკით ძირს მოვლენილი კეთილშობილური რამ დასაჭიროიანუ მისიერ სიტყვა რომ ეინძარით — სული. „სული! სული! რა იცი, რომ სული იფვე ხორცი არ არის, მხოლოდ წმინდა, განასტერაცებული, ჰაეროვანი, გამშევნებული, ნათელ-ქნილი“. („საელავის ქვეხე“). ასეთია ეს სული, რომელიც ამ ქვეყანად ხორცეს-ბის შემდეგ სიყვარულის საბით შარმოგველინება. „იქნება იყოს ისეთი წარსული რამ უძეველეს, გამო რომ ადრინდელი, როდესაც ეს სული იკრიბდნენ და ითვი-სებდნენ ერთმანეთს უშინარეს თავის აწინდელ განათლივებისა“ („ლერწამი სხეული“). ასეთ აზრებს ბარნოვის მოთხრობებში თითქმის ყველგან წაწყდებით, მისი პერსონალებიც ასეთის მსოფლგაფების პატრონი არიან, მათთვის „ცოლ-ქმრობის საქმე ალბად მართლა ცაში რიგდება“ („ყვავილი მიმომავალი“), ტაძრი ღვთის სახელია ცაში მყოფისა, პატარი შეცისენ ეჭირდეს კაცის ფერებას“ („ნაძ-ვნარი დევი“). ბარნოვს მთელის ასებით სწამს ზესამყაფელიდან გამოვლინებული სულის სიძლიერე და შარმტაცობა. მოთხრობაში „ყვავილები“ ვკითხულობთ: „იმ ღრმას გაეიკანი ბაბურა ახლო, როდესაც მას უკვე დაეძლიერა თავისი სატრიკი საოწარკვეთილება, არ დაპირინებოდა მისდამი მიწეულ უბედურებას, გაეკვეთნა

საკუთარი გზა ცხოვრებისა თეისი სულის ძლიერებით შეექმნა განკურშეტებული  
სამყარო ოცნებისა და თავისუფლად ცხოვრობდა შიგ, ცხოვრებისაგან ჟარყვაში-  
ლი. ეს იყო მიხედვი, რომ თა-ნა-უგრძნობდი მას და მი-კურდა ამ ჟარყვაში გამო-  
ადამიანის საენერგიი რამდენიმე წუთის გატარება".

განდევნილის სულის კეთებისაა თოთონ ბარნოე და ეს ქალიც მისთვის  
უკარს მას, ბარნოე სიყვარულისა და მშენებირი სულის სადიდებლად განდევნი-  
ლო მწერალია; ის თავისებური ასკეტია, რომელიც თავისი საკუთარი მიდგომით  
შემოდის ჩემს ცხოვრებაში, ყოველგვარ მოულენას საკუთარი შეენების ბრძელში  
ატარებს და მშობლოდ ამის შემდეგ გვამონაბს მოთხოვობების სახით, მაგრამ არა,  
უკეთს იქნებოდა, რომ ამ წიგნში მოთხოვებულ მისი მოთხოვობებისათვის ლირი-  
კული ლექსი გვერდებია. გადაკარისხებული იდეალიშის, ან ბარნოეს გენე-  
ასკეტიზმის საფარები ბშირად სინამდვილის გამამრუდებულია. ამის აშენა  
მიგალითია ბარნოეს ზოგიერთი მოთხოვობა. მაგ., „ყვავილი მიმომავალი“ ს ქალ-  
ვაკის დამოკიდებულება სრულებით არ გავს ჩვეულებრივი ადამიანების მიერ სი-  
ყვარულის გრძნობის გამოხატვას: აფანიერ ახალგაზრდებს ზეირიანი კოცნაც კი  
არ შეუძლიათ და მათ უკან მიმართ და მოხუცებისაგან იმითი განირჩევაან, რომ  
ისინი (მოხუცები) სხეულით არიან დაბერებულნი, ესენი კი სულით. ამ სანთლის  
ადამიანების დალუპეის ამბავიც ერთობ ხელოუნტრია.

იდეალიში რომანტიზმის სულის ჩამდგმელია, რომანტიზმის შორეულის  
სიყვარული აცხოველებს. შორეული წარსულშიც არის და მომავალშიც. ბარნოეის  
იდეალიში მომავლის გასამშენიერებლად, ან მისივ სიტყვებით რომ ვთქათ,  
აქაცთა ნათესავის გაუმჯობესებისა და ბედნიერებისათვის" წარსულში ემიებს მა-  
სალას. ამ კრებულში მოყავანილი მისი მოთხოვობების დიდი უმეტესობა თებერვლის  
რევოლუციის შემდეგა დაწერილი, მაგრამ თანამედრობის გვალენას თითქმის  
ვერსად ერ შეხდებით, ბარნოე გაურბის აქტუალურ საკითხებს, იგი მშენებირე-  
ბის განვითარილი რაინდია და აურე რიგად არ უნდა ახლობელი ცხოვრების ჭა-  
ობში ჩაეშეას. აღმართ იმის შიშით, რომ თანამედრობობა იდეალურად განწყობილ  
ხელს შებდალვას უქადას. მაგრამ არის მომენტები, როდესაც ბარნოეს კალაბიც  
რეალობაში ემიებს თავის სავანს და უნდა ითქვას, რომ მისი ძიება ამ სფეროში  
თითქმის ყოველთვის ნიშანდობლივია, სხარტული დი ნამდევილ ხელოვანის ხელით  
შესრულებული. მშენებირი იქნებოდა „სოკო, სოკო“ ცოტათი ბუნების ფილოსო-  
ფია რომ არ აუკუპებდეს. არაუშაეს „სოკდაგარს“-საც. ბარნოე შეენებულად გა-  
ურბის რეალობის, მე ფუქირობ ეს შეცდომას. ყოველმეობრივაში ამ კრებულის  
მოთხოვობების შესახებ ეს ახრი კეშმარიტებაა. კავარად უნდა ითქვას: ბარნოეის  
იდეალიშის მე მისი რეალობის მორჩევია და ეს არა იმიტომ, რომ ჩემი მოთვლ-  
შეცდებულია უპირველეს ყოვლისა რეალისტურ-მატერიალისტურია, არამედ იმ-  
ტომ, რომ ბარნოე-რომანტიკოსს ბარნოე-რეალისტი სჯობს, უკანასკნელი უფრო  
ძლიერი და კონკრეტულია.

ბარნოეს თავისებური სინტაქსი აქვს. ჩეელებრივად იტყვიან: „ბაქარი  
დევთის შეილი იყო, იგი ტყბილად ცხოვრობდა“-ო, ბარნოე კი ამ ფრაზას ასე ამ-  
ბობს: „დევთის შეილი იყო ბაქარი, ტყბილად ცხოვრები“; მახვილია აქ დევთის  
შეილხეა დასმეული. „საკონტებულში ჩატარდა დიმიტრი“-ის სწერტ ბარნოე, რო-  
მელესაც უნდა რომ მახვილი სიტყუა, „საგონიერებულში“-ებ გაეყოფდეს; ჩეელებრივი კი  
ასე იტყოდებ: დიმიტრი საგონიერებულში ჩაგარდა. ბარნოეის მოთხოვობები სახეა  
ასეთ შეტყველებით, რაიც უსათუოდ განსაკუთრებულ სურნელებას ქმნის და თა-  
ვისებურობის იქნს აძლევს მის ძლიერ სტილს მაგრამ მაგარი ისაა, რომ ამ თა-  
ვისებურ სინტაქსს გამახეილება არქაიზმებისაკენ აქვს, რაიც სშირად ენას ამძიმებს  
და სამღეთო წერილის კოლოს აძლევს.

# ლიტერატურული ცხოვრება



ს პ ჩ ა რ თ ვ ი ლ ი

— დ. კლ დია შევი ღლის იუ ბი ღლე. საქართველოს საბჭოთა მწერლების უფრესაციის პრეზიდიუმშით თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, ალმარას შეუამ-დგომლობა განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა მახლობელ ხანში მიწყვილილ იქნას დამსახურებულ მწერლის და სახლვადო მოღვაწის დაცი თ კლ დია შევი ღლის იუბილე.

— საქართველოს მეცნიერებათ ა ინ ს ტ ი ტ ი ტ ი. სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, სამეცნიერო-საკულტურო მუშაობის გასაქრთიანებლად მოელო რესპუბლიკის ფარგლებში, დაადგინა დაარ-სებულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა ინსტიტუტი.

მეცნიერებათა ინსტიტუტის პრეზიდენტად დამინიჭებულია აკადემიკოსი ნ. მარია, ერეკ-პერეზიდენტებათ—პროფ. შ. წულუბიძე და პროფ. ა. ჯანელიძე.

მეცნიერებათა ინსტიტუტი იქნება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს მეც-ნიერულ მუშაობას საერთო სოციალისტური მშენებლობის მიზნებითა და გზით.

ინსტიტუტს ექნება ორი ძირითადი განყოფილება: 1. მათემატიკურ-საბუ-ნებისერტყელი მეცნიერებათა და 2. სახოგადოებრივ ისტორიულ მეცნიერებათა. თვითური მათგანი მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევს მის შემადგენლობაში მუოც დაწესებულებათა მუშაობას.

სახოგადოებრივ-ინტერიულ მეცნიერებათა განყოფილებას აქვს შემდეგი სკეციები: ა) კუნიომიტურ მეცნიერებათა, ბ) ფილოსოფიის და ფიქოლოგიის, გ) მა-ტერიალურ კულტურის და ხელოვნების ისტორიის, დ) ისტორიულ მეცნიერებათა, ) ენათ-მეცნიერებებისა (კერძოდ—იაუეტიდოლოგიის საფუძველზე დაყრდნობით), ე) ლიტერატურათ-მცოდნობისა.

ინსტიტუტის გამგებლობაში ამ თავითვე გადადის 18 სამეცნიერო დაწესე-ბულება. გარდა ამისა ინსტიტუტს უფლება აქვს, განსანა და შეიქროოს ახალი სამეცნიერო დაწესებულებათი.

— სო მხე თი ს ს ა ხ. ა კა დ ე მ ი უ რ ი თ თ ე ა ტ რ ი ს გ ა ს ტ რ რ ი ლ ე ბ ი-ვ მაისს ერმენიდან ტულილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა სომხეთის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაის. თეატრს საგვარუზე შეეცებენ განათლების სახელმი-მსარისატის, სახელმწიფო დრამის, სახელმწიფო ოპერის, ხელოვნების მუშაკთა კავ-შირის, პრალეტმუჭრალთა ასოციაციის და სხვა ორგანიზაციების წარაომად-გენლები.

სტუმრებს მისასალმებელი სიტუკით მიმართა განათლების სახელმისარი-ტის წარმომადგენელმა ამხ. ჩხარტეშეილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სომხეთის სახელმწიფო დრამის გასტროლები ტულილისში დიდი მინშენელობის მოვლენაა იმით, რომ იგი კოდვე უფრო განამტკიცებს სომხეთის და საქართველოს მშრომელ ხალხთა კულტურულ კავშირს.

მისასალმებელი სიტუკით გამოვიდენ აგრეთვე: ქართული 1-ლი სახელ-მწიფო დრამი, ა სახელით მსახიობა აკაკი ხორავა, ხელოვნების მუშაკთა სახელით ამხ. ლორთქიფანიძე და სხვ.

საპასუხო სიტყვით გამოეიდა სომხეთის სახ. დრამის დირექტორი აბცი, რომელმაც დასის სახელით მაღლობა გადაუხადა დაშიცურით პუნქტუალური მიღებისათვის.

საღამოს სტუმრები მიწვეულ იქმნენ სახელმწიფო დრამის თეატრში, სადაც დაიდგა გრიგოლ რობაქიძის პესა „ლამარა“.

დასი ტფოლისში დასდგამ ნ სხევადახეა წარმოდგვნას.

ტფოლისში გასტროლების დამთავრების შემდევ დასი საგასტროლოდ გაემშვერება ბაქეში.

— მიხ. ჯავახიშვილის ნაწერები უკრანი უ ლა დ. უკრანიულ ენაზე იძებელება მის. ჯავახიშვილის ოთხი წიგნი: ჯაყოს ხინწები, თეორი საყელო, კვაჭი და მოთხრობების კრებული.

— ახალი წიგნი თეატრზე. გამოვიდა და იყიდება ვახტანგ გარეთის წიგნი: თეატრი. წიგნი ისტორიულ-თეორეტიული ხასიათისაა,—გამოცემულია ლამაზად, შეიცავს 280 გვ. და ლირს 1 მ. 50 კ.

— რაჭდენ გვეტაძის მოთხრობების წიგნი. ჭაბეტიდა და გამოვიდა გასაყიდათ რაჭდენ გვეტაძის მოთხრობების წიგნი: თეო. წიგნში მოთავსებულია მოთხრობები: თეო, ბოთვ და მილიციოლი.

— „მარცხენა თვალი ით“. გამოვიდა კონსტანტინე გამასხურდის წოვლების წიგნი: „მარცხენა თვალით“. წიგნში მოთავსებულია 10 ნოველა, 220 გვ. ლირს 1 მ. 50 კ.

— კონსტანტინე გამასხურდიამ დასასრულა ერის მარია რემარქის წიგნის: „დასაცლების ფრონტი უცელელია“-ს გერმანულიდან თარგმნა. წიგნს გამოიშვებს საქ. სახელგამი.

— დიმიტრი ყიდურიანის მემუარები. გამოვიდა სიმონ ხერდაძის რედაქციით, შეინშენებით და წინასიტყვაობით დიმიტრი ყიფიანის მემუარების წიგნი. წიგნში მოთავსებული შემდეგი მოგონებანი: 1. სკოლა სულისა, 2. 1882 წ. შეთქმულება და 3. ჩემი მომაწილეობა 1882 წ. შეთქმულებაში. წიგნს ჭარბობი აქვს რედაქტორის კრკელი ნაკვევი დიმიტრი ყიფიანის აზროვნებიდან და მოღვაწეობიდან; წიგნი გამოიცემულია ლამაზად და შეიცავს 174+XLII გვ. და ლირს 2 მ. 50 კ. ყდით

— გრიგოლ ცეცხლაძის ახალი პოემა. გრიგოლ ცეცხლაძე სწერს პოემას „ნილონისტი“. პოემის სიუჟეტი გაშლილი იქნება თანამედროვე ინტელიგენციის ცხოვრების ფონზე.

— რუსთაველის თეატრი მაისში ამთავრებს სეზონს, რის შემდგაც ის გამშვერება მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად. ამ ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ 45 მეტი ეროვნებათა თეატრები. რუსთაველის თეატრის თან მიაქვს დადგმები: ანონრი, ქართა ქალაქი, ლამარა, რაღვევა, ლინდაგი გვეგუნებს.

— დ. კონქაძის დაბადებიდან 100 წლის თავი. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიენტისა დაადგინა: ივონსში მოაწყოს დ. კონქაძის დაბადებიდან 100 წლის შესრულების თავის აღსანიშნავი საღამო.

მწერალთა ფედერაციამ მიმართა პროცეკშირების კულტურული რათა კლუბებისაც სატარებულ იქნას დ. კონქაძის ხსოვნის საღამოები. მწერალთა ფედერაციამ სახელგამის წინაშე აგრეთვე აღძრა შეამდგომლობა, რათა ამ დღის აღსანიშნავად მასიურად გამოცემულ იქნას „სურაშის ცის“.

— დავით სულიაშვილი თურქულად. აზერბეგჯანის საწელამი  
სცენტ დავით სულიაშვილის მოთხოვობების წიგნს.

— ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი. დაიბეჭდა და გამოიყიდა კრებული აკოლექტურული ცენტრის ფრონტების შემდეგი შინაარსით: მოწინავე — ი. ს ტ ა ლ ი ნ ი — დიდი გარდული ტეატრის წელი. პოეზია: კ. ბობობი ძ ე — გლეხის სიმღერა (ლექსი); კ. გორგაძე — ხუთი წლის შემდეგ; ს. ერთა წ მ ი ნ დ ე ლ ი — განგაში; ს. ე უ ლ ი — მუშა ბრიგადელი; ნ. ზ ო მ ლ ე თ ე ლ ი — თესვა; ა. მაშა შ ვ ი ლ ი — რაციო; ფ. ნ ა რ ი უ შ ვ ი ლ ი — ხოლო ეწევა აგოტაციას; ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ე — გაზაფხულის თესვა; ს. ჩ ი ქ თ ვ ა ნ ი — საგაზაფხულო თესვა; გ. ხ ე ხ უ ა შ ვ ი ლ ი — მეურნეობისაკენ, ახალი სოფელი; პრინცი: ა. რ. ჩ ა ნ ი ბ ა ი ა — ევრო მეორე გზით; ს ი მ. წ ვ ე რ ა ვ ა — მექდელების უბანში; დრამა: ს ე რ გ ო ჯ ა ვ შ ა ნ ი ძ ე — თითქოს გადარჩა; კ ი ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — ინსტინქტების ჯანყი; ს ი მ. ჩ ი ქ თ ვ ა ნ ი — თესვის კულტურა ლომის დაბლობში.

## რ ც ხ ე თ ი

— ს ა ბ ჭ ი თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ხ ა ლ ხ თ ა ხ ე ლ ა ვ ნ ე ბ ი ს თ ლ ი მ ი დ ი ა დ ა. 11 მაისს შესდგა საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრებისა და ხელოვნების ოლიმპიადის უიურის პირველი სტდიომა. უიურიმ დაადგინა — დააწესოს 15 ჯილდო, რომელთა საერთო თანამა დაახლოებით 10.000 მანეთს შეადგენს. გამარჯვებულ თეატრს მიეკუთმა გარდამაცალი ჯილდო, იმ ინდივიდუალური ჯილდოების გარდა ორმლებიც მიეკუთმა რეჟისორებს, არტისტებს და მხატვრებს. თეატრებს ჯილდოთ მიეკუთმა სკენების ელექტროფიურაციამნილი მოწყობილობებანი და სხვ. უიურიმ დააკმაყოფილა საქართველოს, სომხეთის, თურქეთის და თათართა რესპუბლიკის თხოვნა იმის შესახებ, რომ ოლიმპიადაშე მოწყონს ამ რესპუბლიკის მხატვართა სურათებისა და გრაფიკის გამოფენები. ოლიმპიადის მონაწილე ბევრი თეატრი აწყობს მაკეტების გამოყენას.

15 იქნისიდან 6 ივლისამდე მოსკოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრებისა და ხელოვნების ოლიმპიადა. თალიმებიადან წარმოდგენილი იქნება: თეატრი, კინო, ეროვნულაფიული ხალხური ხელოვნება და შინამრეწველური სამხატვრო პროდუქცია.

სულ ოლიაპიადაში მონაწილეობას მიიღებს ათასზე მეტი არტისტი. მთელი ოლიმპიადა გადალებული იქნება დიდ ხმას კინოფილმები.

ოლიმპიადაზე მოწყველია დასაკლეთის რეეოლიუციონური ხელოვნების 20-ხე მეტი მოღვაწე, ოლიმპიადაზე ჩამოსულ სხვადასხვა ეროვნების ხელოვნების მუშაკთათვის მოწყობა და ექიმიური მოსხეულების რამდენიმე ციკლი მარქისტული ხელოვნებათმცოდნობის შესახებ; ამავე ნაციონალურ მუშაკებს გააცნობენ მოსკოვის თეატრების ტექნიკურ მიღწევებს, მოსკოვის მუშეულებს, კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ფამრიკებს და ქარხნებს.

—————

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვ. № 1727. მთაველ. № 1013. ტირაჟი 1000

୩୧୬୦ । ୪୧୬.

